გიორგი სუხიშვილი

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მოღვაწენი

გამომცემლობა „ხელოვნება“
თბილისი 1988წ.

85 32 (2Г)
ს 971

საქართველოს სსრ მუსიკალური საზოგადოების გამგეობა

© გამომცემლობა „ხელოვნება“, 1988

4906000000
ს ——————————ბრძ №233,85
М 605(08)—88

ავტორისაგან

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების მიღწევები დღეს საყოველთაოდ ცნობილია. მიუხედავად ამისა დღემდე არ გამოცემულა მეტნაკლებად სრული ლიტერატურა, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა ქართველ ქორეოგრაფთა და მოცეკვავეთა შემოქმედების ამსახველი ფაქტები. ამ ხარვეზს არც აღნიშნული გამოცემა შეავსებს მთლიანად, რადგან იგი უფრო საცნობარო ხასიათს ატარებს. ეს არის პირველი ცდა, გააცნოს მკითხველს ადამიანები, რომლებმაც ეროვნულ ქორეოგრაფიას დაუკავშირეს თავისი ცხოვრება და შემოქმედება, მოუხვეჭეს მას ესოდენი პოპულარობა, ისინი, ვინც თვალისჩინივით უფრთხილდებიან ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილ, ჟამთა სიავეს გადარჩენილ ქორეოგრაფიული კულტურის შესანიშნავ ნიმუშებს, ძველი ეროვნული ქორეოგრაფიული ხელოვნების თვითმყოფობაზე დაყრდნობით ქმნიან შესანიშნავ საცეკვაო კომპოზიციებს.

ქართული ხალხური ცეკვების მაღალპროფესიულ ქორეოგრაფიად ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვით მის პიონერებს— ალექსი ალექსიძეს (სონღულაშვილი), დავით ჯავრიშვილს, ჯანო ბაგრატიონს, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის დამაარსებლებსა და უცვლელ ხელმძღვანელებს, სსრკ სახალხო არტისტებს, საბჭოთა კავშირის და შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატებს ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს, რომლებმაც ქართული ცეკვა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას გააცნეს და საყოველთაო აღიარება მოუტანეს მას.

არანაკლებ თვალსაჩინოა უფროსი, საშუალო თუ ახალგაზრდა თაობის ქორეოგრაფთა და მოცეკვავეთა ღვაწლი, რომელზეც წინამდებარე კრებულშია მოთხრობილი.

წიგნის საცნობარო ხასიათი საშუალებას არ გვაძლევს მიმოვიხილოთ და განვაზოგადოთ ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში მიმდინარე რთული პროცესები, დეტალურად განვიხილოთ ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები. ჩვენი მიზანია მკითხველს გავაცნოთ ცალკეულ ქორეოგრაფთა და მოცეკვავეთა მოღვაწეობა. მასალა ანბანის პრინციპით დავალაგეთ და მკითხველს ძირითადად ვაწვდით იმ მოღვაწეთა ბიოგრაფიულ ცნობებს, რომლებსაც დამსახურებისათვის მინიჭებული აქვთ სხვადასხვა საპატიო წოდება. საერთო პრინციპიდან გამოვყავით ხუთეული, რომელმაც განსაკუთრებული და ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სრულქმნისა და პოპულარიზაციის მნიშვნელოვან საქმეს.

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის დავალებით წილად გვხვდა პატივი, გვეთავა ეს საქმე.

რასაკვირველია, როგორც ყოველი პირველი ცდა, არც ეს ნაშრომი იქნება დაზღვეული ზოგიერთი ხარვეზისაგან. ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს მკითხველის ყველა სამართლიან და სასარგებლო შენიშვნას.

აქვე გვინდა მადლობა მოვახსენოთ ყველას, ვინც ხელი შეგვიწყო წიგნზე მუშაობისას და მოგვაწოდა მასალები გამოჩენილ ქართველ ქორეოგრაფთა და მოცეკვავეთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ქორეოგრაფები

ალექსიძე (სონღულაშვილი) ალექსი გიორგის ძე

ალექსი ალექსიძე გასული საუკუნის 80-იანი წლების იმ სახელოვან ქართველ პატრიოტთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც თავისი სამშობლოსადმი სრულებლო და პედაგოგიური მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა ქართული ხალხური ქორეოგრაფიის პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში. იგი დაიბადა 1874 წლის 27 დეკემბერს. ღარიბი მუშის შვილს უსაზღვროდ უყვარდა ქართული ცეკვა და მთელ თავის მომავალს ხელოვნების ამ დარგში ხედავდა. 12-13 წლის ყმაწვილი ერთ-ერთ საუკეთესო მოცეკვავედ ითვლებოდა თბილისში.

ერთხელ ჯერ კიდევ ნორჩი მოცეკვავე თბილისში ქართული დრამატული თეატრის სცენაზე გამოიყვანეს და გასაოცარი წარმატება ხვდა წილად. ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლა ალექსი ალექსიძეს განსაკუთრებით დაამახსოვრდა იმითაც, რომ იგი აქ შეხვდა ცნობილ მწერალსა და თავისი დროის გამოჩენილ მოცეკვავეს ალ. ყაზბეგს, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ალექსიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

ა. ალექსიძე მუშაობას იწყებს საოპერო თეატრის დასში. პარალელურად მას ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა სცენაზე — კონცერტებზე თუ დრამატულ სპექტაკლებში, მაგრამ ნამდვილი პოპულარობა და საყოველთაო აღიარება მან მოიპოვა 1895 წელს საფრანგეთში. იმ წელს პარიზში მიიწვიეს ქართველი მოჭიდავეები, ცხენოსნები, მედუდუკეები და რამდენიმე კაცისაგან შემდგარი მოცეკვავეთა ჯგუფი ა. ალექსიძის ხელმძღვანელობით. ქართული ცეკვით მოხიბლულმა ფრანგებმა ალექსი ალექსიძე ოქროს დიდი მედლით დააჯილდოეს. გასტროლების ორგანიზატორებს დაგეგმილი ჰქონდათ აგრეთვე ქართველი მოცეკვავეების კონცერტები საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში, მაგრამ ისინი მხოლოდ ლიონში გამოსვლას დათანხმდნენ.

თბილისში დაბრუნებისთანავე ა. ალექსიძე კვლავ ოპერაში იწყებს მუშაობას. 1890 წელს მან აღტაცებაში მოიყვანა თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული სცენის დიდი მოღვაწე ერნესტო როსი.

1900 წელს თბილისში ჩამოვიდნენ მაქსიმ გორკი, ანტონ ჩეხოვი და მხატვარი ვიქტორ ვასნეცოვი. ვერის ბაღში მათ პატივსაცემად გამართულ შეხვედრაზე ალექსიძის ცეკვით მოხიბლულმა გორკიმ თქვა: „მე ვსვამ იმ ხალხის სადღეგრძელოს, რომელმაც თავისსავე საამაყოდ შექმნა ასეთი ლამაზი ცეკვა", ხოლო ვასნეცოვმა დაუმატა: „ამ ცეკვამ მაგრძნობინა, თუ რამდენად ამაყობს ქართველი ხალხი თავისი მრავალტანჯული გმირული ისტორიით. ვუყურებდი რა ამ ჩინებულ ცეკვებს, ნათლად წარმოვიდგინე ქართველი ხალხის დიდებული წარსული მისი ადათებითა და განუმეორებელი თავისებურებებით".

ა. ალექსიძეს მოღვაწეობა უხდებოდა ჩვენი ერისათვის მეტად მძიმე დროს — როცა იზღუდებოდა ყოველივე ეროვნული, აკრძალული იყო ქართული ენის სწავლება, ეროვნული ტანსაცმლის ტარება, როცა ქართველი ქალები უარს ამბობდნენ ეროვნულ ცეკვებზე და გულმოდგინედ სწავლობდნენ ევროპულს, როცა თანდათან იკარგებოდა ჩვენი ცეკვების მდიდარი თვითმყოფობა, შესრულების ტრადიცია.

სწორედ ამ დროს გახდა ა. ალექსიძე ქართული ცეკვების პროპაგანდისტი, მან ისიც მოახერხა, რომ გუბერნატორისაგან მიიღო „აზიური" ცეკვების სწავლების ნებართვა და 1902 წელს გახსნა ქორეოგრაფიული სტუდია.

თანდათან იზრდებოდა ალექსიძის, როგორც ქართული ცეკვის მასწავლებლის სახელი. სულ უფრო მრავლდებოდა მოსწავლეთა რიცხვი.

1916 წელს თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულმა გამოჩენილმა ბალეტმაისტერმა — რეფორმატორმა მიხეილ ფოკინმა და მისმა მეუღლემ ვერა ფოკინამ რამდენიმე გაკვეთილი მიიღეს ალექსიძისაგან. გამომშვიდობებისას მ. ფოკინმა თქვა: „ამ ცეკვებს ვდგამდი ჩემებურად ლონდონში და პარიზში, ისინი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ, მაგრამ ის, რაც თქვენგან ვისწავლე, სრულიად ეწინააღმდეგება ჩემს ცოდნას, უფრო სწორად, ამან დამიმტკიცა, რომ მე არ ვიცოდი თქვენი ცეკვები. ახლა როცა მომიხდება რაიმე ამგვარის გაკეთება, ვიხელმძღვანელებ თქვენგან მიღებული გაკვეთილებით".

ა. ალექსიძე ოცნებობდა გაეხსნა სახელმწიფო ქორეოგრაფიული ტექნიკუმი, რომელიც აღზრდიდა ქართული ცეკვის პროფესიონალ შემსრულებლებს. სამწუხაროდ, ეს ოცნება მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ განხორციელდა.

ალექსიძე იყო პირველი, ვინც ნახაზებითა და პირობითი ნიშნებით ჩაწერა „დავლურის“, „ქართულის“ და „მირზაიას“ უძველესი ფოლკლორული ნიმუშები.

ინტენსიურად გაიშალა ა. ალექსიძის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ პერიოდში უკვე საქართველოს მრავალ ქალაქში მოღვაწეობდნენ მისი მოსწავლეები.

ა. ალექსიძემ მრავალი სახელოვანი მოცეკვავე აღზარდა. საკმარისია დავასახელოთ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატი, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი ილიკო სუხიშვილი, წარსულში ქართული ცეკვების ბრწყინვალე შემსრულებელი ანტონ ჩიხლაძე, შიო ჩირაძე, გიორგი ალექსიძე, ნიკოლოზ სიხარულიძე, იოსებ ქავთარაძე, დავით ჩიკვაიძე, მიხეილ სულხანიშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი რომან ჭოხონელიძე და სხვ.

გარდაიცვალა 1934 წელს.

ჯავრიშვილი
დავით ლავრენტის ძე

დაიბადა 1894 წლის 30 იანვარს სოფ. ერთაწმინდაში. 1914 წელს დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია. 20-იან წლებში ბათუმში, ფიზიკური აღზრდის ინსპექტორად მუშაობისას დაებადა აზრი, რომ თავისუფალ ტანვარჯიშში შეეტანა ეროვნული ცეკვის ელემენტები.

1926 წელს მან ქართული ხალხური ცეკვების შეგროვებისა და შესწავლის მიზნით იმოგზაურა აჭარაში და ქორეოგრაფიის მრავალი ნიმუში ჩაიწერა.

დავით ჯავრიშვილი 1928 წელს ბათუმში აყალიბებს ქორეოგრაფიულ სტუდიას. მისი მიზანი იყო დაედგა ქართული ხალხური ცეკვები მათი წმინდა სახით.

ამავე წელს იგი ცეკვების დამდგმელად მიიწვიეს მ. კუხიანიძისა და დ. ყუბანეიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ მომღერალთა გუნდში (ამჟამად ბათუმის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი).

1933 წელს დავით ჯავრიშვილი მიიწვიეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ქართულ ოპერებში ცეკვების დამდგმელად. სწორედ აქ დააარსა მან 1934 წელს ქართული ქორეოგრაფიული სტუდია. ამავე პერიოდში „აბესალომ და ეთერში", „დაისსა" და „თამარ ცბიერში" დადგა რიგი ცეკვებისა და გვიჩვენა ქართული ქორეოგრაფიის მთელი სილამაზე.

1935 წელს ლონდონში შედგა ხალხური ცეკვების საერთაშორისო ფესტივალი, საქართველოს მოცეკვავეთა დელეგაციას დ. ჯავრიშვილი ხელმძღვანელობდა.

1937 წელს დ. ჯავრიშვილმა დადგა ცეკვები დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში. „მუნჯი პოეზია" უწოდა ცნობილმა საბჭოთა ბალეტმაისტერმა იგორ მოისეევმა დავით ჯავ-

რიშვილის მიერ დადგმულ ცეკვებს. ქების სტრიქონები მიუძღვნეს მას გაზეთ „იზვესტიაში" გამოჩენილმა მსახიობებმა მ. მოსკვინმა, ვ. ბარსოვამ, ნ. ნადეჟდინამ და მრავალმა სხვამ.

1937-38 წლებში დ. ჯავრიშვილი მოსკოვში გამართულ საკავშირო აღლუმზე მონაწილე საქართველოს სპორტსმენთა დელეგაციის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. მან სპორტული პროგრამა ქართული ცეკვის ელემენტებით გაამდიდრა.

1939 წელს მოსკოვში სსრკ დიდი თეატრის სცენაზე დადგა ქართული ცეკვები ოპერა „აბესალომ და ეთერში" (რეჟისორი სიმონოვი). 1937-1940 წლებში ამავე მისიით იყო მიწვეული ხარკოვისა და ოდესის ოპერისა და ბალეტის თეატრებში („დემონი", „დაისი"), ხოლო 1952-1955 წლებში — მოსკოვისა და ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებლებში პედაგოგებისა და უფროსკურსელი მოსწავლეებისათვის ქართულ ქორეოგრაფიაში სემინარების ჩასატარებლად.

დ. ჯავრიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის წარმატებებში, რომელშიც იგი 1953 წლიდან მოღვაწეობდა.

დ. ჯავრიშვილი წლების მანძილზე ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში, ზრდიდა მომავალ ქორეოგრაფებს.

ოთხი ათეული წლის მანძილზე იღვწოდა ქართული ქორეოგრაფიისათვის ეს ამაგდარი მამულიშვილი. სწორედ დ. ჯავრიშვილმა შემოიღო ქორეოგრაფიული ნიმუშების ჩასაწერად პირობითი გრაფიკული ნიშნები, რომლებსაც დღეს ფართოდ იყენებენ.

პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად იგი თეორიულ-სამეცნიერო საქმიანობასაც ეწეოდა. მის კალამს ეკუთვნის ქორეოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილი მრავალი სტატია და წიგნები: „ქართული ხალხური ცეკვები", „ქართველ ქალთა ცეკვები", ცეკვა „ქართული", „ფერხული", „მთიულური ცეკვები", „ქართული ცეკვის ჩასაწერი პირობითი ნიშნები" და სხვ.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის აღორძინებისა და განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დავით ლავრენტის ძე ჯავრიშვილს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

გარდაიცვალა 1971 წლის 19 ნოემბერს.

რამიშვილი
ნინო შალვას ასული

დაიბადა 1910 წლის 19 იანვარს ქ. ბაქოში. ნ. რამიშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფია იწყება იმ პერიოდიდან, როდესაც იგი თბილისში მარია პერინის კერძო საბალეტო სტუდიაში შედის სასწავლებლად. ქორეოგრაფიით უსაზღვროდ გატაცებული, უაღრესად მუსიკალური და შრომისმოყვარე, დაუშრეტელი ენერგიის ქალიშვილი თავიდანვე გამოირჩეოდა მოსწავლეთა შორის. ხუთი წლის მანძილზე ნინო რამიშვილი გულმოდგინედ მეცადინეობდა, შედეგმაც არ დააყოვნა: 17 წლის ბალერინა (1927 წელი) უკვე ჩარიცხეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კორდებალეტში. ამავე წელს მან ბრწყინვალედ შეასრულა თავისი პარტია ქალთა ცეკვაში ვიქტორ დოლიძის ოპერა „ლეილადან“

ნინო რამიშვილის რეპერტუარი ძირითადად ქართული საოპერო სპექტაკლების საბალეტო სოლო პარტიებისაგან შედგებოდა. მაყურებელი იმთავითვე აღტაცებული იყო ახალგაზრდა ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული მთიულური ცეკვით ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეში“ ამასთან ერთად იგი წარმატებით გამოდიოდა კლასიკურ ბალეტებშიც: პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბა“, ლ. მინკუსის „დონ კიხოტი“, მ. გლიერის „წითელი ყაყაჩო“ და სხვ.

ნ. რამიშვილის საშემსრულებლო ხელოვნებას ახასიათებს ქორეოგრაფიულ სახეთა მრავალფეროვნება. მის რეპერტუარში იყო როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა პარტიები. თუ ქალთა ცეკვებში გვხიბლავდა საოცარი პოეტურობით, უმანკო მოკრძალებულობითა და კეთილშობილური გრაციით, ვაჟთა ცეკვებში („მთიულურში“) შესანიშნავად ჰქონდა გახსნილი მთიელი კაცის ტემპერამენტული ბუნება.

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ჩაეყარა საფუძველი ორი დიდი ხელოვანის—ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის შემოქმედებით მეგობრობას. ისინი ერთად გამოდიოდნენ ქართულ ოპერებში, ერთად ცეკვავდნენ საესტრადო კონცერტებსა და საზეიმო საღამოებზე, ერთად მოღვაწეობდნენ მოსკოვში დიდი თეატრის სცენაზე, რომელიც მათთვის საბალეტო ხელოვნების აკადემიად იქცა. ბალეტის გამოჩენილი დიდოსტატების კ. გოლეიზოვსკისა და ი. მოისეევის, გ. ულანოვას, ო. ლეპეშინსკაიას, გ. სმირნოვასა და სხვათა გარემოცვაში კიდევ უფრო აყვავდა და გაიფურჩქნა ნ. რამიშვილის, როგორც მოცეკვავისა და შემოქმედის ხალასი ნიჭი.

საქართველოს ხელოვნების დეკადაზე ი. სუხიშვილთან ერთად წარმატებით გამოსვლის შემდეგ ნ. რამიშვილი 1936 წელს ბრუნდება თბილისში და კვლავ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მოღვაწეობს. პარალელურად მუშაობას იწყებს საქართველოს ფილარმონიის აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში (ხელმძღვანელი სანდრო კავსაძე, ქორეოგრაფი ილიკო სუხიშვილი) წამყვან მოცეკვავედ.

1945 წელს იგი ილიკო სუხიშვილთან ერთად სათავეში ჩაუდგა ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს და დღესაც ახალგაზრდული გატაცებითა და დაუღალავი შრომით ემსახურება ეროვნული კულტურის ამ საშვილიშვილო საქმეს.

უდიდესია ამ ანსამბლის დამსახურება ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების პროპაგანდისა და განვითარების საქმეში. ანსამბლმა ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს ხუთი კონტინენტი და აღზარდა ქართველ ქორეოგრაფთა რამდენიმე თაობა, რომლებიც დღეს აქტიურად მუშაობენ ამ სფეროში. დიდია ნ. რამიშვილის ღვაწლი ქართული ცეკვის საქვეყნოდ აღიარებაში. ბრწყინვალე მოცეკვავემ ქორეოგრაფიული სახეების მთელი გალერეა შექმნა: ნინოსეულ „ქართულს", „მთიულურს", „სამაიას", „ჯეირანს", „მუხამბაზსა" და სხვა მრავალს საპატიო ადგილი უკავია ქართული ხალხური ცეკვის საგანძურში, ხოლო ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის მიერ ერთობლივად დადგმული დიდი გემოვნებითა და მაღალმხატვრულობით აღბეჭდილი ცეკვები ქართული ქორეოგრაფიის ოქროს ფონდშია შესული.

1948 წელს ნ. რამიშვილს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება, 1949 წელს — სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა და პირველი ხარისხის დიპლომი. ამავე წელს ნ. რამიშვილი ანსამბლთან ერთად მიიწვიეს რუმინეთის სახალხო დემოკრატიულ

რესპუბლიკაში. რუმინეთის მთავრობამ იგი დააჯილდოვა „ოქროს ვარსკვლავის“ ორდენით. 1953 წელს მსოფლიო ახალგაზრდობის IV საერთაშორისო ფესტივალზე მან ოქროს მედალი და ფესტივალის ლაურეატის საპატიო სახელი დაიმსახურა, ხოლო 1962 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის უმაღლესი წოდება.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში დიდი ღვაწლისა და დამსახურებისათვის ნ. რამიშვილს 1971 წელს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება.

ნინო რამიშვილი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V და VI მოწვევის დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებითა და მრავალი მედლით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების საპატიო სიგელებითა და დიპლომებით. იგი როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი და ცეკვების დამდგმელი, კვლავინდებურად დაუცხრომლად იღვწის საყვარელი საქმისათვის ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში.

სუხიშვილი
ილია (ილიკო) ილიას ძე

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ერთ-ერთი დამაარსებელი, მრავალი წლის მანძილზე მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი ილიკო სუხიშვილი დაიბადა 1907 წლის 4 აპრილს ქ. თბილისში.

1924 წელს სკოლასთან პარალელურად დაამთავრა ალექსი ალექსიძის ქართული ხალხური ცეკვების სტუდია.

1926 წლიდან (კონკურსში გამარჯვების შემდეგ) ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ქართული ცეკვების შემსრულებელი მსახიობია, ხოლო 1928 წლიდან — ამავე თეატრის ქართული ბალეტის სოლისტი.

1929 წელს ი. სუხიშვილმა კოტე მარჯანიშვილის დავალებით დადგა ცეკვები „აბესალომ და ეთერში" ეს იყო ილიკო სუხიშვილის, როგორც ქორეოგრაფის ბრწყინვალე დებიუტი, მან სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა.

1930 წლიდან ი. სუხიშვილი უკვე აღიარებული შემოქმედია. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც ქართული ცეკვების დამდგმელი და წამყვანი სოლისტი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

1932 წლიდან ი. სუხიშვილი შემოქმედებითი მივლინებით გაემგზავრა მოსკოვს საბჭოთა კავშირის დიდ თეატრში, სადაც წარმატებით გამოდიოდა სცენაზე და ამავე დროს მუშაობდა ბალეტმაისტერის ასისტენტად. მოსკოვში ილიკო სუხიშვილი დარჩა 1935 წლამდე. მან საგრძნობლად აიმაღლა პროფესიული დონე გამოჩენილი ბალეტმაისტერის კასიან გოლეიზოვსკის ხელმძღვანელობით. პარალელურად სწავლობდა ა. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში.

დიდ თეატრში მუშაობის პერიოდში კიდევ უფრო დაიხვეწა და ამაღლდა ნიჭიერი მსახიობის საშემსრულებლო დონე, ქორეოგრაფის დიაპაზონი. იგი წარმატებით გამოდიოდა ა. რუბინშტეინის „დემონში", გლინკას „რუსლან და ლიუდმილაში", აგრეთვე პუნის ბალეტ „კუზიან კვიცში"

1935 წელს ხალხური ცეკვების პროფესიონალ შემსრულებელთა მსოფლიო ფესტივალზე ლონდონში ი. სუხიშვილმა ფესტივალის ლაურეატის წოდება და მედალი დაიმსახურა.

1936 წლიდან იგი ისევ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრშია და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა როგორც სოლისტი და ბალეტმაისტერი. ქართული საოპერო თეატრის ისტორია სათუთად ინახავს ამ შესანიშნავი ხელოვანის მიერ ოპერის სცენაზე დადგმულ და მის მიერვე შესრულებულ მრავალ ცეკვას, რომლებმაც საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ეროვნული ქორეოგრაფიის ოქროს ფონდში.

1936 წლის მიწურულში მოსკოვში გაიმართა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. ამ დეკადაზე ი. სუხიშვილი მონაწილეობდა როგორც ოპერის სოლისტი (ნ. რამიშვილთან ერთად) და ბალეტმაისტერი, ისე აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ქორეოგრაფი (ლოტბარი სანდრო კავსაძე). დეკადაზე აქტიური მონაწილეობისა და თვალსაჩინო დამსახურებისათვის საკავშირო მთავრობამ ილიკო სუხიშვილი „საპატიო ნიშნის" ორდენით დააჯილდოვა.

1938 წელს უკრაინის სსრ კულტურის სამინისტროს მიწვევით ი. სუხიშვილმა კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრში განხორციელებულ ზ. ფალიაშვილის „დაისსა" და ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეში" დადგა ცეკვები. 1939 წელს მან იქვე მოამზადა კ. კავოსის ორმოქმედებიანი ბალეტი „კავკასიის ტყვე"

1939 წელს ესტრადის მსახიობთა I საკავშირო კონკურსზე ი. სუხიშვილმა კონკურსის ლაურეატის წოდება მოიპოვა. იმავე წელს იგი ქართული ცეკვების შემსრულებლად და დამდგმელად მიიწვიეს მოსკოვში საბჭოთა არმიის წითელდროშოვან სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში (ხელმძღვანელი ალექსანდრე ალექსანდროვი).

1942 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ი. სუხიშვილს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია 1945 წელს, როცა მან ნინო რამიშვილთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ამჟამად საქვეყნოდ ცნობილ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს, რომელიც 40 წელზე მეტია

აცნობს მსოფლიოს მილიონობით ადამიანს ქართველი ერის უძველეს და უმდიდრეს ისტორიასა და მაღალ კულტურას.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ილიკო სუხიშვილს 1948 წელს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება, ხოლო 1949 წელს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ახალი პროგრამის მომზადებისა და ბრწყინვალე შესრულებისათვის — საბჭოთა კავშირის პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია და ლაურეატის წოდება.

იმავე წელს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის ერთთვიურში აქტიური მონაწილეობისათვის რუმინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ილიკო სუხიშვილი დაჯილდოვა „ოქროს ვარსკვლავის" ორდენით.

1953 წელს ბუქარესტში ჩატარდა მსოფლიოს ახალგაზრდობის IV ფესტივალი. ფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილებით ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა და მისმა ხელმძღვანელებმა პირველი ჯილდო — „ოქროს მედალი" და ლაურეატის წოდება მოიპოვეს.

1957 წელს მოსკოვში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე ანსამბლის ბრწყინვალედ გამოსვლისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ილიკო სუხიშვილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის მაღალი წოდება. ი. სუხიშვილი ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ნოვატორად წარმოჩინდა, მისი საცეკვაო კომპოზიციები მუსიკისა და პლასტიკის ერთიანობის, აზრისა და შინაარსის სახოვნად, ლაკონურად და მეტყველად გადმოცემის ნათელი ნიმუშია.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში უდიდესი ღვაწლისა და ეროვნული ქორეოგრაფიული კულტურის დაუღალავი პროპაგანდისათვის ილია ილიას ძე სუხიშვილი 1965 წელს დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, ხოლო 1971 წელს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია და ლაურეატის საპატიო წოდება.

50 წელზე მეტი იდგა სუხიშვილი ბერმუხასავით რესპუბლიკის ქორეოგრაფიული ცხოვრების შუაგულში. იგი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის პასუხსაგები მოვალეობის შესრულებასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VII და სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს ოთხი მოწვევის დეპუტატი. მრავალი წლის მანძილზე იყო საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის

თავმჯდომარის მოადგილე საზოგადოებრივ საწყისებზე. იყო ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სახალხო უნივერსიტეტის დამაარსებელი და პირველი რექტორი, ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო სკოლა-სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი, მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით რესპუბლიკაში მრავალი საინტერესო ღონისძიება გამართულა.

დაბადებიდან 75 წლის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1981 წლის 24 მარტის ბრძანებულებით საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ილიკო სუხიშვილი მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის მეორე ორდენით დააჯილდოვა.

გარდაიცვალა 1985 წლის 24 მარტს.

ბაგრატიონი ირაკლი (ჯანო) კონსტანტინეს ძე

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი ირაკლი (ჯანო) ბაგრატიონი დაიბადა 1909 წლის 15 სექტემბერს ქარელის რაიონის სოფელ აბანოში.

ოჯახში დამკვიდრებული ტრადიციის წყალობით პატარა ჯანო ბავშვობიდანვე ეზიარა ქართული ხალხური ცეკვის კულტურას და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დაუღალავად ემსახურებოდა მისი განვითარებისა და სრულყოფის საქმეს.

ქართულ ქორეოგრაფიაში წინსვლასა და წარმატებებს ჯ. ბაგრატიონი გულწრფელად უმადლის თავის მასწავლებელს, ცნობილ ქორეოგრაფს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს დავით ჯავრიშვილს.

ჯ. ბაგრატიონი მრავალი წლის განმავლობაში (1933-1947 წ.წ.) მუშაობდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ქართული ცეკვების შემსრულებელ სოლისტ-მოცეკვავედ, სადაც დაიხვეწა ბაგრატიონისეული განუმეორებელი საშემსრულებლო სტილი.

1934 წლიდან ჯ. ბაგრატიონი მუშაობდა თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ცეკვების დამდგმელად და თეატრთან არსებულ სტუდიაში ქორეოგრაფიის პედაგოგად. ამავე პერიოდში ახალგაზრდა ქორეოგრაფი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლში. უნივერსიტეტის ცეკვის ანსამბლმა მისი ხელმძღვანელობით მრავალჯერ მიიღო მონაწილეობა რესპუბლიკურ ოლიმპიადებში. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელს საქართველოში. ქორეოგრაფიის ხალასმა ნიჭმა განსაკუთრებით იჩინა თავი საქართველოს ხალხური

სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში, სადაც იგი მთავარ ქორეოგრაფად მუშაობდა 1938-1946 და 1956-1968 წლებში.

ჯ. ბაგრატიონი გამოჩენილ ქართველ ქორეოგრაფთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელიც ზედმიწევნით კარგად იცნობდა ქართული ხალხური ცეკვის ბუნებას, თავგამოდებით იცავდა ერის საუნჯის ტრადიციებსა და სიწმინდეს, და ამავე დროს ეროვნულ კულტურასა და თვითმყოფობაზე დაყრდნობით შემოქმედებითად ამდიდრებდა ხალხურ ქორეოგრაფიას. ჯ. ბაგრატიონის დადგმებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სახელმწიფო ანსამბლსა და სხვა კოლექტივებში დადგმული: „ფარიკაობა", „სამაია", „მოხეური", „ალვანური", „ჯან სულო", „ხევსურული", „საქორწილო", „ძველი თბილისი", „ნეტავი, გოგო, მე და შენ", „საკოლმეურნეო", „წრე-ლახტი", „მარუ-ლა", „პაემანი", „მეგობრობის ცეკვა" და სხვა მრავალი, რომლებმაც საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს როგორც პროფესიული, ისე თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარში.

ჯ. ბაგრატიონის სახელთანაა დაკავშირებული ქართული ჯაზის შექმნა. 1946-1949 და 1953-1956 წლებში იგი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ანსამბლის სოლისტი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო.

1949 წელს ქ. სოხუმში მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი, იგი 1953 წლამდე უძღვებოდა ამ კოლექტივს.

1956 წლიდან 1967 წლამდე საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფია, ხოლო 1967 წლიდან გარდაცვალებამდე — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მთავარი ქორეოგრაფი. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში მან აღზარდა გამოჩენილ მოცეკვავეთა და ქორეოგრაფთა მთელი თაობა. მათ შორის არიან დღეს საყოველთაოდ აღიარებული შესანიშნავი მოღვაწენი, რომლებიც დღესაც ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან ქართული ხალხური ქორეოგრაფიის შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის.

ჯ. ბაგრატიონის ქორეოგრაფიული კომპოზიციები წარმატებით დაიდგა არა მარტო საქართველოში, არამედ მოსკოვის, სვერდლოვსკის, ოდესის, ხარკოვის, ტაშკენტის თეატრების სცენებზე. სხვადასხვა დროს იგი მიწვეული იყო აზერბაიჯანისა და სომხეთის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლებში. მისი დადგმები არაერთმა ქართულმა კინოფილმმა შემოგვინახა.

საქართველოს მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ჯანო ბაგრატიონის თვალსაჩინო წვლილს ეროვნული ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში და 1956 წელს მიანიჭა რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ხოლო 1967 წელს საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდებები. იგი დაჯილდოებული იყო მედლებით, სიგელებით და ლაურეატის საპატიო დიპლომებით.

გარდაიცვალა 1979 წლის 14 მაისს.

აბაშიძე
ვაჟა გიორგის ძე

დაიბადა 1928 წლის 5 იანვარს ქ. თბილისში. ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ეზიარა თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პლეხანოვის სახელობის კლუბში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მიხეილ ბახტაძის ხელმძღვანელობით.

ნიჭიერი ახალგაზრდა მოცეკვავე წლების მანძილზე წარმატებით გამოდიოდა საქართველოს შრომითი რეზერვების და ტრამვაიტროლეიბუსების ტრესტის ანსამბლში სოლისტ მოცეკვავედ და ანსამბლების რეპერტუარით გათვალისწინებულ ყველა ცეკვაში მონაწილეობდა, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცეკვა „ქართულში“

1946 წლიდან ვ. აბაშიძე მოღვაწეობს ქორეოგრაფად. სხვადასხვა დროს იგი სათავეში ედგა ადიგენის, ბოლნისის, საგარეჯოს რაიონების თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლებს.

1954 წლიდან დღემდე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა ელექტრო-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სასახლეში. არის ამავე სახლის თვითმოქმედი ქორეოგრაფიული სახალხო ანსამბლის „სიხარულის“ ქორეოგრაფი და მხატვრული ხელმძღვანელი. ხსენებული ანსამბლი ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების მერვე რესპუბლიკური დათვალიერებისა და საკავშირო მეცხრე მუსიკალური კვირეულის (ტაშკენტი) ლაურეატია. ნორჩმა მოცეკვავეებმა ვაჟა აბაშიძის ხელმძღვანელობით თავისი შემოქმედება გააცნეს პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის თანატოლებს.

1983 წელს სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელმა ქარხანამ იზეიმა არსებობის 100 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ვაჟა გიორგის ძე აბაშიძეს მიანიჭა კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

ამბარდანაშვილი
უშანგი გაბრიელის ძე

დაიბადა 1930 წლის 30 ნოემბერს ქ. თბილისში. ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ესიარა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ქორეოგრაფ ანტონ ჩიხლაძის ხელმძღვანელობით.

1947 წელს ცეკვავდა რაჭა-ლეჩხუმის სიმღერისა და ცეკვის ეთნოგრაფიულ ანსამბლში (ქორეოგრაფები რომან ჭოხონელიძე და გოგი სელიპანაშვილი).

1948 წლიდან ცეკვავდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლში რუბენ ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით.

ახალგაზრდა მოცეკვავე ორივე ანსამბლის რეპერტუარით გათვალისწინებულ ყველა ცეკვაში მონაწილეობდა, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩეოდა სოლო ეპიზოდებით „აჭარულში", „აფხაზურში" და „მოხეურში"

1949 წელს უშანგი ამბარდანაშვილს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლში საათანადო სემინარის გავლის შემდეგ ქორეოგრაფის კვალიფიკაცია მიენიჭა და იმავე წელს დაიწყო მუშაობა თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პიონერთა სახლში.

1952 წლიდან დღემდე იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. სხვადასხვა დროს იყო ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების ხელმძღვანელი ცეკავშირის კლუბში, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კულტურის სახლსა და ილია ჭავჭავაძის სახელობის მედიცინის მუშაკთა კლუბში.

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული კოლექტივები, რომელთა შემადგენლობაში არიან ამბარდანაშვილის აღსრდილები, ყოველთვის წარმატებით მონაწი-

ლეობენ რესპუბლიკურ და საკავშირო ღონისძიებებში, რისთვისაც მათი ხელმძღვანელები და მათ შორის უშანგი ამბარდანაშვილი მრავალგზის დაჯილდოებულან საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით, დიპლომებითა და სამკერდე ნიშნებით, აგრეთვე რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოების მადლობის ფურცლებით.

მოზარდ თაობასთან ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის უშანგი გაბრიელის ძე ამბარდანაშვილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

აჩბა ვლადიმერ (ფალიზბეი) კონსტანტინეს ძე

დაიბადა 1907 წლის 21 აპრილს გუდაუთის რაიონის სოფ. აჩანდარაში. ვლადიმერ აჩბა ხელოვანთა იმ მცირე რიცხვს ეკუთვნის, ვისაც პროფესიული ქორეოგრაფიული სკოლა არ გაუვლია, ვინც საკუთარი ნიჭისა და ტალანტის წყალობით, მშობელი ხალხის თვითმყოფ ხელოვნებაზე დაყრდნობით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის პირველი ხელმძღვანელი ახალგაზრდა ლოტბარი პლატონ ფანცულაია ნიჭიერ შემსრულებელს ყოველთვის ხალხის წიაღში ეძებდა, სწორედ ასე აღმოაჩინა მან გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნში ცხენოსანთა ერთ-ერთ ზეიმზე 26 წლის თვითმყოფი ტალანტი ვლადიმერ აჩბა. ამის შემდეგ იგი, როგორც ქორეოგრაფი და აფხაზური ცეკვების უბადლო შემსრულებელი, მჭიდროდ დაუკავშირდა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს.

მასობრივი და სახასიათო ცეკვების შესასწავლად ვლადიმერ აჩბა ჩრდილოეთ ოსეთში მიავლინეს. ამ მივლინებამ საგრძნობლად გაამდიდრა მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია.

სოხუმში დაბრუნების შემდეგ ვლ. აჩბამ პ. ფანცულაიასთან და მ. კოვესთან მჭიდრო შემოქმედებით კავშირში არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ეროვნული მასობრივი და ინდივიდუალური ცეკვები. ამის დამადასტურებელია მისი შესანიშნავი დადგმის მასობრივი სიმღერა-ცეკვის „აიბაკრა-შარათინის" წარმატება.

ამიერკავკასიის ხალხთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადაზე, რომელიც 1934 წელს ჩატარდა თბილისში, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა პირველი ადგილი დაიკავა. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღოდა ამ ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფის ხელმძღვანელსა და ვირტუოზ მოცეკვავეს ვლადიმერ აჩბას.

ვლადიმერ აჩბამ განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა ქართული ხელოვნების პირველ დეკადაზე მოსკოვში 1937 წელს.

სცენის ერთი კიდიდან მეორემდე მუხლებზე ცეკვით გასრიალებას „აჩბურს“ უწოდებენ, რადგან ასეთი ილეთი პირველად ვლადიმერ აჩბამ დაამკვიდრა. აჩბამ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა აფხაზური ხალხური ცეკვის განვითარებასა და გავრცელებაში. წმინდა ხალხურ ფოლკლორზე დაყრდნობით აღადგინა, დახვეწა სხვადასხვა მასობრივი და საფერხულო ცეკვები, მრავალ ახალგაზრდას ჩაუნერგა ეროვნული ცეკვის მხურვალე სიყვარული.

ვლადიმერ აჩბას ღვაწლი და საშემსრულებლო ხელოვნება ჯეროვნად დაფასდა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას 1957 წელს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

ბახტაძე
მიხეილ იოსების ძე

დაიბადა 1918 წლის 8 იანვარს.

თბილისის პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებული ანსამბლის წამყვანმა მოცეკვავემ, მიხეილ ბახტაძემ იმთავითვე გამოიჩინა მიდრეკილება ქორეოგრაფიის რთული ხელოვნებისადმი. ნიჭიერმა ახალგაზრდა ხელოვანმა გამოჩენილ ქორეოგრაფ გრიგოლ ჩივაძესთან ასისტენტად მუშაობისას. 1938 წელს ჩამოაყალიბა ბავშვთა საცეკვაო კოლექტივი, რომელიც წლების მანძილზე პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

1946 წელს ახალგაზრდა შემოქმედი ქორეოგრაფად მიიწვიეს ა/კ რკინიგზის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლში, სადაც მან ლოტბარ სოლომონ (ბიჭიკო) გველესიანთან ერთად შექმნა ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის შესანიშნავი ანსამბლი, რომელიც დიდ მოწონებას იმსახურებდა მთელ ამიერკავკასიაში და ხშირად გამოდიოდა პირველ ადგილზე რესპუბლიკურ თუ საოლქო ოლიმპიადებზე.

1943-დან 1953 წლამდე მიხეილ ბახტაძე ლოტბარ სოლომონ იაშვილთან ერთად ხელმძღვანელობდა საქართველოს შრომითი რეზერვების სიმღერისა და ცეკვის სახელგანთქმულ ანსამბლს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო და პირველი ადგილი დაიკავა შრომითი რეზერვების მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერებაზე.

1949-დან 1952 წლამდე მიხეილ ბახტაძე უფროს პედაგოგ-ქორეოგრაფად მუშაობდა თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში.

1949-დან 1956 წლამდე იყო თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგ-

რაფი. ეს კოლექტივი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერებაზე, დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელს რესპუბლიკაში.

მდიდარი და მრავალფეროვანია მიხეილ ბახტაძის მიერ დადგმული ცეკვების რეპერტუარი, ბევრი მათგანი დღესაც ამშვენებს თვითმოქმედი ქორეოგრაფიული კოლექტივების პროგრამებს.

1945 წელს მიხეილ ბახტაძე დგამს ცეკვებს კინოსტუდია „მოსფილმის" მიერ გადაღებულ ფილმში „გამარჯობა, მოსკოვო" მან დადგმები განახორციელა თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრში, ლენინის რაიონის და ამიერკავკასიის რკინიგზის სახალხო თეატრების ბევრ სპექტაკლში.

მ. ბახტაძემ მოცეკვავეთა დიდი პლეადა აღზარდა. მისი საუკეთესო მოსწავლეები თავის დროზე წარმატებით გამოდიოდნენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის, სახელმწიფო ფილარმონიის, მუსიკალური კომედიის თეატრის, პროფესიული თუ სხვა თვითმოქმედი კოლექტივების შემადგენლობაში, მათგან ბევრს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტისა და კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებები.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიხეილ ბახტაძეს 1951 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია მედლებით და სამკერდე ნიშნებით, მრავალჯერ აქვს მიღებული საკავშირო და რესპუბლიკური ხელმძღვანელი ორგანოების საპატიო სიგელები, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები. არის. რესპუბლიკური ოლიმპიადებისა და ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი.

მიხეილ ბახტაძე ამჟამად მუშაობს ა/კ რკინიგზელის სახლის დირექტორად.

ბებია
ედუარდ ვახაიადის ძე

დაიბადა 1937 წლის 10 ივლისს გუდაუთის რაიონის სოფელ ჯირხვაში. 1956 წელს სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მოცეკვავე მსახიობად.

1959-1961 წლებში სოხუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში იღრმავებდა ცოდნას ხალხურ ქორეოგრაფიაში. მან ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში განახორციელა „ქართულის", „განდაგანას", „აფხაზურისა" და სხვა ცეკვების დადგმა. ამიტომაა, რომ სასწავლებლის დამთავრებისთანავე იქვე დატოვეს ცეკვების დადგმისა და კომპოზიციის მასწავლებლად.

1963-1968 წლებში ედუარდ ბებია სწავლობდა ა. ლუნაჩარსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა რეჟისორ-ბალეტმაისტერის სპეციალობით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1968-70 წლებში მუშაობდა ცეკვების დამდგმელად აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში.

1970 წელს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით ე. ბებიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა მოცეკვავეთა ახალგაზრდული თვითმოქმედი ანსამბლი „შარათინი", რომელიც შემდეგ, 1979 წელს აფხაზეთის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლად გადაკეთდა. ამ კოლექტივში განახორციელა მან თავისი მაღალმხატვრული დადგმები: „შარათინი", „ლეგენდა ნაბადზე", „დათვი და მონადირეები", „მთიულური", „მოხალისეები" და მრავალი სხვა ცეკვა. ეს დადგმები დიდი მოწონებით სარგებლობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

ედუარდ ვახაიადის ძე ბებია დაჯილდოებულია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ვ. ი. ლენინის საიუბილეო სამკერდე ნიშნით, 1985 წლიდან იგი აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეა, იმავე წელს მიენიჭა საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის წოდება.

ამჟამად სოხუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორია.

ბეჟანიძე
თამაზ მურადის ძე

დაიბადა 1941 წლის 3 ივნისს ქ. ბათუმში.

ქართული ხალხური ცეკვის სიყვარული ცნობილმა აჭარელმა მოცეკვავემ თემელ მიქელაძემ ჩაუნერგა. ნამდვილ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას კი ეზიარა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ენვერ ხაბაძის ხელმძღვანელობით ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გაზაფხულში“

თამაზ ბეჟანიძე ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე იყო, როცა ბათუმის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან ერთად გამოდიოდა თბილისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე და მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე საერთაშორისო ფესტივალზე მოსკოვში 1957 წელს.

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე (1958 წ.) თ. ბეჟანიძე ჩაირიცხა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის შემადგენლობაში. ახალგაზრდა ნიჭიერი მოცეკვავე მსახიობი აქტიურად მონაწილეობდა ანსამბლის საკონცერტო პროგრამაში, მასთან ერთად იმყოფებოდა საგასტროლოდ საქართველოს, რსფსრ, უკრაინის ქალაქებსა და რაიონებში, კონცერტებს მართავდნენ ეგვიპტეში, სირიასა და სუდანში(1958-1965 წ. წ.). მშობლიურ ანსამბლთან შემოქმედებითი ურთიერთობა არც უმაღლესი სასწავლებლის — ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შეუწყვეტია. წლების განმავლობაში ანსამბლთან ერთად მონაწილეობდა კონცერტებში, სახალხო დღესასწაულებში, ტელეკონცერტებში, ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა, 1969 წ.), სკკპ 24-ე ყრილობის საზეიმო კონცერტში (მოსკოვი, 1970 წ.) და სხვა კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებში.

აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ხანგრძლივმა და ნაყოფიერმა მუშაობამ განსაზღვრა თამაზ ბეჟანიძის, როგორც ქორეოგრაფის პროფესიული ორიენტაციის საკითხი. იგი 1961 წლიდან ხელმძღვანელობდა ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა საოლქო სასახლისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქორეოგრაფიულ ანსამბლებს, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ ბავშვთა თვითმოქმედების რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში.

ამჟამად მუშაობს აჭარის ასსრ მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების სამხატვრო ხელმძღვანელად ქორეოგრაფიის დარგში. არის ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის ქორეოგრაფიული ანსამბლის „გაზაფხულის" და აჭარელ ვეტერან მოცეკვავეთა ანსამბლის ხელმძღვანელი. აღნიშნული მხატვრული კოლექტივები თამაზ ბეჟანიძის ხელმძღვანელობით წარმატებით გამოდიოდნენ თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის მაყურებელთა წინაშე. კონცერტებს მათი მონაწილეობით ხშირად გადასცემენ საქართველოს და ცენტრალური ტელევიზიით.

1978-83 წლებში კონცერტებით მოიარა საბერძნეთი, კვიპროსი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, ჰოლანდია.

თ. ბეჟანიძე საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების მრავალგზის ლაურეატია. აქვს განხორციელებული ქორეოგრაფიული დადგმები მოსკოვის სახალხო ანსამბლ „კოლხიდაში", სკოლა-სტუდია „ივერიაში", სომხეთის სსრ ტ. ალთუნიანის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში და სხვა.

1981 წელს თამაზ მურადის ძე ბეჟანიძეს მიენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ბუაჩიძე (ჯოჯორაშვილი) გრიგოლ არჩილის ძე

დაიბადა 1929 წლის 12 იანვარს ქ. თბილისში. ქართული ხალხური ქორეოგრაფიის საფუძვლებს ეზიარა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პლეხანოვის სახელობის კლუბში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მიხეილ ბახტაძის ხელმძღვანელობით.

1943 წელს 14 წლის ნიჭიერი მოცეკვავე ქაროლ-კახური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მიიწვიეს (ხელმძღვანელი მარო თარხნიშვილი).

1946 წლიდან გრიგოლ ბუაჩიძე საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი იყო და წარმატებით მონაწილეობდა მასობრივ ცეკვებში, ცეკვავდა სოლო პარტიებს. ახალგაზრდა შემსრულებელმა ამ ანსამბლში ცნობილი ქორეოგრაფის ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანელობით ოსტატობის მაღალ დონეს მიაღწია.

კიდევ უფრო დაიხვეწა გ. ბუაჩიძის საშემსრულებლო მანერა. ცეკვის ბუნებისა და ხასიათის გადმოცემის უნარი საქართველოს ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით, სადაც იგი 1950 წლიდან 1954 წლამდე მოღვაწეობდა.

1954 წლიდან გ. ბუაჩიძე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ორკესტრის მოცეკვავე მსახიობია. აქ იგი ქართულ ხალხურ ცეკვებთან ერთად წარმატებით ასრულებდა ესტრადისათვის სტილიზებულ სხვა ხალხთა ცეკვებსაც.

1956 წელს გ. ბუაჩიძე კვლავ დაუბრუნდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს, მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა როგორც სოლისტი მოცეკვავე და მთავარი ქორეოგრაფის ჯანო ბაგრატიონის ასისტენტი.

გ. ბუაჩიძის ცეკვები ყოველთვის გამოირჩეოდა შესრულების თავისებური, თვითმყოფი მანერით, ცეკვის ბუნებაში მკაფიო წვდომით, ილეთთა სიმდიდრითა და მუსიკალური მასალის კარგი შეგრძნებით. მოცეკვავე მსახიობი ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდებოდა შესასრულებელ პარტიებს, მაგრამ განსაკუთრებით უყვარდა მთიელთა ძარღვიანი და ტემპერამენტული ცეკვები.

ზემოჩამოთვლილ ანსამბლებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის პროცესში გ. ბუაჩიძემ გამოავლინა ქორეოგრაფის ხალასი ნიჭი და უნარი.

გ. ბუაჩიძე მრავალი წლის მანძილზე იყო საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის ქორეოგრაფი.

სხვადასხვა ანსამბლსა თუ კოლექტივში მას დადგმული აქვს მრავალი ცეკვა: „ხევსურული ფარიკაობა", „ოსური მასობრივი", „ხონგა", „კავკასიური" — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში; „მთიულური მასობრივი" — სომხეთის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში; „ხევსურული ფარიკაობა" — აზერბაიჯანის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში; დადგმები განახორციელა აგრეთვე თბილისის, ზუგდიდისა და ხაშურის თვითმოქმედ კოლექტივებში, რომლებიც ყოველთვის სარგებლობდნენ მაყურებლის მოწონებით.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გრიგოლ ბუაჩიძეს 1967 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია მედლებით, სიგელებითა და დიპლომებით.

ამჟამად იგი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მთავარი ქორეოგრაფია და პარალელურად თავის ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას უზიარებს ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო სკოლა-სტუდიის მოსწავლეებს.

გაგლოევი
ხაზბი თეოდორეს ძე

დაიბადა 1931 წლის 26 დეკემბერს ქ. ცხინვალში. მისი ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან.

1942 წლიდან ცეკვის ხელოვნებას სწავლობდა ანსამბლთან არსებულ მოცეკვავე ბავშვთა ჯგუფში გრ. გაბარაევის ხელმძღვანელობით, ხოლო 1948 წლიდან ამ ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობია.

1951-დან 1954 წლამდე იყო საბჭოთა არმიის რიგებში. დემობილიზაციისთანავე ცეკვას მოწყურებული ახალგაზრდა მშობლიურ ანსამბლს დაუბრუნდა და მალე წამყვანი მოცეკვავის სახელი დაიმსახურა.

ხ. გაგლოევმა, როგორც ნიჭიერმა მოცეკვავე-შემსრულებელმა მრავალი დასამახსოვრებელი სახე შექმნა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქართული", „ოსური", და „ნარნარი" (მანია გაგლოევასთან ერთად), „უკრაინული დუეტი" „პაემანი წყაროსთან" „განდაგანა" აზერბაიჯანული სახუმარო ცეკვა „მატჩი" და სხვ.

1964 წელს ნიჭიერი შემოქმედი ცეკვების დამდგმელ ქორეოგრაფის თანამდებობაზე დააწინაურეს, ხოლო 1972 წლიდან ამ ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელია. მისი ნამუშევრებიდან საყურადღებოა ერთმოქმედებიანი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ალანი", „ქართული საცეკვაო სიუიტა". „ოსური მასობრივი სიმდი", „ხონგა", „კინტოური" „პარტიზანები", უკრაინული, მოლდაური, რუმინული და სხვა ხალხთა ცეკვები.

ხ. გაგლოევს მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებს სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან. მას გაფორმებული აქვს სპექტაკლები: ა. წერეთ-

ლის „კინტო“, მაინ რიდის „უთავო მხედარი“, ვლ. გაგლოევის „თქმულება დედაზე“, ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და სხვა, რომლებიც მაყურებელთა დიდი მოწონებით სარგებლობდა. ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში 1957 წელს ხაზბი თედორეს ძე გაგლოევს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

გავაშელი
გიორგი ილიას ძე

დაიბადა 1910 წლის 16 იანვარს ჩრდილოეთ ოსეთის სოფელ ალაგირში.

გ. გავაშელის ოჯახში ცეკვავდა ყველა — მამა, ბიძა, ძმები და დები. მათი წაბაძვით დაიწყო ცეკვა პატარა გიორგიმაც. 20-იან წლებში ვლადიკავკაზში (ახლანდელი ორჯონიკიძე) ადგილობრივ თეატრში კომპოზიტორმა ვიქტორ დოლიძემ მოყვარულთა ძალებით დადგა თავისი ოპერა „ქეთო და კოტე", რომელშიც 7 წლის გიორგიმ დასთან, თამართან ერთად ბრწყინვალედ შეასრულა ქართული ცეკვა ცერებზე და მუხლებზე. ამის შემდეგ პატარა გიორგი ხშირად გამოჰყავდათ სხვადასხვა დღესასწაულზე.

1929 წელს ახალგაზრდა გ. გავაშელი თბილისში ჩამოდის და სწავლას იწყებს მოსე თოიძის სამხატვრო სასწავლებელში.

1930 წელს თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობაში ჩატარდა ხალხური ცეკვების შემსრულებელთა კონკურსი. ჟიურის წევრებს შორის იყვნენ გამოჩენილი კინომსახიობები ნატო ვაჩნაძე და კოტა ყარალაშვილი. მათი თხოვნით (ისინი გ. გავაშელს კინოსურათ „აბრეკ ზაურიდან" იცნობდნენ) იგი კონკურსგარეშე გამოიყვანეს საცეკვაოდ. მან ვირტუოზულად შეასრულა „მთიელთა ცეკვა" და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. აქედან მოყოლებული იგი ხშირად მონაწილეობდა ქალაქ ორჯონიკიძეში, გროზნოსა და ნალჩიკში გამართულ კონკურსებზე და ყველგან მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

„კავკასიის მთის არწივები" — ასე ეწოდება ჩრდილოეთ ოსეთის მოცეკვავეთა ანსამბლს, რომელშიაც გ. გავაშელი 1937 წლამდე წამყვან სოლისტად მუშაობდა (ქორეოგრაფი ვ. გ. დარიალოვი-ბენიანიძე).

1937-38 წლებში გ. გავაშელი მუშაობდა აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ს. კავსაძისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

1938-39 წლებში ქ. ორჯონიკიძის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი და მხატვრული ხელმძღვანელია, 1940 წლიდან კი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი მოცეკვავეა.

1941-43 წლებში იგი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლშია მოცეკვავე — მსახიობად და მთიულური ცეკვების დამდგმელად.

1943-1945 წლებში ნინო რამიშვილთან, ილიკო სუხიშვილთან და ალექსანდრე ჩახავასთან ერთად ცეკვავდა სახელმწიფო ჯაზ-ორკესტრში (ხელმძღვანელები ვ. კანდელაკი და კომპოზიტორი დ. თორაძე).

1945-46 წლებში, დარიალოვთან ერთად ხელმძღვანელობდა ქ. ფრუნზეს კავკასიური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს.

1946 წელს იგი ბრუნდება ორჯონიკიძეში და 1954 წლამდე მუშაობდა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ჯერ მოცეკვავედ, შემდეგ ბალეტმაისტერად; ჩრდილო ოსეთის სახელმწიფო ფილარმონიაში — დირექტორის მოადგილედ.

1954-55 წლებში ჩეჩნო-ინგუშეთის ფილარმონიის საესტრადო ორკესტრის მოცეკვავეა, ხოლო 1955-1962 წლებში აფხაზეთის ფილარმონიის სოლისტი, მოცეკვავე და მხატვრული ხელმძღვანელია.

1962-1965 წლებში მუშაობს პენზის საოლქო ფილარმონიის საესტრადო ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელად და მსახიობად.

1965 წლიდან აფხაზეთის ფილარმონიის საესტრადო ანსამბლის „ამბას" ჯერ მოცეკვავე და შემდეგ მხატვრული ხელმძღვანელია.

გ. გავაშელის რეპერტუარიდან აღსანიშნავია: „ქართველ მთიელთა ცეკვა", „ხანჯლური", „საკოლმეურნეო" და „წითელი პარტიზანები" მის მიერ დადგმული ცეკვებიდან გამოირჩევა „მოხეური", „კენჭაობა", „ცეკვა ხანჯლებით", „ხონგა ქავთი", „სიმდი" და სხვა სახასიათო სიუჟეტური ცეკვები.

ხელოვნებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მას მინიჭებული აქვს აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტის წოდება, დაჯილდოებულია მედლებით „კავკასიის დაცვისათვის", „შრომითი მამაცობისათვის" და ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამკერდე ნიშნით.

გ. გავაშელი ამჟამად აფხაზეთის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის ქორეოგრაფ-კონსულტანტია.

გარუჩავა
ნიკოლოზ იორდანის ძე

დაიბადა 1916 წლის 3 აგვისტოს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჟანეულში.

ქართული ხალხური ცეკვის ანბანი შეისწავლა ფოთის ბავშვთა ქორეოგრაფიულ სტუდიაში ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

1932 წელს 16 წლის ახალგაზრდა მოცეკვავე მსახიობად მიიღეს თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან არსებულ ექსპერიმენტულ სტუდიაში.

1933-დან 1937 წლამდე მოცეკვავე მსახიობად მუშაობდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში, წარმატებით ასრულებდა ცეკვებს ქართულ ოპერებში (ზ. ფალიაშვილის „დაისი", „აბესალომ და ეთერი", ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე", დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე" და სხვ.)

ამავე პერიოდში, 1933-დან 1947 წლამდე ნ. გარუჩავა, როგორც მოცეკვავე და ქორეოგრაფი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში.

1945 წლიდან 1955 წლამდე იყო საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის თვითმოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი.

1947 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა და სიცოცხლის ბოლომდე უნარიანად ხელმძღვანელობდა საქართველოს კვების მრეწველობის მუშაკთა („სამტრესტის") სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლს.

6. გარუჩავას დადგმული ცეკვები ყოველთვის გამოირჩეოდა საინტერესო ფორმითა და შინაარსით, მაღალ შეფასებას იმსახურებდა რესპუბლიკურ თუ საკავშირო ფესტივალებსა და ოლიმპიადებზე.

ნიკოლოზ იორდანის ძე გარუჩავა დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებითა და დიპლომებით.

გარდაიცვალა 1982 წელს.

გეჯაძე
შალვა პავლეს ძე

დაიბადა 1915 წლის 14 იანვარს ქ. თბილისში. ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ეზიარა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში დავით ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით.

სტუდიის დამთავრების შემდეგ შ. გეჯაძე თეატრში დატოვეს სოლისტ-მოცეკვავედ. 1939 წლიდან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადის მოცეკვავე მსახიობია, ხოლო 1940 წლიდან ახლად ჩამოყალიბებული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის (მხატვრული ხელმძღვანელი გრ. კოკელაძე, ქორეოგრაფი ჯ. ბაგრატიონი) სოლისტია.

1941 წელს სამამულო ომის დაწყებისთანავე გაწვეული იქნა სამხედრო სამსახურში.

1943 წლიდან იგი კვლავ დაუბრუნდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, სადაც 1947 წლამდე მუშაობდა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში შ. გეჯაძე მუშაობას იწყებს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

1949 წლიდან 1958 წლამდე კვლავ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლშია.

1959-1961 წლებში მუშაობდა ქორეოგრაფად ხელოვნების მუშაკთა სახლთან არსებულ ქართული ხალხური საკრავების ორკესტრში (ხელმძღვანელი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კირილე ვაშაკიძე).

1962 წლიდან დღემდე საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ქორეოგრაფ-კონსულტანტია.

მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე შ. გეჯაძემ მრავალი ცეკვა შეასრულა. იგი წარმატებით გამოდიოდა ზ. ფალიაშვილის სახელო-

ბის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე, ასრულებდა ქართულ ცეკვებს ეროვნულ საოპერო სპექტაკლებში. მაყურებელზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა მის მიერ ანსამბლში თავისებური მანერით შესრულებული „აფხაზური“, „მთიულური“, „ცერული“, „აჭარული“, „ძველი თბილისური“, „ხევსურული“ და სხვ.

შ. გეჯაძე მოსკოვში გამართული ქართული ხელოვნების დეკადებისა (1937, 1958 წ.წ.) და მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო ოლიმპიადის (1947 წ.) მონაწილეა. ანსამბლთან ერთად ნამყოფია საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში.

შ. გეჯაძე ქორეოგრაფიის დარგშიც მუშაობდა. მის დადგმებს შორის აღსანიშნავია: „მწყემსური“, „საკოლმეურნეო“, „სიმინდის ყანაში“, „შრომის ცეკვა“, „თუშური გარმონით“, „ცერებზე“ და სხვა. იგი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ახმეტის, წითელწყაროს, მცხეთის, ახალციხის რაიონების მხატვრული თვითმოქმედების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში, თბილისის სკოლებსა და ფაბრიკა — ქარხნებთან არსებულ თვითმოქმედ კოლექტივებში.

1958 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შალვა პავლეს ძე გეჯაძეს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია მედლებით, დიპლომებითა და სიგელებით.

გვარამაძე
ელენე (ლილი) ლევანის ასული

ქართული საბჭოთა საბალეტო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ლილი გვარამაძე დაიბადა 1913 წლის 21 ოქტომბერს თბილისში. დაწყებითი ქორეოგრაფიული განათლება მარია პერინის კერძო საბალეტო სტუდიაში მიიღო, სადაც იგი 1922-1928 წლებში სწავლობდა, ხოლო პროფესიულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეზიარა ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში იმდროისათვის ცნობილი პედაგოგის ა. ვაგანოვას ხელმძღვანელობით.

წლების მანძილზე (1930-1948) მოღვაწეობდა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სადაც ასრულებდა მთავარ პარტიებს ქართულ, რუსულ და ევროპულ საბალეტო დადგმებში.

თეატრში მოღვაწეობის პერიოდში ეროვნული საბალეტო სპექტაკლების გარდა პრიმაბალერინა წარმატებით გამოდიოდა ქართულ ოპერებში: ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ი. ტუსკიას „სამშობლო“, ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“ და პირველ ქართულ კინოკონცერტში „ჯურღაის ფარი“

ლ. გვარამაძე ხშირად მართავდა დამოუკიდებელ სოლო კონცერტებს რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, საბალეტო ნომრებთან ერთად წარმატებით ასრულებდა „ქართულს“, „დავლურს“, „მთიულურს“, „უზუნდარას“, „მოხეურს“ და სხვა ქართულ ცეკვებს. როგორც კლასიკური, ისე ეროვნულ ბალეტებში მის წარმატებას ყოველთვის განაპირობებდა მსახიობის მაღალი საშემსრულებლო ტექნიკა, ნატიფი გრაცია, სილაღე და გარდასახვის დიდი უნარი.

ქართულ ხალხურ ცეკვებში მას პარტნიორობას უწევდა გამოჩენილი ქართველი მოცეკვავე ჯანო ბაგრატიონი.

დიდია ლილი გვარამაძის დამსახურება კლასიკურ ქორეოგრაფიაში, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მისი, როგორც მკვლევარისა და მეცნიერის ღვაწლი ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სფეროში.

1945 წელს მოსკოვში ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული ხალხური ცეკვის წარმოშობისა და მორფოლოგიის საკითხისათვის", ხოლო 1966 წელს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხის დასაცავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალიზებულ სამეცნიერო საბჭოზე წარადგინა დისერტაცია თემაზე „ქართული საცეკვაო ფოლკლორი"

1957 წელს ლ. გვარამაძემ გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული ხალხური ქორეოგრაფია", რომელშიც აშუქებს ქართული ცეკვის გენეზისის, მისი ჩასახვისა და განვითარების პრობლემებს.

1962 წელს ლ. გვარამაძემ გამოსცა პირველი პროფესიონალი მოცეკვავის ალექსი ალექსიძის (სონღულაშვილის) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მონოგრაფიული ნაშრომი „მთაწმინდელი მოცეკვავე"

1964 წელს გამომცემლობა „ნაუკამ" რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოაქვეყნა ლ. გვარამაძის შრომა „ქართული ხალხური ცეკვის ზოგიერთი სპეციფიკური თავისებურების შესახებ" გარდა ამისა მას გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სტატია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებსა და ენციკლოპედიებში, სადაც განხილულია ქორეოგრაფიის ისტორიულ-მხატვრული ასპექტები.

1959-1972 წლებში ლ. გვარამაძე მუშაობდა სერგო ზაქარიაძის სახელობის თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში, ხოლო 1966 წლიდან დღემდე შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პროფესორია.

ხელოვნების დარგში ხანგრძლივი, ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ელენე (ლილი) ლევანის ასული გვარამაძეს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, მედლებით, დიპლომებით და სიგელებით. არჩეული იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

გითოლენდია

იგორ თეოდორეს ძე

დაიბადა 1933 წელს 1 სექტემბერს ქ. გალში. გალის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდიის კურსდამთავრებული ჭაბუკი 1948 წლიდან იწყებს მოღვაწეობას, როგორც მოცეკვავე და ხელმძღვანელი ამავე კულტურის სახლის ხალხური ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლში.

იგი თავის წარმატებებს ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში დიდად უმადლის თავის მასწავლებელს სიმონ გოგოხიას და ვლადიმერ აჩბას, სახელმოხვეჭილ ქორეოგრაფებს ილია არბატოვს, პავლე ვირსკისა და ჯანო ბაგრატიონს.

1952 წელს ი. გითოლენდია სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ სამხედრო სკოლის კურსანტი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ჩარიცხეს მოცეკვავედ.

1955 წელს იგი მსახურობდა გერმანიაში საბჭოთა ჯარების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მოცეკვავე სოლისტად და ქორეოგრაფიული ჯგუფის ხელმძღვანელად. 1957 წელს დემობილიზაციის შემდეგ გალის კულტურის სახლის მოცეკვავეთა კოლექტივს ხელმძღვანელობდა.

1958 წელს ი. გითოლენდია სოლისტად და ქორეოგრაფიული ჯგუფის ხელმძღვანელად მიიწვიეს ა/კ სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში. ანსამბლში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის ა/კ სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოსა და სარდლობის წარდგინების საფუძველზე აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 15 თებერვლის ბრძანებულებით მას მიენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის საპატიო სახელი, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 17 ივლისის ბრძანებულებით რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მაღალი წოდება.

1973-დან 1975 წლამდე საბჭოთა ჯარების სარდლობის მიწვევით იგორ გითოლენდია მუშაობდა ქორეოგრაფად გერმანიაში საბჭოთა ჯარების ნაწილის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში.

ი. გითოლენდია, როგორც მოცეკვავე-მსახიობი წარმატებით ასრულებდა „ყაზბეგურს“, „ალვანურს“, „ფარიკაობას“, „ბაღდადურს“, „აფხაზურს“ და სხვა ქართულ ცეკვებს, ხოლო მისი, როგორც ქორეოგრაფის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია „მთიულური“, „სალხინო“, „ყაზბეგური“ და „შვიდნი ძმანი“, აგრეთვე საბჭოთა და საზღვარგარეთის ხალხთა სახასიათო ცეკვები.

იგორ გოთოლენდია ამჟამად ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში და თბილისის საცირკო-საესტრადო სასწავლებელში.

გოგიტიძე
ნიაზ სულეიმანის ძე

დაიბადა 1923 წლის 1 იანვარს ქ. ბათუმში. მისი მეგზური ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში იყო ღვაწლმოსილი ქორეოგრაფი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ალექსანდრე ჯიჯეიშვილი, რომელიც საშუალო სკოლის მოსწავლეს გულმოდგინედ ასწავლიდა ცეკვის ხელოვნებას და გზას უკაფავდა სცენისაკენ.

ახალგაზრდა ნ. გოგიტიძე აქტიურად მონაწილეობდა ბათუმის სასკოლო და წარმოება-დაწესებულებათა თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივებში, ხშირად გამოდიოდა ადგილობრივ და რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე, 1941-დან 1943 წლამდე იგი მოცეკვავედ მუშაობდა აჭარის ხელოვნების სამმართველოს საფრონტო ანსამბლში, პარალელურად მონაწილეობდა ბათუმის დრამატული თეატრის დადგმებში, 1943-1945 წლებში მუშაობდა ხულოს რაიონის სოფელ რიყეთის კლუბის გამგედ და ქორეოგრაფად. ხოლო 1945-დან 1956 წლამდე — აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მოცეკვავედ.

აღნიშნული ანსამბლიდან წასვლის შემდეგ სხვადასხვა დროს იყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კულტურის სახლის, სამედიცინო სასწავლებლის, მე-2, მე-9, მე-4, მე-8, მე-13, მე-16 სკოლების, აჭარის სახანძრო დაცვის, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის საკოლმეურნეო კლუბის, აჭარის ადგილობრივი კომუნალური მეურნეობის კულტურის სახლის, ბათუმის პედინსტიტუტის თვითმოქმედი ქორეოგრაფიული კოლექტივების ქორეოგრაფი.

ნიაზ გოგიტიძის დადგმული ცეკვებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „განდაგანა“, „ციცინათელა“, „მეგობრობა“, „ხორუმი“, „საზეიმო“ და „შრომა და ზეიმი“, რომლებიც საქართველოს ახალგაზრდობის ფესტივალზე პირველი ხარისხის დიპლომით აღინიშნა.

1961 წელს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კულტურის სახლის ცეკვის ანსამბლმა ნ. გოგიტიძის ხელმძღვანელობით კონცერტები გამართა ოდესაში, ხერსონში, ნიკოლაევში, კახოვკაში და უკრაინელ მშრომელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

აჭარის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე აქტიური მონაწილეობისათვის და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ნიაზ გოგიტიძე ორგზის დაჯილდოებულია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მიღებული აქვს მრავალი წამახალისებელი ჯილდო.

მუსიკალურ-ქორეოგრაფიული და ხალხური შემოქმედების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ნიაზ სულეიმანის ძე გოგიტიძეს 1958 წელს ჯერ აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის იანვრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა.

ამჟამად მუშაობს ბათუმის კინოთეატრ „კომკავშირის“ დირექტორად.

გოგოტიშვილი
თამაზ ალექსანდრეს ძე

დაიბადა 1939 წლის 8 მაისს ქ. ბათუმში. აქვე მიიღო ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო მუსიკალური განათლება. 1967 წელს დაამთავრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საორკესტრო ფაკულტეტი.

ქართული ხალხური ცეკვის ანბანს ბათუმის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივში დაეუფლა ალ. ჯიჯეიშვილის ხელმძღვანელობით.

მას განსაკუთრებით ქორეოგრაფია იტაცებდა. 1955 წელს თ. გოგოტიშვილმა მახარაძის რაიონის სოფელ შრომაში კოლმეურნეთა თვითმოქმედი ქორეოგრაფიული კოლექტივი ჩამოაყალიბა და მალე სასურველ შედეგსაც მიაღწია.

1960 წლიდან თამაზ გოგოტიშვილი თბილისის მე-3 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის ქორეოგრაფია. დაუშრეტელი ენერგიის მქონე შრომისმოყვარე ახალგაზრდა ხელოვანმა საკმაოდ ძლიერი კოლექტივი შექმნა. ამ ანსამბლმა მალე დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება და სპეციალისტთა აღიარება.

მოსწავლეთა ანსამბლი თ. გოგოტიშვილის ხელმძღვანელობით (კონსულტანტი სსრკ სახალხო არტისტი ნინო რამიშვილი) ქართული ხალხური ქორეოგრაფიის პროპაგანდას ეწევა არა მარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

ანსამბლი სხვადასხვა დროს წარმატებით გამოდიოდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგის, ტალინის, უფგოროდის, ხარკოვის, ტაშკენტის, სევასტოპოლის, ოდესის, აგრეთვე თითქმის ყველა სოციალისტური ქვეყნის საუკეთესო საკონცერტო დარბაზებში. ცენტრალურმა ტელევიზიამ ანსამბლს 6-ნაწილიანი ფილმი მიუძღვნა, ინტერვიზიით გადასცა მისი კონცერტი.

საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მეგობრობის 30 წლისთავის აღსანიშნავად 1976 წლის ნოემბერში ამ ანსამბლმა კონცერტები გამართა ავსტრიის დედაქალაქ ვენასა და სხვა ქალაქებში.

ანსამბლის საუკეთესო დადგმებია: „ფერხული ფარცა", „განდაგანა", „ხორუმი", „მხედრული", „დავლური ქართულით", „ოსური", „კინტოური", „ყაზბეგური", „ლელო" და „შეჯიბრი"

თ. გოგოტიშვილი 1967-69 წლებში მოცეკვავე მსახიობად მუშაობდა საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში და მათთან ერთად საგასტროლოდ იმოგზაურა თურქეთში.

სკოლაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის თამაზ ალექსანდრეს ძე გოგოტიშვილი დაჯილდოებულია „წარჩინებული მასწავლებლის" სამკერდე ნიშნით და მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

თამაზ გოგოტიშვილი ამჟამად საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის დირექტორია.

გუმბერიძე
ელგუჯა აგაფონის ძე

დაიბადა 1925 წლის 17 დეკემბერს ქ. ქუთაისში.

ქორეოგრაფიის ხელოვნებას ეზიარა ჯერ ჭიჭიკო აგაევის, ხოლო შემდეგ ქორეოგრაფიულ სტუდიაში ცნობილი ქორეოგრაფის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დავით უშვერიძის ხელმძღვანელობით.

სტუდიის დამთავრებისთანავე (1944 წ.) მოცეკვავე მსახიობად მიიღეს ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში. პარალელურად მუშაობდა ქორეოგრაფად სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმში.

1944 წლიდან ე. გუმბერიძე საბჭოთა არმიის რიგებშია და ჯარისკაცური ვალის მოხდასთან ერთად ექვსი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ქართული დივიზიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, რომელმაც მრავალჯერ ისახელა თავი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადებზე.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ უკვე გამოცდილი ქორეოგრაფი 1951 წლიდან მუშაობას იწყებს ქუთაისის რაიონის კულტურის სახლში და ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში. სწორედ აქ გამოვლინდა ახალგაზრდა შემოქმედის ნიჭი და უნარი. ამ კოლექტივებში დადგმულმა ცეკვებმა „აჭარულმა სიუიტამ", „აყვავებულმა აჭარამ" „ნადირობამ" და „ლხინმა" „ქაჯეთის ციხის აღებამ" და სხვა, მაყურებელთა და სპეციალისტთა აღიარება დაიმსახურეს.

1952 წელს ე. გუმბერიძე ცეკვების დასადგმელად ა/კ სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მიიწვიეს. ამავე დროს იგი ხელმძღვანელობდა ქუთაისის ქართული ხალხური ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლს.

1953-1956 წლებში ე. გუმბერიძე პერიოდულად დგამდა ცეკვებს სოხუმში, ზუგდიდში და ცხაკაიაში სახალხო და სახელმწიფო თეატრებში.

1956 წლიდან ქუთაისში ჩამოყალიბდა ლენინური კომკავშირის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ე. გუმბერიძე.

1960 წლიდან ე. გუმბერიძე სათავეში ჩაუდგა ქუთაისის პროფკავშირების ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლს, რომელიც პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთ.

1962 წლიდან ე. გუმბერიძე კვლავ ქუთაისის ლენინური კომკავშირის სახელობის ანსამბლშია, ამჟამად როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი. ამ პერიოდში ანსამბლმა საგასტროლოდ იმოგზაურა პეტროზავოდსკში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში და რიაზანის ოლქში, კონცერტები გამართა კრემლის თეატრში.

1964 წელს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვში მსოფლიო ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალში, კონცერტი გამართა ყრილობათა სასახლეში. საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ანსამბლი დააჯილდოვა საპატიო დიპლომით.

1965 წლიდან ე. გუმბერიძე სათავეში ჩაუდგა მეშახტეთა ქალაქ ტყიბულის ხალხური ცეკვის ანსამბლს, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა პოლონეთში და ჩეხოსლოვაკიაში გამართულ კონცერტებზე. ე. გუმბერიძის დადგმებიდან განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარგებლობდა სიუიტა „ღრეობა მთაში“.

1971-დან 1976 წლამდე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა როგორც ქალაქ ქუთაისის, ისე ქუთაისის რაიონების თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივებში.

1978 წელს ინგლისში ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობდა თერჯოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. (ქორეოგრაფი ე. გუმბერიძე), რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია და ჟიურის მაღალი შეფასება დაიმსახურა. ფესტივალის შემდეგ 25 დღის განმავლობაში ანსამბლი კონცერტებს მართავდა ინგლისის ქალაქებში.

1976 წლიდან დღემდე ე. გუმბერიძე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალის დამდგმელი ბალეტმაისტერია. ამ პერიოდში მან დადგა ცეკვები ზ. ფალიაშვილის „დაისში“, „აბესალომ და ეთერში“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერში“, ო. თაქთაქიშვილის „მინდიასა“ და „მთვარის მოტაცებაში“, რ. ლაღიძის „ლე-

ლაში“, დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალში“ და სხვა. მას დადგმული აქვს ქორეოგრაფიული სცენები დრამატული თეატრის ბევრ სპექტაკლში.

ე. გუმბერიძე ახალგაზრდობის რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატია. მხატვრული თვითმოქმედების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის 1951 წელს დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ხოლო 1982 წელს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

დავითაია
თენგიზ გრიგოლის ძე

დაიბადა 1929 წლის 7 ნოემბერს ქ. სოხუმში. 1946 წელს ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადასე სოხუმის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლის თენგიზ დავითაიას გამოსვლამ მაყურებელთა დიდი მოწონება და სპეციალისტების ყურადღება დაიმსახურა.

იმავე წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჭაბუკი მოცეკვავე აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მიიწვიეს, სადაც 1955 წლამდე ცეკვავდა. 12 წლის მანძილზე იხვეწებოდა და მდიდრდებოდა შემოქმედის საშემსრულებლო ხელოვნება, იკვეთებოდა მისი ნიჭი, პარტნიორისა და ანსამბლის გრძნობა იყო მოცეკვავე მსახიობის გამარჯვების საწინდარი.

1955-1957 წლებში თ. დავითაია საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მუშაობს და თავისი წვლილი შეაქვს მის წარმატებაში. ანსამბლებში მუშაობის პერიოდში მან მრავალი ცეკვა შეასრულა, ცეცხლოვანი „მთიულური", „ფარიკაობა", „ყაზბეგური", აფხაზური", კინტოური", „განდაგანა" და სხვა.

1957 წელს თ. დავითაია სოხუმში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის პროფსაბჭოსთან არსებულ თვითმოქმედ მოცეკვავეთა ახალგაზრდულ ანსამბლს.

1963-64 წლებში თენგიზ დავითაია უბრუნდება თავის აღმზრდელ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს, როგორც ქორეოგრაფი. იქ მან რამდენიმე საგულისხმო დადგმა განახორციელა.

თენგიზ დავითაიას მიერ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კოლექტივში დადგმული ცეკვებიდან მხატვრული და კომპოზიციური თვალსაზრისით გამოირჩეოდა „შეჯიბრი", „წყაროსთან", „მონადირეთა ცეკვა", „აფხაზური ახალგაზრდული" და სხვ.

აფხაზეთის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდებასთან ერთად მას მიღებული აქვს მრავალი პირველხარისხოვანი სიგელი და დიპლომი, იგი არის საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ფესტივალის და მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერების ლაურეატი, დაჯილდოებულია მედლით.

თენგიზ დავითაია 1964 წლიდან მუშაობს სოხუმის რკინიგზის კულტურის სახლის დირექტორად.

დარახველიძე

ალექსანდრე ვალერიანის ძე

დაიბადა 1931 წლის პირველ იანვარს თბილისში. ცეკვას ეზიარა ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქორეოგრაფიულ ანსამბლში.

1945-დან 1948 წლამდე ცეკვავდა თბილისის ცენტრალური კულტურის სახლისა და ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს თვითმოქმედ კოლექტივებში.

1948-დან 1950 წლამდე მუშაობდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში მოცეკვავე მსახიობად.

1951 წელს მან მოამზადა აბაშის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს მე-7 რესპუბლიკურ ოლიმპიადაში და საპრიზო ადგილი დაიკავა — დაჯილდოვდა სიგელებითა და დიპლომებით.

1952-დან 1955 წლამდე საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა. 1954 წელს საქართველოს მე-8 რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მან მოამზადა ახალციხის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, სადაც დიპლომები დაიმსახურეს და საპრიზო ადგილები მოიპოვეს[1]. 1955 წელს პროფკავშირების მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე ალ. დარახველიძის მიერ მომზადებულმა თიანეთის „მტს"-თან არსებულმა ცეკვის ანსამბლმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო „ხევსურ ქალთა ცეკვა" გადაიღეს კინოფირზე.

---

1. ეს ფაქტი შეცდომით მიაწერეს ა. დარახველიძის მოგვარეს, ქორეოგრაფ ბუხუტი დარახველიძეს (იხ. ვანო შილაკაძე, „ქართული მუსიკის მოამაგენი", თბილისი, „ხელოვნება" 1961, გვ. 98).

1957-დან 1959 წლამდე ალ. დარახველიძე ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მუშაობდა, მას გარკვეული წვლილი მიუძღვის მოსკოვში ჩატარებული ქართული ხელოვნების დეკადისათვის პიონერთა სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლის მომზადებაში. სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი „მერცხალი" აღბეჭდილია ფილმში „მოვდივართ და მოვიმღერით", დაჯილდოებულია უკრაინის განათლების სამინისტროს, კომკავშირის ცკ და კიევის პიონერთა სასახლის სიგელებით და მედლებით.

ალ. დარახველიძე სხვადასხვა დროს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადებისათვის მოამზადა პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის, ფაბრიკა „კრწანისის", ქალაქის პირველი და მე-60 სკოლების ქორეოგრაფიული კოლექტივები.

1960-დან 1981 წლამდე იგი მუშაობდა კავშირგაბმულობის მუშაკთა სახლში. 1984 წელს თბილისის 110-ე პროფტექნიკური სასწავლებლის ქორეოგრაფიულმა კოლექტივმა მისი ხელმძღვანელობით XI. ოლიმპიადაზე ლაურეატის წოდება და ოქროს მედალი დაიმსახურა. იგი აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ, რესპუბლიკურ და საკავშირო მნიშვნელობის ღონისძიებებში, რისთვისაც მიღებული აქვს მრავალი ქებისა და მადლობის სიგელი, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

ბავშვთა და მოზრდილთა ქორეოგრაფიულმა კოლექტივებმა „იამ", „მერცხალმა", „კავკასიონმა" და „საქართველომ" ა. დარახველიძის ხელმძღვანელობით სხვადასხვა დროს იმოგზაურეს, როგორც ჩვენს მოკავშირე რესპუბლიკებში ისე მის საზღვრებს გარეთ — მრავალ სოციალისტურ თუ კაპიტალისტურ სახელმწიფოში.

განათლების მუშაკთა კულტურის სახლის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კავკასიონს" და საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის სასახლესთან არსებულ ანსამბლ „საქართველოს", რომლებსაც ხელმძღვანელობს ალ. დარახველიძე, მინიჭებული აქვს სახალხო ანსამბლების საპატიო წოდებები.

ალ. დარახველიძე რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალების ლაურეატია. დაჯილდოებულია მრავალი დიპლომითა და სიგელით, საშეფო მუშაობაში მონაწილის სამკერდე ნიშნით. მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

დარახველიძე
გიორგი (ბუხუტი) ვიქტორის ძე

დაიბადა 1914 წლის 15 აგვისტოს ქუთაისის რაიონის სოფელ ლეხიდრისთავში. გიორგი დარახველიძე ხელოვანთა იმ შესანიშნავ თაობას ეკუთვნის, ვინც ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანელობით ეზიარა ხალხურ ქორეოგრაფიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლში.

1937 წელს ხალხური სიმღერისა და ცეკვის საქართველოს ოლიმპიადაზე გ. დარახველიძემ და ნ. გუნიამ ცეკვა „ქართულის" შესრულებისათვის საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს.

გ. დარახველიძე 1937-დან 1941 წლამდე საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლშია, პარალელურად მუშაობდა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში სოლისტ-მოცეკვავედ.

1941 წელს საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. დიდი სამამულო ომის პერიოდში იგი მეავტომატეთა ასეულს მეთაურობდა.

1946 წელს საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულმა და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილმა გ. დარახველიძემ დაიწყო მუშაობა თბილისის ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლში.

1956-1957 წლებში იყო ლენინური კომკავშირის სახელობის თბილისის ცენტრალური კულტურის სახლის მოცეკვავეთა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, 1957-58 წლებში — საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი.

1959-1961 წლებში ხელმძღვანელობდა ა/კ რკინიგზის სახლთან არსებულ მოცეკვავეთა ანსამბლს. პარალელურად მუშაობდა ქორეოგრაფად თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში.

1961-1965 წლებში სათავეში ედგა ლენინის სახელობის თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოსა და გორკის სახელობის კულტურის სახლის ქორეოგრაფიულ კოლექტივებს.

1965-1969 წლებში მუშაობდა ქ. რუსთავის ახლად შექმნილ მოცეკვავეთა ანსამბლ „სალხინოში" სამხატვრო ხელმძღვანელად და ცეკვების დამდგმელად.

1968-1970 წლებში ხელმძღვანელობდა თელავისა და ახმეტის ხალხური ცეკვების ანსამბლებს.

1970 წელს მან ჩამოაყალიბა ქუთაისის ხალხური ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლი „ქუთაისი", რომელსაც სათავეში ედგა 1975 წლამდე. ამავე პერიოდში ხელმძღვანელობდა ქუთაისის ქორეოგრაფიულ სტუდიასა და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში.

გ. დარახველიძის მიერ საგულდაგულოდ მომზადებული კოლექტივები ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდნენ როგორც რესპუბლიკის მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადებზე, ისე ახალგაზრდობის საკავშირო და მსოფლიო ფესტივალებზე.

1976 წლის იანვარში გ. დარახველიძე დაჯილდოვდა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფის თანამდებობაზე. იგი იყო მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტობის VI, VII, VIII, IX და X ფესტივალების მონაწილე, ამ ფესტივალების ოთხი ოქროს და ერთი ვერცხლის მედლის, აგრეთვე ხუთივე ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდების მფლობელი. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს ქორეოგრაფის დიდ შრომისმოყვარეობაზე, მის შემოქმედებით დამსახურებასა და გამარჯვებაზე.

გ. დარახველიძეს ეკუთვნის ცეკვების დადგმა ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მთვარის მოტაცებაში" საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სცენაზე (1977 წელს).

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გიორგი ვიქტორის ძე დარახველიძეს 1957 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ხოლო 1962 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდებები; იგი დაჯილდოებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

გარდაიცვალა 1982 წლის 25 ნოემბერს.

დედანაშვილი

მირიან არტემის ძე

დაიბადა 1917 წლის 16 იანვარს ქ. თბილისში. 1935 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან არსებულ ოთხწლიან სტუდიაში შევიდა. იგი აქ მსახიობის პროფესიასთან ერთად ეზიარა ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანებით.

1939 წელს სტუდიის კურსდამთავრებული ახალგაზრდა მსახიობი თეატრის დასში ჩარიცხეს. 1942 წლიდან მირიან დედანაშვილი მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში გადადის და დღემდე ემსახურება ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საპატიო საქმეს.

მ. დედანაშვილი წლების მანძილზე იყო აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი (ლოტბარი სანდრო კავსაძე, ქორეოგრაფი ილიკო სუხიშვილი).

1935-დან 1937 წლამდე მუშაობდა ბავშვთა თვითმოქმედების ქორეოგრაფიულ კოლექტივებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა განათლების სამინისტროს კოჯრის საბავშვო სახლში: აქ იგი ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას ასწავლიდა სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს, უნერგავდა მათ ინტერნაციონალურ სულისკვეთებას, აყალიბებდა მაღალმხატვრულ კოლექტივებს და წარმატებით გამოჰყავდა მაყურებელთა წინაშე.

მ. დედანაშვილის მიერ მომზადებული თვითმოქმედი ქორეოგრაფიული კოლექტივები წარმატებით გამოდიოდნენ მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე, მაყურებლისა და სპეციალისტების მაღალ შეფასებას იმსახურებდნენ.

მ. დედანაშვილს მრავალი ცეკვა აქვს დადგმული დრამატულ სპექტაკლებში. პირველად მან 1939 წელს დადგა ცეკვა „იალი“ კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლში „მზის დაბნელება საქართველოში“ შემდეგ მუშაობდა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებზე „ხანუმა“ და „ნინოშვილის გურია“, უფრო მოგვიანებით კი აღადგინა ჯანო ბაგრატიონის მიერ ადრე დადგმული ცეკვები სპექტაკლ „ნაპერწკლიდან“

მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრში მის მიერაა დადგმული ცეკვები სპექტაკლებში: „თავფარავნელი ჭაბუკი“, „საგანგებო დავალება“, „ზამთრის ზღაპარი“, „მართალი კაცი“, „ტირიფის ქვეშ“ და სხვ.; სომხური დრამის თეატრში — „ჩაძირული ქვები“, „კინტო“, „საიათნოვა“, „არტისტი“, „ვაგიფი“, „ქოროღლი“ და სხვ. მასვე ეკუთვნის ცეკვების დადგმა თბილისის თოჯინების ქართულ თეატრში, ზესტაფონის, ზუგდიდის, ველისციხის, ცხინვალისა და სხვა სახალხო თეატრებში.

1955 წლიდან დღემდე პედაგოგად მუშაობს თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში, ხოლო 1973 წლიდან — შეთავსებით ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სახელმწიფო სტუდიაში.

ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულია მრავალი სიგელით და დიპლომით, მედლებით: „შრომითი წარჩინებისათვის“, „შრომის ვეტერანი“, „შრომის ფრონტის მონაწილე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1969 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებულებით მირიან არტემის ძე დედანაშვილს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით.

მ. დედანაშვილმა პარალელურად დაამთავრა შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი.

დოლიძე
ემელიან კონსტანტინეს ძე

დაიბადა 1898 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ბახვში.

თბილისის სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს შეისწავლა კავკასიური ცეკვები როზბერგის ხელმძღვანელობით. ე. დოლიძე ხშირად გამოდიოდა კონცერტებზე სამხედრო ნაწილებში და „მუშტაიდში" (ახლანდელ ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში), კავკასიელ ხალხთა ცეკვების მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებისათვის ჯილდოებს იმსახურებდა.

სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ მან მშობლიურ სოფელ ბახვში გახსნა ხალხური ცეკვების შემსწავლელი წრე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ე. დოლიძე მიიწვიეს ცეკვის მასწავლებლად ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში, შემდეგ კი დანიშნეს აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ქორეოგრაფად.

ე. დოლიძე მალე მთელს აჭარაში გახდა პოპულარული. ერთხანს ხულოს პედაგოგიურ სასწავლებელში მუშაობდა ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელად. აჭარის მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადაზე ამ ანსამბლმა პირველი ადგილი მოიპოვა. ასევე პირველი იყო რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ხუცუბნის მოცეკვავეთა ანსამბლი. ქობულეთის საშუალო სკოლისა და ქობულეთის კლუბთან არსებული მახინჯაურის უდედმამო ბავშვთა სახლის აღსაზრდელების ქორეოგრაფიული ანსამბლები მისი ხელმძღვანელობით მხატვრული თვითმოქმედების ადგილობრივ და რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე წარმატებით გამოდიოდნენ.

ქორეოგრაფს დადგმული აქვს ცეკვები მახარაძის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში (ლოტბარი ა. ერქომაიშვილი), ბათუმის ყრუმუნჯთა სკოლაში და ა. შ.

ე. დოლიძე აქტიურად მონაწილეობდა ავტონომიური რესპუბ-ლიკის საზოგადოებრივ საქმიანობაში, აჭარის საოლქო კომიტეტის დავალებით ა. ერქომაიშვილთან ერთად სამ თვეს მოგზაურობდა შორეულ რაიონებსა და სოფლებში, ადგილობრივი სიმღერის გუნ-დებისა და ქორეოგრაფიული ანსამბლის დასახმარებლად.

ღვაწლმოსილმა მამულიშვილმა ემელიან დოლიძემ ბევრი სახე-ლოვანი მოცეკვავე და ქორეოგრაფი აღზარდა. მათ შორის არიან რესპუბლიკის სახალხო არტისტი ენვერ ხაბაძე, რესპუბლიკის ხე-ლოვნების დამსახურებული მოღვაწე ბესარიონ სვანიძე, რესპუბლი-კის დამსახურებული არტისტი გივი ოდიკაძე, ვახტანგ მეგრელაძე და ბევრი სხვა.

გარდაიცვალა 1970 წლის 17 ოქტომბერს.

ვარდანია
შამილ ალექსანდრეს ძე

დაიბადა 1924 წლის 5 მაისს გუდაუთის რაიონის სოფ. ზფანდრიპში, ცეკვის ხელოვნებას ეზიარა სკოლის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივში. 1938 წელს 14 წლის ახალგაზრდა მოცეკვავედ მიიღეს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში (ხელმძღვანელები ფ. აჩბა და რ. აგრბა).

1945 წლიდან დააწინაურეს ამავე ანსამბლის ქორეოგრაფის თანამდებობაზე. მრავალჯერ მონაწილეობდა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადებსა და დეკადებში როგორც მოცეკვავე და ქორეოგრაფი. მისი ნამუშევარი არაერთხელ აღნიშნულა დიპლომებითა და სიგელებით.

1946 წელს მოსკოვში აფხაზური ცეკვების ბრწყინვალედ შესრულებისათვის საკავშირო პროფსაბჭოს სიგელი და ფასიანი საჩუქარი დაიმსახურა.

1952 წელს შ. ვარდანია დაინიშნა ტყვარჩელის მეშახტეთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფად, სადაც 1954 წლამდე მოღვაწეობდა. 1955 წლიდან ტყვარჩელის საესტრადო ორკესტრის სოლისტი მოცეკვავე და დამდგმელია.

ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის შ. ვარდანიას 1955 წელს მიენიჭა აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტის, ხოლო 1958 წელს თბილისში აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის მაღალი წოდება.

1965-1967 წლებში აფხაზეთის ასსრ ხალხური შემოქმედების სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში შ. ვარდანიამ მოამზადა და გამოსცა ნაწარმოები: „აფხაზური ხალხური

ცეკვები“ და „მეთოდური სახელმძღვანელო ქორეოგრაფებისათვის“, „სწავლის მეთოდიკა ქორეოგრაფიაში (გამომცემლობა „ალაშარა“).

1961 წელს საბჭოთა საქართველოს 40 წლის აღსანიშნავ საიუბილეო დღეებში აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

დაჯილდოებულია აგრეთვე მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში თავდადებული შრომისათვის“, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამკერდე ნიშნითა და დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი მედლით.

შ. ვარდანიას დადგმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „საფერხულო საცეკვაო“, „აფხაზური საქორწილო“, „სამი მეგობარი“, „ასამატი“, „პარტიზანული“, „რევოლუციური“, „მეჩაიე ქალი“, „სიუჟეტური და სახასიათო ცეკვები.

1967 წლიდან მუშაობს აფხაზეთის ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის კულტურის სახლის დირექტორად.

1968 წელს ქორეოგრაფიული კოლექტივი შ. ვარდანიას ხელმძღვანელობით იმყოფებოდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც 25 კონცერტი გამართა.

ამჟამად მუშაობს აფხაზეთის კულტურის სამინისტროში.

ვაშაკიძე
აივენგო ვახტანგის ძე

დაიბადა 1940 წლის 31 იანვარს ქ. თბილისში.

ცეკვით გატაცებული ახალგაზრდა თავისი ძმის, გივი ვაშაკიძის ხელმძღვანელობით გულმოდგინედ სწავლობდა ქართული ხალხური ცეკვების რთულ ილეთებს და მალე აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მოხვდა.

ექვს წელზე მეტი იმუშავა ამ კოლექტივში ახალგაზრდა შემსრულებელმა და გამოცდილი ქორეოგრაფების ხელმძღვანელობით საფუძვლიანად დაეუფლა ცეკვების ხელოვნებას.

ა. ვაშაკიძე 1950-დან მოყოლებული 1972 წლამდე ცეკვავდა სხვადასხვა პროფესიულ კოლექტივში: საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში, აფხაზეთის ფილარმონიის საესტრადო ორკესტრსა და სხვა ანსამბლებში. ა. ვაშაკიძე ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას; მისი ცეკვები გამოირჩეოდა კოლორიტულობით, ილეთთა ნაირსახეობით, შესრულების თავისებური მანერით.

1967 წლის 24 ოქტომბერს ა. ვაშაკიძეს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

1972 წლიდან იგი პენსიაზეა, მიუხედავად ამისა, მას თავისი საყვარელი საქმისათვის არ უღალატია; ჯერ იყო სოხუმის მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ინსპექტორი, შემდეგ აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-საკრავიერ ანსამბლ „ორაიდას“ ხელმძღვანელი, ამჟამად კი ფილარმონიის დირექტორის მოადგილეა.

თათარაძე
ავთანდილ არსენის ძე

დაიბადა 1919 წლის 16 მარტს ქ. თბილისში. 1936 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის რკინიგზის მე-8 საშუალო სკოლა, ხოლო 1953 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტი.

1936 წელს მეცადინეობდა ინსტიტუტის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ წრეში ჯ. ბაგრატიონის ხელმძღვანელობით.

1937-დან 1941 წლამდე მუშაობდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მოცეკვავე მსახიობად.

1941-დან 1946 წლამდე იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში. იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე, იყო საზენიტო არტილერიის ბატარეის მეთაური. დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

1946 წელს, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს, 1948-დან 1956 წლამდე მუშაობდა ქორეოგრაფად. ამ ანსამბლთან ერთად ხშირად მოგზაურობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში.

ა. თათარაძის დადგმებიდან აღსანიშნავია: „ქალთა მასობრივი“ (1948), „ძველი თბილისის სურათები“ (1951), „სამთა მთიულური“ (1951), „იმერული სახუმარო“ (1954), „ფშავ ქალთა ლხინი“(1958), „ფერხული“, „თამარ დედოფალი“ (1968) და სხვ.

1955 წლიდან იგი მუშაობას იწყებს თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ქართული ცეკვისა და ცეკვის კომპოზიციის პედაგოგად.

1957 წლიდან ხელმძღვანელობდა სასწავლებლის ქორეოგრაფიულ განყოფილებას, ხოლო 1962 წლიდან 1970 წლამდე იყო ამავე სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

1970-1973 წლებში ა. თათარაძე ხელმძღვანელობდა საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ქორეოგრაფიულ განყოფილებას. იგი წლების მანძილზე დაუღალავად ასწავლის ახალგაზრდობას ქორეოგრაფიის ხელოვნებას. დიდ ყურადღებას უთმობს მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. სწორედ მან დაამუშავა ქორეოგრაფიული სასწავლებლისა და სტუდიის პროგრამები ქართულ ცეკვაში, ცეკვის კომპოზიციასა და დაგმებში. მის აღზრდილთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან რესპუბლიკის სახალხო არტისტები ფრიდონ სულაბერიძე და ჯემალ ნავროზაშვილი.

ა. თათარაძე ნაყოფიერ კვლევით მუშაობასაც ეწევა, გულმოდგინედ სწავლობს ქართული ხალხური ცეკვების საფუძვლებს, მათ უძველეს ნიმუშებს, იძიებს ქართული ქორეოგრაფიის ისტორიისა და თეორიის საკითხებს, ამ დარგის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია რესპუბლიკაში. მან შეისწავლა და ჩაწერა არაერთი ხალხური ცეკვა. ა. თათარაძე ავტორია 30-მდე სამეცნიერო და მეთოდური ხასიათის ნაშრომისა, აქედან უკვე დაისტამბა და გამოიცა: „ცეკვის ჩაწერის პირობითი ნიშნები" (1966), იგივე რუსულ ენაზე (1974), „ძველი ქართული (სვანური) ფერხულები" (1976), „ცეკვა ქართული" (1956), „თანამედროვე ქართული სამეჯლისო ცეკვა" (1974), „ხუთი ქართული ცეკვა" (რუსულ ენაზე, 1980, გამომცემლობა „ხელოვნება") და სხვ. ამჟამად მუშაობს „რაჭულ ფერხულებზე", ქართული ცეკვის ილეთთა ახსნა-განმარტებით ტერმინოლოგიაზე და ქართული ქორეოგრაფიის ლექსიკონზე.

მან პირველმა ჩაიწერა, აღწერა და გამოსცა სვანეთში დღემდე შემორჩენილი უძველესი ფერხულები, რომელთაგანაც ზოგი თავისი წარმოშობით წარმართულ ხანას მიეკუთვნება.

ა. თათარაძის უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მოეწყო სამეცნიერო კვლევითი ექსპედიციები ფშავ-ხევსურეთში (1949), თიანეთში (1957), თუშეთში (1960), სვანეთში (1959), მესხეთ-ჯავახეთში (1965), მთიულეთში (1968), აჭარაში (1964), რაჭაში (1968).

ა. თათარაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა სამტრედიის, ჩოხატაურის, ვანის და სხვა რაიონების თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივებში ცეკვების დამდგმელად და კონსულტანტად. დადგმული აქვს ცეკვები კინოფილმებში: „ჩრდილი გზაზე", „ენგურის ნაპირებზე", „ერთი ცის ქვეშ", „ძველი თბილისის მოტივები" და „ლილეო".

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1961 წელს მინიჭებული აქვს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება და დაჯილდოებულია საპატიო სიგელით.

ა. თათარაძე ამჟამად ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბილისის საცირკო-საესტრადო სასწავლებელში. 1969 წლიდან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის ქორეოგრაფიული განყოფილების გამგეა. 1985 წლიდან არის საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის ქორეოგრაფიული სექციის თავმჯდომარე და ქართული ხალხური ცეკვის სახალხო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიის კათედრის გამგე.

თედეევი
გიორგი სარდიონის ძე

ოსური და ქართული ხალხური ცეკვების ვირტუოზული შემსრულებელი, ცნობილი ოსი მოცეკვავე გიორგი თედეევი დაიბადა 1926 წლის 3 ნოემბერს სამხრეთ ოსეთში. მისი, როგორც მოცეკვავისა და ქორეოგრაფის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს კ. კასაბიევმა, ა. სლანოვმა, გრ. გაბარაევმა და მ. ბიდაევმა.

გიორგი თედეევმა სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში სწავლის პერიოდშივე მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება. კარგი მონაცემების მქონე ნიჭიერი ახალგაზრდა სტუდიის დამთავრების შემდეგ იქვე დატოვეს სოლისტ-მოცეკვავედ. სწორედ აქედან მოყოლებული დაუკავშირა მან მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება ხალხურ ქორეოგრაფიას.

გ. თედეევმა თვალსაჩინო კვალი დატოვა ანსამბლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. 1943-დან 1966 წლამდე იგი იყო ამ სახელოვანი კოლექტივის წამყვანი მოცეკვავე, ქორეოგრაფი და შემდეგ სამხატვრო ხელმძღვანელი.

გ. თედეევი სხვადასხვა დროს იყო აგრეთვე ჯავის რაიონის კულტურის სახლის რეჟისორი და მხატვრული თვითმოქმედების ხელმძღვანელი (1948-49). სტალინირის (ცხინვალი) მასწავლებელთა საქალაქო სახლის ქორეოგრაფი (1951-52), სტალინირის კულტურის სახლის დირექტორი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი (1954-55).

1957 წელს გ. თედეევი სოლისტად მიიწვიეს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში. ამ ანსამბლთან ერთად იგი ბრწყინვალედ გამოვიდა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე.

გ. თედეევმა მოამზადა და წარმატებით გამოიყვანა სტალინირის მასწავლებელთა სახლის ქორეოგრაფიული კოლექტივი მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების VII, ხოლო სტალინირის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი -VIII რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე.

მის მიერ დადგმული და შესრულებული ცეკვებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია წყვილთა ნარნარი ცეკვა „სიმდი", „ხონგა — კავთტ", „შრომის ცეკვა", „მხედრული", „ცეკვა ხმლებით" და სხვა.

ეროვნული ქორეოგრაფიის და მხატვრული თვითმოქმედების განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გიორგი თედეევს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1965 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1965 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება. იგი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით, „შრომითი მამაცობისთვის" და „გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავის" აღსანიშნავი საიუბილეო მედლებით, საპატიო სიგელებითა და დიპლომებით.

გიორგი თედეევს დამთავრებული აქვს ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი. იგი ამჟამად ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა ცხინვალის სამუსიკო სასწავლებელში.

იაშვილი
როსტომ მიხეილის ძე

დაიბადა 1934 წელს 24 ივნისს ქ. თბილისში. ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნება შეისწავლა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მ. კობეშავიძის ხელმძღვანელობით. 1950 წლიდან 1952 წლამდე ცეკვავდა თბილისის ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლთან არსებულ თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივში.

1952-დან 1954 წლამდე მუშაობდა ქართული ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლში საქართველოს სსრ სახალხო არტისტის გიორგი (ბუხუტი) დარახველიძის ხელმძღვანელობით.

1954 წლიდან იყო საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ანსამბლის სოლისტი მოცეკვავე (ხელმძღვანელი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ჯ. ბაგრატიონი), ხოლო 1955-დან 1957 წლამდე მუშაობდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში.

რ. იაშვილი 1957 წლიდან საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მოცეკვავე მსახიობი იყო. მის მიერ შესრულებული ცეკვებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქართული“ (ასრულებდა საესტრადო ანსამბლში) და „ხონგა“

ანსამბლთან ერთად ნამყოფია საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასა და საზღვარგარეთის 45 ქვეყანაში.

ქართული ხალხური ცეკვის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 6 თებერვლის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია აგრეთვე საპატიო სიგელით.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღესასწაულებში აქტიური მონაწილეობისათვის მიღებული აქვს პარტიის თბილისის კომიტეტის, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო აღმასკომისა და საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის სიგელები.

როსტომ იაშვილი ამჟამად ხობის რაიონის ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიის დირექტორი და მთავარი ქორეოგრაფია.

იაშვილი
შალვა ევგენის ძე

დაიბადა 1899 წლის 17 სექტემბერს, ტყიბულის რაიონის სოფელ ოჯოლაში. ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ქუთაისის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში ეზიარა. 14 წლის ჭაბუკი უკვე კარგ მოცეკვავედ ითვლებოდა.

ქართული ცეკვის საუკეთესო შემსრულებელთა კონკურსზე 1913 წელს ქუთაისში, 1916 წელს ფოთში, ხოლო 1917 წელს კვლავ ქუთაისში მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა და პირველი ადგილი მოიპოვა.

შ. იაშვილის ხელოვნებით აღფრთოვანებულმა ლადო მესხიშვილმა იგი სამუშაოდ თეატრში მიიწვია.

1918 წელს კლასიკური გიმნაზიის დამთავრებისთანავე შ. იაშვილი ოდესაში გაემგზავრა ქორეოგრაფიულ-თეატრალურ სტუდიაში სასწავლებლად, რომელიც ორი წლის შემდეგ წარმატებით დაამთავრა, კვალიფიციური ქორეოგრაფის დიპლომი მოიპოვა და ვოლოგდასა და იალტაში საკუთარი ქორეოგრაფიული სტუდიები გახსნა.

სამშობლოში დაბრუნებულმა შ. იაშვილმა განაგრძო პედაგოგიური მუშაობა და 1923 წელს ქუთაისში, 1925 წელს სოხუმში, 1927 წელს ბათუმში დააარსა ქორეოგრაფიული სტუდიები.

1929 წლიდან შ. იაშვილი თბილისში გადმოვიდა, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან მოცეკვავეთა ანსამბლი ჩამოაყალიბა და საქართველოს მრავალ რაიონსა და ქალაქში მართავდა კონცერტებს.

1930 წლიდან საქართველოს ფილარმონიასთან ქმნის აღმოსავლურ ეთნოგრაფიულ ანსამბლს, რომლის პროგრამაში წამყვანი ადგილი ეროვნულ ცეკვებს ეკავა. ანსამბლი ხშირად მოგზაურობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში.

1941 წლიდან იგი კვლავ ქუთაისში ბრუნდება და წლების მანძილზე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, ლიტოფონის ქარხნის, წყალტუბოს და ტყიბულის კულტურის სახლებთან არსებულ თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივებში. დიდი სამამულო ომის წლებში კონცერტებს მართავდა ჰოსპიტლებსა და სამხედრო ნაწილებში.

შ. იაშვილის მოღვაწეობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ყრუმუნჯებთან მუშაობის პერიოდი. მან სმენასა და მეტყველებას მოკლებული ადამიანებისაგან შექმნა ქორეოგრაფიული ანსამბლი და დაუღალავი შრომის შედეგად მიაღწია სასურველ შედეგს. ანსამბლის გამოსვლას ყოველთვის აღტაცებაში მოყავდა მაყურებელი.

1950-1956 წლებში იგი ისევ თბილისშია და მაუდ-კამვოლის კლუბში, გორკის კულტურის სახლში, ცეკავშირის კლუბსა და ყრუმუნჯთა სახლში მოღვაწეობს. ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საქართველოს მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადების მხატვრული კოლექტივების მომზადებისათვის. მის მიერ მომზადებულმა დუშეთის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა VII, ხოლო ლაგოდეხის რაიონის თვითმოქმედმა მხატვრულმა კოლექტივმა VIII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე საპატიო პირველი ადგილები დაიკავეს.

1956 წლიდან შ. იაშვილი სამუშაოდ ბრუნდება ქუთაისს.

სხვადასხვა დროს სათავეში ედგა ჩორთის ბარიტის ტრესტის მოცეკვავეთა ანსამბლს, ქუთაისის სამრეწველო კომბინატის მუშაკთა და ქუთაისის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტთა მხატვრულ თვითმოქმედებას.

მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქუთაისის ლენინური კომკავშირის სახელობის სახელმოხვეჭილი ქორეოგრაფიული ანსამბლის წარმატებაში, იგი წლების მანძილზე იყო ამ ანსამბლის ერთ-ერთი ქორეოგრაფი და მთავარი ადმინისტრატორი.

ღვაწლმოსილი მოცეკვავე დაჯილდოებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მედლებითა და საბჭოთა კავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ფესტივალის ლაურეატის წოდებით.

გარდაიცვალა 1971 წლის მარტში.

იმნაძე
თენგიზ გიორგის ძე

დაიბადა 1942 წლის 26 ივლისს თბილისში.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ კულტურას ეზიარა ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში ანტონ ჩიხლაძის ხელმძღვანელობით. 1956 წლიდან 1959 წლამდე მისი ხელმძღვანელი იყო ცნობილი ქორეოგრაფი საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტი რომან (რუბენ) ჭოხონელიძე. სასახლის ანსამბლთან ერთად თენგიზ იმნაძე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე (მოსკოვი 1958 წელი) მიიღო მონაწილეობა.

1959 წლიდან იგი მუშაობს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში პედაგოგ-ქორეოგრაფად. აქტიურ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკურ და საკავშირო მნიშვნელობის ღონისძიებებში. მისი ინიციატივით დაარსდა აქ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „გორდა“, რომელმაც ქართული ხალხური ქორეოგრაფია გააცნო ჩვენი სამშობლოს მრავალი ქალაქისა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის მკვიდრთ.

თ. იმნაძე პარალელურად მუშაობს საქართველოს პროფტექნიკური განათლების კულტურის რესპუბლიკურ სახლში ანსამბლ „იბერიის“ ხელმძღვანელად. მის მიერ დადგმული ცეკვები „ქართული“, „დავლური“, „ოსური“, „აჭარული“, „ნარნარი“, „მთიულური“, „ხორუმი“, „ხევსურული“, „ყაზბეგური“ და სხვა მაყურებელთა დიდი მოწონებით სარგებლობენ.

თენგიზ გიორგის ძე იმნაძე დაჯილდოებულია მრავალი დიპლომითა და სიგელით. 1981 წელს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.



კაბისოვი
ასლან გრიგოლის ძე

დაიბადა 1939 წლის 11 ნოემბერს ქ. ლენინგორში, თეატრალურ ოჯახში.

1954 წელს 15 წლის ნიჭიერი ჭაბუკი სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მიიღეს და ბუნებით მომადლებული ნიჭისა და მუყაითი შრომის წყალობით მალე კოლექტივის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი გახდა.

სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გამოჩენილი მოცეკვავე 1959 წელს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში მიიღეს და 1977 წლამდე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა ამ სახელოვან კოლექტივში.

აკადემიურ ანსამბლში მუშაობის 18 წლის მანძილზე კაბისოვის მიერ შესრულებული ყველა ცეკვა გამოირჩეოდა ნაწარმოების შინაარსში ღრმა წვდომის უნარით და წარმოსახვის მაღალი პროფესიული დონით.

ანსამბლის მრავალფეროვან და მდიდარ პროგრამაში გამოირჩეოდა კაბისოვის უზადოდ შესრულებული პარტიები „ფარიკაობაში", „ხორუმში", „მხედრულში", „ლელოში", „შეჯიბრში" და „ხანჯლურში"

მან ანსამბლთან ერთად საგასტროლოდ იმოგზაურა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ქართული ხალხური საცეკვაო ხელოვნების განვითარებაში აქტიური მონაწილეობისა და ქართული ცეკვების მაღალ დონეზე შესრულებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის ბრძანებულებით ასლან გრიგოლის ძე კაბისოვს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მაღალი წოდება და დაჯილდოებულია საპატიო სიგელით. 1977 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატ სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს, როგორც მთავარი ქორეოგრაფი და დღესაც უნარიანად ხელმძღვანელობს მას.

კაკაბაძე
მიხეილ ვასილის ძე

დაიბადა 1928 წლის 10 სექტემბერს წულუკიძის რაიონის სოფელ კუხში. ქართული ცეკვის ხელოვნებას ეზიარა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივში. ამ საქმის დიდი ენთუზიასტის თენგიზ დავითაიას ხელმძღვანელობით. მალე მიხეილ კაკაბაძე აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მიიწვიეს მოცეკვავე-მსახიობად (ლოტბარი კიწი გეგეჭკორი, ქორეოგრაფები გივი ვაშაკიძე, სოსო ციმაკურიძე).

1957 წელს მ. კაკაბაძე საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ფესტივალის ლაურეატი გახდა, ხოლო 1958 წელს აფხაზეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე, რომელიც თბილისში ჩატარდა, თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა.

1962 წელს „ქართულისა" და „მთიულურის" საუკეთესო შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსზე მ. კაკაბაძემ ვერცხლის სამკერდე ნიშანი და მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. იგი რესპუბლიკაში სხვადასხვა დროს ჩატარებული ახალგაზრდობის ფესტივალების ოთხგზის ლაურეატია.

აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მუშაობის პერიოდში 1949 წლიდან 1962 წლამდე მრავალჯერ იყო საგასტროლო მოგზაურობაში საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

1962 წლიდან, როგორც ქორეოგრაფი, სათავეში ჩაუდგა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის ინსტიტუტის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივს და დღემდე უნარიანად ხელმძღვანელობს მის შემოქმედებით მუშაობას. მ. კაკაბაძის დადგმული ცეკვებიდან აღნიშვნის ღირსია: „ნაბდურა", „სატრფიალო", „მთიულური" და „აფხაზური".

1958 წელს ქორეოგრაფიული ხელოვნების დარგში წარმატებისათვის მიხეილ ვასილის ძე კაკაბაძეს მიენიჭა აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტის წოდება.

კობეშავიძე
მიხეილ (გრიგოლ) დიმიტრის ძე

დაიბადა 1910 წლის 15 მარტს ქუთაისის რაიონის სოფ. კვახჭირში. ქართული ცეკვის ხელოვნებას ეზიარა ცეკვის სკოლაში იაკინთე კირთავას ხელმძღვანელობით.

1930 წელს 20 წლის ახალგაზრდა მ. კობეშავიძე აყალიბებს ქორეოგრაფიულ კოლექტივს ქუთაისის სარეწაო კოოპერაციის კლუბში და კონცერტებს მართავს ახლადშექმნილ კოლმეურნეობებში. ამავე დროს იყო მშობლიური სოფლის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის ქორეოგრაფი (ლოტბარი ანესტი იმერელი).

1935 წელს მ. კობეშავიძე შედის მილიციის უმცროს მეთაურთა სკოლაში. აქედან მოყოლებული მან მთელი თავისი ცხოვრება მილიციის ორგანოებში სამსახურს დაუკავშირა, ჯერ კიდევ მილიციის სკოლის წარჩინებული კურსანტი უნარიანად ხელმძღვანელობდა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებს, შემდეგ კურსდამთავრებული იქვე დატოვეს კლუბის უფროსად. 1939 წელს დააწინაურეს მილიციის სამმართველოს ცენტრალური კლუბის უფროსად. ხოლო 1963 წელს გადაიყვანეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მ. კობეშავიძის შემოქმედებითი მოღვაწეობა დიდი სამამულო ომის პერიოდში. აგიტმხატვრული ბრიგადები მისი ხელმძღვანელობით სისტემატურად გამოდიოდნენ სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტლებში, მართავდნენ ფასიან კონცერტებს და მთელს შემოსავალს თავდაცვის ფონდში რიცხავდნენ. 1943 წელს ომის ქარცეცხლიან დღეებში ანსამბლი მ. კობეშავიძის ხელმძღვანელობით წარმატებით გამოდიოდა მოსკოვში და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი

დაიმსახურა. მილიციის ცეკვის ანსამბლი ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდა რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე.

1954 წელს მიხეილმა, თავის უფროს ვაჟ ჰამლეტ კობეშავიძესთან ერთად, ჩამოაყალიბა ქართული ხალხური ცეკვის ახალგაზრდული ანსამბლი, რომელმაც მაყურებლის აღიარება დაიმსახურა. მის მიერ მაღალ დონეზე შესრულებული „ოსური სალხინო", „მაღლა ხელური", „შემთხვევა საცეკვაო მოედანზე", „მონადირეთა ცეკვა" და სხვა ქორეოგრაფის ხალას ნიჭსა და ფანტაზიაზე მეტყველებდა.

1957 წელს ეს ანსამბლი წარმატებით გამოვიდა ახალგაზრდობის VII მსოფლიო ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებულ კონცერტზე.

1961 წელს მიხეილ კობეშავიძეს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიანიჭეს.

1967 წელს ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი მიხეილ და ჰამლეტ კობეშავიძეების ხელმძღვანელობით წარმატებით გამოვიდა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო ფესტივალზე, სადაც მან ლაურეატის წოდება მოიპოვა.

1972 წელს შინაგან საქმეთა ორგანოების I სრულიად საკავშირო ფესტივალზე მოსკოვში აღიარება ხვდა კობეშავიძის „ქართულ სიუიტას"

1974 წელს ქ. კიშინიოვში ფოლკლორული ცეკვის III საკავშირო შეკრებაზე ანსამბლმა მ. კობეშავიძის ხელმძღვანელობით ჭეშმარიტად დიდი გამარჯვება იზეიმა — ფესტივალის დიდი პრიზი და პირველი ადგილი დაისაკუთრა. ასეთივე წარმატება ხვდა წილად ანსამბლს 1975 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მან აქაც ფესტივალის დიდი პრიზი მოიპოვა. იმავე წელს ანსამბლს სახელად „მხედრული" ეწოდა.

მ. კობეშავიძე 45 წელზე მეტია დაუღალავად ემსახურება ქართული ქორეოგრაფიისა და კულტსაგანმანათლებლო საქმეს მილიციის ორგანოებში.

კულტურისა და ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიხეილ (გრიგოლ) დიმიტრის ძე კობეშავიძეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1985 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

ამჟამად მუშაობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად.

კობეშავიძე ჰამლეტ გრიგოლის ძე

დაიბადა 1935 წლის 25 თებერვალს თბილისში.

ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეზიარა თბილისის მილიციის სამართველოს ბავშვთა მოცეკვავეთა ანსამბლში მამის, ცნობილი ქორეოგრაფის გრიგოლ კობეშავიძის ხელმძღვანელობით.

1954 წლიდან ჰამლეტ კობეშავიძე მამასთან ერთად სათავეში ჩაუდგა ძერჟინსკის სახელობის კლუბთან არსებულ ახალგაზრდულ ანსამბლ „მხედრულს", მოამზადა ორგანყოფილებიანი პროგრამა და ფართო აუდიტორიის წინაშე წარსდგა. პროგრამამ მაყურებელთა და სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ანსამბლი ჰ. კობეშავიძის ხელმძღვანელობით წარმატებით გამოდის ფესტივალებზე, ოლიმპიადებსა და მასობრივ დღესასწაულებზე, რისთვისაც ანსამბლის ხელმძღვანელს მრავალჯერ მიენიჭა ლაურეატის წოდება და დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

1957 წელს ჰ. კობეშავიძე ანსამბლის სოლისტთა ჯგუფთან ერთად მონაწილეობდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-6 მსოფლიო ფესტივალში და დაჯილდოვდა სამახსოვრო მედლით.

ანსამბლი განახლებული პროგრამით წარსდგა მხატვრული თვითმოქმეობის მე-9 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე და პირველი ადგილი დაიკავა, რისთვისაც ქორეოგრაფი პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვეს.

1960-1964 წლებში ჰ. კობეშავიძე ანსამბლის სოლისტებთან ერთად საბჭოთა კავშირის პროფსაბჭოს სიმღერისა და ცეკვის ნაკრებ ანსამბლში მიიწვიეს. ამ ანსამბლმა მაღალ დონეზე ჩაატარა გასტროლები გერმანიაში, პოლონეთში, კუბაში, იაპონიაში, ფინეთსა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა: გერმანიის მუშათა მე-VI ფესტივალისა და იაპონიის „მომღერალთა ხმების" ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

1972 წელს შინაგან საქმეთა ორგანოების მხატვრული კოლექტივების პირველ საკავშირო ფესტივალზე ანსამბლი და მისი ხელმძღვანელები ფესტივალის ლაურეატის პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოეს.

1974 წელს ქ. კიშინიოვში გამართულ ცეკვის საერთაშორისო ფესტივალზე ანსამბლ „მხედრულის" წარმატებაში დიდი იყო ჰ. კობეშავიძის წვლილიც, საუკეთესო ქორეოგრაფიული ნაწარმოების შექმნისათვის მან სპეციალური დიპლომი დაიმსახურა. ასეთივე დიპლომით აღინიშნა ანსამბლისა და მისი ხელმძღვანელის გამოსვლა 1975 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართულ ცეკვის საერთაშორისო ფესტივალზეც.

1976 წელს ანსამბლის სოლისტთა ჯგუფმა 12 კაცის შემადგენლობით მონაწილეობა მიიღო იაპონიაში გამართულ ცეკვის მსოფლიო ფესტივალში. აქაც ქორეოგრაფმა ბრწყინვალე შეფასება მიიღო და „მინონის" ოქროს მედალი დაისაკუთრა.

1977 წელს „მხედრული" კვლავ ეწვია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, სადაც სხვა ცეკვებთან ერთად დიდი წარმატება ხვდა წილად ჰ. კობეშავიძის ძიერ დადგმულ „ხევსურულ ბალადას" და „თბილისურ სატრფიალოს"

იმავე წელს ანსამბლი 60 მოცეკვავის შემადგენლობით კვლავ წარმატებით გამოვიდა მოსკოვში, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და დანაყოფების მხატვრული თვითმოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალზე, რისთვისაც ჰ. კობეშავიძეს მილიციის რიგგარეშე პოდპოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს.

„მხედრული" ჩეეული წარმატებით გამოვიდა ცეკვის საერთაშორისო ფესტივალზე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ბუგასში. იგი 21 ქვეყნის წარგზავნილთა შორის საუკეთესო კოლექტივად აღიარეს და ოქროს მედლით და დიპლომით დააჯილდოვეს.

1980 წელს ანსამბლმა არსებობის 40 წლისთავი იზეიმა.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში გაწეული ღვაწლისათვის ჰამლეტ გრიგოლის ძე კობეშავიძეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

ლაზიშვილი
ზაურ იუსუფის ძე

დაიბადა 1939 წელს ქალაქ ლანჩხუთში.

1956 წელს ბათუმის რკინიგზის 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ქორეოგრაფ ა. დიასამიძის რჩევით ქორეოგრაფიულ ანსამბლში დაიწყო მეცადინეობა გ. ჩიხლაძის ხელმძღვანელობით და ერთი წლის შემდეგ უკვე პარტნიორობას უწევდა ბათუმის ახალგაზრდული ანსამბლის გამოცდილ მოცეკვავეებს.

1959 წლიდან ზაურ ლაზიშვილი ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტია და პარალელურად განაგრძობს მოღვაწეობას ქორეოგრაფიაში.

1961 წლიდან იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა ბათუმის პიონერთა სახლში და გ. ჩიხლაძესთან ერთად შექმნა მოცეკვავე ბავშვთა კოლექტივი. მის მიერ ამ ანსამბლში დადგმული ცეკვები: „ფეხბურთი“, „ზეიმი მთაში“, „ფარიკაობა“, „ფშაური“, „მხედრული“ და „ოსური“ კომპოზიციის სრულყოფითა და დახვეწილი გემოვნებით გამოირჩეოდა.

1966 წლიდან ზ. ლაზიშვილი სათავეში ჩაუდგა ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა დასასვენებელი პარკის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გაზაფხულს“, რომელიც სამჯერ გახდა ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერების პირველი ადგილის მფლობელი. მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ პიონერთა IV საკავშირო შეკრებაზე. ამ კოლექტივის 16 წევრი ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო კონკურსის ლაურეატი გახდა.

ბათუმის ახალგაზრდულ ანსამბლ „სალაღობოს“ ენ. ხაბაძისა და ზ. ლაზიშვილის ხელმძღვანელობით 1967 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო ფესტივალზე ლაურეატის წოდება მიენიჭა.

1966,1968, და 1971 წლებში ჩატარებულ ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებებზე ბათუმის პირველი საშუალო სკოლის ანსამბლი ზ. ლაზიშვილის ხელმძღვანელობით ოქროს მედლებით დაჯილდოვდა, ხოლო 1971-1976 წლებში ბათუმის მე-16 საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი მისივე ხელმძღვანელობით აჭარის სკოლებს შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო. მას 1975 წელს მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ლაურეატის წოდება მიენიჭა და ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

ზ. ლაზიშვილის დადგმული ცეკვები „განდაგანა", „ხორუმი" და „მთიულური" დიდი მოწონებით სარგებლობდა ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსებზე თბილისში 1964 და 1968 წლებში. ქორეოგრაფის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან პირველმა მოამზადა და წარმოადგინა მეჭიბონე-მოცეკვავე ბავშვები, რომლებმაც ორჯერვე ღირსეულად დაისაკუთრეს ზემოხსენებული კონკურსების ლაურეატობა და ოქროს მედლები.

1976 წელს ბულგარეთში ჩატარებულ ხალხური ცეკვების კონკურსზე ბათუმის სამშენებლო ტრესტის ანსამბლი „მშენებელი" ზ. ლაზიშვილის ხელმძღვანელობით გახდა ოქროს მედლის მფლობელი.

ზ. ლაზიშვილს აქვს დადგმული მასობრივი ცეკვები სხვადასხვა საზეიმო დღესასწაულებისა და დრამატული თეატრის სპექტაკლებისათვის.

ქართული ხალხური ცეკვის განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში თვალსაჩინო ღვაწლისა და დამსახურებისათვის ზ. ლაზიშვილს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 19 იანვრის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ამჟამად მუშაობს ბათუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორად.

ლაცაბიძე
გივი კონსტანტინეს ძე

დაიბადა 1929 წლის 18 ოქტომბერს ქ. თბილისში.

ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ეზიარა თბილისის 30-ე საშუალო სკოლის თვითმოქმედ კოლექტივში, ჯერ გრიგოლ ჩივაძის, ხოლო შემდეგ მიხეილ ბახტაძის ხელმძღვანელობით.

1950-1952 წლებში სავალდებულო სამხედრო მოვალეობას იხდიდა საბჭოთა არმიის რიგებში და ამავე დროს ცეკვავდა ბათუმის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში.

1959 წელს დაამთავრა თბილისის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილება პედაგოგ კონსტანტინე მანჯგალაძის ხელმძღვანელობით. კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში სწავლის პერიოდში მონაწილეობდა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დადგმებში როგორც მოცეკვავე.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იქვე დატოვეს ცეკვის მასწავლებლად და ამავე დროს დაინიშნა ამიერკავკასიის რკინიგზის პიონერთა სახლის ქორეოგრაფის თანამდებობაზე. აქვე ჩამოაყალიბა მან ქორეოგრაფიული ანსამბლი „გაზაფხული", რომელიც აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო მნიშვნელობის სახალხო დღესასწაულებში. იყო ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების მე-16 (1968), მე-7 (1971) და მე-8 (1975) რესპუბლიკური ოლიმპიადების ლაურეატი და პირველი ხარისხის დიპლომების მფლობელი. ანსამბლი დაჯილდოებულია სსრკ გზათა მიმოსვლის მინისტრის ბრძანებით, აგრეთვე პარტიის თბილისის კომიტეტის. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ქების სიგელითა და მადლობის ფურცლებით.

1971 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო დღესასწაულისადმი მიძღვნილ სახალხო ზეიმში აქტიურად მონაწილეობდა ს. ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიული ჯგუფი გ. ლაცაბიძის ხელმძღვანელობით.

მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის ბრძანებულებით გივი კონსტანტინეს ძე ლაცაბიძეს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა.

გ. ლაცაბიძე დღესაც ნაყოფიერ პედაგოგიურ და შემოქმედებით მუშაობას ეწევა ს. ზაქარიაძის სახელობის თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში და ა/კ რკინიგზის კულტურის სახლში.

ლომთათიძე
მურმან ალექსანდრეს ძე

დაიბადა 1929 წლის 2 დეკემბერს ქ. ქუთაისში.

ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ეზიარა იმ დროისათვის გამოჩენილი ქორეოგრაფის დავით უშვერიძის ხელმძღვანელობით.

12 წლის ნორჩი მოცეკვავე პირველად 1941 წელს წარსდგა ფართო აუდიტორიის წინაშე და მხატვრული თვითმოქმედების საქალაქო ოლიმპიადაზე პირველ მოცეკვავედ აღიარეს.

1943 წელს 14 წლის მურმანი თვითონ აყალიბებს ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს, რომელმაც მაყურებელთა და სპეციალისტთა აღიარება ჰპოვა.

1944 წელს მურმანი და მისი ძმა ნოდარი თბილისის შრომითი რეზერვების ქართული სიმღერისა და ცეკვის ახლადჩამოყალიბებულ ანსამბლში მიიწვიეს (ლოტბარი ს. იაშვილი, ქორეოგრაფი მ. ბახტაძე).

1945 წელს მ. ლომთათიძე მუშაობას იწყებს ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ცნობილი ლოტბარის ბათლომე კუხიანიძის ხელმძღვანელობით.

1946-1948 წლებში ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების მე-2 და მე-3 რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე მურმან ლომთათიძე პირველი ხარისხის დიპლომითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოეს.

1949 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, იგი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მიიღეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში (1950-1955) მ. ლომთათიძე ცეკვავდა უნივერსიტეტის თვითმოქმედ ანსამბლში (ქორეოგრაფი რ. ჭოხონელიძე).

1955 წელს პოლონეთში გამართულ სტუდენტი ახალგაზრდობის V მსოფლიო ფესტივალზე ლაურეატის წოდება მოიპოვა.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მ. ლომთათიძე ქუთაისში დაბრუნდა და პ. ბასილაძესა და ე. გუმბერიძესთან ერთად სათავეში ჩაუდგა ლენინური კომკავშირის სახელობის ქუთაისის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლს. მალე ამ ანსამბლმა პირველ რესპუბლიკურ ფესტივალში გაიმარჯვა და მ. ლომთათიძემ ანსამბლის სოლისტებთან ერთად ლაურეატის წოდება მოიპოვა.

ქუთაისის ხალხური ცეკვის ანსამბლმა მოიარა მოკავშირე რესპუბლიკები, მონაწილეობდა სკკპ XXII ყრილობის დელეგატებისათვის გამართულ კონცერტებში კრემლის ყრილობათა სასახლეში. ამავე წლებში ქორეოგრაფმა ცეკვები დადგა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატულ და სახალხო ოპერის თეატრებში. ზ. ფალიაშვილის „დაისში“ დადგმული ცეკვებისათვის საქართველოს კულტურის სამინისტრომ პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა.

1962 წლიდან მ. ლომთათიძე ხელმძღვანელობს თბილისის მაუდკამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ცეკვის ანსამბლს, რომელმაც 1967 წელს იმოგზაურა რუმინეთში, 1968 წელს — ჩეხოსლოვაკიაში და იქ გამართულ ფესტივალზე ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 29 ნოემბრის ბრძანებულებით მ. ლომთათიძეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

1968 წლიდან მ. ლომთათიძე თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. ანსამბლი 1970 წელს საქართველოს ალკკ პრემიის ლაურეატის საპატიო წოდების მფლობელი გახდა. იმავე წელს მას, როგორც საუკეთესო კოლექტივს, საქართველოს პროფსაბჭოს ხალხური შემოქმედების სახლის გარდამავალი თასი მიეკუთვნა.

1971 წელს ანსამბლმა წარმატებით ჩაატარა საგასტროლო მოგზაურობა დანიაში. იმავე წელს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში გამართულ ხალხთა მეგობრობის ფესტივალიდან ანსამბლი ლაურეატის წოდებით, ხოლო მ. ლომთათიძე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის „რევოლუციის“ ორდენით დაბრუნდა. ასეთივე წარმატება ხვდა წილად მას 1972 წელს, საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის ფესტივალზე.

მ. ლომთათიძეს აქვს დადგმული ცეკვები კინოფილმებისათვის: „ქალაქი ადრე იღვიძებს“, „მხიარული რომანი“, „ჩარირამა“, სატე-

ლევიზიო ფილმისათვის „ძველი თბილისის სურათები“ და ა. შ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ მას მიანდო მინსკისა და ტარტუს ოპერისა და ბალეტის თეატრებში ოთარ თაქთაქიშვილის „მინდიას“ ქორეოგრაფიული გაფორმება.

1974 წლიდან მ. ლომთათიძე მოღვაწეობს საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის სასახლეში მთავარ ქორეოგრაფად. მის მიერ შექმნილი ქორეოგრაფიული ანსამბლი „თბილისი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

პროფკავშირთა პირველ საერთაშორისო ფესტივალზე (1974 წ.) მ. ლომთათიძის მიერ დადგმულმა ქორეოგრაფიულმა სანახაობამ „საგალობელი თბილისს“ ოქროს მედალი და ლაურეატის წოდება მოიპოვა.

ანსამბლი „თბილისი“ წარმატებით გამოვიდა მოსკოვში პირველი სატელევიზიო ფესტივალის „ცისარტყელას“ პროგრამით გათვალისწინებულ კონკურსში და დიპლომი დაიმსახურა.

მ. ლომთათიძის მიერ დადგმული ცეკვების მდიდარი რეპერტუარიდან კომპოზიციის ორიგინალობისა და ავტორისათვის დამახასიათებელი ხელწერის თვალსაზრისით აღსანიშნავია: „საგალობელი თბილისს“, „ფარიკაობა“ და „მთიელ ქალ-ვაჟთა ცეკვა“.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და თვალსაჩინო დამსახურებისათვის მურმან ალექსანდრეს ძე ლომთათიძეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1980 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება. ამჟამად იგი არის ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სახალხო უნივერსიტეტის პრორექტორი.

მანჯგალაძე
კონსტანტინე იაკობის ძე

დაიბადა 1912 წლის 20 დეკემბერს სამტრედიის რაიონის სოფ. ღანირში.

სოფელში პირველ მოცეკვავედ აღიარებული ჭაბუკი, თბილისში გამოსვლისთანავე დარწმუნდა, რომ ნამდვილი მოცეკვავის სახელის მოსაპოვებლად საჭირო იყო სისტემატური მეცადინეობა და თავდადებული შრომა.

1936 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯანო ბაგრატიონმა ჩამოაყალიბა ქართული ხალხური ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლი, რომლის შემადგენლობაში, სხვა ნიჭიერ ახალგაზრდებს შორის კონსტანტინე მანჯგალაძეც იყო.

იგი გამოირჩეოდა თავისებური დახვეწილი საშემსრულებლო მანერით, გემოვნებითა და ოსტატობით — ასე ახასიათებს მას ჯ. ბაგრატიონი.

უნივერსიტეტის ანსამბლში ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ნაზიარევმა ბევრმა ახალგაზრდამ აირჩია თავის პროფესიად ცეკვა. მათ შორის იყო კონსტანტინე მანჯგალაძეც. 1937 წელს იგი ჩაირიცხა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ეთნოგრაფიულ სახელმწიფო ანსამბლში, სადაც მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა როგორც ამ ანსამბლის წამყვანი მოცეკვავე და მთავარი ქორეოგრაფის თანაშემწე.

1941 წლიდან ომის დამთავრებამდე იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში და უნარიანად ხელმძღვანელობდა მეომართა თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლებს. სამხედრო ნაწილებში გამართული კონცერტებისა და 1945 წელს საბჭოთა არმიის მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებებში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებულია საპატიო სიგელით.

კ. მანჯგალაძე, როგორც ქორეოგრაფი, წლების მანძილზე მოღვაწეობდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში, ხელმძღვანელობდა ა/კ რკინიგზის სტალინის სახელობის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პლეხანოვის სახელობის კლუბის, ხელოვნების მუშაკთა სახლის, გაგრის, ვანის, საჩხერის, ზესტაფონის, ბოლნისის, დმანისის, სიღნაღის, რუსთავის კულტურის სახლების ქორეოგრაფიულ ანსამბლებს, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ რაიონულ თუ რესპუბლიკურ ოლიმპიადა-დათვალიერებებზე.

კ. მანჯგალაძე, როგორც ქორეოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელი, სამი ათეული წელია ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის მხატვრული თვითმოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში, ზრდის ქართველ მოცეკვავეთა და ქორეოგრაფთა კადრებს, რითაც დიდ სამსახურს უწევს ეროვნული ქორეოგრაფიის განვითარებას. მის მიერ აღზრდილი მრავალი მოცეკვავე მოღვაწეობს ჩვენი რესპუბლიკის ქორეოგრაფიულ კოლექტივებში, ბევრ მათგანს მიღებული აქვს ოქროს მედლები და პირველი ხარისხის დიპლომები რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე თუ ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსებზე.

კ. მანჯგალაძე ავტორია მეთოდური ნაშრომისა „ქორეოგრაფიული წრის მუშაობა საკლუბო დაწესებულებებში" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია საიუბილეო სამკერდე ნიშნით ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით. იგი არის თბილისის სახალხო უნივერსიტეტის ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანი.

მეგრელაძე
ვახტანგ ელისეს ძე

დაიბადა 1926 წლის 13 მარტს ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში. ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეზიარა ემელიან დოლიძის ხელმძღვანელობით ბათუმის მე-18 საშუალო სკოლაში.

1938 წლიდან მახარაძის რაიონის კულტურის სახლთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფიულ ჯგუფში განაგრძო მეცადინეობა და მალე წამყვანი სოლისტის ადგილი დაიკავა.

1959 წელს ვახტანგ მეგრელაძე ამავე ანსამბლის ქორეოგრაფად დანიშნეს და დღესაც წარმატებით უძღვება ამ საპატიო საქმეს.

ქორეოგრაფად მუშაობის პერიოდში მან დადგა ოცამდე ქართული და მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ცეკვები რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ძველი და ახალი გურია", „მეგობრობა", „ხორუმი" „ფერხული-ფარცა", „ქალ-ვაჟთა მთიულური" და სხვ.

ვახტანგ მეგრელაძე როგორც სოლისტი-მოცეკვავე უშუალოდ მონაწილეობდა მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე და ახალგაზრდობის ფესტივალებზე (1946, 1951, 1957).

ქორეოგრაფიული ანსამბლი ვ. მეგრელაძის ხელმძღვანელობით წარმატებით გამოდიოდა და გამოდის რესპუბლიკურ და საკავშირო ფესტივალებზე, დიდ სახალხო დღესასწაულებზე, საზეიმო კონცერტებსა და კონკურსებზე.

ვახტანგ მეგრელაძე სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა მახარაძის რაიონის ლაითურის, ნაგომარის, გურიანთის, შრომის სა-

სოფლო, ქალაქის I, II, III საშუალო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლებს.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ვახტანგ ელისეს ძე მეგრელაძეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

მელაძე
თეიმურაზ (თოფან) დურსუნის ძე

დაიბადა 1923 წლის 17 ივლისს ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბერში. „განდაგანას" ერთ-ერთი პირველი და უბადლო შემსრულებლის თეიმურაზ მელაძის დებიუტი ხელოვნებაში ხულოს დრამატული თეატრის მსახიობის კარიერით დაიწყო. ხულოს პედსასწავლებლის საბაზო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა პედაგოგი ერთ ხანს თეატრმა გაიტაცა. 1943 წელს მან რაიონის თეატრს მიაშურა და აქვე შესდგა მისი, როგორც მოცეკვავის დებიუტიც. ნიჭიერმა მსახიობმა თეატრში სულ რამდენიმე როლი შეასრულა, მაყურებლის დიდი მოწონებაც დაიმსახურა და სპეციალისტებიც კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ თეიმურაზის ნამდვილი გატაცება მაინც ცეკვა იყო. დრამის მსახიობი ხშირად გამოდიოდა რაიონულ, საქალაქო საოლქო, რესპუბლიკურ და საკავშირო ოლიმპიადებზე, როგორც მოცეკვავე.

თ. მელაძემ 1946 წელს ხალხური თვითმოქმედების საოლქო დათვალიერებაზე პირველმა გამოიტანა ე. წ. „მხარული", რომელსაც შემდეგ ახალი სახელი „განდაგანა" შეარქვეს. მალე ეს ცეკვა უსაზღვროდ პოპულარული გახდა მთელს საქართველოში. თ. მელაძეს, როგორც „განდაგანას" ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებელს 1952 წელს აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

1952 წელს ხულოს სახელმწიფო თეატრის დახურვის შემდეგ, თეიმურაზ მელაძე საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში მოვიდა. ამ ანსამბლთან ერთად მოიარა მან რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ავსტრია, ფინეთი, შვეიცარია, ნორვეგია და სხვა ქვეყნები.

1953 წლის აპრილიდან იგი ქობულეთში გადადის საცხოვრებლად. აქ იგი ჯერ კულტურის სახლის დირექტორად დანიშნეს, ხოლო შემდეგ კინოთეატრის დირექტორად გადაიყვანეს. პარალელურად მუშაობდა ქორეოგრაფად სხვადასხვა თვითმოქმედ ანსამბლებში.

1957 წელს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე ხანდაზმულმა ხელოვანმა ახალგაზრდული შემართებით და ჩვეული ოსტატობით შეასრულა „განდაგანა", რამაც მაყურებელთა აღფრთოვანება გამოიწვია.

თეიმურაზ მელაძეს მინიჭებული აქვს 1957 წელს მსოფლიო ფესტივალისა და საკავშირო კონკურსის (1968 წ.) ლაურეატის წოდებები. იგი დაჯილდოებულია მედლებითა და საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების საპატიო სიგელებით. 1968 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

ნასყიდაშვილი ოთარ სამსონის ძე

დაიბადა 1929 წლის 20 აგვისტოს ქ. თბილისში. ცეკვა დაიწყო 1944 წელს შრომითი რეზერვების სამმართველოსთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლში (ქორეოგრაფი მ. ბახტაძე).

1944, 1945, 1948 და 1949 წლებში ანსამბლთან ერთად მონაწილეობდა მოსკოვში შრომითი რეზერვების მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერებებში. წარმატებით ასრულებდა „მთიულურსა" და „კინტოურს"

1950 წელს ქართული ხალხური ცეკვების შემსრულებლად ჩაირიცხა სოხუმის საესტრადო ანსამბლში (ხელმძღვანელი ჯანო ბაგრატიონი).

1953 წელს ო. ნასყიდაშვილი გადავიდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში სსრკ სახალხო არტისტის ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ამ სახელოვან კოლექტივში იგი 1971 წლამდე მუშაობდა. ო. ნასყიდაშვილმა 1953 წელს ანსამბლთან ერთად მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV ფესტივალში ბუქარესტში და ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდება მოიპოვა.

ო. ნასყიდაშვილი ანსამბლთან ერთად გასტროლებით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასა და მსოფლიოს 51 ქვეყანაში.

1971 წლიდან ოთარ ნასყიდაშვილი არის თბილისის ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სახელმწიფო სკოლა-სტუდიის მასწავლებელი და ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის პიონერთა სახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ქორეოგრაფი.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისა და ანსამბლში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის ოთარ ნასყიდაშვილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1961 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. იგი დაჯილდოებულია მედლებით „შრომის ვეტერანი" და „შრომითი წარმატებებისათვის".

ნიკოლაიშვილი
ანზორ სერგოს ძე

დაიბადა 1937 წლის 6 ივლისს სამტრედიაში. ქართული ცეკვის საფუძვლებს დაეუფლა საშუალო სკოლაში ალექსანდრე ქაროსანიძის ხელმძღვანელობით. სკოლაში სწავლის პერიოდში წარმატებით გამოდიოდა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე.

1955-56 წლებში ცეკვავდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში გიორგი (ბუხუტი) დარახველიძის ხელმძღვანელობით.

1957 წელს გადადის საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ახალგაზრდულ ანსამბლში გ. დარახველიძის ხელმძღვანელობით. ამ ანსამბლთან ერთად გახდა იგი ახალგაზრდობის მსოფლიო და საკავშირო ფესტივალის ლაურეატი. მონაწილეობდა მთავრობის საპასუხისმგებლო ღონისძიებებში.

1958 წლიდან მუშაობს სოლისტად საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ დამსახურებულ ანსამბლში სსრკ სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლთან ერთად მოგზაურობდა საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ.

ა. ნიკოლაიშვილი წარმატებით ასრულებდა „ქართულს", „ხევსურულს", „ფარიკაობას", „დაველურს", „მთიულურსა" და სხვა ცეკვებს.

ა. ნიკოლაიშვილი ამჟამად მუშაობს საგარეჯოს რაიონის ქართლ-კახური სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლში მთავარ ქორეოგრაფად და მთელ ოავის მდიდარ გამოცდილებას ახმარს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებაში ნაყოფიერი წვლილისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის ბრძანებულებით მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება, დაჯილდოებულია საპატიო სიგელით.

ოდიკაძე
გივი ალექსანდრეს ძე

დაიბადა 1921 წლის 7 ივნისს ქ. ბათუმში. ქართული ცეკვის ხელოვნებას ეზიარა ბათუმის ქორეოგრაფიულ სტუდიაში.

1936 წელს გივი ოდიკაძემ თბილისში გამართულ მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ბავშვთა შორის პირველი ადგილი დაისაკუთრა.

1937 წელს ახალგაზრდა გ. ოდიკაძე საქართველოს სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლთან ერთად გამოდის მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის პირველ დეკადაზე. დეკადიდან დაბრუნების შემდეგ მან კვლავ ბათუმის სტუდიაში განაგრძო სწავლა. პარალელურად ცეკვავდა აჭარის ეთნოგრაფიულ ანსამბლში.

1940 წელს საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. დიდი სამამულო ომის წლებში საბრძოლო დავალებათა პირნათლად შესრულებასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა აგიტ-მხატვრული ბრიგადის მუშაობაშიც.

1944 წელს იგი ერთ-ერთი სატანკო არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფად დაინიშნა.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წლიდან გ. ოდიკაძე მუშაობას იწყებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოცეკვავე-მსახიობად. მან აქ დიდი პრაქტიკული გამოცდილება შეიძინა, წარმატებით გამოდიოდა სპექტაკლებში.

1948 წელს ნიჭიერი მოცეკვავე მოსკოვის ლუნაჩარსკის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო-საბალეტმაისტერო ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

ჯერ კიდევ სტუდენტი გ. ოდიკაძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მოსკოვის მეტრომშენის კულტურის სახლის ქორეოგრაფიულ ანსამბლს. იმავე პერიოდში მან ცეკვები დადგა პუშკინის სახელობის მოსკოვის ოპერეტისა და საბჭოთა არმიის თეატრებში,

შემდეგ მას იწვევენ დონეცკში დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეში“ ცეკვების დამდგმელად.

1953 წელს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ისევ მშობლიურ ბათუმს დაუბრუნდა და აქტიურად ჩაება რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. 1957 წელს თბილისში აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მის ნამოღვაწარს მაღალი პროფესიული შეფასება მისცეს.

გ. ოდიკაძეს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის კინო და სათეატრო ხელოვნებაში. მან საინტერესო ქორეოგრაფიული სცენები შექმნა ისეთ ფილმებში, როგორებიც არის „მაია წყნეთელი“, „ყვავილი თოვლზე“, „განაჩენი“, “ჭიაკოკონა“ და სხვ.

გ. ოდიკაძე მრავალი სპექტაკლის ქორეოგრაფიული გაფორმების ავტორია, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში, რომლის მთავარი ბალეტმაისტერია ამჟამად.

მისი ქორეოგრაფიული მოღვაწეობის სფერო ფართო და მრავალმხრივია: წლების მანძილზე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში, აჭარკოოპკავშირის, ბათუმის პიონერთა სახლის, საზღვაო სასწავლებლის, თბილისის უცხო ენების ინსტიტუტისა და საშუალო სკოლების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებში.

გ. ოდიკაძე მრავალი წლის მანძილზე უზიარებდა თავის ცოდნასა და გამოცდილებას თბილისის ქორეოგრაფიულ, კულტსაგანმანათლებლო და საცირკო-საესტრადო სასწავლებლის მოსწავლეებს. იგი არის მსოფლიოს ახალგაზრდობის VI და რესპუბლიკური ფესტივალების სამგზის ლაურეატი, არჩეულია საქართველოს ქორეოგრაფიის სახალხო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ცეკვების ფაკულტეტის დეკანად.

ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ნაყოფიერი მუშაობისათვის გივი ოდიკაძეს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

პაპიაშვილი ოთარ სერგოს ძე

დაიბადა 1932 წლის 10 ივლისს ხაშურში. ქართული ხალხური ცეკვის სიყვარული ოთარ პაპიაშვილს მშობლებმა ჩაუნერგეს. სხვადასხვა დროს მისი პედაგოგები იყვნენ შიო აბაიძე, მიხეილ ბახტაძე, ანტონ ჩიხლაძე, გრიშა და კონსტანტინე ჩივაძეები.

ნიჭიერი ჭაბუკი ჯერ კიდევ მეათე კლასის მოსწავლე იყო, როცა ჯ. ბაგრატიონის მიერ შექმნილ საესტრადო ანსამბლში მიიწვიეს სოლისტ მოცეკვავედ. ერთი წლის შემდეგ გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. აქ იგი მუშაობდა საბჭოთა ჯარების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში სოლისტად და ქორეოგრაფის ასისტენტად.

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ 1954 წლიდან იგი თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში იწყებს მუშაობას ქორეოგრაფის გ. დარახველიძის ასისტენტად და სოლისტ-მოცეკვავედ.

1957 წელს ო. პაპიაშვილს მიენიჭა ჯერ რესპუბლიკური, ხოლო შემდეგ საკავშირო და მსოფლიო ახალგაზრდობის VI ფესტივალის ლაურეატის წოდებები, 1958 წელს საქართველოს პროფსაბჭოს ქორეოგრაფიულ ანსამბლთან ერთად მონაწილეობდა ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე გამართულ საბჭოთა კულტურის დღეებში.

1959 წელს ო. პაპიაშვილმა შექმნა დამოუკიდებელი ანსამბლი ა/კ რკინიგზელის სახლში. ამ ანსამბლმა მოკლე დროში მოამზადა ორგანყოფილებიანი პროგრამა და წარმატებით გამოვიდა ვენაში გამართულ ახალგაზრდობის VII მსოფლიო ფესტივალზე, სადაც ფესტივალის ლაურეატობა და ოქროს მედალი დაიმსახურა. ამავე წელს ო. პაპიაშვილი, ცნობილ რეჟისორ ვ. ყუშიტაშვილთან ერთად, რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის ამზადებს გორის მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივს, რომელმაც დიდი წარმატება მოიპოვა ამ ოლიმპიადაზე. წარმატება ხვდა ოთარ პაპიაშვილის მიერ მომზადებულ დუშეთის რაიონისა და თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკის ანსამბლებს 1958-1961 წლებში.

1962 წელს უკვე საკმაოდ გამოცდილი ქორეოგრაფი სათავეში ჩაუდგა და მრავალი წლის მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს კეთილმოწყობის სამმართველოსთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს „სალაღობოს“, რომელიც მოწონებით სარგებლობდა, როგორც ჩვენს სამშობლოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

ო. პაპიაშვილი სხვადასხვა დროს ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა გორში, დუშეთში, ტყიბულში, ლენტეხში, ცხაკაიაში, ლანჩხუთში, ხაშურში, ჩერკასკში, დერბენდში, ოდესაში და სხვა ქალაქებსა და რაიონებში. ცეკვები აქვს დადგმული საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის პროფესიულ კოლექტივებში, ა/კ სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში, ჩერქეზეთის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ელბრუსში“ და სხვა.

1972 წლიდან იყო დაღესტნის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი. დაღესტნური ხალხური ცეკვების განვითარებისათვის ადგილობრივმა მთავრობამ ოთარ პაპიაშვილს ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიანიჭა.

ო. პაპიაშვილი ორიგინალური ქორეოგრაფიული ნაწარმოებების ავტორია. მათ შორისაა: „შეცილება“, „ორი მეგობარი“, „სალაღობო“, „სამასი არაგველი“, „თბილისის ცაზე ფრიალებს წითელი დროშა“ და სხვ. ამ პროგრამებით მისმა ანსამბლებმა წარმატებით იმოგზაურეს უნგრეთში, ავსტრიაში, რუმინეთში, იტალიაში, პოლონეთსა და იუგოსლავიაში. იგი ავტორია ბროშურისა „მეტი ყურადღება სიუჟეტურ ცეკვებს“.

ამჟამად იგი ხელმძღვანელობს ქალთა თვითმოქმედ ანსამბლ „იავნანას“ და ტყიბულის მეშახტეთა კულტურის სახლთან არსებულ კოლექტივ „ოკრიბას“.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ოთარ პაპიაშვილს 1967 წელს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

რაქვიაშვილი
მიხეილ ნიკოლოზის ძე

დაიბადა 1916 წლის 6 სექტემბერს ქ. გურჯაანში. მ. რაქვიაშვილის, როგორც მოცეკვავისა და ქორეოგრაფის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ჯანო ბაგრატიონმა, რომელიც წლების მანძილზე სათავეში ედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოცეკვავეთა ანსამბლს. ამ ანსამბლში ცეკვავდა გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი მიხეილ რაქვიაშვილი 1934 წლიდან.

მიხეილ რაქვიაშვილი, როგორც სოლისტი, ჯერ კიდევ 1937 წელს წარმატებით გამოვიდა მოსკოვში ფიზკულტურელთა საკავშირო აღლუმზე, შემდეგ კი სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ასრულებდა წამყვან პარტიებს. ვრცელი იყო მისი რეპერტუარი, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მის მიერ შესრულებული „ინგუშური" და „კინტოური"

სამამულო ომის დაწყებამდე მ. რაქვიაშვილი მუშაობდა რესპუბლიკის ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ნაკრები ანსამბლისა და თბილისში ახლად გახსნილი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქორეოგრაფად, სადაც მან ცეკვისადმი დიდი სიყვარული ჩაუნერგა ნორჩებს. მათ შორის არიან ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოცეკვავე, „ქართულის" უბადლო შემსრულებელი, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვახტანგ გუნაშვილი; ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, წლების მანძილზე საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი და შემდეგ ამავე კოლექტივის ქორეოგრაფი რევაზ ხონელიძე; ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თეიმურაზ ციციშვილი; დამსახურებული არტისტები მიხეილ შუბაშიკელი, აკაკი ექვთიმიშვილი, თენგიზ უთმელიძე, ზურაბ ხოფერია და სხვ.

1941-1945 წლებში მ. რაქვიაშვილი სამშობლოს დამცველთა რიგებში იბრძოდა. ომიდან დაბრუნების შემდეგ, 1946-1947 წლებში იგი ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მოცეკვავეთა ანსამბლს, ხოლო 1947-1950 წლებში — პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და სტუდენტთა ქალაქის მოცეკვავეთა ანსამბლს. 1950-დან 1960 წლამდე მუშაობდა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლის მთავარ ქორეოგრაფად.

კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლთან ერთად 1956-1958 წლებში იგი საგასტროლოდ იმყოფებოდა მოძმე უკრაინაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

ცეკვაშირის მუშაკთა კულტურის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი მ. რექვიაშვილის ხელმძღვანელობით ყოველთვის წარმატებით გამოდიოდა რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე.

მ. რაქვიაშვილი ავტორია მრავალი ორიგინალური ნაწარმოებისა, მათ შორის აღსანიშნავია: „მევენახეთა საზეიმო", „სამგორული", „ყამირ მიწაზე", „ქალ-ვაჟთა სატრფიალო", „ყვარყარე და ბარბარე", „თუ მომკლავ, ისევ შენ მომკლავ", „შრომა და ზეიმი მთაში" და ა. შ.

სხვადასხვა დროს მ. რაქვიაშვილმა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადებისათვის წარმატებით მოამზადა ჭიათურის მაღაროელთა, გურჯაანის, თერჯოლის, წითელწყაროს, კაჭრეთის და ახალციხის კულტურის სახლების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები.

განსაკუთრებით დიდია მ. რაქვიაშვილის დამსახურება ბავშვთა ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში. მთელ თავის შემოქმედებით საქმიანობაში იგი სერიოზულ ყურადღებას უთმობს მუშაობას მოსწავლე ახალგაზრდობასთან.

მ. რაქვიაშვილი ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის მრავალჯერ დაჯილდოეს პირველი ხარისხის დიპლომებით, საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. იგი, როგორც დიდი სამამულო ომის მონაწილე, რამდენიმე საბრძოლო მედლის კავალერია.

ღვაწლმოსილი ქორეოგრაფი მიხეილ ნიკოლოზის ძე რაქვიაშვილი ახლაც დიდი სიყვარულითა და ახალგაზრდული შემართებით ემსახურება ქართული ხალხური ცეკვების შემსრულებელთა აღზრდის საპატიო საქმეს.

ამ თავდადებული შრომის დაფასება იყო მისთვის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭება.

სალუქაშვილი ამირან ილიას ძე

დაიბადა 1932 წლის 18 ივნისს ქ. თბილისში. ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეზიარა მიხეილ ბახტაძის ხელმძღვანელობით.

1938 წელს მეცადინეობა დაიწყო თბილისის ორთქმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივში.

1944 წლიდან 1948 წლამდე მონაწილეობდა საქართველოს შრომითი რეზერვების კულტურის სახლთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლში, რომელსაც ლოტბარი სოლომონ იაშვილი და ქორეოგრაფი მიხეილ ბახტაძე ხელმძღვანელობდნენ.

აღნიშნული ანსამბლი სისტემატურად მონაწილეობდა შრომითი რეზერვების მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერებაში, აგრეთვე სამამულო ომის მეომრებისა და დაჭრილ მებრძოლებისათვის გამართულ კონცერტებში, რისთვისაც დაჯილდოებულია „შრომითი რეზერვების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამი საპატიო სიგელით.

1949-დან 1951 წლამდე ამირან სალუქაშვილი მოცეკვავე-მსახიობად მუშაობდა აფხაზეთის ასსრ ქართულ ხალხურ საესტრადო ანსამბლში ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანელობით.

1952-1970 წლებში სალუქაშვილი როგორც მოცეკვავე-მსახიობი წარმატებით გამოდიოდა საქართველოს ხალხური ცეკვის აკადემიურ დამსახურებულ ანსამბლში სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

1953 წელს ბუქარესტში გამართულ მსოფლიო ახალგაზრდობის IV საერთაშორისო ფესტივალში წარმატებით მონაწილეობისათვის ანსამბლის სხვა წევრებთან ერთად დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომითა და ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდებით.

ანსამბლში მუშაობის პერიოდში ამირან სალუქაშვილი აქტიურად მონაწილეობდა კოლექტივის ყველა ღონისძიებასა და საესტრადო მოგზაურობაში, ბევრჯერ იყო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ამირან სალუქაშვილის მიერ შესრულებული პარტიებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა სოლოები „მხედრულში“ და „შეჯიბრში“ (დუეტი ანზორ ბუაძესთან ერთად), „ფარიკაობაში“ და სხვ.

ამჟამად ამირან სალუქაშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სახელმწიფო სტუდიაში.

ქართულ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის ბრძანებულებით ამირან სალუქაშვილს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება და დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

სალუქვაძე
გიორგი ისაკის ძე

დაიბადა 1913 წლის 25 ივნისს მახარაძის რაიონის სოფ. უჩხუბში, მოწაფეობისა და სტუდენტობის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა გუნდებსა და ანსამბლებში მომღერლად და მოცეკვავედ ინტენსიურ ქორეოგრაფიულ მოღვაწეობას იწყებს 1936 წლიდან. მის მიერ მომზადებული რაიონის კულტურის სახლის, კოლმეურნეობებისა და სკოლების მხატვრული კოლექტივები წარმატებით გამოდიოდნენ მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებებზე და მოსწავლეთა ოლიმპიადებზე.

გიორგი სალუქვაძე 1959 წლიდან ხელმძღვანელობდა ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის საკოლმეურნეო გუნდის ქორეოგრაფიულ ჯგუფს. 1964 წლიდან მუშაობდა მახარაძის რაიონის სოფ. ძიმითის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფად. პარალელურად აგროვებდა ფოლკლორულ ნიმუშებს მესხეთ-ჯავახური ცეკვების აღსადგენად.

1965 წელს იწვევენ ახალციხის რაიონული კულტურის სახლის ქორეოგრაფად, სადაც შ. რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმისათვის აღადგინა და დადგა უძველესი მესხური ცეკვები.

სამივე ანსამბლს, რომლებსაც გიორგი სალუქვაძე ხელმძღვანელობდა, 1967 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო ფესტივალზე ლაურეატის წოდება მიენიჭა.

სოფელ ძიმითის სიმღერისა და ცეკვის საკოლმეურნეო ანსამბლმა გიორგი სალუქვაძის ხელმძღვანელობით 1969 წელს მონაწილეობა მიიღო მოსკოვში III საკოლმეურნეო საკავშირო ყრილობის დელეგატებისათვის გამართულ კონცერტში კრემლის სასახლეში.

ხანგრძლივი ძიების შედეგად გიორგი სალუქვაძემ აღადგინა დაკარგული ქართული ცეკვები: „ფარცაკუკუ", „კალმახობა", „სპორტულ-მუშაითური" ცეკვა, „ფუნდრუკი", ინგილო-ფერეიდნული ცეკვა „შიპრობა", მესხ ქალთა ცეკვა „მხიმური", „დიდი ფერხული", მესხურ-ჯავახური ცეკვა „იდუმალა", ქართველ ქალთა შრომის ამსახველი მასობრივი ცეკვა „ხელტარის ნადი", რომელიც ჩართეს ძველი აჭარის ცხოვრებაზე მის მიერ დადგმულ მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ სურათში „სეირი", ამ სიუჟეტის მიხედვით საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდიამ გადაიღო ერთნაწილიანი ხმოვანი ფერადი ფილმი. ბავშვებისათვის დადგმული აქვს ცეკვები „ცხენობანა", „წყაროსთან" და სხვა. მისი ინიციატივით 1968 წელს მახარაძეში ჩამოყალიბდა გურული სიმღერის აღმდგენი და შემსწავლელი რაიონული სკოლა.

გ. სალუქვაძე დიდი სამამულო ომის მონაწილეა.

მხატვრული თვითმოქმედების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ქართული ცეკვისა და სიმღერის დაუღალავ მკვლევარსა და პროპაგანდისტს მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა და რესპუბლიკის სახალხო არტისტის მაღალი წოდებები, დაჯილდოებულია საკავშირო მთავრობის ჯილდოებით, აჭარის ასსრ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების საპატიო სიგელებით, „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით, არის მხატვრული თვითმოქმედების ფესტივალების ოთხგზის ლაურეატი.

გიორგი სალუქვაძეს დამთავრებული აქვს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მინიჭებული აქვს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ამ დარგში.

საჯაია
ბორის (ჩაქუ) დომენტის ძე

დაიბადა 1924 წლის 16 ივლისს ცხაკაიაში. ქართული ხალხური ცეკვები პირველად შეისწავლა ქუთაისის ბავშვთა ქორეოგრაფიულ სტუდიაში გრიგოლ ჩივაძის ხელმძღვანელობით.

ჯერ კიდევ ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე იყო ბორისი, როდესაც თავის დასთან, გენრიეტა საჯაიასთან ერთად, შესანიშნავად ასრულებდა „ქართულს" და წარმატებით მონაწილეობდა მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების საქალაქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებში, სადაც არა ერთხელ მოიპოვეს პირველი ხარისხის ჯილდო.

ახალგაზრდა მოცეკვავეს განსაკუთრებით იზიდავდა ქორეოგრაფის ხელოვნება. იგი ნაყოფიერად მუშაობდა ქუთაისის სხვადასხვა თვითმოქმედ კოლექტივში.

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ქორეოგრაფი ბ. საჯაია, ლოტბარი ბიძინა ღოღობერიძე), დიდ წარმატებას მიაღწია 1945 წელს მოსკოვში გამართულ თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების საკავშირო დათვალიერებაზე და პირველი ხარისხის დიპლომი და ფასიანი საჩუქრები დაიმსახურა, ხოლო „ქართულის" შესრულებისათვის ბ. საჯაიამ და ცაცა უშვერიძემ (ჯავახიშვილი) საქვეყნოდ ცნობილი ქორეოგრაფის სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო და ლენინური პრემიის ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის იგორ მოისეევის პირადი მადლობა მიიღეს.

სხვადასხვა დროს ბორის საჯაია ქორეოგრაფად მუშაობდა ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკისა და ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში.

ბ. საჯაია დავით უშვერიძესთან ერთად იყო ქუთაისის ლენინური კომკავშირის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის,

სამხატვრო ხელმძღვანელი. ამ ანსამბლმა დიდი წარმატებით ჩაატარა გასტროლები უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ბუდაპეშტის სახალხო ქორეოგრაფიული გაერთიანების თხოვნით ანსამბლის ხელმძღვანელებმა ცეკვები („ფერხული", „სიმდი") დადგეს უნგრეთის მოცეკვავეებისათვის.

ბ. საჯაია ცეკვების დასადგმელად მიწვეული იყო ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში („ხევისბერი გოჩა" „ირინეს ბედნიერება", „ოლეკო დუნდიჩი") და თოჯინების სახელმწიფო თეატრში („მაისის ღამე").

დიდი სამამულო ომის პერიოდში მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეთა ძალებით ქუთაისში პირველად დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი". საჯაია იყო ამ ოპერის ქორეოგრაფი და წამყვანი მოცეკვავე.

ბ. საჯაია მშობლიური ქორეოგრაფიის გარდა სიყვარულით ემსახურება აგრეთვე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საპატიო საქმეს: სხვადასხვა დროს იყო ქუთაისის საშუალო სკოლების ფიზმომზადების ხელმძღვანელი. ხშირად გვეელინებოდა თეატრალიზებული მასობრივ-სპორტული გამოსვლების თანაავტორად და რეჟისორად სპორტის დამსახურებულ მოღვაწესთან თ. სანებლიძესთან ერთად.

1968 წლიდან ბ. საჯაია თბილისში მოღვაწეობს. მუშაობდა საქართველოს პროფსაბჭოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ სახლში მთავარ ქორეოგრაფად და მთელ თავის მდიდარ გამოცდილებას ახმარდა რესპუბლიკის მშრომელთა თვითმოქმედების განვითარებას. იგი ამჟამად არის ლენინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდისტ-კონსულტანტი ქორეოგრაფიის დარგში.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ბორის დომენტის ძე საჯაიას 1967 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

სვანიძე
ბესარიონ (ბესიკ) ანტიფოს ძე

დაიბადა 1930 წლის 2 მაისს ქ. ბათუმში. 5 წლის იყო, როცა ბიძაშისმა ამბროსი ქურხულმა ცეკვის პირველი ილეთები შეასწავლა. 1936 წელს იგი უკვე აჭარის ოლიმპიადაში გამარჯვებულთა შორის დაასახელეს. მალე სწავლას იწყებს ბათუმის საბალეტო სტუდიაში, სადაც კვირაში ერთ დღეს ქართულ ცეკვებსაც ასწავლიდნენ (ხელმძღვანელი ემელიან დოლიძე).

დიდი სამამულო ომის პერიოდში მონაწილეობდა ბათუმის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მიერ გ. ჩიხლაძის ხელმძღვანელობით შექმნილ აგიტმხატვრულ ბრიგადაში, რომელიც კონცერტებს მართავდა ჰოსპიტლებში, სამხედრო ნაწილებსა და სამხედრო გემებზე.

ომის დამთავრების შემდეგ ბესარიონ სვანიძე ბათუმის პიონერთა პარკთან არსებული მოსწავლეთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი-მოცეკვავეა (ქორეოგრაფი ა. ჯიჯეიშვილი).

1946 წლიდან ბათუმის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეთა ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე და ქორეოგრაფ ე. ხაბაძის ასისტენტია.

საშუალო სკოლის დამთავრებამდე პარალელურად მუშაობდა აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში (ქორეოგრაფი ე. ხაბაძე), წარმატებით გამოდიოდა ბავშვთა რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე, საქალაქო და საოლქო დათვალიერებებზე.

1950 წლიდან ბ. სვანიძემ სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. პირველივე დღეებიდან მან თავისი შემოქმედებითი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირა ინსტიტუტის თვითმოქმედებას.

1950-დან 1952 წლამდე იყო ინსტიტუტის სტუდენტთა ანსამბლის მოცეკვავე, 1952—1957 წლებში მოცეკვავე და ქორეოგრაფის

ასისტენტი, ხოლო 1957 წლიდან დღემდე არის ინსტიტუტის სტუდენტთა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და ცეკვების დამდგმელი. პარალელურად ბ. სვანიძე მუშაობდა თბილისის ცეკვის საქალაქო ანსამბლში (ხელმძღვანელი გ. დარახველიძე). 1957 წელს ამ ანსამბლთან ერთად მონაწილეობდა მოსკოვის მსოფლიო სტუდენტთა და ახალგაზრდობის VI ფესტივალში. 1959 წელს ცეკვას ასწავლიდა კუბელ ახალგაზრდებს, რომლებიც ტრაქტორისტის პროფესიას ეუფლებოდნენ დიღმის მექანიზაციის ტექნიკუმში. 1960—1962 წლებში პედაგოგად მუშაობდა ა/კ რკინიგზის სახლთან არსებულ თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ წრეებში.

სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ანსამბლი „გორდა" ბესარიონ სვანიძის ხელმძღვანელობით დიდი პოპულარობით სარგებლობს რესპუბლიკაში. იგი გამარჯვებული გამოდიოდა თითქმის ყველა რაიონულ, საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო დათვალიერებებზე. ანსამბლმა იმოგზაურა საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკასა და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. „გორდას" 1969 წელს მიენიჭა სახალხო ანსამბლის საპატიო წოდება. 1974 წელს — საქართველოს კომკავშირის პრემია, ხოლო 1979 წელს — საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემია, 1978 წელს იგი გახდა სტუდენტთა ახალგაზრდობის XI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი (ჰავანა), ხოლო 1986 წელს ანსამბლის დაარსების 40-წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭა „საქართველოს სსრ ცეკვის დამსახურებული ანსამბლის" საპატიო წოდება.

ბ. სვანიძე არის საკავშირო ფესტივალების ექვსგზის და საერთაშორისო ფესტივალების ორგზის ლაურეატი. ანსამბლს სამუდამო მფლობელობაში გადაეცა დ. ჯავრიშვილის სახელობის გარდამავალი ჯილდო.

ბ. სვანიძეს ცეკვები აქვს დადგმული ინსტიტუტის სახალხო თეატრის ბევრ სპექტაკლში („მოკვეთილი", „პაექრობა", „კიკვიძე", „მარინე", „ნატერფალი" და ა. შ.) მასვე ეკუთვნის მასობრივი დადგმები სადღესასწაულო კონცერტებისათვის.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში და რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბესარიონ ანტიფოს ძე სვანიძეს მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებები. დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის" და „ხალხთა მეგობრობის ორდენით".

სულაბერიძე
ფრიდონ სილიბისტროს ძე

დაიბადა 1941 წლის 24 ოქტომბერს ქ. თბილისში. ჯერ კიდევ თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის მოსწავლე იყო, როცა 1959 წელს თბილისის ქართული ცეკვის ახალგაზრდულ ანსამბლთან ერთად (ხელმძღვანელი გიორგი დარახველიძე) მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდობის VII მსოფლიო სტუდენტთა და ახალგაზრდობის ფესტივალში და ფესტივალის ოქროს მედალი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის (ხელმძღვანელი ავთანდილ თათარაძე) წარმატებით დამთავრების შემდეგ 1960 წელს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში მიიღეს მოცეკვავე მსახიობად.

ქართული ხალხური ცეკვების დიდოსტატების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა ნიჭიერი მოცეკვავე ბალე ანსამბლის წამყვანი სოლისტი გახდა.

ფ. სულაბერიძე ანსამბლის პროგრამით გათვალისწინებულ თითქმის ყველა ცეკვაში მონაწილეობდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა „აჭარულსა" და „ძველი თბილისის სურათებში", ხოლო ცეკვა „ქართულის" უბადლო შესრულებით მან მაყურებლისა და სპეციალისტების საყოველთაო აღიარება დაიმსახურა.

1962 წელს ჩატარდა ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა პირველი რესპუბლიკური კონკურსი. ამ კონკურსზე ფ. სულაბერიძე ი. დოლაბერიძესთან ერთად „ქართულის" ვირტუოზული შესრულებისათვის ოქროს მედლით და პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოეს. იგივე განმეორდა 1968 წელს. ინდივიდუალურ შემსრულებელთა III რესპუბლიკური კონკურსის ჟიურის ოქროს მედალი და პირველი ხარისხის დიპლომი კვლავ სულაბერიძისა და დოლაბერიძის წყვილს მიეკუთვნა.

1975 წლიდან რუსთავის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში მოღვაწეობს ქორეოგრაფად.

ფ. სულაბერიძემ თავისი ხელოვნება უჩვენა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, დიდ სამრეწველო ქალაქებში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

1967 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ფრიდონ სილიბისტროს ძე სულაბერიძეს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1971 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება. დაჯილდოებულია სსრკ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების სიგელებით.

სუხაშვილი
თენგიზ ალექსანდრეს ძე

დაიბადა 1948 წლის 15 მარტს ქ. თბილისში.

ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ეზიარა თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში პედაგოგ უშანგი ამბარდანაშვილის ხელმძღვანელობით.

ნიჭიერი მოსწავლე იმთავითვე დაეუფლა საშემსრულებლო ოსტატობის საფუძვლებს. მალე იგი პიონერთა სასახლის მოცეკვავეთა ნაკრებ ანსამბლში ჩარიცხეს. ამ ანსამბლში რესპუბლიკის სახალხო არტისტის რუბენ ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო დაიხვეწა და გამდიდრდა თენგიზ სუხაშვილის საშემსრულებლო ხელოვნება. იგი წლების მანძილზე წარმატებით ასრულებდა სოლო პარტიებს.

1966 წლიდან ცეკვავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხალხური ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლში და აქვე გახდა მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის ლაურეატი.

თ. სუხაშვილი 1966 წლიდან შეუდგა პედაგოგიურ მუშაობას. ჯერ მოღვაწეობდა ი. ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლში, ხოლო 1971 წლიდან არის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პედაგოგ-ქორეოგრაფი.

ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სიხარულში", რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, დადგმული აქვს „აჭარული სუიტა", „სვანური ფერხული ცერულით", „მთიულური", „ხევსურული", „სამაია", „ყაზბეგური", „ქართული", „სიმდი", „მხედრული" და სხვ.

ანსამბლი „სიხარული" თ. სუხაშვილის ხელმძღვანელობით მონაწილეობდა საკავშირო პიონერული ორგანიზაციის დაარსების

50 წლისთავის, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისა და კომკავშირის XVII ყრილობისადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტებში. წარმატებით გამოდიოდა კონცერტებზე სსრ კავშირის ხალხთა ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის შემადგენლობაში ალმა-ატასა და უსტკამენგორსკში, კრემლის ყრილობათა სასახლეში. 1974 წელს ანსამბლი მონაწილეობდა ხელოვნების საგაზაფხულო ფესტივალში „კიევსკაია ვესნა", ჰავანაში გამართულ კუბელ და საბჭოთა ახალგაზრდობის შეხვედრებში. 1975 წელს ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავის საზეიმო დღეებში მონაწილეობა მიიღო კონცერტებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიაში. 1977 წელს იმოგზაურეს პორტუგალიაში.

ანსამბლი „სიხარული" თ. სუხაშვილის ხელმძღვანელობით პიონერთა სასახლის სხვა თვითმოქმედ მხატვრულ კოლექტივებთან ერთად არის საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

თ. სუხაშვილი დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით, მრავალი სიგელითა და დიპლომით. 1981 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

სუხიშვილი
თენგიზ ილიას ძე

დაიბადა 1938 წლის 8 ივლისს ქ. თბილისში. მან ღირსეულად გააგრძელა მშობლების, საქვეყნოდ ცნობილი ქორეოგრაფების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის შემოქმედებითი ტრადიცია და მთელი თავისი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლს.

თენგიზ სუხიშვილი ჯერ სულ პატარა იყო, როცა სისტემატურად უხდებოდა ქართულ ცეკვასთან ურთიერთობა. თბილისის საშუალო სკოლის მოსწავლე თავისუფალ დროს სარეპეტიციო დარბაზებში ატარებდა, ხშირად თან დაყვებოდა ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს ხანგრძლივ საგასტროლო მოგზაურობებში.

ანსამბლის შვილობილი გულმოდგინედ სწავლობდა ქართული ხალხური ცეკვის რთულ ილეთებს და მალე ერთ-ერთი წამყვანი მოცეკვავე — მსახიობი გახდა.

15 წლის თენგიზ სუხიშვილმა 1953 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა ბუქარესტში გამართულ მსოფლიო სტუდენტთა და ახალგაზრდობის IV საერთაშორისო ფესტივალში და ანსამბლთან ერთად ფესტივალის ლაურეატი გახდა.

წლების მანძილზე იხვეწებოდა თენგიზ სუხიშვილის საშემსრულებლო ხელოვნება. იგი მონაწილებს ანსამბლის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა ცეკვაში, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩევა „სიმდში“, სადაც მას მაღალ ცერებზე შემდგარს „ნარნარი დავლით“ აღფრთოვანებაში მოჰყავს მაყურებელი, შესანიშნავია აგრეთვე შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით დადგმულ სიუიტაში, სადაც ტარიელს ანსახიერებს.

თენგიზ სუხიშვილს დამთავრებული აქვს თბილისის ლენინისა

და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი. იგი კარგად ფლობს ფრანგულ და ესპანურ ენებს, რაც დიდ სამსახურს უწევს ანსამბლს საზღვარგარეთის ქვეყნებში გასტროლების პერიოდში უცხოელ მაყურებელთან მეგობრული კონტაქტების დამყარებაში.

თ. სუხიშვილს, როგორც საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მოცეკვავე-ქორეოგრაფს საგრძნობი წვლილი შეაქვს ამ სახელოვანი კოლექტივის შემოქმედებით გამარჯვებებში.

მამის გარდაცვალების შემდეგ (1985 წ. 24 მარტი) თ. სუხიშვილი სათავეში ჩაუდგა მშობლების მიერ ორმოცი წლის წინათ შექმნილ და გამოწრთობილ ანსამბლს.

ახალგაზრდა ნიჭიერი ბალეტმაისტერი დაუღალავად იღვწის ანსამბლის ნაწრთობი კეთილი ტრადიციების შენარჩუნებისა და გამრავლება-განმტკიცებისათვის, იგი აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის მშრომელთა საზოგადოებივ ცხოვრებაში.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის, ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში თვალსაჩინო ღვაწლისათვის თენგიზ სუხიშვილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლისა და 1971 წლის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს ჯერ რესპუბლიკის დამსახურებული, ხოლო შემდეგ რესპუბლიკის სახალხო არტისტის მაღალი წოდებები. დაჯილდოებულია „ხალხთა მეგობრობის ორდენით“, საპატიო დიპლომებითა და მედლებით.

უშვერიძე
დავით ანტონის ძე

დაიბადა 1911 წლის 18 მაისს ქ. ქუთაისში. ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ეზიარა მშობლების ხელმძღვანელობით.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა შემოქმედს პირველი საპასუხისმგებლო გამოსვლა მოუხდა 1926 წელს მოსკოვში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლისთავის აღსანიშნავ კონცერტზე. მაშინ მან შეასრულა ცეკვა „ქართული" მოსკოვში მცხოვრებ თამარ ჭეიშვილთან ერთად და „მთიულური" რისთვისაც კონცერტის ორგანიზატორთა ჯილდო დაიმსახურა.

იმხანად მოსკოვში არსებობდა კავკასიური ეთნოგრაფიული ანსამბლი ივანე ალექსანდრეს ძე თარხნიშვილის (თარხანოვის) ხელმძღვანელობით. დავით უშვერიძე ამ ანსამბლში მიიწვიეს. აქედან დაიწყო მისი, როგორც მოცეკვავე-მსახიობის პროფესიული მოღვაწეობა.

1928 წელს მოსკოვში ილიკო სუხიშვილთან , ნინო რამიშვილთან და ვლადიმერ ხეთაგუროვთან ერთად უშვერიძემ პირველ საკავშირო ოლიმპიადაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა.

დ. უშვერიძე 1936 წელს ქუთაისში ბრუნდება და აყალიბებს ქორეოგრაფიულ სტუდიას, რომელშიც ცეკვის ხელოვნების შესწავლის სურვილით გატაცებული მრავალი ახალგაზრდა გააერთიანა. 1937 წელს საქართველოს მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადაზე ამ სტუდიის წარგზავნილებმა პირველი ადგილი დაიკავეს.

დ. უშვერიძის შემოქმედებას ასევე მაღალი შეფასება მისცეს 1939 წელს საბჭოთა ესტრადის დეკადაზე. ამავე წელს თბილისში ჩატარებულ რესპუბლიკურ კონკურსზე „მთიულურისა" და „ბაღდადურის" ბრწყინვალედ შესრულებისათვის მან მოსკოვში გამგზავრების უფლება მოიპოვა, იქ კი საკავშირო კონკურსის დიპლომი დაიმსახურა.

1941 წელს თბილისში ჩატარებულ ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსზე დ. უშვერიძემ პირველი ადგილი და საკავშირო კონკურსში მონაწილეობის უფლება მოიპოვა (საკავშირო კონკურსი ომის დაწყების გამო აღარ ჩატარებულა).

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე დ. უშვერიძემ ქუთაისში ჩამოაყალიბა ქართული ცეკვის ანსამბლი, რომელსაც საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობდა, ანსამბლი კონცერტებს მართავდა სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტლებში. 1942 წელს იგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ 1944 წლიდან მუშაობას იწყებს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში და ქუთაისის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ქორეოგრაფად.

1945 წლიდან 1946 წლამდე, საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის მიწვევით იმყოფებოდა მოსკოვში ცეკვების დამდგმელ ქორეოგრაფად, ხოლო 1947 წლიდან კვლავ ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლს უბრუნდება.

1962 წელს ქართული ხალხური ცეკვის ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსზე დ. უშვერიძემ ცეკვა „მთიულურის" უზადო შესრულებისათვის პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა. ასევე 1963 წელს მოსკოვში საკავშირო დათვალიერებაზე ცეკვა „ხანჯლურისათვის"პირველი ხარისხის დიპლომი და ოქროს მედალი ხვდა წილად, ხოლო 1964 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარებულ რესპუბლიკურ კონკურსში ცეკვების „ხანჯლურის" და „ბაღდადურის" ვირტუოზული შესრულებისათვის ორი პირველი ადგილი და ორი ოქროს მედალი მოიპოვა.

დ. უშვერიძე სხვადასხვა დროს ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა ქუთაისის მშენებელთა პროფკავშირის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, აბრეშუმის კომბინატის ცეკვის ანსამბლში, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში და ა. შ.

მის მიერ მომზადებული კოლექტივები ყოველთვის წარმატებით გამოდიოდნენ საქართველოს მშრომელთა მხატვრულ თვითმოქმედებით რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე.

1966 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დავით ანტონის ძე უშვერიძეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

გარდაიცვალა 1976 წლის 24 მარტს.

შუბაშიკელი
მიხეილ ზაქარიას ძე

დაიბადა 1920 წლის 21 დეკემბერს ქ. თბილისში. 12 წლისა უკვე სანდრო კავსაძის გუნდში ცეკვავდა და მღეროდა.

1939-1948 წლებში იგი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მოღვაწეობს. მ. შუბაშიკელის მიერ შესრულებული ცეცხლოვანი „მოხეური", „მთიულური", „სვანური ცერული", „ფარიკაობა", „ინგუშური" და სხვა ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი საშემსრულებლო მანერით.

ახალგაზრდა ხელოვანმა ჯერ კიდევ 1937 წლიდან მოჰკიდა ხელი მხატვრული თვითმოქმედების ქორეოგრაფიული წრეების მომზადებას და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია.

მ. შუბაშიკელმა კარგად აუღო ალღო ეროვნული ქორეოგრაფიის საუკეთესო წარმომადგენლების დ. ჯავრიშვილის, ი. სუხიშვილის, ნ. რამიშვილის, ჯ. ბაგრატიონის ნოვატორულ ძიებებსა და ამის საფუძველზე შექმნა ცეკვის საკუთარი ხელწერა. გარკვეულ პერიოდში იგი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადის მსახიობი იყო, შესანიშნავად ასრულებდა საესტრადო ჟანრის ცეკვებს და კონკურსებშიც მონაწილეობდა. ასევე წარმატებით გამოდიოდა იგი საქართველოს პირველი საესტრადო ორკესტრის შემადგენლობაშიც კომპოზიტორ რ. გაბიჩვაძის ხელმძღვანელობით.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ნიჭიერი მოცეკვავე და ქორეოგრაფი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლთან ერთად ხშირად გამოდიოდა სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტლებში, პარალელურად თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივებსაც ხელმძღვანელობდა.

სხვადასხვა დროს მ. შუბაშიკელი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, უცხო ენათა ინსტიტუტის, კოოპინკავში-

რის, შრომითი რეზერვების, რესპუბლიკის სხვა ქალაქების თვითმოქმედი ქორეოგრაფიული კოლექტივების ხელმძღვანელად.

სახელმოხვეჭილ ქორეოგრაფს ცეკვები აქვს დადგმული საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში, სიმღერისა და ცეკვის დამსახურებულ სახელმწიფო ანსამბლში, მოსკოვის ბავშვთა ქართული ცეკვის ანსამბლების — „კოლხიდასა" და „ივერიაში", ლიტვის სსრ ქ. მადონას სახალხო ანსამბლში, კიევის მხატვრული თითმოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში, თბილისის რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრებში, ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და შაუმიანის სახელობის სომხურ თეატრებში, ფილარმონიისა და სხვა შემოქმედებით კოლექტივებში.

მ. შუბაშიკელი მონაწილეა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადისა. ამ ოლიმპიადაზე მის მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი ნამუშევრები მაღალი შეფასებით, საპატიო სიგელებით, ლაურეატის წოდებებითა და ფასიანი საჩუქრებით აღინიშნა.

მის მიერ დადგმული ცეკვების მდიდარი რეპერტუარიდან განსაკუთრებით საყურადღებოა: „ხევსურული სუიტა", „რთველი", „სატრფიალო წყაროსთან", „ლელო", „ლახტი", „ახალგაზრდობის ცეკვა", „ხევსურ ქალთა ლხინი", „ზეიმი სამგორის ველზე", „უხვი მოსავლის ზეიმი", „საოხუნჯო ფერხული", „ცეკვა ბანზე", „ფერიების ცეკვა", „ჭორიკნები" და სხვა სიუჟეტური და თემატური ცეკვები.

1947—1962 წლებში მ. შუბაშიკელი მუშაობდა საქართველოს კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ქორეოგრაფიული განყოფილების გამგედ, შემდეგ ხელმძღვანელობდა საქართველოს პროფსაბჭოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური სახლის ქორეოგრაფიულ განყოფილებას და მეთოდურ-პრაქტიკულ დახმარებას უწევდა რესპუბლიკის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ წრეებსა და მათ ხელმძღვანელებს. მას დაბეჭდილი აქვს მეთოდური ხასიათის წერილები „ორი მოხეური ცეკვა", „ხევსურ ქალთა ლხინი", „ქართული ხალხური ცეკვების რეპერტუარი" და სხვ.

მ. შუბაშიკელი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს იდეურ-ზნეობრივი აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის ქორეოგრაფიულ განყოფილებას განაგებდა და მთელ თავის მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდა ნორჩი თაობის ესთეტიკურ აღზრდას.

1978 წლიდან იგი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო

სკოლა-სტუდიის პედაგოგ-ქორეოგრაფია და უნარიანად ხელმძღვანელობს გოგონათა ანსამბლ „ფრესკას“.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისა და თვალსაჩინო ღვაწლისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის ბრძანებულებით მიხეილ ზაქარიას ძე შუბაშიკელს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მაღალი წოდება, დაჯილდოებულია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“, „დიდ სამამულო ომში შრომითი მამაცობისათვის“ და გერმანიაზე გამარჯვების 30 და 40 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო მედლებით.

ჩახავა
გივი კონსტანტინეს ძე

დაიბადა 1928 წლის 1 აგვისტოს, გეგეჭკორის რაიონის სოფელ სერგიეთში. ქართული ხალხური ცეკვის შესწავლა დაიწყო მე-10 საშუალო სკოლის ქორეოგრაფიულ წრეში გრიგოლ ჩივაძის ხელმძღვანელობით.

1943 წელს 15 წლის ნიჭიერი ახალგაზრდა მიიწვიეს ქართლ-კახური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართლ-კახური სიმღერის უბადლო შემსრულებელი მარო თარხნიშვილი. შემდეგ მუშაობდა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში გამოჩენილი ლოტბარის კიწი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. ერთხანს ზუგდიდის ანსამბლში იყო მოცეკვავედ, შემდეგ კი მთავარ ქორეოგრაფად გადავიდა ცხაკაიას ანსამბლში (ხელმძღვანელი რემა შელეგია). ცხაკაიიდან კვლავ თბილისში ბრუნდება და ცეკვავს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში ქორეოგრაფ ავთანდილ თათარაძის ხელმძღვანელობით. შემდეგ ისევ სოხუმის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ვხედავთ, როგორც მოცეკვავესა და ქორეოგრაფის ასისტენტს.

გ. ჩახავა 1957წელს წარმატებით მონაწილეობდა საქართველოს ახალგაზრდობის პირველ ფესტივალში და ლაურეატის საპატიო წოდება დაიმსახურა.

1958 წელს მოსკოვში გამართულ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე გ. ჩახავა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის შემანდგენლობაში გამოდიოდა ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ამ ანსამბლში მუშაობის პერიოდს გ. ჩახავა თავის დაოსტატების უდიდეს სკოლად მიიჩნევს.

მის მიერ შესრულებული ცეკვების რეპერტუარიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ყაზბეგური“, „ფარიკაობა“ და „კინტოური“

გ. ჩახავა 9 წლის მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფიულ კოლექტივს. ამ ანსამბლში განსაკუთრებით გამოვლინდა მისი, როგორც ქორეოგრაფის ნიჭი და უნარი. ორიგინალური ქორეოგრაფიით გამოირჩეოდა მის მიერ დადგმული „აფხაზური“, „შარათინი“, „აფხაზ ქალთა ცეკვა“, „ყაზბეგური“ და სხვა. აქტიურად თანამშრომლობდა სოხუმის ჭანბას სახელობის თეატრთან. მას დადგმული აქვს ცეკვები სპექტაკლებისათვის: „მოძღვარი“, „მოკვეთილი“, „განკიცხული“, „ხევისბერი“ და სხვა.

გ. ჩახავა ამჟამად მუშაობს აფხაზეთის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების მთავარ ქორეოგრაფად და უნარიანად ახმარს თავის მდიდარ გამოცდილებას მხატვრული თვითმოქმედების განვითარების საპატიო საქმეს.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისა და თვალსაჩინო დამსახურებისათვის 1957 წელს გივი კონსტანტინეს ძე ჩახავას მიენიჭა აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. 1967 წელს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია საპატიო სიგელით, მიღებული აქვს აგრეთვე ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამკერდე ნიშანი, მრავალი დიპლომი და სიგელი.

ჩახავა
შოთა სოლომონის ძე

დაიბადა 1912 წლის 25 მაისს ქ. ფოთში. ჯერ კიდევ ბავშვმა გამოავლინა დიდი სიყვარული ქართული ხალხური ცეკვებისადმი. მისი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით აღტაცებული იყვნენ იმ დროისათვის ფოთში განთქმული ცეკვის მასწავლებლები გ. შამელაშვილი და ბ. აირაპეტოვი, რომლებიც გულმოდგინედ წვრთნიდნენ და დიდი სარბიელისათვის ამზადებდნენ ამ ნიჭიერ მოცეკვავეს.

შოთა ჩახავას პროფესიული მოღვაწეობა ხალხურ ქორეოგრაფიაში იწყება 1936 წლიდან, როცა იგი წარმატებით ამთავრებს სტუდიას და ფოთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში იწყებს მოღვაწეობას წამყვან მოცეკვავე-სოლისტად (ლოტბარი და მხატვრული ხელმძვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ეროდი კალანდია).

ახალგაზრდა შემოქმედმა სულ მალე გამოავლინა ცეკვების დამდგმელის უტყუარი ნიჭი და უნარი, რისთვისაც ის ანსამბლის ქორეოგრაფად დააწინაურეს. ამავე პერიოდში შ. ჩახავა ცეკვების დასადგმელად მიიწვიეს ცხაკაიას, გეგეჭკორის, აბაშისა და ოჩამჩირის სახელმწიფო ანსამბლებში.

დიდი სამამულო ომის პირველ წლებში შოთა ჩახავა სათავეში ედგა ბათუმის ოფიცერთა სახლის წითელარმიელთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს, რომელიც მომსახურებას უწევდა ჯარის ნაწილებს, შემდეგ წითელარმიელთა რიგებში იბრძოდა კავკასიის მისადგომებთან.

სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებული სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი შემოქმედი 1946 წელს ფოთში დაბრუნებისთანავე სათავეში უდგება ქალაქის ქორეოგრაფიულ ცხოვრებას. იყო ფოთის კულტურის სახლთან არსებული თვითმოქმედი ქორეოგრაფიული ან-

სამბლის ხელმძღვანელი, ფოთის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ცეკვის ანსამბლისა და პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ბავშვთა კოლექტივი ს უცვლელი ქორეოგრაფი.

მის მიერ გამოზრდილი ბევრი მოცეკვავე (შ. ხოფერია, გ. ღვამიჩავა, გ. ჩახავა, ი. ფაჩულია, ბ. ჭანტურია და მრავალი სხვა) დღესაც წარმატებით მოღვაწეობენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის და ქალაქის პროფესიული და მხატვრული თვითმოქმედების ანსამბლებში.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, მუყაითი და დაუზარელი ხელოვანი მუდამ ახლის ძიებაშია.

1963 წელს ტუაფსეში შავი ზღვის აუზის თვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერებაზე შოთა ჩახავას ახალგაზრდულმა კოლექტივმა I ხარისხის დიპლომი დაიმსახურა, ხოლო მომდევნო წელს ოდესაში, — შავი ზღვის აუზის ხელოვანთა ოლიმპიადაზე — პირველი ხარისხის დიპლომი და ფასიანი საჩუქრები, 1968 წელს მოსწავლეთა მე-6 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ქ. თბილისში — პირველი ხარისხის დიპლომი და ოქროს მედალი მიიღო.

ქართული ხალხური კულტურისა და ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის შოთა სოლომონის ძე ჩახავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1981 წელს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა. დაჯილდოებულია ვ.ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამკერდე ნიშნით

ჩივაძე
გრიგოლ (გრიშა) ისაკის ძე

დაიბადა 1904 წლის 15 მაისს ქ. თბილისში. დაამთავრა ბალეტმაისტერ არბატოვის ქორეოგრაფიული სტუდია. 23 წლის ჭაბუკი პროფესიული მოცეკვავე გახდა და წარმატებით გამოდიოდა თბილისის თეატრებსა და მუშათა კლუბების სცენებზე.

1927-1930 წლებში მისი პარტნიორი იყო ჩვენი დროის სახელგანთქმული ქორეოგრაფი, ქართული ცეკვის ჯადოქარი, სსრკ სახალხო არტისტი ნინო რამიშვილი.

1930—1931 წლების თეატრალურ სეზონში გრიგოლ ჩივაძე მიიწვიეს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ქართული ცეკვების შემსრულებლად. აქ მისი პარტნიორი იყო საქართველოს სახალხო არტისტი მარია ბაუერი.

1932 წლიდან გრიგოლ ჩივაძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა ქუთაისში, წულუკიძეში, თელავში, სიღნაღში, გურჯაანში, საგარეჯოში, გორში, ხაშურსა და კასპში, მაგრამ მისი პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითად სარბიელს მაინც თბილისის პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდია წარმოადგენდა.

1938 წელს ამ კლუბთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი დავით კავსაძისა და გრიგოლ ჩივაძის ხელმძღვანელობით რკინიგზელის საკავშირო დღესასწაულში მონაწილეობდა. საკავშირო პრესამ მაღალი შეფასება მისცა ანსამბლის საშემსრულებლო ხელოვნებას, კერძოდ გრიგოლ ჩივაძის მიერ დადგმულ ცეკვებს. ამავე წელს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაში და პირველი ადგილი დაიკავა.

1939 წლიდან გ. ჩივაძე სათავეში ჩაუდგა ა/კ რკინიგზის კლუბ-

თან არსებულ მოცეკვავეთა წრეს და მოკლე დროში მაღალმხატვრული კოლექტივი შექმნა. ეს ანსამბლი ნაყოფიერ საშეფო მუშაობას ეწეოდა დიდი სამამულო ომის წლებში, ხოლო 1948 წელს წარმატებით გამოვიდა რკინიგზელთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებაზე.

1950 წლიდან გ. ჩივაძე ბორჯომის შ. რუსთაველის სახელობის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი იყო და მრავალი წლის მანძილზე ენერგიულად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს.

1951 წელს მე-7 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე გ. ჩივაძე „მწყემსურისა" და „რთველის" დადგმისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დააჯილდოეს.

1957 წელს სოლომონ იაშვილისა და გრიგოლ ჩივაძის ხელმძღვანელობით ბორჯომის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მონაწილეობდა ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ხალხთა მეგობრობის ზეიმზე ქ. ლვოვში.

გრიგოლ ჩივაძე პარალელურად ხელმძღვანელობდა კომკავშირის ბორჯომის რაიკომის მიერ ჩამოყალიბებულ ლენინური კომკავშირის სახელობის ახალგაზრდულ ანსამბლს. ამ ანსამბლში ქორეოგრაფმა ახალი რედაქციით წარმოადგინა მრავალი ქართული ხალხური ცეკვა.

გრიგოლ ჩივაძის დადგმული ცეკვებით მოხიბლული პოეტი აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი 1957 წლის 5 აგვისტოს წერდა: „ბორჯომის ქორეოგრაფიული წრე ყველა ქვეყნის მოსაწონია. იგი ქების ღირსია. ვაშა ახალგაზრდობას, ვაშა გრიგოლ ჩივაძეს, ცეკვისა და პოეზიის დიდ ოსტატს."

ჩივაძე
კონსტანტინე ისაკის ძე

დაიბადა 1900 წლის 25 მაისს ქ. თბილისში. კონსტანტინე ჩივაძე ხელოვანთა იმ პლეადას ეკუთვნოდა, რომელთაც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება ჩვენი ეროვნული კულტურის უანგარო სამსახურს შეალიეს. თავად კარგი მოცეკვავე, 40 წლის მანძილზე დაუღალავად მოღვაწეობდა როგორც სოლისტი და პედაგოგი.

ჯერ კიდევ პატარა კოტე გატაცებული იყო მათი სახლის ქვემო სართულზე შაბათ-კვირაობით გამართულ ცეკვა-თამაშით და როცა გვიან ღამით მარტო რჩებოდა, გულმოდგინედ იმეორებდა ნანახ ილეთებს.

ბავშვის ცეკვით ასეთი გატაცება მშობლებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და 9 წლისა ა. ცომაიას ხელმძღვანელობით არსებულ ცეკვის კურსებზე მიაბარეს. გამოცდილმა ოსტატმა თავიდანვე მიაქცია ყურადღება ნიჭიერ ბავშვს და შედეგმაც არ დააყოვნა. კ. ჩივაძე მალე დაეუფლა ქართულ ეროვნულ ქორეოგრაფიას, ხოლო შემდეგ ცნობილი ბალეტმაისტერის მორტვინის ხელმძღვანელობით კლასიკურ ცეკვებსაც. მალე 20 წლის კონსტანტინე თვითონ ჰკიდებს ხელს მოცეკვავეთა აღმზრდელის რთულ პროფესიას.

იმ ხანებში, განათლების კომისარიატისა და ხელოვნების სამმართველოს ინიციატივით, თბილისში ჩამოყალიბდა ცეკვაში დახელოვნების სკოლა, რომლის ხელმძღვანელობაც კონსტანტინე ჩივაძეს დაევალა. ამ სკოლაში ბავშვები ეუფლებოდნენ აღმოსავლური და ევროპული ცეკვების რთულ ტექნიკას. აღნიშნული სკოლა მაშინდელი წითელი არმიისა (ამჟამად ოფიცერთა სახლი) და რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე მართავდა საანგარიშო კონცერტებს.

1924-1926 წლებში კ. ჩივაძე თბილისის ოპერისა და ბალეტის

ოპერეტის სოლისტია. 1927 წლიდან კი იგი შეთავსებით იწყებს მუშაობას კ. ე. ვოროშილოვის სახელობის კლუბში (ეს კლუბი ამჟამად ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს).

30-იან წლებში კონსტანტინე ჩივაძე ქორეოგრაფად მუშაობდა აზერბაიჯანულ სახელმწიფო თეატრში, სადაც რამდენიმე დადგმა განახორციელა, ამავე დროს ხელმძღვანელობდა საქართველოს ფილარმონიის ცეკვის ანსამბლს, რომელიც წარმატებით გამოდიოდა როგორც ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოში, დონბასში და სხვაგან.

კ. ჩივაძის, როგორც ქორეოგრაფისა და პედაგოგის მოღვაწეობა განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ძერჟინსკის სახელობის კლუბში, სადაც ის 1956 წლიდან მუშაობდა გარდაცვალებამდე. მისი ხელმძღვანელობით ქორეოგრაფიული წრის ნორჩი წევრები მაყურებელს წარმატებით უჩვენებდნენ არა მარტო ქართულ, არამედ აზერბაიჯანულ, უკრაინულ, უზბეკურ და სხვა ხალხთა ცეკვებს.

კ. ჩივაძე მთელი თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე დიდი სიყვარულით ეკიდებოდა მოზარდი თაობის აღზრდას, მრავალ ახალგაზრდას ჩაუნერგა ცეკვის სიყვარული და გაუკაფა გზა დიდი ხელოვნებისაკენ.

გარდაიცვალა 1963 წელს.

ჩიჩუა

ჯემალ კალისტრატეს ძე

დაიბადა 1938 წელს ქალაქ ბათუმში.

ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ეზიარა ბათუმის მე-14 საშუალო სკოლის მოსწავლეთა თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლში კ. დოლიძის ხელმძღვანელობით. ჯერ კიდევ ნორჩი მოცეკვავე ძმასთან, გივი ჩიჩუასთან ერთად ხშირად გამოდიოდა საჯარო კონცერტებზე და მაყურებელთა ერთსულოვან მოწონებას იმსახურებდა.

ჯემალ ჩიჩუა მე-9 კლასის მოსწავლე იყო, როცა მან აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან ერთად მონაწილეობა მიიღო 1957 წელს თბილისში ჩატარებულ აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჯ. ჩიჩუა თბილისში გადმოდის და მუშაობას იწყებს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში, რომელსაც იმჟამად ხელმძღვანელობდა სახელმოხვეჭილი ქორეოგრაფი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ჯანო ბაგრატიონი. იგი ამ ანსამბლში ჩამოყალიბდა პროფესიონალ მოცეკვავედ.

1962-1966 წლებში ჯემალ ჩიჩუა სწავლობდა სოხუმის უმაღლეს სასწავლებელში და პარალელურად ცეკვავდა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში.

1978 წლიდან ხელმძღვანელობს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ხალხური ცეკვის ანსამბლს „ტბეთს". ამ ანსამბლს ჯ. ჩიჩუას ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მშრომელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების პროპაგანდისათვის 1985 წელს საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის პრემია მიენიჭა.

1980 წელს ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ჯემალ კალისტრატეს ძე ჩიჩუას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიანიჭეს, იგი არის ხალხური შემოქმედების საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (ბულგარეთი — 1967 წ.).

ჩიხლაძე
ანტონ ალექსის ძე

დაიბადა 1909 წლის 30 ივლისს. ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას დაეუფლა იმ დროისათვის სახელგანთქმული ცეკვის მასწავლებლის — ალექსი ალექსიძის (სონღულაშვილის) ხელმძღვანელობით.

1933 წლიდან მუშაობდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოცეკვავე-სოლისტად, მონაწილეობდა „მთების გულში", „ბახჩისარაის შადრევანში", „დაისში", „აბესალომ და ეთერში", „შოთა რუსთაველში", „ქეთო და კოტესა" და სხვა სპექტაკლებში.

1935 წელს სხვა ქართველ მოცეკვავეებთან ერთად მონაწილეობდა ლონდონში გამართულ ცეკვის მსოფლიო ფესტივალში, ხოლო 1937 წელს მოსკოვში გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში. ამავე წელს მიიწვიეს მოსკოვში საბჭოთა კავშირის ხალხთა ცეკვების ახლადშექმნილ სახელმწიფო ანსამბლში მოცეკვავე სოლისტად და ქართული ცეკვების დამდგმელად.

1942-დან 1952 წლამდე ანტონ ჩიხლაძე მუშაობდა ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში ქორეოგრაფად.

1940 წელს რამდენიმე ცეკვა დადგა ა. ბალანჩივაძის „მთების გულში". მანვე დაუდგა ცეკვები მოსკოვის აღლუმებში მონაწილე საქართველოს ფიზკულტურულ დელეგაციებს 1940, 1945 და 1946 წლებში.

ა. ჩიხლაძემ მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადებისათვის სხვადასხვა დროს მოამზადა საგარეჯოს, თიანეთის, ლაგოდეხისა და ხაშურის რაიონების მხატვრული კოლექტივები.

1952-დან 1974 წლამდე მუშაობდა თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში ქართული ხალხური და სახასიათო ცეკვების პედაგოგად.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მას მიღებული აქვს მრავალი საპატიო სიგელი და მედალი.

ჩიხლაძე
გივი დავითის ძე

•

დაიბადა 1925 წლის 5 მაისს ქ. ბათუმში.

1937 წელს გივი ჩიხლაძე ბათუმის საქალაქო კულტურის სახლის ახალგაზრდულ ქორეოგრაფიულ ანსამბლში ჩაირიცხა, რომელსაც მისი ძმა გიორგი ჩიხლაძე ხელმძღვანელობდა. სწორედ აქედან დაიწყო მისი სასცენო ნათლობა და აქ გახდა „ქართულის" „ყაზბეგურის", „მთიულურისა" და სხვა ცეკვების შემსრულებელი.

1938-1939 წლებში იგი ცეკვავდა ჯერ წყალტუბოს, ხოლო შემდეგ ქუთაისის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლში შალვა იაშვილისა და დავით უშვერიძის ხელმძღვანელობით.

1950 წლიდან ჩიხლაძემ ბათუმში პიონერთა და მოსწავლეთა სახლში ჩამოაყალიბა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მერცხალი", რომელსაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა. ეს ანსამბლი აჭარის ქორეოგრაფიული კადრების აღმზრდელ კერას წარმოადგენდა. პარალელურად გივი ჩიხლაძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა აჭარკოოპკავშირის კლუბთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს. ეს კოლექტივი 1954 წლიდან მოყოლებული თითქმის ყველა რესპუბლიკური ოლიმპიადების, ფესტივალებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსების ლაურეატი გახლდათ, 1973 წელს კი მას „სახალხო ანსამბლის" საპატიო წოდება მიენიჭა. ამ ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტში მოსკოვში, კავშირების სასახლის სვეტებიან დარბაზში.

გ. ჩიხლაძე პარალელურად მუშაობდა აჭარის პიონერთა და მოსწავლეთა საოლქო სასახლის მხატვრული აღზრდის განყოფილების გამგედ.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი და თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის გივი დავითის ძე ჩიხლაძეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 17 მარტის ბრძანებულებით მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

გარდაიცვალა 1973 წლის 4 მაისს.

ჩიხლაძე

ლიუდმილა ალექსანდრეს ასული

დაიბადა 1923 წლის 15 სექტემბერს ქ. სოხუმში.

მრავალმხრივ საინტერესო და შინაარსიანია ლიუდმილა ჩიხლაძის მიერ განვლილი გზა ქორეოგრაფიაში. ჯერ კიდევ ნორჩი ქალიშვილი წარმატებით ასრულებდა საესტრადო ცეკვებს აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიაში.

1941 წელს დაამთავრა სოხუმის დ. არაყიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილება და იმავე წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარების თბილისის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში.

1943-დან 1945 წლამდე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სოხუმის სამხედრო ნაწილის ანსამბლის მოცეკვავე-ბალეტმაისტერი.

1946—1948 წლებში სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებული ლიუდმილა ჩიხლაძე მუშაობს სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილების პედაგოგად, პარალელურად განაგრძობს მეცადინეობას კლასიკურ ქორეოგრაფიაში პ. ჩებოტარიოვის ხელმძღვანელობით.

1948-1950 წლებში სამსახურიდან მოუწყვეტლივ ამთავრებს მოსკოვის საოპერო სტუდიის ქორეოგრაფიულ განყოფილებას.

1950-1952 წლებში იყო მოსკოვის ოლქის ქალაქ სტუპინოს ქორეოგრაფიული კოლექტივის ხელმძღვანელი.

1956 წელს დაამთავრა ა. ვ. ლუნაჩარსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის საბალეტმაისტერო განყოფილება რეჟისორ-ბალეტმაისტერის კვალიფიკაციით.

1955-1956 წლებში კაუნასის (ლიტვის სსრ) მუსიკალურ-დრამატული თეატრის და ვილნიუსის სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის ბალეტმაისტერია.

1957 წლიდან კვლავ სოხუმშია და 1959 წლამდე მოღვაწეობს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, როგორც მოცეკვავე-მსახიობი და ქორეოგრაფი.

1958 წელს წარმატებით გამოდის თბილისში, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე.

მომდევნო წლებში იგი იყო სოხუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილების პედაგოგი, ჩრდილო ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი, სოხუმის საოპერო სტუდიის ბალეტმაისტერი, საბავშვო სპორტული სკოლის პედაგოგი, აფხაზეთის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების რეჟისორ-ბალეტმაისტერი, ამავე საზოგადოების სოხუმის ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიის დირექტორი.

ლ. ჩიხლაძე როგორც მოცეკვავე წარმატებით ასრულებდა „ქართულს", „კინტოურს", „მოხეურს", „ესპანურს", „ბოშურსა" და სხვა ხალხთა მრავალ სახასიათო და საესტრადო ცეკვებს, ხოლო როგორც რეჟისორ-ბალეტმაისტერს დადგმული აქვს 100-მდე სხვადასხვა ხასიათის ხალხური ცეკვა და ბევრი კლასიკური ნაწარმოები (ბალეტი, ცეკვები ოპერებში, ოპერეტებში, დრამატულ თეატრებში და ა. შ.) მან ქართული ცეკვები დადგა პრაღის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლსა და ქორეოგრაფიულ სასწავლებელში.

ლ. ჩიხლაძის დადგმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. ბერიკაშვილის პირველი აფხაზური ეროვნული ოპერა „ერთგული მეგობრები".

ღვაწლმოსილ ხელოვანს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია მედლებით „კავკასიის დაცვისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის", „შრომითი მამაცობისათვის", საპატიო სიგელებითა და დიპლომებით.

ციმაკურიძე
იოსებ ლევანის ძე

დაიბადა 1916 წლის 7 ნოემბერს სოფ ქვიშხეთში. ქართული ხალხური ცეკვები შეისწავლა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანელობით.

1935 წლიდან მუშაობდა აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში სოლისტ-მოცეკვავედ ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

1937 წელს მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში.

1936 წლიდან ხელმძღვანელობდა თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივებს, 1938-დან 1945 წლამდე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში სოლისტ-მოცეკვავედ.

1945-დან 1949 წლამდე იყო საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის წამყვანი მსახიობი.

1950-დან 1961 წლამდე მიწვეული იყო აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მთავარ ქორეოგრაფად და მოცეკვავედ.

ი. ციმაკურიძის დადგმებიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია ცეკვები რ. გაბიჩვაძის „ჭრიჭინაში" — სვერდლოვსკის მუსიკალური კომედიის თეატრში, ა. კერესელიძის „ჯაზომანიაში" — ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში და ახალციხის დრამატულ თეატრში დადგმულ „არშინ მალ ალანში"

ი. ციმაკურიძე ავტორია რამოდენიმე ორიგინალური დადგმისა, მათ შორის კომპოზიციის სრულყოფით გამოსარჩევია „პარტიზანული", „აფხაზური საქორწინო", „პაემანი" და „ქალ-ვაჟთა სატრფიალო".

1957 წელს საქართველოს ახალგაზრდობის პირველი რესპუბლიკური ფესტივალის მომზადებასა და ჩატარებაში, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელითა და რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატის წოდებით.

აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ი. ციმაკურიძეს აფხაზეთის საზოგადოებამ 1960 წელს შემოქმედებითი მუშაობისათვის 25 წლისთავის აღსანიშნავი საღამო მოუწყო.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის ბრძანებულებით მიენიჭა აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, ხოლო 1958 წელს ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით იოსებ ლევანის ძე ციმაკურიძეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო სახელი მიენიჭა.

ჭანიშვილი
რევაზ (ლაუზი) რუბენის ძე

დაიბადა 1937 წლის 21 ივნისს ქობულეთში.

ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეზიარა ბათუმის პიონერთა სახლში იმდროისათვის საკმაოდ ცნობილი ქორეოგრაფის, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის გ. ჩიხლაძის ხელმძღვანელობით, ხოლო შემდეგ ცოდნა გაიღრმავა საქალაქო კულტურის სახლთან არსებულ ახალგაზრდულ ანსამბლში.

1955 წელს ჩაირიცხა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მოცეკვავედ (ქორეოგრაფი ე. ხაბაძე).

1956 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიულ განყოფილებაზე. მაგრამ იმავე წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და მხოლოდ დემობილიზაციის შემდეგ, 1963 წელს დაამთავრა იგი ცნობილი ქორეოგრაფისა და პედაგოგის კონსტანტინე მანჯგალაძის ხელმძღვანელობით.

რ. ჭანიშვილი კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში სწავლის პარალელურად ცეკვავდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ცეკვის ანსამბლში რესპუბლიკის სახალხო არტისტის ბუხუტი (გიორგი) დარახველიძის ხელმძღვანელობით. აღნიშნულმა კოლექტივმა 1962 წელს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში გამართულ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიოს VIII ფესტივალზე დიდი მოწონება დაიმსახურა და რ. ჭანიშვილმა სხვებთან ერთად ლაურეატის წოდება და ოქროს მედალი მოიპოვა.

1963-1967 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის შ. რუსთაველის სა-

ხელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის ხელმძღვანელად.

1967 წლიდან სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის საქალაქო კულტურის სახლის ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელად, ბათუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის პედაგოგად და სასწავლებელთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელად, აჭარის პიონერთა და მოსწავლეთა საოლქო სასახლის მთავარ ქორეოგრაფად, ბათუმის მე-2, მე-9 და 22-ე საშუალო სკოლების ქორეოგრაფიული წრეების პედაგოგად.

რ. ჭანიშვილს ცეკვები აქვს დადგმული ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ბევრ სპექტაკლში. აგრეთვე კინოფილმებში „საქართველოს ცეკვები" და „გადაღების ერთი დღე". ის არის ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა III რესპუბლიკური კონკურსის პრიზიორი (1968 წ., II ხარისხის დიპლომი, ვერცხლის მედალი) და IV რესპუბლიკური კონკურსის (1972 წ.) პირველი ხარისხის დიპლომისა და ოქროს მედლის მფლობელი. მისი აღზრდილები წარმატებით მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ და საკავშირო დათვალიერებაში.

1974-1979 წლებში რ. ჭანიშვილი მუშაობდა თბილისის ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სახელმწიფო სკოლა-სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგედ და ცეკვების დამდგმელად. მის მიერ შექმნილი და დადგმული ცეკვები გამოირჩევა კომპოზიციის ორიგინალობით, მაღალი მხატვრული დონით.

როგორც სოლისტმა მოცეკვავემ და სხვადასხვა ქორეოგრაფიული ჯგუფების ხელმძღვანელმა, მრავალჯერ იმოგზაურა მოძმე რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ. სსრკ კულტურის სამინისტრომ 1978-1980 წლებში იგი მიავლინა დამასკოში, სირიის ნაციონალური სახელმწიფო ანსამბლის კონსულტანტად. სირიიდან დაბრუნების შემდეგ იგი მუშაობას იწყებს ქუთაისში ახლადშექმნილი სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთავარ ბალეტმაისტერად. მისი ინიციატივით შეიქმნა ქუთაისის ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო სკოლა-სტუდია, რომლის დირექტორი 1980-82 წლებში იყო რ. ჭანიშვილი.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის, რესპუბლიკის მშრომელთა და ახალგაზრდობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის მას 1985 წლის ივლისში საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის პრემია მიენიჭა.

რ. ჭანიშვილი ამჟამად ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ერთ-ერთი ქორეოგრაფი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ქორეოგრაფიული განყოფილების გამგეა.

1980 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რევაზ რუბენის ძე ჭანიშვილს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

ჯოხონელიძე
რევაზ შოთას ძე

დაიბადა 1938 წლის 11 თებერვალს ქ. თბილისში. იგი ბავშვობაშივე ეზიარა ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ა/კ რკინიგზის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლთან არსებულ თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მიხეილ ბახტაძის ხელმძღვანელობით. ამ ანსამბლში ყოფნის დროს მონაწილეობდა რკინიგზელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილ დიდ კონცერტებში როსტოვსა და მოსკოვში (1949, 1951 წ.წ.). წარმატებით გამოდიოდა ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე.

1957 წლიდან რევაზ ჯოხონელიძე თვითმოქმედი ანსამბლის „სალხინოს" წამყვანი მოცეკვავეა (ქორეოგრაფი გ. დარახველიძე). ამ ანსამბლთან ერთად გამოდიოდა იგი ვენის (ავსტრია, 1959 წ.) და ჰელსინკის (ფინეთი, 1962 წ.) ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალზე, საიდანაც სამშობლოში ოქროს მედლებითა და ლაურეატის საპატიო წოდებით დაბრუნდა.

მოსკოვში საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გამართულ კონცერტებზე რევაზ ჯოხონელიძის გამოსვლები გამოფენის დიდი ვერცხლის მედლითა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით აღინიშნა, ხოლო 1964 წელს მოსკოვში, ყრილობათა სასახლეში, მსოფლიო ახალგაზრდობის დიდ ფორუმზე კონცერტში მონაწილეობისათვის სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს წარდგენით დააჯილდოეს მედლით „წარჩინებული შრომისათვის"

რ. ჯოხონელიძე საბჭოთა კავშირ-იაპონიის (ყაზანი), საბჭოთა კავშირ — მონღოლეთის ხალხთა მეგობრობის ფესტივალებისა და ქალაქ „კომსომოლსკ ნა ამურეს" საზეიმო დღესასწაულების მონაწილეა.

1965 წლიდან რევაზ ჭოხონელიძე მოღვაწეობას იწყებს რუსთავის ახალგაზრდულ ანსამბლში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის რ. ხონელიძის ხელმძღვანელობით, რომელსაც შემდეგ სათავეში ჩაუდგა გ. დარახველიძე. ამ ანსამბლთან ერთად რ. ჭოხონელიძემ მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა სოფიის მე-9 ფესტივალში და ოქროს მედალი და ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდება დაიმსახურა.

1967 წლიდან რ. ჭოხონელიძე ანსამბლ „სალხინოს" ხელმძღვანელია. მას საკუთარი დადგმებით არსებითი ცვლილებები შეაქვს ანსამბლის რეპერტუარში. შემდეგ ამ ანსამბლს შეუერთდა ვოკალური ჯგუფი ხელოვნების დამსახურებული არტისტის ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.

ანსამბლი წარმატებით გამოვიდა კალიფორნიაში (აშშ) გამართულ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე, 1971 წელს პოლონეთში საბჭოთა კავშირის კულტურის დღეებზე, 1972 წელს პარიზში გამართულ საბჭოთა კავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტებზე, 1973 წელს ჩეხოსლოვაკიაში გამართულ საბჭოთა კავშირის კულტურის დღესასწაულზე.

1974 წლის იანვრიდან „სალხინო" სახელმწიფო ანსამბლად გარდაიქმნა და ეწოდა სახელმწიფო ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „რუსთავი" მისი სამხატვრო ხელმძღვანელია ა. ერქომაიშვილი, ხოლო მთავარი ქორეოგრაფი რ. ჭოხონელიძე იყო.

განახლებულ ანსამბლში რ. ჭოხონელიძეს ეკუთვნის საყურადღებო დადგმები „ფრესკა" საგალობლების თანხლებით, „ხორუმი" — სიმღერებით, „საქორწილო"სიუიტა, „ფშაური" — ხანჯლებითა და სხვა.

რ. ჭოხონელიძე ამჟამად თბილისის ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფია.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რევაზ შოთას ძე ჭოხონელიძეს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკისა და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებები, დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლითა და სიგელებით.

ჯოხონელიძე
რომან (რუბენ) ანტიმოზის ძე

დაიბადა 1921 წლის პირველ აპრილს რაჭაში, სოფელ ტბეთში

დაამთავრა თბილისის ალექსი ალექსიძის (სონღულაშვილის) ქართული ხალხური ცეკვის სტუდია. სრულიად ნორჩი მოცეკვავე 1932 წლიდან რაჭა-ლეჩხუმისა და დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიულ გუნდში ცეკვავდა. სწორედ აქ მოიწიფდა იგი შემოქმედებითად.

1938 წლიდან რომან ჯოხონელიძე აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში საირიცხა მოცეკვავე მსახიობად.

1939 წლიდან 1946 წლამდე საბჭოთა არმიის რიგებში იყო და საჰაერო ეკიპაჟს მეთაურობდა. სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ 1946-დან 1953 წლამდე საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მუშაობდა. იგი იმთავითვე კარგად ფლობდა ქართული ხალხური ცეკვების საშემსრულებლო ტექნიკას, ღრმად წვდებოდა ქორეოგრაფიული ნაწარმოების შინაარსსა და ბუნებას. წარმატებით ასრულებდა „ყაზბეგურს", „აფხაზურს", „ცერულსა" და „კინტოურს" მან ახალგაზრდობაშივე გამოავლინა ქორეოგრაფიის რთული ხელოვნებისადმი მიდრეკილება. ჯერ კიდევ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ყოფნის დროს შესანიშნავად დადგა „შეჯიბრი", „ყაზბეგური" და „დავლური" შემდეგ კი როგორც პროფესიონალმა ქორეოგრაფმა მრავალი საგულისხმო დადგმა განახორციელა, რომელთა შორის კომპოზიციური თვალსაზრისით გამოირჩევა „დავლური", „სამაია", „სამთა ლირიკული", „შეჯიბრი", „სპორტული", „ოსური ყაბარდოელთა" და სხვა; ბევრი საბავშვო თემატური ცეკვა, აგრეთვე მასობრივი ქორეოგრაფიული სურათები „მეგობრობა", „საბჭოეთის ბედნიერი ბავშვობა", „ჩვენ მშვიდობა გვინდა" და ა. შ.

რ. ჭოხონელიძე სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა სარეწაო კავშირის ცენტრალური კულტურის სახლის, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს, გორკის სახელობის, ი. ჭავჭავაძის სახელობის, ცეკავშირის, ხელოვნების მუშაკთა და მასწავლებელთა რესპუბლიკური სახლების, მუხრანის საბჭოთა მეურნეობისა და ხარაგაულის რაიონის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლებს.

განსაკუთრებით დიდია რ. ჭოხონელიძის ღვაწლი ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მოზარდთა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ქორეოგრაფიულ კოლექტივებში. უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულ ანსამბლს რ. ჭოხონელიძე უნივერსიტეტში სწავლების ბოლო წლებში დაუკავშირდა. მოგვიანებით მისი ხელმძღვანელი გახდა, ანსამბლმა რ. ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით მრავალი კონცერტი გამართა ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში, საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებსა და ახალმშენებლობებზე, საზღვარგარეთ.

უნივერსიტეტის მოცეკვავეთა ანსამბლში ცეკვების საუკეთესო დადგმებისათვის, 1951 და 1955 წლებში მხატვრული თვითმოქმედების VII დაVIII რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე წარმატებით მონაწილეობისათვის რ. ჭოხონელიძე ორჯერ დაჯილდოვდა საქართველოს სსრ საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

რ. ჭოხონელიძის პიონერული ანსამბლი წარმატებით გამოვიდა 1985 წელს მოსკოვში ჩატარებულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე და 1968 წელს მოსკოვში გამართულ ქართული კულტურის დღეებში.

1976 წელს ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივ „ცისარტყელას“ საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა. ქორეოგრაფი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წლების მანძილზე იყო საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისა და პიონერთა სასახლის პარტორგანიზაციის მდივანი, საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, ქორეოგრაფიული სექციის თავმჯდომარე და უფროსი კონსულტანტი, საქართველოს განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ქორეოგრაფიული განყოფილების გამგე. მას ეკუთვნის მეთოდური წერილები: „რეკომენდაციები ბავშვთა ქორეოგრაფიული წრის მუშაობისათვის“ და „ქორეოგრაფიული წრე სკოლაში“

რ. ჭოხონელიძე არის ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სახალხო უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი პრორექტორი.

1960 წელს მოსკოვში ჩატარებული ჩრდილოეთ ოსეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე ოსეთის სახელმწიფო ანსამბლისა და ცეკვის პიონერული კოლექტივის საუკეთესო მომზადებისათვის ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რომან ჭოხონელიძეს ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიანიჭეს.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისა და თვალსაჩინო დამსახურებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 და 1966 წლების ბრძანებულებით რომან ანთიმოზის ძე ჭოხონელიძეს ჯერ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება ებოძა. 1981 წელს კი მან რესპუბლიკის სახალხო არტისტის ტიტული მოიპოვა.

ხაბაძე

ენვერ სულეიმანის ძე

დაიბადა 1923 წლის 12 დეკემბერს ქ. ბათუმში.

1940 წელს დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებელი. პარალელურად მუშაობდა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში სოლისტ-მოცეკვავედ.

1944-დან 1974 წლამდე მუშაობდა ამავე ანსამბლის მთავარ ქორეოგრაფად, 1974 წლიდან კი ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფია. დადგმული აქვს ქართული და საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალი ცეკვა.

ენვერ ხარაბაძე აქტიურად მონაწილეობდა აჭარის მაღალმთიან სოფლებში და მის ლაზურ ნაწილში (სარფი, გონიო, მახო და სხვა) მოწყობილ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში აჭარული ფოლკლორის, ხალხში შემონახული ქორეოგრაფიული ელემენტების შესასწავლად. ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მონაწილეობის შედეგად შეისწავლა და აღადგინა ოდესღაც მივიწყებული „ხორუმის" მეორე ნაწილი (გადახვეული ხორუმი), „ლაზური", „ოჰოია ნანაო," „განდაგანა" და სხვ.

ქორეოგრაფს დიდი ღვაწლი მიუძღვის ხალხური ცეკვების „ლაზურის", „განდაგანას", (რომელიც ადრე „ყოლსამის", „თოფალიონის" სახელწოდებით იყო ცნობილი) და „ოჰოინანოს" თანამედროვე სახით დამკვიდრების საქმეში. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია თემატური ცეკვების შექმნასა და წარმოდგენას. სხვადასხვა დროს დადგმული აქვს „საკოლმეურნეო", „ქაჯეთის ციხის აღება", „მესაზღვრეთა ცეკვა", „თებრონე მიდის წყალზედა", „ბანი მითხარით ბიჭებო" და სხვ.

ე. ხაბაძეს მრავალი ცეკვა აქვს დადგმული, მათ შორის „გადახვეული ხორუმი" და „ლაზური" (1948) საქართველოს ხალხური ცეკ-

ვის სახელმწიფო აკადემიურ დამსახურებულ ანსამბლში, „ხორუმი“ ჭიბონის თანხლებით (1966); ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლებში: „ხევისბერი გოჩა“, „ოქროს სამაჯური“, „დაჭრილი არწივი“

მის მიერ არის დადგმული ქართული ცეკვები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხატვრულ ფილმში — „ჩემი მეგობარი სიბილა“

ე. ხაბაძის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ს. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საოპერო სპექტაკლებისათვის „დაისსა“, „აბესალომ და ეთერში“ — დამოუკიდებლად, ხოლო „ქეთო და კოტეში“ — ქორეოგრაფად დ. მაჭავარიანთან ერთად დადგმულ ცეკვებს.

აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის ქართული ცეკვის ანსამბლი (1948-1951 წ. წ.) ე. ხაბაძის ხელმძღვანელობით წარმატებით გამოდიოდა საქართველოში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და ლენინგრადში.

ბათუმის საქალაქო ცეკვის ანსამბლმა „საღიაღობომ“ ე. ხაბაძის ხელმძღვანელობით თვალსაჩინო ადგილი დაიკავა საკავშირო ფესტივალზე მოსკოვში 1967 წელს.

აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ე. ხაბაძის ხელმძღვანელობით სისტემატურ საგასტროლო მოღვაწეობას ეწევა როგორც ჩვენს სამშობლოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. 1969 წელს იგი მონაწილეობდა ბურგასის (ბულგარეთი) ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში. ბულგარეთის ტელესტუდიამ ფირზე გადაიღო და ხალხური ცეკვების ოქროს ფონდში შეიტანა ხაბაძისეული „ხორუმი“, „განდაგანა“, „ლაზური“ და „მთიულური“

ე. ხაბაძე 25 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის ბავშვთა ცეკვის ანსამბლ „გაზაფხულს“. მის მიერ აღზრდილი ბევრი ახალგაზრდა მოცეკვავე წარმატებით გამოდის რესპუბლიკის სხვადასხვა პროფესიულ ანსამბლების შემადგენლობაში.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის კვლევის, განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში ხანგრძლივი, თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის ენვერ სულეიმანის ძე ხაბაძეს 1946 წელს მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, 1957 წელს საქართველოს დამსახურებული არტისტის, ხოლო 1985 წელს საქართველოს სახალხო არტისტის წოდებები. დაჯილდოებულია მედლებით, დიპლომებითა და სიგელებით.

ხალვაში
ენვერ მეიდანის ძე

დაიბადა 1926 წლის 9 ნოემბერს ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში. ხალხური ცეკვების ხელოვნებას ეზიარა ასლან აბაშიძის ხელმძღვანელობით. 1937 წელს ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების პირველ რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ნიჭიერი მოცეკვავე ჟიურის გადაწყვეტილებით ლაურეატის სამკერდე ნიშნით დააჯილდოეს.

1941 წლიდან ენვერ ხალვაში ცეკვავდა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ალ. ჯიჯეიშვილის ხელმძღვანელობით.

1946 წელს მონაწილეობდა საკავშირო ოლიმპიადაზე. ხოლო 1949 წელს ახალგაზრდობის საკავშირო ფესტივალზე. იყო ძველი ხიხაძირული „ხორუმის" აღიარებული მოცეკვავე.

1957 წელს თბილისში გამართულ აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე აქტიური მონაწილეობისა და თვალსაჩინო წარმატებისათვის ენვერ ხალვაში დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ხოლო იმავე წელს, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, მას აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

ე. ხალვაშმა, როგორც „ხორუმისა" და „აჭარული განდაგანას" ერთ-ერთმა ნიჭიერმა შემსრულებელმა 1957 წელს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის წოდება დაიმსახურა (ქორეოგრაფი გ. დარახველიძე). 1937 წლიდან ე. ხალვაში ხიხაძირის კულტურის სახლის ქორეოგრაფი და დირექტორია.

1972 წელს ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსზე წარმატებით გამოსვლისათვის დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომითა და ოქროს მედლით.

ვეტერანი მოცეკვავე დღესაც აქტიურად არის ჩაბმული რესპუბლიკის ქორეოგრაფიულ ცხოვრებაში. სისტემატურად მონაწილეობს მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებებში.

ხეთაგუროვი ვლადიმერ (ვალოდია) მიხეილის ძე

დაიბადა 1902 წელს სამხრეთ ოსეთში, სოფელ ტუნარში. 12 წლის ვალოდია აქტიურად მონაწილეობდა როგორც მოცეკვავე და ბავშვების როლების შემსრულებელი ოსურ დრამატულ კოლექტივში, რომელიც თვეში ერთხელ მართავდა სპექტაკლებს და კონცერტებს მაშინდელ ზუბალოვის სახალხო სახლში.

1923 წელს ვ. ხეთაგუროვი, 64 ეროვნების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, წარმატებით გამოვიდა სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისადმი მიძღვნილ კონცერტზე მოსკოვის დიდ თეატრში. „პრავდამ" და „იზვესტიამ" მაღალი შეფასება მისცეს მის საშემსრულებლო ხელოვნებას.

1923 წლიდან 1930 წლამდე ხეთაგუროვი ცხოვრობდა მოსკოვში და კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში სწავლასთან ერთად, სისტემატურად გამოდიოდა დედაქალაქის თეატრებისა და საკონცერტო დარბაზებში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვლადიმერ ხეთაგუროვი (1930 წლიდან 1931 წლამდე) მუშაობდა თბილისში ჯერ სახკინმრეწვში, ხოლო შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში (დირექტორად).

1931-33 წლებში კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის დავალებით ხეთაგუროვმა ჩამოაყალიბა ოსური სახელმწიფო თეატრი, სადაც დირექტორად და დამდგმელ რეჟისორად მუშაობდა.

1933-დან 1936 წლამდე კვლავ თბილისშია აზერბაიჯანული თეატრის დირექტორად. ამავე პერიოდში მონაწილეობს კონცერტებში, როგორც სოლისტი-მოცეკვავე.

1935 წელს ქართველ მოცეკვავეთა ჯგუფთან (ი. სუხიშვილი, ა. ჩიხლაძე, ს. ნონიაშვილი, მ. ჩოჩიაშვილი, გ. ჯავახიშვილი, დ. ჯავრიშვილი, მ. შახკულოვი (მედოლე) ძმები ზუბიაშვილები

(მედუდუკეები) ერთად მონაწილეობდა ხალხური ცეკვების მსოფლიო ფესტივალზე ლონდონში. ამ ფესტივალზე ი. სუხიშვილსა და ხეთაგუროვს, როგორც საუკეთესო შემსრულებლებს, გადაეცათ განსაკუთრებული მედლები.

1936 წელს საქართველოს მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების V რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე სამხრეთ ოსეთის ანსამბლმა პირველად აჩვენა ვ. ხეთაგუროვის მიერ დადგმული „სიმდი". ცეკვამ საერთო აღიარება მოიპოვა და მაყურებელთა თხოვნით მეორე დღესაც გაიმეორეს. იმავე წელს ხეთაგუროვისეული დადგმით „სიმდი" შეიტანეს აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის რეპერტუარში (ხელმძღვანელი ს. კავსაძე) და წარმატებით აჩვენეს მოსკოვში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე.

1938-დან 1939 წლამდე ვ. ხეთაგუროვი მუშაობდა საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლის ქორეოგრაფიული განყოფილების გამგედ (დირექტორი კომპოზიტორი გრ. კოკელაძე).

1939-დან 1940 წლამდე იგი ცეკვავდა აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში და მოგზაურობდა საბჭოთა კავშირის ქალაქებში.

1940 წელს დადგა ცეკვები აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში. 1940 წლიდან ინიშნება თბილისის ძერჟინსკის სახელობის კლუბის უფროსად, სადაც 1943 წლამდე მუშაობდა.

1944 წლიდან გარდაცვალებამდე ვლადიმერ ხეთაგუროვი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ოსური ეროვნული კულტურისა და ხელოვნების სფეროში. სხვადასხვა დროს იყო სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი, ხალხური შემოქმედების სახლის, კინოთეატრის, დასვენების პარკის, კულტურის სახლის დირექტორი, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის კულტურის განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე.

მხატვრული თვითმოქმედების კონკურსებსა და ოლიმპიადებზე „მთიულური" ცეკვების საუკეთესო შესრულებისათვის მიღებული ჰქონდა რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის 27 ჯილდო.

1936 წელს სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე ვლადიმერ მიხეილის ძე ხეთაგუროვი „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო 1957 წელს თბილისში სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

გარდაიცვალა 1973 წელს.

ხმალაძე
ირაკლი გიორგის ძე

დაიბადა 1927 წლის 3 იანვარს ქალაქ ყვარელში. ქართული ხალხური ცეკვა შეისწავლა ქორეოგრაფების ნიკოლოზ ხმელისა და მერაბ ჩარქსელიანის ხელმძღვანელობით. 1939—1942 წლებში ცეკვავდა ყვარლის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მარიამ არჯევანიშვილი. ამავე დროს გამოდიოდა ყვარლის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დადგმებში, როგორც მოცეკვავე.

1940 წელს მონაწილეობდა საქართველოს ბავშვთა პირველ რესპუბლიკურ ოლიმპიადაში.

1943—45 წლებში ცეკვავდა თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლში ლოტბარ ივანე მჭედლიშვილისა და ქორეოგრაფ მირიან დედანაშვილის ხელმძღვანელობით, ხოლო 1945—1949 წლებში — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ქართლ-კახეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში (ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მარო თარხნიშვილი).

ანსამბლში მუშაობის პერიოდში სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტლებში გამართულ საშეფო კონცერტებში აქტიური მონაწილეობისათვის ი. ხმალაძე დაჯილდოებულია სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების სამმართველოს საპატიო სიგელით.

1949 წლიდან 1951 წლის თებერვლამდე ი. ხმალაძე იყო საქართველოს სოცუზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოო კომბინატის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის ქორეოგრაფი.

1951-დან 1966-მდე, 1975-დან დღემდე ი. ხმალაძე სათავეში

უდგას საქართველოს პროფგანათლების კულტურის სახლთან არსებულ ცეკვის თვითმოქმედ სახალხო ანსამბლ „ფერხულს“. ხსენებული ანსამბლი მისი ხელმძღვანელობით ყოველთვის აქტიურად მონაწილეობს დიდ სახალხო დღესასწაულებში და ქორეოგრაფიულ სანახაობებში, ოლიმპიადებსა და კონკურსებში. კონცერტებს მართავს ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ქალაქში, არის სტუდენტთა და ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი და ამ ფესტივალის ვერცხლის მედლის მფლობელი.

1979 წლიდან ი. ხმალაძე მუშაობს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის პირველი ექსპერიმენტული ქორეოგრაფიული სტუდიის დირექტორად და მთავარ ქორეოგრაფად.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ირაკლი გიორგის ძე ხმალაძე დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1962), ხოლო 1981 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ხონელიძე
რევაზ ბაგრატის ძე

დაიბადა 1925 წლის 10 ივნისს ქ. თბილისში. ცეკვა შეისწავლა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პიონერთა კლუბში მიხეილ რაქვიაშვილის ხელმძღვანელობით. 1943 წელს თბილისის მე-20 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 18 წლის ახალგაზრდამ მუშაობა დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, რომელსაც გამოჩენილი ლოტბარი ქალი მარო თარხნიშვილი ხელმძღვანელობდა.

რევაზ ხონელიძე 1950 წლამდე მუშაობდა ამ ანსამბლში მოცეკვავე ქორეოგრაფად. მან ამ ხნის განმავლობაში მრავალი საინტერესო სახე შექმნა და მთელი რიგი ცეკვები დადგა.

1950—1961 წლებში იგი მოღვაწეობდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში მოცეკვავე-მსახიობად და ქორეოგრაფის ასისტენტად. ანსამბლის გამოჩენილ ქორეოგრაფებთან დავით ჯავრიშვილთან, ავთანდილ თათარაძესთან და ჯანო ბაგრატიონთან მუშაობამ დიდი როლი შეასრულა რევაზ ხონელიძის, როგორც ქორეოგრაფის ჩამოყალიბებაში.

1961-დან 1969 წლამდე რ. ხონელიძე ა/კ რკინიგზელის სახლის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლში მუშაობდა პედაგოგ-ქორეოგრაფად. აქ მან ბევრი საყურადღებო დადგმა განახორციელა („კიკვიძე", „ნაბდურა", „აზერბაჯანული ქალთა ცეკვა" და სხვა).

1968 წელს რ. ხონელიძე დაინიშნა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთავარ ქორეოგრაფად, სადაც 1975 წლამდე მოღვაწეობდა. იგი მრავალი წლის მანძილზე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას თბილისის საესტრადო-საცირკო სასწავლებელში.

რ. ხონელიძე მოწინავე ქორეოგრაფთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, ვინც კარგად იცნობდა ქართული ხალხური ცეკვების ბუნებას. ამიტომაც იყო რომ მის მიერ დადგმული ცეკვები მოწონებით სარგებლობდა როგორც ჩვენში, ისე ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთაც.

ქართული ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის რევაზ ბაგრატის ძე ხონელიძეს 1971 წელს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო სახელი მიენიჭა, დაჯილდოებული იყო აგრეთვე მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

გარდაიცვალა 1981 წელს.

ჯატიევი
ვასილ ილიას ძე

დაიბადა 1924 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის სოფელ ჯავაში. 1937 წელს შედის სამხრეთ ოსეთის ახლადჩამოყალიბებულ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან არსებულ მოცეკვავე ბავშვთა ჯგუფში. აქ იგი ზაურბეგ ბირაგოვის ხელმძღვანელობით ეუფლება ეროვნული ცეკვების ხელოვნებას. ამ ანსამბლშივე მუშაობდა 1962 წლამდე (1948-დან იყო ანსამბლის ქორეოგრაფი).

ორჯერ 1940 და 1957 წლებში, მონაწილეობდა თბილისში გამართულ სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში.

ვ. ჯატიევის საცეკვაო რეპერტუარიდან აღსანიშნავია „ორი მეგობარი", „ჯიგიტები", „ნარტები" და სხვა ცეკვები. მისი დადგმებიდან კი—ოსური მასობრივი ცეკვა „სიმდი", „წრიული ხონგა ზილგაკავთში გადასვლით", „ნარტების ცეკვა", „მოსისხლეთა შერიგება", „ოსი მხედრების ცეკვა", „დავლური", „ხორუმი", „ფერხული" და სხვა.

1945-1962 წლებში გასტროლებით იმოგზაურეს რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის დედაქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში.

ვ. ჯატიევს 1957 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება. იგი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორი სიგელით, მიღებული აქვს აგრეთვე კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს ალკკ ცკ-ის, განათლების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მადლობები.

1957 წელს ვასილ ჯატიევს მიენიჭა საქართველოს სტუდენტობისა და ახალგაზრდობის პირველი რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატის წოდება. რესპუბლიკურ ოლიმპიადებში მოცეკვავეთა ჯგუფის მომზადებისა და წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოებულია მეორე ხარისხის დიპლომითა და ვერცხლის მედლით.

ვასილ ჯატიევმა 1974 წელს დაამთავრა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი, ამჟამად მუშაობს საქარხნო კულტურის სახლის დირექტორად და კვლავინდებურად თავდადებით ემსახურება მშობლიურ ოსურ ხალხურ ქორეოგრაფიას.

ჯიჯეიშვილი
ალექსანდრე ქრისტეფორეს ძე

დაიბადა 1915 წლის 30 იანვარს ქ. ფოთში. ქორეგრაფიულ ხელოვნებას ეზიარა ფოთის ცეკვის შემსწავლელ სტუდიაში ჯერ ვ. ალანიას, ხოლო შემდეგ ახალგაზრდა ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ნიჭიერმა ჭაბუკმა სწავლის პერიოდში გამოავლინა ქართული ხალხური ცეკვის ღრმად აღქმის და სცენური გარდასახვის ჩინებული უნარი.

სტუდიის დამთავრების შემდეგ ალ. ჯიჯეიშვილი მონაწილეობდა სასკოლო და მოზრდილთა მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივში. 1932 წელს მას ფოთის ეთნოგრაფიული გუნდის მოცეკვავე სოლისტად და ქორეოგრაფიული ჯგუფის ხელმძღვანელად ნიშნავენ.

1933 წელს გამოჩენილი ლოტბარის ძუკუ ლოლუას პატივსაცემად ფოთში გამართულ საიუბილეო საღამოზე ალექსანდრე ჯიჯეიშვილის გამოსვლამ დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. წარმატება ხვდა წილად მას 1934 წელსაც ა/კ ხალხთა ოლიმპიადაზე ცეკვა „აფხაზურის" ბრწყინვალე შესრულებისათვის.

1935 წელს მოსკოვში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების პირველი დეკადის მზადებასთან დაკავშირებით, ალექსანდრე ჯიჯეიშვილი მოცეკვავე—მსახიობად მიიწვიეს აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, ხოლო 1937 წლის 19 იანვარს მან კრემლის დიდ სასახლეში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან მიღებაზე დეკადის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად, ქართული ეროვნული კულტურის ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა.

1937 წლიდან ალექსანდრე ჯიჯეიშვილმა, როგორც უკვე ჩამოყალიბებულმა ქორეოგრაფმა და ნიჭიერმა შემსრულებელმა, დამო-

უკიდებელი შემოქმედებითი გზა აირჩია. ღვაწლმოსილი ქორეოგრაფი დღემდე დაუღალავად ემსახურება ხალხური ქორეოგრაფიის საშვილიშვილო საქმეს. სხვადასხვა დროს იგი იყო აჭარის სიმღერისა და სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი და ქორეოგრაფი, აჭარის აკადემიური გუნდის, ბათუმის პიონერთა პარკის, სარეწაო საბჭოს, მეზღვაურთა კლუბის, მომღერალთა სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდის, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტისა და აჭარის მოსწავლეთა სიმღერისა და ცეკვის გაერთიანებული ანსამბლის ქორეოგრაფი, სკოლებთან არსებული სტუდიების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

დიდია ალექსანდრე ჯიჯეიშვილის, როგორც ქორეოგრაფის სამოღვაწეო ასპარეზი. დადგმული აქვს ცეკვები სოხუმის, ფოთის, ქობულეთის, ჩოხატაურის, ვანის, ცხაკაიას, მახარაძის კულტურის სახლების ქორეოგრაფიულ კოლექტივებში, თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა სახლის ქორეოგრაფიულ კოლექტივში, წლების მანძილზე ნაყოფიერ საშეფო მუშაობას ეწეოდა მოსკოვის ქართული ხალხური ცეკვის სახალხო ანსამბლ „კოლხიდასა" და სტუდია „ივერიაში"

ქორეოგრაფის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია მრავალი საინტერესო ცეკვა, რომელთა შორის კომპოზიციის სისადავით და სილამაზით გამოირჩევა „დავლური", „ქართული", „ძაბრა", „მთიულური", „აფხაზური" და „სვანური" იგი ავტორია რამდენიმე ორიგინალური ცეკვისა — „ქალო ნარინჯიანო", „მეჩაიეთა ცეკვა", „თოჯინებით გასეირნება", „ყვავილებში დამეკარგე წითელ ქუდავ", „მე ია ვარ"

1934 წლიდან მოყოლებული დღემდე ალექსანდრე ჯიჯეიშვილს როგორც რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის მშრომელთა და ბავშვთა ოლიმპიადების, ახალგაზრდობის ფესტივალების და ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსების მრავალგზის მონაწილეს დამსახურებული აქვს ლაურეატის საპატიო წოდებები, პირველი ხარისხის დიპლომები, ოქროსა და ვერცხლის მედლები.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ალექსანდრე ჯიჯეიშვილის თაოსნობით ჩამოყალიბდა მცირე ანსამბლი 25 მომღერლისა და მოცეკვავის შემადგენლობით. იგი მომსახურეობას უწევდა სასაზღვრო ზონის სამხედრო ნაწილებს, შავი ზღვის ფლოტის მეომრებსა და ჰოსპიტლებს, რისთვისაც მას მრავალი მადლობა, სიგელი, მედალი და დიპლომი აქვს მიღებული.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე ჯიჯეიშვილი ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში აყალიბებს სიმღერისა

და ცეკვის დიდ ანსამბლს. სწორედ ამ ანსამბლში აღიზარდა მოცეკვავეთა მთელი პლეადა, ბევრი მათგანი სწორედ აქ დაოსტატდა და ქორეოგრაფიული ხელოვნება პროფესიად გაიხადა.

ალექსანდრე ჯიჯეიშვილი 10 წელზე მეტ ხანს უნარიანად ხელმძღვანელობდა აჭარის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების საქმიანობას. მისი ინიციატივითა და მხარდაჭერით შეიქმნა მრავალი მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი.

ალექსანდრე ჯიჯეიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა სათანადოდ დააფასეს ზემდგომმა ორგანოებმა: მას მრავალჯერ აქვს მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს და აჭარის კულტურის სამინისტროს, საქართველოს და აჭარის პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და აჭარის საოლქო კომიტეტის საპატიო სიგელები და მედლები.

1948 წელს ქორეოგრაფიის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის ალექსანდრე ჯიჯეიშვილს მიენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის, ხოლო 1957 წელს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდებები.

მოცეკვავეები

ქართული ხალხური ცეკვის განვითარების, პოპულარიზაციისა და პროპაგანდის საქმეში ქორეოგრაფებთან ერთად უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართველმა მოცეკვავეებმა. ცნობარში წარმოდგენილი მსახიობები ძირითადად გაერთიანებულნი არიან ისეთ სახელმოხვეჭილ კოლექტივებში, როგორიცაა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, აჭარის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ანსამბლები ზოგი მათგანი მოღვაწეობს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, ბევრნი კი თვითმოქმედებასთან არიან დაკავშირებულნი.

ქართველ მოცეკვავეთა ოსტატობის, შესრულების მაღალი კულტურის წყალობით, ასე მკაფიოდ რომ ავლენს ქართული ხალხური ქორეოგრაფიის თვითმყოფადობასა და მხატვრულ სახეთა სიმდიდრეს, ქართულმა ცეკვამ დიდი პოპულარობა მოიპოვა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ხალხებს შორის. ძალზე ვრცელია ამ ანსამბლების და ინდივიდუალურ შემსრულებელთა საგასტროლო მარშრუტები მათ სისტემატურად იწვევენ კონცერტებით ჩვენს ქვეყანაში თუ საზღვარგარეთ. ამიტომაც მოცეკვავეთა ბიოგრაფიებში არ გამოვყოფთ ცალკე საგასტროლო მოღვაწეობას რადგან ქართული ცეკვის საყოველთაო აღიარებაში ცნობარში წარმოდგენილ ყველა მოცეკვავეს მიუძღვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ღვაწლი.

აბაზაძე
მანანა ლევანის ასული

დაიბადა 1947 წლის 23 ივლისს ქ. კალინინგრადში.

ქორეოგრაფიული ხელოვნების ანბანი თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქორეოგრაფიულ წრეში შეისწავლა, პროფესიული განათლება კი თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მიიღო.

1963 წლიდან დღემდე მანანა აბაზაძე საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის მოცეკვავე მსახიობია. ანსამბლში მუშაობის პროცესში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით საგრძნობლად დაიხვეწა და ამაღლდა მანანა აბაზაძის საშემსრულებლო ხელოვნება. იგი თავიდანვე ერთ-ერთი წამყვანი მოცეკვავე იყო და მთელს რეპერტუარში იყო დაკავებული, მაგრამ საგანგებოდ მაინც უნდა გამოიყოს ცეკვები — „აჭარული“ და „ხევსურული“ ქართული ხალხური ქორეოგრაფიული კულტურის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მანანა ლევანის ასული აბაზაძე დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საპატიო სიგელებით. 1981 წელს მას მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1986 წელს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდებები.

ანსამბლში მოღვაწეობის პარალელურად მ. აბაზაძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა, თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს ქორეოგრაფიული სტუდიის მოსწავლეებს.

ადზინბა
ვერა ზაქარიას ასული

დაიბადა 1923 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ჯგერდაში. მისი მამა ზაქარია შესანიშნავად უკრავდა და მღეროდა თვითნაკეთი ხალხური საკრავების თანხლებით. პატარა ვერაც მამასთან ერთად ასრულებდა აფხაზურ სიმღერებსა და ცეკვებს.

ამიტომაც ვერას მშობლებმა ნიჭიერი გოგონა სოხუმის საბალეტო სკოლაში შეიყვანეს. აქ იგი კარგად დაეუფლა ხალხურ ცეკვებს. მალე ქართულ-აფხაზური სიმღერისა და ცეკვის ეთნოგრაფიულ გუნდშიც ჩარიცხეს (ხელმძღვანელი ფანცულაია).

1945-1946 წლებში ვ. ადზინბა უკვე თვითონ დგამდა დამოუკიდებლად ქართულ-აფხაზურ ცეკვებს ოჩამჩირისა და გუდაუთის კულტურის სახლებში. მის მიერ დადგმული ცეკვებიდან საყურადღებოა „აფხაზური საქორწილო", „საკოლმეურნეო", „სვანური" და სხვ.

25 წელი იმუშავა ვ. ადზინბამ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში სოლისტ-მოცეკვავედ. ამ ხნის განმავლობაში მან მრავალი ცეკვა შეასრულა, მათ შორის განსაკუთრებული სიყვარულით იგონებს „აფხაზურ საქორწილოს", „მოხეურს", „ფარიკაობას" და „ჩაგუნას", რომლებშიც მოცეკვავემ თავისი მდიდარი შესაძლებლობანი გამოავლინა.

ქართულ-აფხაზური ხალხური ქორეოგრაფიის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ვერა ზაქარიას ასული ადზინბა 1958 წელს დაჯილდოვდა მედლით „შრომითი წარჩინებისათვის", იმავე წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, ხოლო ცოტა მოგვიანებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 3 მარტის ბრძანებულებით, აფხაზეთის სახალხო არტისტის წოდებები.

1962 წლიდან იმყოფება ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალურ პენსიაზე.

ართმელაძე
მუჰამედ სულეიმანის ძე

დაიბადა 1928 წელს აჭარის ასსრ შუახევის რაიონის სოფ. ხაბალაშვილებში.

თვითნასწავლი მოცეკვავე მუჰამედ ართმელაძე პირველად 1954 წელს წარსდგა ფართო აუდიტორიის წინაშე და იმთავითვე დაიმსახურა მაყურებლის მოწონება. წარმატებით ფრთებშესხმული ახალგაზრდა 1955 წელს თვითონ ჩაუდგა სათავეში ხაბალაშვილების სოფელში ახლადგახსნილ კლუბთან ჩამოყალიბებულ ქორეოგრაფიულ ჯგუფსა და 1960 წლამდე ხელმძღვანელობდა მას.

მ. ართმელაძე „განდაგანას" ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად ითვლებოდა, ამ ცეკვით გამოდიოდა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე და საზეიმო კონცერტებზე. მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებულ რესპუბლიკურ დათვალიერებაზე მუჰამედ ართმელაძე დიპლომითა და ოქროს პატარა მედლით დააჯილდოეს.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მუჰამედ სულეიმანის ძე ართმელაძეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. იგი დაჯილდოებულია ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო მედლით, ქების სიგელებითა და დიპლომებით.

ღვაწლმოსილი მოცეკვავე დღესაც გატაცებით მუშაობს შუახევის კულტურის სახლთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში (ხელმძღვანელი ა. დავითაძე).

ბალისევიჩ-ქორიძე
ლევან ივანეს ძე

დაიბადა 1919 წლის 3 მარტს ქ. თბილისში. ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული მკვირცხლი და დაუდეგარი მოსწავლე გულმოდგინედ ვარჯიშობდა და ადვილად ითვისებდა ქართული ხალხური ცეკვის რთულ ილეთებს გლეხთა სახლის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლში (ლოტბარი აკაკი ქარსელაძე, ქორეოგრაფი დავით ჩიკვაიძე). შემდეგ შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობდა სამსახიობო ფაკულტეტზე.

1942 წელს თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ლევან ბასილევიჩ-ქორიძე მსახიობად ჩარიცხეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

1944 წელს იგი საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში გადავიდა მსახიობ-მოცეკვავედ.

ლ. ბალისევიჩმა ანსამბლის შემადგენლობაში 17 წელი იმოღვაწა, ითვლებოდა ერთ-ერთ წამყვან მოცეკვავედ. იგი ერთნაირი ოსტატობით ასრულებდა პარტიებს ანსამბლის რეპერტუარის თითქმის ყველა ცეკვაში, ახასიათებდა ნაწარმოების შინაგანი განცდისა და არტისტულად წარმოსახვის უნარი.

ლევან ივანეს ძე ბალისევიჩ-ქორიძეს ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1961 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია აგრეთვე მედლით „1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში თავდადებული შრომისათვის", საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ბარამიძე
შარლოტა ვარლამის ასული

დაიბადა 1925 წლის 17 თებერვალს. თბილისის 28-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1943 წლის სექტემბრიდან, მოცეკვავე მსახიობად იწყებს მუშაობას საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში; 1953 წლიდან 1960 წლამდე კი უკვე საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის წამყვანი მოცეკვავე-მსახიობია.

შარლოტა ბარამიძე იმ მოცეკვავე ქალთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც ერთ-ერთი პირველი მივიდა საქართველოში ახლადშექმნილ პროფესიულ კოლექტივში და ბევრ ქალიშვილს მისცა ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში შემდგომი მუშაობის სტიმული.

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შარლოტა ვარლამის ასულ ბარამიძეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1960 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება, დაჯილდოებულია აგრეთვე მედლით — „1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში თავდადებული შრომისათვის“

ბასილაშვილი
დავით გიორგის ძე

დაიბადა 1935 წლის 10 მაისს ქ. თბილისში. 1951-52 წლებში მუშაობდა სოხუმის სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებულ ცეკვის ანსამბლში საქართველოს სახალხო არტისტის ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანელობით, ხოლო 1953-54 წლებში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში სოლისტ მოცეკვავედ.

1954 წლიდან იგი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში მიიწვიეს.

ანსამბლში მუშაობის პერიოდში მან მრავალი დასამახსოვრებელი სახე შექმნა. წარმატებით გამოდიოდა „ფარცაში", „ხორუმში" ღირსეულ პარტნიორობას უწევდა ნინო რამიშვილს „ჯეირანში", უბადლო იყო „ხევსურულში", „კინტოურში" და ა. შ. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ცეკვა „ოსური", რომელსაც წლების მანძილზე ასრულებდა და ყოველთვის აღიარება ხვდებოდა წილად.

ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით დავით გიორგის ძე ბასილაშვილს 1963 წელს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

დ. ბასილაშვილი დაჯილდოვებული იყო მედლით „შრომითი მამაცობისათვის", აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით.

გარდაიცვალა 1977 წლის 29 იანვარს.

ბასილაშვილი
ზაირა გერონტის ასული

დაიბადა 1940 წლის 14 დეკემბერს ქ. თბილისში.

1960 წელს მიიღეს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში.

ახალგაზრდა ნიჭიერმა მოცეკვავემ მალე დაიმკვიდრა ანსამბლში ერთ-ერთი წამყვანი მოცეკვავე-მსახიობის ადგილი. გარდა იმისა, რომ ზაირა ბასილაშვილი ანსამბლის რეპერტუარით გათვალისწინებულ თითქმის ყველა ცეკვაში მონაწილეობდა, იგი წარმატებით ასრულებდა სოლო პარტიებს „დავლურში", „სამაიაში", „ხაბარდასა" და სხვა ცეკვებში.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 9 დეკემბრის ბრძანებულებით ზაირა გერონტის ასულ ბასილაშვილს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. იგი დაჯილდოებულია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის საპატიო სიგელებით, მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება.

ზ. ბასილაშვილი დღესაც დიდი სიყვარულით ეკიდება საყვარელ საქმეს და ანსამბლის ერთ-ერთ მოწინავე მსახიობად ითვლება.

ბაღდადიშვილი ზურაბ ხასანის ძე

დაიბადა 1940 წლის 5 ივლისს ქ. ბათუმში. ზურაბ ბაღდადიშვილი ბავშვობიდანვე ამჟღავნებდა მუსიკისა და ცეკვისადმი დიდ ინტერესს, იგი პირველად მხოლოდ 16 წლის ასაკში ეზიარა ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ბათუმის რკინიგზის კლუბთან არსებულ თვითმოქმედ ანსამბლში ქორეოგრაფ ა. დიასამიძის ხელმძღვანელობით: სულ მალე იგი გახდა „ განდაგანასა“ და „ხორუმის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო შემსრულებელი.

1957 წელს ზურაბ ბაღდადიშვილი ანსამბლთან ერთად მონაწილეობდა ა/კ რკინიგზის საგზაო კოლექტივების მხატვრული თვითმოქმედების ფესტივალში. მან დოლის თანხლებით წარმატებით შეასრულა „განდაგანა“, „ხორუმი“, „მთიულური“ და ფესტივალის ჟიურის ერთსულოვანი მოწონება და ქების სიგელი დაიმსახურა.

1958 წლიდან ზ. ბაღდადიშვილს ვხვდებით აჭარკოოპკავშირის კლუბთან არსებულ სახალხო ანსამბლში (ქორეოგრაფი გივი ჩიხლაძე), სადაც მისმა როგორც მედოლე-მოცეკვავეს საშემსრულებლო ხელოვნებამ მაღალ პროფესიულ დონეს მიაღწია.

1959 წელს ზ. ბაღდადიშვილი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. აქ მან მოცეკვავეთა მცირე ანსამბლი ჩამოაყალიბა და სისტემატურად გამოყავდა ჯარისკაცულ დღესასწაულებზე, რისთვისაც 1960 წელს ფესტივალში მონაწილეობისათვის სარდლის ქების სიგელით დააჯილდოეს. სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ კვლავ თავის სპეციალობას დაუბრუნდა და 1963 წელს მონაწილეობა მიიღო შავიზღვისპირეთის ფესტივალში და ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

1966 წლიდან ზ. ბაღდადიშვილი აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მედოლე-მოცეკვავეა. 1967 წელს საბჭოთა კავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებულ სიმღერისა და ცეკვის საკავშირო კონკურსზე ლაურეატის წოდება მიანიჭეს. 1968 წელს ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა III რესპუბლიკურ კონკურსში „განდაგანას" წარმატებით შესრულებისათვის დიპლომით დააჯილდოეს.

1971 წელს გამოდიოდა სკკპ XXIV ყრილობის საზეიმო კონცერტზე კრემლის ყრილობათა სასახლეში.

ზ. ბაღდადიშვილი არის ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა III, IV და VI რესპუბლიკური კონკურსების სამგზის ლაურეატი, I ხარისხის დიპლომისა და ოქროს მედლის მფლობელი.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ზურაბ ხასანის ძე ბაღდადიშვილს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 26 სექტემბრის ბრძანებულებით მიენიჭა ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება და საპატიო სიგელი. დაჯილდოებულია ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამკერდე ნიშნით.

ბერაძე
გრიგოლ (გიზო) აკაკის ძე

დაიბადა 1930 წლის 4 ოქტომბერს წყალტუბოს რაიონის სოფ. მუხიანში. ქუთაისის ვაჟთა მე-20 საშუალო სკოლის წარჩინებული მოსწავლე პარალელურად ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ცეკვავდა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1949 წელს სწავლა განაგრძო თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე და ცეკვავდა ამავე ინსტიტუტის თვითმოქმედ საესტრადო ანსამბლში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1955-1958 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში სოლისტ-მოცეკვავედ და თან სწავლას განაგრძობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში მექანიზმებისა და მანქანების თეორიის კათედრაზე.

ასპირანტურადამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტი ცეკვის სიყვარულმა და წლებით მოპოვებულმა ოსტატობამ იგი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში მიიყვანა. 1958 წლიდან 1962 წლამდე ცეკვავდა ამ სახელოვან კოლექტივში თავის განუყრელ პარტნიორთან-იაკობ ზედაშიძესთან ერთად. საყოველთაო აღიარება ხვდა მათ დუეტ „ფარიკაობაში", „მთიულურსა" და „ყაზბეგურში"

გ. ბერაძე არის მსოფლიო ახალგაზრდობის V და VI ფესტივალების, აგრეთვე ხალხური ცეკვის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი.

ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის გრიგოლ აკაკის ძე ბერაძეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1966 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. 1968 წლიდან მუშაობს საინჟინრო დარგში.

ბერაძე
ჯუმბერ ვიქტორის ძე

დაიბადა 1944 წლის 22 ივლისს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში მოცეკვავე-მსახიობად. იმავე წელს შევიდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც 1971 წელს დაამთავრა.

1971 წელს დააწინაურეს კომკავშირულ სამუშაოზე და 1973 წლის ივნისამდე საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის აპარატში მუშაობდა.

1973 წლიდან იგი კვლავ დაუბრუნდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს და 1984 წლამდე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა.

ანსამბლის ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი ჯ. ბერაძე მონაწილეობდა რეპერტუარში შემავალ ყველა ცეკვაში. დაჯილდოებული იყო საუკეთესო სცენური მონაცემებით. განსაკუთრებით ძლიერი იყო მთიულურ ცეკვებში, სარგებლობდა მაყურებლის დიდი მოწონებით.

საცეკვაო ხელოვნებაში მოპოვებული დიდი წარმატებისათვის ჯუმბერ ვიქტორის ძე ბერაძეს 1971 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1981 წელს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდებები. დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

ანსამბლიდან წამოსვლის შემდეგ (1984 წ.) მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორის მოადგილედ. ამჟამად კი რესპუბლიკური გაერთიანების „საქატრაქციონის" დირექტორია.

ბერიანიძე
რუსუდან გიორგის ასული

დაიბადა 1958 წლის 12 ივლისს თბილისში.

ცეკვას დაეუფლა ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სახელმწიფო სკოლა-სტუდიაში ცნობილი ქართველი მოცეკვავის რესპუბლიკის სახალხო არტისტის ფრიდონ სულაბერიძის ხელმძღვანელობით.

1975 წელს სკოლა-სტუდიის წარმატებით დამთავრების შემდეგ მოცეკვავე-მსახიობად მიიღეს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის შემადგენლობაში.

რუსუდან ბერიანიძე სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საშემსრულებლო პროგრამას, მაგრამ განსაკუთრებული ოსტატობით ასრულებს ეროვნული ქორეოგრაფიის გვირგვინს-ცეკვა „ქართულს“.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში გაწეული თვალსაჩინო ღვაწლისათვის რუსუდან გიორგის ასულ ბერიანიძეს 1985 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ამჟამად რუსუდან ბერიანიძე ანსამბლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოცეკვავე-მსახიობია.

ბიკოევა
ვერა ალექსის ასული

დაიბადა 1928 წლის 1 მარტს სამხრეთ ოსეთის სოფ. დზარში. 1946 წლიდან მუშაობას იწყებს სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში სოლისტ-მოცეკვავედ. თავის წარმატებას ხალხურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში უმადლის მ. ბიდაევს, გრ. გაბარაევს, გ. თედეევსა და ვ. ჯატიევს, რომლებიც სხვადასხვა დროს მისი მასწავლებლები და ანსამბლის ქორეოგრაფები იყვნენ.

ვ. ბიკოევა ანსამბლის რეპერტუარით გათვალისწინებულ თითქმის ყველა ცეკვაში გამოდიოდა, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი შესრულებით „წყვილთა ნარნარი", „წყაროსთან", „მეტოქეთა ცეკვა" და სხვ.

ეროვნული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ვერა ალექსის ასულ ბიკოევას მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება. დაჯილდოებულია საპატიო სიგელით და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის", ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო სამკერდე ნიშნით.

ბოლქვაძე
თეიმურაზ კონსტანტინეს ძე

დაიბადა 1949 წლის 9 ივნისს ქალაქ ბათუმში. ცეკვას იგი დაეუფლა სკოლაში, მოსწავლეთა თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლში (ხელმძღვანელი ენვერ ხაბაძე).

1953—1966 წლებში წარმატებით გამოდიოდა ბათუმის პიონერთა პარკის ცეკვის ანსამბლ „გაზაფხულის" შემადგენლობაში (ხელმძღვანელები ე. ხაბაძე და ზ. ლაზიშვილი).

1966 წელს გახდა მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი. იმავე წელს მოცეკვავედ ჩაირიცხა აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში და დღემდე ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა ამ კოლექტივში.

თ. ბოლქვაძე წლების მანძილზე ანსამბლში მონაწილეობის პარალელურად ხელმძღვანელობს ბათუმის სხვადასხვა სკოლაში მოსწავლეთა თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივებს.

1977 წლიდან თ. ბოლქვაძე აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფის პედაგოგ-რეპეტიტორად დანიშნეს.

იგი მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური და ახალგაზრდობის საკავშირო ფესტივალების ლაურეატია (1966, 1967 წლები).

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 17 მარტის ბრძანებულებით თეიმურაზ კონსტანტინეს ძე ბოლქვაძეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

ბუაძე
ანზორ ვასილის ძე

დაიბადა 1933 წელს 7 აგვისტოს ქ. თბილისში. ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ეზიარა ა/კ რკინიგზის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლში მ. ბახტაძის ხელმძღვანელობით.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1952 წელს ატარებული კონკურსის შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში და აქ, ჯერ დ. ჯავრიშვილისა და შემდეგ ა. თათარაძის ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა როგორც პროფესიონალი მოცეკვავე. იგი წარმატებით ასრულებდა „მთიულურს", „ფარიკაობას", „კინტოურსა" და სხვა ცეკვებს.

1956 წლიდან ანზორ ბუაძე საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის მოცეკვავე მსახიობია. იგი წარმატებით გამოდიოდა როგორც მასობრივ, ისე სოლო ცეკვებში („მოხეური", „კინტოური", „ფარიკაობა", „ხორუმი", „ხაბარდა" და სხვ).

1958 წელს მოსკოვში ჩატარებულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში წარმატებით მონაწილეობისათვის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ა. ბუაძე დაჯილდოვდა მედლით „შრომითი წარმატებისათვის"

1962 წელს ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსზე მთიულური ცეკვების მაღალ დონეზე შესრულებისათვის მიენიჭა კონკურსის ლაურეატის წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის ბრძანებულებით ანზორ ვასილის ძე ბუთძეს რესპუბლიკის დამსახურებული.არტისტის წოდება მიენიჭა.

იგი ამჟამად ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბილისის ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სახელმწიფო სკოლა-სტუდიაში.

გაბაიძე
თოფუზ როსტომის ძე

დაიბადა 1912 წელს ხულოს რაიონის სოფ. ხიხაძირში.

„ხორუმისა“ და „განდაგანას“ ერთ-ერთი უპირველესი და უბადლო შემსრულებელი თოფუზ გაბაიძე ხელოვანთა იმ რიცხვს ეკუთვნის, ვისაც ბავშვობიდან ოჯახშივე ჩაესახა სიმღერისა და ცეკვის სიყვარული.

უფროსი ბიძის ვეზირ მიქელაძისა და იმდროისათვის აჭარაში კარგად ცნობილ მეჭიბონე ედეჰემ სურმანიძის („ქოჩახელა“) ხელშეწყობით ნიჭიერი ახალგაზრდა კარგად დაეუფლა ქართულ ხალხურ სიმღერებს, ქართულ ხალხურ ცეკვებს, დოლზე დაკვრას.

თ. გაბაიძის საშემსრულებლო ხელოვნება კიდევ უფრო დაიხვეწა 1930-იან წლებში ხიხაძირის სასოფლო კლუბთან არსებული სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმელ ანსამბლში, რომელსაც 80 წელს გადაცილებული სახელგანთქმული მოცეკვავე ასლან აბაშიძე და მეჭიბონე ქოჩახელა ხელმძღვანელობდნენ.

1934 წელს თბილისში გამართულ ამიერკავკასიის ხალხთა მხატვრული თვითმოქმედების პირველ ოლიმპიადაზე ახალგაზრდა თ. გაბაიძემ ბრწყინვალედ შეასრულა „ხორუმის“ ე. წ. ჩამკეტის როლი.

მეორე დიდი წარმატება თ. გაბაიძემ 1936 წელს საქართველოს მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების მეორე ოლიმპიადაზე მოიპოვა. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ა. ცეცხლაძესთან და ი. კახიძესთან ერთად უბადლოდ შეასრულა „განდაგანა“ და ამ ცეკვის შემსრულებლის პირველოსანი სახელი დაიმკვიდრა.

1941 წელს სამხედრო ნაწილში, სადაც ის მსახურობდა, სიმღე-

რისა და ცეკვის ანსამბლი ჩამოაყალიბა და ჯარის ნაწილებში კონცერტებს მართავდა.

1942 წლიდან მოყოლებული 1973 წლამდე (პენსიაზე გასვლამდე) თ. გაბაიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა ბორჯომის, ხულოს, ხიხაძირის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და დიდი სიყვარულით ემსახურებოდა მშობლიური ქართული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეს, რისთვისაც მას აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის სახელი მიანიჭეს.

ღვაწლმოსილი ქორეოგრაფი და ლოტბარი ახლაც ახალგაზრდული შემართებით ხელმძღვანელობს ბათუმის სახანძრო რაზმის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლს.

გაბელია
ვლადიმერ ანდროს ძე

დაიბადა 1942 წლის 24 ივნისს გეგეჭკორის რაიონის სოფ ნახარებაოში. ცეკვა დაიწყო 1950 წელს ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. ქართულ ცეკვას ასწავლიდნენ ა. ჩიხლაძე, მ. ბახტაძე, რ. ჭოხონელიძე. ვ. მამრიკაშვილი, ბ. დარახველიძე.

1959-დან 1961 წლამდე ვ. გაბელია თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში თავად ასწავლის ცეკვას. ხოლო 1961 წლიდან ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის მოცეკვავე მსახიობია და ცეკვის კლასს იმაღლებს ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

გაბელიას მიერ შესრულებული ცეკვებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „აჭარული", „ფარიკაობა", „მხედრული", „ხანჯლური", „კინტოური" და „შეჯიბრი"

1971 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ვლადიმერ ანდროს ძე გაბელიას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

ამავე წელს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა იგი დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

გაბისონია
ხუტა დარასმანის ძე

დაიბადა 1920 წლის 25 მარტს ქ. გალში. ხუტა გაბისონია. როგორც მოცეკვავე 1935 წელს გამოჩნდა და იმთავითვე მიიქცია სპეციალისტების ყურადღება. განსაკუთრებული პლასტიკურობითა და რიტმის გრძნობით გამოირჩეოდა მის მიერ შესრულებული „მთიულური", „აფხაზური", „კავკასიური", „სვანური" და „სიმდი"

ხ. გაბისონიამ 1938 წელს „მთიულურის" ბრწყინვალე შესრულებისათვის ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონკურსზე პირველი ადგილი და ფულადი ჯილდო დაისაკუთრა. ამავე წელს მიიწვიეს იგი აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში (ქორეოგრაფი რ. აგრბა).

1938 წელს საქართველოს მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების მეხუთე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, თბილისში „მთიულურის" უბადლო შესრულებისათვის ხ. გაბისონიას კვლავ პირველი ადგილი და ფულადი პრემია მიანიჭეს.

1942 წლამდე გაბისონია აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ცეკვავდა, ხოლო 1942 წელს, როცა ანსამბლი ფრონტის ხაზს ეწვია, შექმნა მოცეკვავეთა ბრიგადა და 242-ე ქართველ მსროლელთა დივიზიაში დარჩა.

1943 წლის დასასრულს მოცეკვავე დაბრუნდა სოხუმში და ისევ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში განაგრძო მოღვაწეობა.

1958 წელს თბილისში აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებისათვის ხუტა დარასმანის ძე გაბისონია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა, ხოლო 1972 წელს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მას ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიანიჭა.

გარდაიცვალა 1976 წლის 15 ოქტომბერს.



გალავანოვი ვლადიმერ ილიას ძე

დაიბადა 1948 წლის 23 ოქტომბერს სამხრეთ ოსეთში, ჯავის რაიონის სოფ. ხცისში.

1966 წელს მან დაამთავრა ჯავის საშუალო სკოლა და იმავე წელს მიიღეს სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „სიმდში" მოცეკვავე მსახიობად.

ანსამბლში მუშაობის პერიოდში ვ. გალავანოვმა გამოავლინა ხალხური ცეკვების შემსრულებლისათვის აუცილებელი ყველა თვისება: — მუსიკალობა, გარდასახვის უნარი, რის გამოც ანსამბლის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოცეკვავედ ითვლება.

ვ. გალავანოვი ანსამბლის რეპერტუარით გათვალისწინებულ ყველა ცეკვას ზედმიწევნით მაღალი ოსტატობით ასრულებს, მაგრამ განსაკუთრებით შთამბეჭდავია მშობლიური ოსური ხალხური ცეკვების შესრულებისას.

სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ოსური და ქართული ხალხური ქორეოგრაფიის პროპაგანდისა და პოპულარიზაციის საქმეში თვალსაჩინო ღვაწლისათვის ვლადიმერ ილიას ძე გალავანოვს 1979 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ანსამბლის ვეტერანი მსახიობი ამჟამად დიდი სიყვარულით ეკიდება საყვარელ საქმეს და ერთ-ერთ მოწინავე მოცეკვავე მსახიობად ითვლება.

გარუჩავა
შალვა ანტონის ძე

დაიბადა 1944 წლის 2 სექტემბერს ქ. ცხაკაიაში. 12 წლისა იყო, როცა ცეკვის დიდმა სიყვარულმა ქ. ცხაკაიას სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მიიყვანა. ნიჭიერი ახალგაზრდა გამოცდილი ქორეოგრაფის ალექსანდრე (საშა) ჯიჯეიშვილის ხელმძღვანელობით მალე ანსამბლის მოწინავე მოცეკვავე მსახიობი გახდა და 1949 წლამდე აქტიურად მონაწილეობდა ანსამბლის შემოქმედებით მუშაობაში.

1949 წლიდან 1969 წლამდე შ. გარუჩავა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლშია. მოცეკვავე მსახიობი ორი ათეული წლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა მშობლიური ქართული ცეკვის ხელოვნებას.

შ. გარუჩავა თითქმის ყველა ცეკვაში მონაწილეობდა, მაგრამ მას განსაკუთრებით უყვარდა „ფარცა", „ხორუმი", „მხედრული" და „შეჯიბრი"

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 4 მაისის ბრძანებულებით შალვა ანტონის ძე გარუჩავას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. იგი დაჯილდოებულია მედლით „1941-45 წლებში შრომითი მამაცობისათვის" და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

გიორგაძე
ნოდარ პეტრეს ძე

დაიბადა 1933 წლის 21 დეკემბერს ქ. თბილისში. 11 წლის მოზარდი ქართული ხალხური ცეკვის შესასწავლად ა/კ რკინიგზის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლში მიიყვანეს ქორეოგრაფ მიხეილ ბახტაძესთან. შეგირდმა კარგი მოცეკვავისათვის აუცილებელი ნიჭი და უნარი გამოამჟღავნა და მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

1950 წელს მზარდი მოცეკვავე ჯანო ბაგრატიონმა აიყვანა აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ორკესტრში მოცეკვავედ.

1952 წლიდან 1970 წლამდე (პენსიაზე გასვლამდე) ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში. აქ ქართული ცეკვის კორიფეების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით ნ. გიორგაძემ გაიარა ქართული ხალხური ცეკვების შემსრულებლის რთული პროფესიული სკოლა და მაღალ საშემსრულებლო დონეს მიაღწია.

ნ. გიორგაძე ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყველას ცეკვას, რომელსაც ის ასრულებდა.

1958 წელს მოსკოვში გამართულ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მონაწილეობისათვის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 6 მაისის ბრძანებულებით ნოდარ პეტრეს ძე გიორგაძე დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 16 თებერვლის ბრძანებულებით მას მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

ქართული ეროვნული კულტურის პროპაგანდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის და მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია აგრეთვე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით.

ნოდარ გიორგაძეს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი.

გარდაიცვალა 1986 წელს.

გოგინავა ჯეირან ივანეს ძე

დაიბადა 1946 წლის 15 სექტემბერს ქ. წყალტუბოში.

ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეზიარა წყალტუბოს პიონერთა სახლის თვითმოქმედ ცეკვის ანსამბლში ვალერიან ბრეგვაძის ხელმძღვანელობით. 1961-1962 წლებში ცეკვავდა ქ. თბილისის ძერჟინსკის სახელობის კლუბთან არსებულ ანსამბლ „მხედრულში" (ხელმძღვანელები გრიგოლ და ჰამლეტ კობეშავიძეები). 1962-63 წლებში იყო თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს თვითმოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლის სოლისტი-მოცეკვავე (ხელმძღვანელი ბ. დარახველიძე).

1964 წლიდან ჯეირან გოგინავა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის სოლისტია. მის საშემსრულებლო რეპერტუარში განსაკუთრებული ოსტატობით გამოირჩევა მთიულური ცეკვები და კინტოური „ძველი თბილისის სურათებიდან".

ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, აგრეთვე ქართული ხალხური ქორეოგრაფიული კულტურის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის ჯეირან ივანეს ძე გოგინავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 10 დეკემბერს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. იგი დღესაც დიდი სიყვარულით განაგრძობს ანსამბლში მუშაობას.

გომართელი
თინათინ შალვას ასული

თინა გომართელი დაიბადა 1925 წლის 8 ოქტომბერს ქ. თბილისში. 21 წლის მანძილზე სიყვარულით ემსახურებოდა მშობლიური ხალხური ცეკვის ხელოვნებას. მოცეკვავე თავის წარმატებებს დიდად უმადლის ეროვნული ქორეოგრაფიის დიდოსტატებს ნინო რამიშვილს, ილიკო სუხიშვილსა და ჯანო ბაგრატიონს.

თ. გომართელი ჯერ (1945—50 წლებში) ქართლ-კახური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი იყო, ხოლო 1950-1956 წლამდე აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მოღვაწეობდა და აქაც წვლილი შეჰქონდა ამ კოლექტივების შემოქმედებით წარმატებაში, 1955-56 წლებში საქართველოს ხალხური ცეკვს ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობია, ხოლო 1956—1966 წლებში საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სოლისტი.

თ. გომართელი მაღალი ოსტატობით ასრულებდა „ქართულსა“ და „ოსურს“ განსაკუთრებით მიმზიდველი იყო მის მიერ შესრულებული „ნეტავი გოგოვ“, „პაემანი“, „უზუნდარა“ და მრავალი სხვა. მაყურებელი და პრესა ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა მის საშემსრულებლო ხელოვნებას.

თ. გომართელმა 1962 წელს მონაწილეობა მიიღო ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსში და „ქართულისა“ და „მთიულურის“ წარმატებით შესრულებისათვის ლაურეატის საპატიო წოდება დაიმსახურა.

1958 წელს მან მონაწილეობა მიიღო მოსკოვში გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში.

სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის ბრძანებულებით თინათინ შალვას ასულ გომართელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მაღალი წოდება და გადაეცა საპატიო სიგელი.

გუგუტიშვილი
მედეა გიორგის ასული

დაიბადა 1949 წლის 3 სექტემბერს ქ. ცხინვალში. ქორეოგრაფიული ხელოვნების ანბანი სკოლის მხატვრული თვითმოქმედების ანსამბლში შეისწავლა.

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მ. გუგუტიშვილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „სიმდში" მიიღეს მოცეკვავე-მსახიობად.

ბუნებით მომადლებული ნიჭისა და შრომისმოყვარეობის წყალობით მ. გუგუტიშვილმა მალე აითვისა ანსამბლის საცეკვაო პროგრამა და ერთ-ერთი მოწინავე მსახიობი გახდა. მისი რეპერტუარიდან უნდა გამოვყოთ ცეკვები: „ქართული", „ოსური", „წყვილთა ნარნარი", „პაემანი", „განდაგანა", „მწყემსური", აგრეთვე სოლო პარტიები მუსიკალურ-ქორეოგრაფიული სიუიტებიდან „ალანები", „შეყვარებული მაშტიბადი" და სხვ.

მოცეკვავე მსახიობს თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ანსამბლის საგასტროლო მოღვაწეობაში. 1971 წელს კოლექტივთან ერთად მონაწილეობდა სკკპ XXIV ყრილობის დელეგატებისათვის გამართულ კონცერტში კრემლის ყრილობათა სასახლეში.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული კულტურის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში გაწეული ნაყოფიერი შრომისა და თვალსაჩინო დამსახურებისათვის მედეა გიორგის ასულ გუგუტიშვილს 1979 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

გუნაშვილი
ვახტანგ ბესარიონის ძე

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბელეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი. ცეკვა „ქართულის" უბადლო შემსრულებელი ვახტანგ გუნაშვილი დაიბადა 1926 წლის 12 თებერვალს ქ. თბილისში.

ქართული ცეკვის საფუძვლებს დაეუფლა 1937—1940 წლებში თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პიონერთა კლუბთან არსებულ ცეკვის თვითმოქმედ წრეში მიხეილ რაქვიაშვილის ხელმძღვანელობით.

1939 წელს მონაწილეობდა პიონერთა და მოსწავლეთა პირველ რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, სადაც პირველი ადგილი დაიკავა.

1945 წელს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებულ ქართულ ჯგუფში, ხოლო 1946-დან 1949 წლამდე იყო საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავე-სოლისტი.

1947 წელს ჩაირიცხა და 1950 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებული საბალეტო სტუდია (დირექტორი და მხატვრული ხელმძღვანელი დ. ჯავრიშვილი).

1950 წელს, სტუდიის დამთავრებისთანავე, მიიღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ბალეტის მსახიობად. იგი დღესაც ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა ამ სახელოვან კოლექტივში.

ვახტანგ გუნაშვილის რეპერტუარიდან აღსანიშნავია ოცამდე დასახელების სოლო პარტია ქართულ ოპერებში, რამაც დიდი აღიარება მოუხვეჭა შემოქმედს.

მსახიობის წარმატება დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელთან.

ხელოვანის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე მუშაობამ სსრკ სახალხო არტისტთან ილიკო სუხიშვილთან, რომელმაც განახორციელა ცეკვების დადგმა ოპერა „დაისსა“ და „აბესალომ და ეთერში“.

ვ. გუნაშვილს, როგორც ქორეოგრაფს, ეკუთვნის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. საარბრიუკენის საოპერო თეატრის სცენაზე დადგმული ოპერების — „დაისისა“ და „მინდიას“ ქორეოგრაფიული გაფორმება. იგი არაერთხელ არის ნამყოფი საგასტროლოდ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასა და უცხოეთის მრავალ სახელმწიფოში.

ქართულ ხალხურ და კლასიკურ ქორეოგრაფიაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ვახტანგ ბესარიონის ძე გუნაშვილს 1961 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1974 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდებები.

ვახტანგ გუნაშვილი დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, სიგელებითა და მედლებით.

გუნია
ნონა ვალერიანის ასული

დაიბადა 1920 წლის 20 დეკემბერს ქ. თბილისში. ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ხელოვნებას ეზიარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლში საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანელობით. ცეკვა „ქართულის" ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი, ესტრადის მსახიობთა პირველი საკავშირო კონკურსის ლაურეატი ნონა გუნია ქართველმა საზოგადოებამ პირველად გაიცნო 1937 წელს, ხალხური სიმღერისა და ცეკვის საქართველოს ოლიმპიადაზე.

პრესამ და ფართო მაყურებელმა იმთავითვე აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის ნონა გუნიასა და გიორგი დარახველიძის მიერ ცეკვა „ქართულის" დახვეწილი შესრულება (ხელმძღვანელი ჯ. ბაგრატიონი).

დიდი გამარჯვება მოიპოვა ნ. გუნიამ აგრეთვე 1939 წელს ქ. მოსკოვში გამართულ ესტრადის მსახიობთა პირველ საკავშირო კონკურსზე, სადაც უანრულად მრავალფეროვან პროგრამაში მან შეესძლო სრულიად განსხვავებული ხასიათების შექმნა.

კონკურსის ჟიურიმ და მოსკოვის თეატრალურმა საზოგადოებამ ერთსულოვნად აღიარა ნ. გუნიას საშემსრულებლო ოსტატობა, არტისტიზმი და მკაფიო ინდივიდუალობა, რისთვისაც მას ლაურეატის წოდება მიენიჭა.

ნ. გუნია ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ საბოლოოდ უკავშირებს ბედს ხალხურ ქორეოგრაფიას.

სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია, ქართული ესტრადა, ქართული ჯაზ-ორკესტრების თითქმის ყველა კოლექტივი, თბილისის ზ. ფალია-

შვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი — აი ის შემოქმედებითი ორგანიზაციები, სადაც ნ. გუნია სხვადასხვა პერიოდში მოღვაწეობდა სოლისტ-მოცეკვავედ.

„ქართულთან“ ერთად ეთნოგრაფიული სიმართლითა და უშუალობით ასრულებდა იგი „განდაგანას“, „ნეტავი, გოგო, მე და შენ“, „ოსურსა“ და სხვ. განსაკუთრებით თავისებური იერი დაჰკრავდა მისი შესრულებით „საქორწილოს“, გროტესკული ხასიათის დინამიკურ „შავ რუმბას“, გრაციოზულსა და ლირიკულ „ხევსურულ სიუიტას“

1957 წელს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის 50 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ნონა ვალერიანის ასულ გუნიას მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება. 1958 წელს იგი ტოვებს სცენას. ამჟამად მუშაობს თეატრის მოღვაწეთა კავშირში მუსიკალური თეატრებისა და ქორეოგრაფიის შემოქმედებითი კაბინეტის გამგედ.

დავითაძე
ალიოსმან სულეიმანის ძე

დაიბადა 1927 წლის 15 მარტს შუახევის რაიონის სოფელ სხეფში.

ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას დაეუფლა შუახევის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივში (ხელმძღვანელი ზორბეგ ღლონტი). 1946 წელს მან მონაწილეობა მიიღო ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების რაიონულ და საქალაქო ოლიმპიადებში.

1951 წელს საქართველოს მშრომელთა მეშვიდე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ხულოს რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა თ. მელაძის ხელმძღვანელობით საპრიზო ადგილი დაიკავა. ამ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა მოცეკვავე ა. დავითაძემ, რომელიც სოლო პარტიებს ასრულებდა „ხორუმსა“ და „განდაგანაში“

1952 წელს თბილისში გამართულ აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე ა. დავითაძე გამოდიოდა ავტონომიური რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის შემადგენლობაში (ხელმძღვანელი ენ. ხაბაძე).

1953-1954 წლებში ალ. დავითაძე მუშაობდა შუახევის საშუალო სკოლაში ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელად, პარალელურად მონაწილეობდა შუახევის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში (ქორეოგრაფი გ. ოდიკაძე, ლოტბარი თ. თავბერიძე). ანსამბლმა 1955 წელს თბილისში გამართულ ახალგაზრდულ რესპუბლიკურ ფესტივალზე პირველი ადგილი დაიკავა. ალ. დავითაძე ამ ფესტივალზე „განდაგანას“ მაღალმხატვრული შესრულებისათვის პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოეს.

ალ. დავითაძე არის მსოფლიო ახალგაზრდობის 1957 წლის მეექვსე ფესტივალის მონაწილე. „ხორუმისა“ და „განდაგანას“ ბრწ-

ყინვალე შემსრულებელს არაერთხელ დაუმსახურებია საპატიო სიგელები, ჯილდოები და დიპლომები.

1977 წელს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე შუახევის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და მისი ხელმძღვანელი ალ. დავითაძე საკავშირო ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდებით, პირველი ხარისხის დიპლომითა და ოქროს დიდი მედლით დააჯილდოეს. ამჟამად იგი ჩვეული შემართებით ხელმძღვანელობს შუახევის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვისა და აჭარის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების მეჩონგურე ქალთა ანსამბლს.

ალიოსმან სულეიმანის ძე დავითაძეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

დევაძე
ნოდარ მემედის ძე

დაიბადა 1935 წლის 15 ივნისს, ქედის რაიონის სოფელ აგარაში. ნოდარ დევაძემ ცეკვა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივში შეისწავლა ალ. ჯიჯეიშვილის ხელმძღვანელობით. ფართო აუდიტორიის წინაშე პირველად ცეკვა „ქართულით" წარსდგა მოსკოვში გამართულ სტუდენტთა და ახალგაზრდობის 1956 წლის მსოფლიო ფესტივალზე, 1957 წელს იგი მონაწილეობდა თბილისში აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე და „განდაგანასათვის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელი გადაეცა.

1959-დან 1974 წლამდე მოცეკვავე მსახიობად მუშაობდა აჭარის სახელმწიფო ანსამბლში და თავისი წვლილი შეჰქონდა ამ კოლექტივის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

ნ. დევაძე ანსამბლის პროგრამით გათვალისწინებულ თითქმის ყველა ცეკვაში მონაწილეობდა. ქართულ ცეკვებთან ერთად წარმატებით გამოდიოდა აგრეთვე რუსულ, ბულგარულ, მოლდავურ, სომხურ და აზერბაჯანულ ცეკვებშიც. 1961 წელს ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა პირველ რესპუბლიკურ კონკურსზე იგი „ქართულისათვის" ვერცხლის მედლით დაჯილდოეს.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის ნოდარ მემედის ძე დევაძეს 1967 წელს მიენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ამჟამად აჭარის განათლების სამინისტროს იდეურ-ხელოვნური აღზრდის კაბინეტის მეთოდისტია და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტისა და ქახინჯაურის საშუალო სკოლის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივებში.

დვალი
ალა ვლადიმერის ასული

დაიბადა 1925 წლის 9 ნოემბერს ქ. თბილისში. თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სტუდიის დამთავრების შემდეგ 1949-დან 1973 წლამდე მუშაობდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მოცეკვავედ. დავით ჯავრიშვილისა და ვახტანგ გუნაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო წვრთნა ქართულ ცეკვებში და მალე საგულისხმო შედეგს მიაღწია: წარმატებით ასრულებდა იგი ქართულ ცეკვებს ეროვნულ ოპერებში „დაისი", „აბესალომ და ეთერი", დიდოსტატის მარჯვენა", „თქმულება შოთა რუსთაველზე" და ა. შ. საერთო აღიარება მოუტანა მას ცეკვა „ქართულმა", სადაც მისი უცვლელი პარტნიორი იყო ვახტანგ გუნაშვილი.

ალა დვალმა, როგორც ბალეტის მსახიობმა, ბევრი საინტერესო პარტია იცეკვა საბალეტო სპექტაკლებში: „გედის ტბა", „ლაურენსია", „მთების გული" „ოტელო", „გორდა" და სხვ.

ა. დვალი მსოფლიო ახალგაზრდობის ვარშავის ფესტივალის მონაწილეა (1955 წ.).

1956 წელს იგი ვახტანგ გუნაშვილთან ერთად ჩარიცხეს საბჭოთა კავშირის წამყვანი თეატრების ბალეტის სოლისტთა ნაკრებში, რომელიც ტურნეს მართავდა ისლანდიასა და დანიაში.

1957 წელს მოსკოვის დიდი თეატრის მსახიობებთან ერთად იყო გასტროლებით ბულგარეთში, 1958 წელს–სკანდინავიის, 1959 წელს — ლათინური ამერიკის ქვეყნებში, საფრანგეთსა და აფრიკაში; შემდეგ ვენის ოპერის თეატრში — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო ჯგუფთან ერთად, რომელსაც ვახტანგ ჭაბუკიანი ხელმძღვანელობდა და სხვა.

მოსკოვში, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში აქტიური მონაწილეობისათვის, ალა ვლადიმერის ასული დვალი დააჯილდოვეს ქების სიგელით, ხოლო 1961 წელს მას საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

დოლაბერიძე

იამზე ვლადიმერის ასული

დაიბადა 1939 წლის 7 დეკემბერს ქ. თბილისში. წარმატებით დაამთავრა თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი და მაშინვე ჩარიცხეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასში, მაგრამ მალე ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში მიიწვიეს. სწორედ ამ ანსამბლში დაოსტატდა იამზე დოლაბერიძე, როგორც მოცეკვავე-მსახიობი, სწორედ აქ გამოავლინა მან თავისი ნიჭის თვისებები — ლირიზმი და კეთილშობილური თავდაჭერა, გამომსახველობა და არტისტიზმი. მის ვრცელ რეპერტუარში ცენტრალური ადგილი მაინც ეროვნული ქორეოგრაფიის სწორუპოვარ ქმნილებას „ქართულს" უკავია. მან ფრიდონ სულაბერიძესთან ერთად ქართული ხალხური ცეკვის ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსში „ქართულის" ბრწყინვალე შესრულებისათვის ორგზის — 1962 და 1968 წლებში მოიპოვა პირველი ადგილი და ოქროს მედალი. მის გამოსვლებს ყოველთვის დიდი რეზონანსი ჰქონდა.

მცირე ხნით ი. დოლაბერიძე მუშაობს ანსამბლ „რუსთავის" ქორეოგრაფიული ჯგუფის სოლისტად.

ი. დოლაბერიძე ნიჭიერი მხატვარიცაა. მან წარმატებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის მოდელირების ფაკულტეტი. ი. დოლაბერიძემ ეს საქმიანობაც დაუკავშირა ცეკვას, დღეს იგი ანსამბლ „რუსთავის" კოსტიუმების ავტორად გვევლინება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით იამზე ვლადიმერის ასულ დოლაბერიძეს 1962 წელს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1971 წელს — რესპუბლიკის სახალხო არტისტის მაღალი წოდებები მიენიჭა.

ამჟამად იგი კვლავ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტია.

დოლიძე
შალვა პლატონის ძე

დაიბადა 1941 წლის 5 ივნისს ქ. თბილისში. ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნება შეისწავლა თბილისის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში ქორეოგრაფ რუბენ ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით.

1960 წელს მიიღეს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში მოცეკვავე-მსახიობად (ქორეოგრაფი-რესპუბლიკის სახალხო არტისტი ჯანო ბაგრატიონი).

1965 წლიდან შალვა დოლიძე საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის წევრია. ანსამბლში მუშაობის მრავალი წლის მანძილზე საგრძნობლად დაიხვეწა მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება. იგი მონაწილეობდა ანსამბლის რეპერტუარით გათვალისწინებულ მრავალ ცეკვაში, მაგრამ განსაკუთრებული ოსტატობით „ალვანურში", „ყაზბეგურში", „ხევსურულში" და „მხედრულში" გამოირჩეოდა.

შ. დოლიძე, როგორც ერთ-ერთი მოწინავე მოცეკვავე-მსახიობი, აქტიურად მონაწილეობდა ანსამბლის საგასტროლო საქმიანობაში.

1981 წლიდან იგი ანსამბლის სადადგმო ნაწილის გამგეა.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისათვის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის შალვა პლატონის ძე დოლიძეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

ენუქიძე

რუსუდან ივანეს ასული

დაიბადა 1933 წლის 23 ივნისს ქ. თბილისში. 1957 წელს მან წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

რუსუდან ენუქიძის, როგორც მოცეკვავის დებიუტი შედგა 1956 წელს მსოფლიო სტუდენტთა და ახალგაზრდობის მოსკოვის ფესტივალზე, სადაც ის შესანიშნავად გამოვიდა ილიკო სუხიშვილის მიერ დადგმულ „ქართულ სიუიტაში" ამის შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდა შემსრულებელი მოცეკვავედ მიიწვიეს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში.

1964 წლამდე მუშაობდა რ. ენუქიძე ამ სახელმოხვეჭილ ანსამბლში და თავისი წვლილი შეჰქონდა საყვარელი კოლექტივის წარმატებებში. ჩვენში თუ საზღვარგარეთ იგი შესანიშნავად გამოდიოდა „ფარცაში", „სამაიაში", „აჭარულ სიუიტაში", „დავლურში", „ოსურში".

ქართული საბჭოთა ქორეოგრაფიის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 29 ოქტომბრის ბრძანებულებით რუსუდან ივანეს ასულ ენუქიძეს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

1964 წელს რ. ენუქიძემ დატოვა საყვარელი ანსამბლი და დაუბრუნდა უნივერსიტეტს, სადაც იგი დღესაც ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას ეწევა დასავლეთ ევროპისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე.

ვარდოსანიძე
გურამ შალვას ძე

დაიბადა 1941 წელს 28 ოქტომბერს ქ. ზესტაფონში. ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნების ანბანი შეისწავლა ქ.ზესტაფონის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლში რევაზ აბრამიშვილის ხელმძღვანელობით. 1959 წლიდან 1961 წლამდე ცეკვავდა ქუთაისის ახალგაზრდობის ცეკვის ანსამბლში. 1961 წლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. თბილისში და მუშაობა დაიწყო ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოსთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლში (ქორეოგრაფი რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბუხუტი დარახველიძე).

1964 წლიდან საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული აკადემიური ანსამბლის წევრია. ანსამბლში მუშაობის პერიოდში კიდევ უფრო დაიხვეწა მოცეკვავის საშემსრულებლო ხელოვნება, გაიზარდა მისი ცეკვების რეპერტუარი.

გურამ შალვას ძე ვარდოსანიძე 1962 წელს ჰელსინკში გამართული მსოფლიოს სტუდენტთა და ახალგაზრდობის მერვე ფესტივალის ლაურეატია.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისათვის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გურამ შალვას ძე ვარდოსანიძე დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელით. 1981 წელს კი მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ვასაძე
ომარ სულეიმანის ძე

დაიბადა 1925 წლის 10 ნოემბერს ქობულეთის რაიონის სოფელ ხალაში. ცეკვას სკოლის თვითმოქმედ ანსამბლში იწყებს. შემდეგ ქობულეთის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის მოცეკვავეა. სხვადასხვა დროს ეწეოდა ქორეოგრაფიულ მუშაობას ხულოს სასოფლო კლუბში, ხუცუბნისა და ქაქუთის კულტურის სახლებში, ქობულეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში და სხვ.

1957 წელს ომარ ვასაძე აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლთან ერთად მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ მსოფლიო ახალგაზრდობის მეექვსე ფესტივალში.

ვასაძეების საოჯახო ქორეოგრაფიული ტრიო დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს რესპუბლიკაში. 1971 წელს საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ფესტივალზე ისინი ლაურეატები გახდნენ. ქართული ხალხური ცეკვის ინდივიდუალურ შემსრულებელთა IV და V რესპუბლიკურ კონკურსებზე პირველი ადგილები და ოქროს მედლები დაისაკუთრეს, ხოლო 1977 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო ფესტივალზე ლაურეატის წოდება და ოქროს მედლები მოიპოვეს.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში თვალსაჩინო ღვაწლისა და დამსახურებისათვის აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ომარ სულეიმანის ძე ვასაძე 1957 და 1959 წლებში საპატიო სიგელებით დააჯილდოვა, ხოლო 1961 წელს მას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება მიანიჭა.

ო. ვასაძე დღესაც ქობულეთის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ანსამბლის „ჩონგურის" ქორეოგრაფი და მოცეკვავეა.

ზედაშიძე
იასონ (იაშა) ჯაგულის ძე

დაიბადა 1930 წლის 7 სექტემბერს ქ. ქუთაისში. ცეკვის ხელოვნებას ეზიარა გამოჩენილი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის დავით ანტონის ძე უშვერიძის ხელმძღვანელობით.

1945 წელს 15 წლის ნიჭიერი მოცეკვავე სოლისტ მოცეკვავემსახიობად იწყებს მუშაობას ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ლოტბარ ბათლომე კუხიანიძისა და ქორეოგრაფ დავით უშვერიძის ხელმძღვანელობით.

1948 წლიდან ი. ზედაშიძე თბილისში გადმოდის და მუშაობას იწყებს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში, კომპოზიტორების შალვა მშველიძისა და ვალერიან ცაგარეიშვილის, ქორეოგრაფების ჯანო ბაგრატიონისა და ავთანდილ თათარაძის ხელმძღვანელობით. ამ ანსამბლში მან 1953 წლამდე დაჰყო.

1953-დან 1958 წლამდე იგი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადის მოცეკვავე-მსახიობია. 1956 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1957—1958 წლებშიხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის ქართული ხალხური ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლს. პარალელურად მუშაობდა ლენინური კომკავშირის სახელობის თვითმოქმედი ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფად.

1958-დან 1961 წლამდე ი. ზედაშიძე საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის სოლისტია. ამ ანსამბლში კიდევ უფრო რელიეფურად გამოიკვეთა მისი, როგორც ბრწყინვალე შემსრულებლის ნიჭი და უნარი. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო „ყაზბეგურში", „ხევსურულსა" და „ოსურ-

ში". 1961-67 წლებში ი. ზედაშიძე კვლავ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სცენას დაუბრუნდა.

პარალელურად მოცეკვავემ ქორეოგრაფიაშიც მოსინჯა ძალები. მის დადგმებს შორის საუკეთესოა „ვაჟთა მთიულური", რომელმაც რესპუბლიკურ დათვალიერებაზე ოქროს მედალი დაიმსახურა.

1955 წელს ქ. ვარშავაში, მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალზე გამართულ საერთაშორისო კონკურსში, მაყურებელთა დიდი მოწონება ხვდა წილად მის მიერ დადგმულ „ხევსურულს", „მთიულურს", „ფერხულს", „ოსურს", „განდაგანას", „შეჯიბრს", „სალხინოს", „ყაზბეგურს", „სვანურსა" და სხვა ცეკვებს.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის ბრძანებულებით იასონ ჯაგულის ძე ზედაშიძეს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, იგი დაჯილდოებულია აგრეთვე მედლებით, საპატიო სიგელებითა და დიპლომებით.

ამჟამად მუშაობს სპეციალობით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო ორგანოებში.

თათეიშვილი
ლეილა გრიგოლის ასული

დაიბადა 1925 წლის 12 იანვარს ქ. თბილისში. 1943 წელს მიწვეული იქნა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში, სადაც ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანელობით შესანიშნავად ეუფლება ცეკვის ტექნიკას. სულ მალე ცეკვა „ქართულის" შესრულება დაავალეს. შემდგომში იგი ამ ცეკვის ერთ-ერთი უბადლო შემსრულებელი ხდება.

1958 წელს მოსკოვში საბჭოთა კავშირის დიდ თეატრში გამართული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დასკვნით კონცერტზე ლ. თათეიშვილმა გამოჩენილ მოცეკვავე ვახტანგ გუნაშვილთან ერთად შეასრულა ცეკვა „ქართული" ზ. ფალიაშვილის „დაისიდან" ამ ლირიკულ საცეკვაო დუეტს მაყურებელმა და პრესამ მაღალი შეფასება მისცა.

1962 წელს თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ ქართული ხალხური ცეკვის ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსზე მის მიერ შესრულებულმა „ქართულმა" უმაღლესი შეფასება — ოქროს მედალი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის ბრძანებულებით ლეილა გრიგოლის ასულ თათეიშვილს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

თევზაძე
ინგა ბორისის ასული

დაიბადა 1941 წლის 30 ივლისს ქ. თბილისში. იგი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ბუნებით მომადლებული ხალასი ნიჭისა და თავდადებული შრომის წყალობით ინგა თევზაძე ყოველთვის ავლენს შემსრულებლის მაღალ ოსტატობას. როგორც მასობრივ, ისე სოლო ცეკვებში მის ყველა გამოსვლას ახასიათებს სინატიფე და მაღალი პროფესიული დონე.

ინგა თევზაძის მიერ წარმატებით შესრულებული მრავალი ცეკვიდან განსაკუთრებული მაღალი ოსტატობით გამოირჩევა „სიმდი", „ხონგა", და „აჭარული", რომლებიც მაყურებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს.

1967 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ი. თევზაძე საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში გაწეული ღვაწლისა და თვალსაჩინო წარმატებებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1971 წელს ინგა ბორისის ასულ თევზაძეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1981 წელს საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

იაშვილი
სოფიო გიორგის ასული

დაიბადა 1938 წლის 25 იანვარს ყვარელის რაიონის სოფელ ახალსოფელში. 1951 წლიდან 1956 წლამდე ცეკვას სწავლობდა ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში ანტონ ჩიხლაძისა და რომან ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით.

1957 წელს მონაწილეობდა მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალში მოსკოვში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით შექმნილ ცეკვის ახალგაზრდულ ანსამბლთან ერთად (ხელმძღვანელი ბ. დარახველიძე). მიღებული აქვს ახალგაზრდობის მეექვსე მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის წოდება.

1959-დან 1960 წლამდე მუშაობდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში (ხელმძღვანელი ჯ. ბაგრატიონი).

1960 წლის ოქტომბრიდან 1984 წლამდე მუშაობდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში.

მასობრივი ცეკვების გარდა ს. იაშვილი წარმატებით ასრულებდა სოლო ცეკვებს: „სამაია“, „სიმდი“, „ქართული“

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოფიო გიორგის ასულ იაშვილს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მაღალი წოდება, დაჯილდოებულია საქართველოს ალკკ ცკ-ის და რესპუბლიკის მთავრობის ქების სიგელებითა და დიპლომებით.

ინგოროყვა

ვახტანგ ელისეს ძე

დაიბადა 1933 წელს ქალაქ ბათუმში. ცეკვის ხელოვნებას იგი ბათუმის კულტურის სახლთან არსებულ ხალხური ცეკვის ანსამბლში დაეუფლა (ხელმძღვანელი გივი ჩიხლაძე).

1954 წელს ვახტანგ ინგოროყვა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში მიიწვიეს მოცეკვავედ.

1957 წელს ანსამბლთან ერთად მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ მსოფლიოს სტუდენტობისა და ახალგაზრდობის მეექვსე საერთაშორისო ფესტივალზე. ამავე წელს თბილისში აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე შესრულებულ ცეკვა „ნარინჯიანოს" კომპოზიციის ორიგინალობისა და შესრულების მაღალი კულტურისათვის ანსამბლის სხვა წევრებთან ერთად ვ. ინგოროყვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელით დააჯილდოვეს.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის ბრძანებულებით ვახტანგ ელისეს ძე ინგოროყვას ქართულ ხალხური ქორეოგრაფიის დარგში თვალსაჩინო წარმატებებისათვის მინიჭებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდებები.

ვ. ინგოროყვა არის მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო ფესტივალის ლაურეატი, დაჯილდოებულია დიპლომებით, სიგელებითა და სხვა წამახალისებელი ჯილდოებით. იგი ანსამბლში მუშაობის პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. წლების მანძილზე ხელმძღვანელობს თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლებს ბათუმსა და ქობულეთში. ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ ფესტივალზე ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლის ქალთა ანსამბლ „განდაგანას" მისი ხელმძღვანელობით საუკეთესო გამოსვლისათვის პირველი ხარისხის დიპლომი მიანიჭეს.



ირემაძე
იზეთ ხუსეინის ძე

დაიბადა 1898 წლის 25 თებერვალს ქედის რაიონის სოფელ ცხომორისში. ჭაბუკი თანატოლებთან ერთად საოჯახო საღამოებზე და ტრადიციულ სახალხო დღესასწაულებზე უფროსებისაგან სწავლობდა მშობლიური „ხორუმისა“ და „განდაგანას“ როული ილეთებს და მალე თანასოფლელებს შორის კარგი მოცეკვავის სახელიც დაიმკვიდრა.

ი. ირემაძე პირველად 1926 წელს ჩაება თვითმოქმედი ქორეოგრაფიული კოლექტივების მუშაობაში. წარმატებით ასრულებდა „განდაგანასა“ და „მთიულურს“, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ხორუმში“ იგი მოცეკვავეთა ჯგუფსაც ხელმძღვანელობდა. როგორც მოცეკვავე და ქორეოგრაფი, სხვადასხვა დროს გამოდიოდა ბახმაროში, მახარაძეში, ქობულეთში და ბათუმში.

ი. ირემაძე არის აჭარისა და საქართველოს მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადების მრავალგზის მონაწილე. 1949 წელს იყო მოსკოვში საკავშირო დათვალიერებაზე. იგი ქართული ხალხური ცეკვის ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატია.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის ბრძანებულებით მხცოვან ქორეოგრაფსა და მოცეკვავეს იზეთ ხუსეინის ძე ირემაძეს მინიჭებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია სიგელებითა და დიპლომებით.

გარდაიცვალა 1981 წელს.

კალანდაძე
ვალერიან (ვალიკო) ემელიანეს ძე

დაიბადა 1917 წლის 25 დეკემბერს ქ. მახარაძეში. 1935 წელს შევიდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრთან არსებულ ქორეოგრაფიულ კურსებზე, რომელიც 1936 წელს წარმატებით დაამთავრა და იმავე წელს ჩაირიცხა თეატრის დასში ჯერ სტაჟიორად, ხოლო 1937 წლიდან — ბალეტის მსახიობად.

1939 წლიდან 1941 წლის ნოემბრამდე სოლისტ-მოცეკვავედ მუშაობდა უკრაინის სიმღერისა და ცეკვის ცენტრალურ ანსამბლში, რომელსაც გამოჩენილი ქორეოგრაფი ლ. ჩერნიშევა ხელმძღვანელობდა.

1942 წლის თებერვლიდან 1945 წლის ნოემბრამდე ირიცხებოდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში სოლისტ-მოცეკვავედ. ანსამბლთან ერთად გამოდიოდა ფრონტის წინა ხაზებზე, ირანსა და ერაყში განლაგებულ საბჭოთა არმიის მებრძოლთა წინაშე.

დემობილიზაციისთანავე 1945 წლის 18 ნოემბრიდან მუშაობა დაიწყო ახლადჩამოყალიბებულ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში სოლისტ-მოცეკვავედ.

1953 წელს ვალერიან ემელიანეს ძე კალანდაძეს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1966 წელს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია მედლებითა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეორე ხარისხის „წითელი ვარსკვლავის" ორდენით. იყო მსოფლიო ახალგაზრდობის IV ფესტივალის ლაურეატი და მოსკოვში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ორივე დეკადის მონაწილე.

1971 წლიდან მუშაობდა საქართველოს საესტრადო ორკესტრ „რეროს" დირექტორად, შემდეგ კი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორის მოადგილედ.

გარდაიცვალა 1978 წლის 16 აპრილს.

კიკალეიშვილი
თამაზ ოლიფანტეს ძე

დაიბადა 1937 წლის 13 ივნისს ქ. თბილისში. ცეკვა ისწავლა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში საქართველოს სსრ სახალხო არტისტის რომან ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით.

1955 წლიდან მუშაობს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში სოლისტ-მოცეკვავედ.

თ. კიკალეიშვილი ანსამბლის თითქმის მთელს რეპერტუარში მონაწილეობს, მაგრამ ყველაზე მეტად „მხედრულში", „შეჯიბრში" „განდაგანაში", „ლელოსა" და „მოხეურში" ვლინდება მისი ინდივიდუალობა და მაღალი ოსტატობა, 1958 წელს მოსკოვში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში წარმატებით გამოსვლისათვის საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1967 წლის 16 თებერვლის ბრძანებულებით თამაზ ოლიფანტეს ძე კიკალეიშვილს ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

ამჟამად ბორჯომის კულტურის სახლის ქორეოგრაფია.

კირვალიძე

ნინო მიხეილის ასული

დაიბადა 1938 წლის 22 ნოემბერს ქ. თბილისში. იგი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ნინო კირვალიძე ანსამბლში თვითმოქმედებიდან მოვიდა 1958 წელს. მოცეკვავე ანსამბლის თითქმის მთელ პროგრამაში მონაწილეობს და მრავალი შესანიშნავი ქორეოგრაფიული სახე შექმნა, მათ შორის „სამაია" მაინც გამოირჩევა.

1966 წელს შოთა რუსთაველის საიუბილეოდ დადგმულ ქორეოგრაფიულ კომპოზიციაში „ქაჯეთის ციხის აღება" ნ. კირვალიძის თინათინმა მაყურებლის დიდი აღიარება დაიმსახურა.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში ნაყოფიერი მუშაობისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობისათვის, აგრეთვე ესტონეთში, სომხეთში გამართული ქართული კულტურის დღეებთან დაკავშირებით ნ. კირვალიძე დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით ნინო მიხეილის ასულ კირვალიძეს 1963 წლის 28 ოქტომბერს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1971 წლის 31 მაისს სახალხო არტისტის მაღალი წოდებები.

ამჟამად იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სახელმწიფო სკოლა-სტუდიაში, მთელ თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს აღსაზრდელებს.

კლდიაშვილი
ნოდარ იოსების ძე

დაიბადა 1928 წელს ქ. ქუთაისში. ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეზიარა თვითმოქმედ კოლექტივში მიხელ ბახტაძის ხელმძღვანელობით.

1943 წელს მონაწილეობა მიიღო მოსკოვში ლენინური კომკავშირის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ „შრომითი რეზერვების" მხატვრული კოლექტივების სრულიად საკავშირო დათვალიერებაში, რისთვისაც დაჯილდოებულია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით და „შრომითი რეზერვების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით.

1944 წელს კინოსტუდია „მოსფილმმა" გადაიღო „შრომითი რეზერვების" შემოქმედებითი კოლექტივების ცხოვრების ამსახველი ფილმი „გამარჯვება მოსკოვო", ფილმმა საქართველოს ქორეოგრაფიული ანსამბლის სხვა წევრებთან ერთად ნოდარ კლდიაშვილის გამოსვლაც აღბეჭდა.

1947-დან 1966 წლამდე ნ. კლდიაშვილი მუშაობდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ დამსახურებულ ანსამბლში. ამ პერიოდში იგი აქტიურად მონაწილეობდა ანსამბლის ყველა ღონისძიებასა და საგასტროლო მოგზაურობაში.

1953 წელს ბუქარესტში გამართულ მსოფლიო ახალგაზრდობის IV ფესტივალზე ნ. კლდიაშვილს ანსამბლის სხვა წევრებთან ერთად მიენიჭა ფესტივალის ლაურეატის წოდება და პირველი ხარისხის დიპლომი.

1967-დან 1970 წლამდე ცეკვავდა ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის მოცეკვავეთა დასში, მონაწილეობდა სპექტაკლებში: „სიმღერა თბილისზე", „ჩანიტას კოცნა", „კურკას ქორწილი" და სხვ.

სამამულო ომის პერიოდში სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტლებში გამართულ მრავალ კონცერტში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებულია მედლით „კავკასიის დაცვისათვის“, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“.

1956 წელს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის დაარსებიდან 10 წლისთავზე ანსამბლის შემოქმედებით წარმატებებში შეტანილი წვლილისა და მაღალი მხატვრული ოსტატობისათვის ნოდარ იოსების ძე კლდიაშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ხოლო 1963 წელს მას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

კობალაძე
ფატმა მურადის ასული

დაიბადა 1927 წლის 2 ნოემბერს ქ. ბათუმში. 1939 წელს დაამთავრა ბათუმის ქორეოგრაფიული სასწავლებელი (პედაგოგების ჩუტალაძის და კურგანოვას ხელმძღვანელობით). საშუალო განათლების მიღების შემდეგ 1944 წელს მუშაობა დაიწყო აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში მოცეკვავე-მსახიობად დამსახურებული არტისტის ენვერ ხაბაძის ხელმძღვანელობით.

სამ ათეულ წელზე მეტი მუშაობდა ფატმა კობალაძე მშობლიურ კოლექტივში.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია ანსამბლის წამყვანი სოლისტის ფ. კობალაძის რეპერტუარი. დიდ წარმატებას აღწევდა ვირტუოზულ, ცეცხლოვან „განდაგანსა“ თუ „ყაზბეგურში“, ცეკვებში: „ჩაგუნა“, „წყაროსთან“, „თებრონე მიდის წყალზედა“, „ნეტავი გოგო მე და შენ“, „ოსური“, „ლაზური“, აგრეთვე რუსულ, აზერბაიჯანულ, ესპანურ, მოლდავურ, ბულგარულ და სხვა ხალხურ ცეკვებში.

ღირსეულად დაფასდა მოცეკვავე მსახიობის ღვაწლი ქორეოგრაფიაში. 1948 წელს პირველ აჭარელ მოცეკვავე ქალს, ფატმა მურადის ასულ კობალაძეს მიენიჭა აჭარის ასსრ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება. შემდეგ 1956 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას მიეკუთვნა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, ხო-

ლო 1976 წლიდან კი რესპუბლიკის სახალხო არტისტის მაღალი ტიტულის ღირსეული მფლობელი გახდა.

კომუნისტი ფ. კობალაძე აქტიურად მონაწილეობს საკუთარი ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მრავალჯერ იყო არჩეული მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმის წევრად. წლების განმავლობაში იყო ანსამბლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე.

მოცეკვავე დაჯილდოებულია „1941-1945 წლებში სამამულო ომში შრომითი მამაცობისათვის" და „შრომითი წარჩინებისათვის", „ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის" საიუბილეო სამკერდე ნიშნით, „დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავის" აღსანიშნავი მედლით, აჭარის ასსრ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების საპატიო სიგელებით.

ამჟამად ფ. კობალაძე დაუზარებლად უზიარებს თავის მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას ცეკვით დაინტერესებულ ახალგაზრდობას.

კობერიძე
კობა სერგოს ძე

დაიბადა ქ. თბილისში 1943 წლის 30 ივნისს. ქართული ხალხური ცეკვა შეისწავლა კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის მუშაკთა პირველი მაისის სახელობის კლუბში ქორეოგრაფ ბ. კალანდაძის ხელმძღვანელობით.

1961 წლიდან ცეკვავდა თბილისის საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებულ თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლში რესპუბლიკის სახალხო არტისტის ბუხუტი დარახველიძის ხელმძღვანელობით.

1963 წელს მოცეკვავე-მსახიობად მიიღეს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის შემადგენლობაში.

კ. კობერიძე წარმატებით ასრულებს პარტიებს ცეკვებში: „ძველი თბილისის სურათები", „ლელო", „ხანჯლური", „ყაზბეგური" და სხვ.

მოცეკვავე მსახიობი აქტიურ მონაწილეობას იღებს ანსამბლის საგასტროლო საქმიანობაში.

კ. კობერიძე არის მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მერვე ფესტივალის ლაურეატი (1962 წელი, ფინეთი, ჰელსინკი).

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში თვალსაჩინო წვლილისათვის კობა სერგოს ძე კობერიძე დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

კ. კობერიძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პირველ ექსპერიმენტულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში. იგი თავის მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებს მოსწავლე ახალგაზრდობას.

კოტაევა
ზამირა გერასიმეს ასული

დაიბადა 1944 წლის 20 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის ჯავის რაიონის სოფელ მაირომში.

ოსური ცეკვის ანბანი საშუალო სკოლის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლში აითვისა. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე 1961 წელს მიიღეს სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მოცეკვავე მსახიობად.

მრავალფროვანია ზ. კოტაევას საკონცერტო გამოსვლები, განსაკუთრებით გამოვყოფთ „ნარნარს", რომელსაც იგი ბრწყინვალედ ასრულებს თავის მეუღლესთან ერთად — პეტრე ტეხოვთან ერთად.

ზ. კოტაევა ხშირად მონაწილეობს სახალხო ზეიმებსა და დღესასწაულებისადმი მიძღვნილ კონცერტებში და სატელევიზიო გადაცემებში. 1971 წელს მონაწილეობდა სკკპ XXV ყრილობისადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტში მოსკოვში კრემლის ყრილობათა სასახლეში, 1981 წელს-საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ მშრომელთა საზეიმო კონცერტში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

1982 წლის დეკემბერში მეუღლესა და შვილებთან ერთად წარმატებით გამოდიოდა მოსკოვში სახალხო მეურნეობის საკავშირო გამოფენაზე, საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტზე, რისთვისაც გამოფენის პირველი ხარისხის მედლითა და დიპლომით დააჯილდოეს.

ზ. კოტაევა 1965 წელს არჩეული იყო სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეათე მოწვევის დეპუტატად.

1968 წელს დაჯილდოვდა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ხოლო 1970 წელს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი

ძიძღვნილ საზეიმო საღამოში მონაწილეობისათვის საქართველოს ალკკ ცხინვალის საქალაქო კომიტეტის საპატიო სიგელით.

1979 წელს აღინიშნა ოსეთის სახელმწიფო ანსამბლის „სიმდის“ დაარსებიდან 40 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ანსამბლში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შესანიშნავ მოცეკვავე ქალს ზამირა გერასიმეს ასულ კოტაევას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიანიჭეს.

1983 წლიდან ზ. კოტაევა ემსახურება ახალგაზრდა მოცეკვავეების აღზრდის საპატიო საქმეს.

ლალიევა
აზა ზურაბის ასული

დაიბადა 1947 წლის 15 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის ოლქის ჯავის რაიონის სოფელ ნაზიგინში.

ჯერ კიდევ ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლე იყო აზა ლალიევა, როცა ის სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მიიღეს მოცეკვავე მსახიობად.

1968 წელს ხალხურ საცეკვაო ხელოვნებაში მიღწეული წარმატებებისათვის მას მიენიჭა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

აზა ლალიევა შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. არის ანსამბლის „სიმდი" სამხატვრო საბჭოს წევრი. იყო ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მე-15, მე-16 და მე-17 მოწვევების დეპუტატი.

1979 წელს ხალხური ქორეოგრაფიული კულტურის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით აზა ზურაბის ასულ ლალიევას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. ამჟამად განაგრძობს მოღვაწეობას მშობლიურ კოლექტივში.

ლოლაძე
კონსტანტინე (კოტე) ემანუილის ძე

დაიბადა 1921 წლის 2 ოქტომბერს ქ. თბილისში. კოტე ლოლაძის შემოქმედებითი ბიოგრაფია მჭიდროდ არის დაკავშირებული მოცეკვავე გ. პატარაიას სახელთან.

1936 წელს მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე კოტე ლოლაძემ ჟიურის მაღალი შეფასება დაიმსახურა და ჩაირიცხა აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ს. კავსაძის ხელმძღვანელობით.

1939 წელს საბჭოთა კავშირის წითელდროშოვანი სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელის ა. ალექსანდროვის დავალებით ილიკო სუხიშვილმა ანსამბლში „ხორუმი", „მხედრული" და „ხანჯლური" დადგა. ამ ცეკვებში კ. ლოლაძე სოლო პარტიებს ასრულებდა. იგი სისტემატურად გამოდიოდა დუეტებში გ. პატარაიასთან.

1940 წელს მოსკოვში ჩამოყალიბდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სიმღერისა და ცეკვის საკავშირო ანსამბლი. ამ ანსამბლის ქართველ მოცეკვავეთა ჯგუფში შედიოდნენ ი. სუხიშვილი, ნ. რამიშვილი, კ. ლოლაძე, გ. პატარაია და სხვ. კ. ლოლაძემ და გ. პატარაიამ გამოცდილი ქორეოგრაფების ხელმძღვანელობით კლასიკური ცეკვებიც აითვისეს.

1941 წლის 22 ივნისს ფრონტისპირა ქალაქებში ჩატარებული უკანასკნელი კონცერტის შემდეგ ანსამბლი მოსკოვში დაბრუნდა. იმ გმირულ დღეებში ანსამბლი ფრონტის წინა ხაზზე გამოდიოდა კონცერტებით და თავისი ცეცხლოვანი ცეკვებით გამარჯვების რწმენას უნერგავდნენ მოსკოვის დამცველებს, ლენინგრადის ბლოკადაში მყოფ მებრძოლებსა და მშრომელებს.

1944 წელს წითელი არმიის რიგებიდან დემობილიზებული კ.

ლოლაძე თბილისში ჩამოდის და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში იწყებს მუშაობას.

1945 წელს კი ახლადჩამოყალიბებული საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის პირველ მოცეკვავეთა შორის გვხვდება.

კ. ლოლაძე 1947 და 1949 წლებში ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში გამართულ მსოფლიო ახალგაზრდობის I და II ფესტივალების ლაურეატია.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის 1958 წელს კოტე ემანუილის ძე ლოლაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება. დაჯილდოებულია მედლებით: „მოსკოვის დაცვისათვის“, „ლენინგრადის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „ყამირის ათვისებისათვის“, აგრეთვე საპატიო სიგელებითა და დიპლომებით.

ლომსაძე
ომარ იასონის ძე

დაიბადა 1941 წლის 6 დეკემბერს ქ. თბილისში. ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეზიარა თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში ცნობილი ქორეოგრაფისა და პედაგოგის კონსტანტინე მანჯგალაძის ხელმძღვანელობით.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1962-დან 1963 წლამდე ცეკვავდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლში საქართველოს სახალხო არტისტის ბუხუტი დარახველიძის ხელმძღვანელობით.

კარგი ფიზიკური და მუსიკალური მონაცემების მქონე ნიჭიერი ახალგაზრდა მოცეკვავე 1963 წელს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის შემადგენლობაში ჩარიცხეს, სადაც დღემდე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა.

ომარ ლომსაძე მრავალმხრივი მოცეკვავეა, იგი წარმატებით ასრულებს როგორც ცეცხლოვან მთიულურ ცეკვებს („ყაზბეგური", „ხანჯლური", „შეჯიბრი", „მხედრული", „ხევსურული", „აჭარული", „ხორუმი") ისე სახასიათო ეპიზოდებს („ხაბარდა", „ლელო" და სხვა) ქორეოგრაფიულ კომპოზიციებში. იგი 1962 ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში ჩატარებულ მსოფლიო ახალგაზრდობის VIII ფესტივალის ლაურეატია.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ომარ იასონის ძე ლომსაძეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 9 დეკემბრის ბრძანებულებით მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ლორთქიფანიძე
ნინო ვლადიმერის ასული

დაიბადა 1924 წლის 2 თებერვალს ქ. თბილისში. 1943 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებელი და მიიღო ბალეტის არტისტის კვალიფიკაცია.

1943-დან 1946 წლამდე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა ქართული ხალხური ცეკვის თვითმოქმედ სტუდენტურ ანსამბლში.

1946 წლიდან ნ. ლორთქიფანიძე მუშაობას იწყებს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში. აქ ის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით სრულყოფილად დაეუფლა ქართული ხალხური ქორეოგრაფიის რთულ ხელოვნებას.

ანსამბლში მოღვაწეობის 20 წლის მანძილზე მრავალ ცეკვაში მონაწილეობდა, წარმატებით ასრულებდა სოლო პარტიებს. მინიჭებული ქონდა უმაღლესი კატეგორიის მოცეკვავის კვალიფიკაცია.

მისი ღვაწლი ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში აღნიშნულია ჯილდოებით, მედლებით, სიგელებით, დიპლომებით, მადლობებით. იგი არის მსოფლიო ახალგაზრდობის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი (1953 წ. ბუქარესტი).

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში, ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისა და თვალსაჩინო დამსახურებისათვის ნინო ვლადიმერის ასულ ლორთქიფანიძეს 1955 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1967 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდებები.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლიდან წასვლის შემდეგ 1970-1979 წლებში ნინო ლორთქიფანიძე მუშაობდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში ცეკვის პედაგოგად, ხოლო ამჟამად მთელ თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო სკოლა-სტუდიის აღსაზრდელებს.

ლუხავა
თინა ირაკლის ასული

დაიბადა 1927 წლის 30 აგვისტოს ქ. სოხუმში. ცეკვა შეისწავლა სოხუმის მეხუთე ქალთა საშუალო სკოლის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივში. წარმატებით გამოდიოდა რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე. 1944 წლიდან ცეკვავდა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში გამოჩენილი ლოტბარის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კიწი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით (ქორეოგრაფი საქართველოს და აფხაზეთის სახალხო არტისტი როზენბეი აგრბა). მის, როგორც თვალსაჩინო მოცეკვავის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს იოსებ ციმაკურიძეს, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერად მუშაობდა ქორეოგრაფად აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ანსამბლთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საშეფო კონცერტებში, გამოდიოდა ჰოსპიტლებში, მაღალმთიან რაიონების მშრომელებისა და ქლუხორის მისადგომებთან საბჭოთა მებრძოლების წინაშე, 1958 წელს მონაწილეობდა თბილისში გამართულ აფხაზეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაში.

თ. ლუხავას მდიდარი რეპერტუარიდან გამოვყოფთ „ვანდაგანას", „სიმდს" და „პაემანს", რომლებშიც ყველაზე უკეთ ვლინდება მოცეკვავის საშემსრულებლო ოსტატობა.

ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით თინა ირაკლის ასულ ლუხავას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურე-

ბული არტისტის მაღალი წოდება; იგი დაჯილდოებულია აგრეთვე მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, დიპლომებითა და ქების სიგელებით.

ღვაწლმოსილი მოცეკვავე ამჟამად პენსიონერია და კვლავინდებურად გატაცებით ეხმარება ახალგაზრდებს ეროვნული ცეკვების შესწავლაში.

მახარაძე
გუგული ივანეს ასული

დაიბადა 1925 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში. დაამთავრა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდია დავით ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით.

1947 წელს ჩაირიცხა და 1958 წლის აპრილამდე მუშაობდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში მოცეკვავე-მსახიობად. აღსანიშნავია მისი „ქართული" „სამაია", „ხაბარდა" და „სიმდი".

გ. მახარაძე ახალგაზრდობის IV მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი და 1958 წელს მოსკოვში ჩატარებული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეა.

დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის" და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით.

ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის დაარსებიდან 10 წლისთავზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულებით გუგული ივანეს ასულ მახარაძეს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

გ. მახარაძე 1960 წლიდან დღემდე ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა ს. ზაქარიაძის სახელობის თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში.



მეზვრიშვილი
ნელი ივანეს ასული

დაიბადა 1931 წლის 20 სექტემბერს ქ. თელავში. ქართული ხალხური ცეკვა შეისწავლა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მილიციის სამმართველოსთან არსებულ ანსამბლში მიხეილ კობეშავიძის ხელმძღვანელობით.

გამოჩენილმა ქორეოგრაფმა ჯანო ბაგრატიონმა იგი ჯერ სოხუმის სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებულ საესტრადო ანსამბლის მსახიობად მიიწვია (1952-53 წწ.), ხოლო 1954 წლიდან თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ორკესტრში ჩარიცხა.

ნელი მეზვრიშვილი 1956 წლიდან საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობია.

ამ სახელოვან კოლექტივში იგი მრავალი წლის მანძილზე ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

ანსამბლში მუშაობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ნელი მეზვრიშვილი თითქმის ყველა ცეკვაში მონაწილეობდა, მაგრამ „პაემანს", „ოსურსა" და „უზბეკურს" გამორჩეულად ასრულებდა.

ნ. მეზვრიშვილი 20 წელზე მეტ ხანს ერთგულად ემსახურებოდა მშობლიური ქართული ხალხური ცეკვის კულტურას, აქტიურად მონაწილეობდა ანსამბლის ახალგაზრდა კადრების აღზრდა-დაოსტატებაში.

საქართველოს მთავრობამ ღირსეულად დააფასა ნელი ივანეს ასულ მეზვრიშვილის წვლილი ქართული ხალხური ცეკვის პროპაგანდის საქმეში და მას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 6 ნოემბრის ბრძანებულებით რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

მერაბიშვილი
ივანე (ვანო) არკადის ძე

დაიბადა 1921 წლის 1 ძაისს ქ. თბილისში. 1938 წელს ვანო მერაბიშვილი ირიცხება პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლში. რომელსაც გამოჩენილი ქორეოგრაფი ჯანო ბაგრატიონი და ლოტბარი ს. გველესიანი ხელმძღვანელობდნენ.

1940 წელს იგი ქართლ-კახური სიმღერის გუნდში ჩარიცხეს მოცეკვავე-მსახიობად (ხელმძღვანელი მ. თარხნიშვილი).

ერთი წლის შემდეგ ვანო მერაბიშვილი გადავიდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში და თავისი პირველი მასწავლებლის ჯ. ბაგრატიონის ხელმძღვანელობით განაგრძო მუშაობა.

1945-1957 წლებში საქვეყნოდ აღიარებული ქორეოგრაფების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა წამყვან სოლისტად საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში.

ანსამბლიდან წასვლის შემდეგ თითქმის ორმა ათეულმა წელმა განვლო, მაგრამ ახლაც დიდი სიამაყით იხსენებენ მერაბიშვილის მიერ შესრულებულ დარბაისლურ „ქართულს", ცეცხლოკან „ფარიკაობასა" და ძველთბილისურ „ბაღდადურს"

ვ. მერაბიშვილი როგორც წამყვანი მოცეკვავე მსახიობი ანსამბლთან ერთად 1953 წელს იყო მსოფლიო ახალგაზრდობის IV ფესტივალის მონაწილე, რისთვისაც ლაურეატის წოდება, ოქროს მედალი და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდო-„ვარსკვლავის" ორდენი დაიმსახურა. ანსამბლში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით, მიღებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს სამი მადლობა.

1953 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

გარდაიცვალა 1983 წლის 18 მარტს.

მიქაძე
გივი ვარლამის ძე

დაიბადა 1930 წლის 5 თებერვალს ქ. ბათუმში. ბავშვობაში იგი წარმატებით გამოდიოდა ბათუმის პირველი საშუალო სკოლის ვაჭრობის ტექნიკუმისა და პედაგოგიური ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლში გამოცდილი პედაგოგისა და ქორეოგრაფის ალექსანდრე ჯიჯეიშვილის ხელმძღვანელობით. 1951 წელს მიიწვიეს აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში. ანსამბლის მხატვრულმა ხელმძღვანელმა და მთავარმა ქორეოგრაფმა ენვერ ხაბაძემ იმთავითვე აუღო ალღო ახალგაზრდა მსახიობის შემოქმედებით შესაძლებლობებს და ცეკვა „ქართულის“ შესრულება მიანდო მას, რამაც დიდი აღიარება მოუტანა მსახიობს.

ბათუმის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებსა და აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის, აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის აქტიური მონაწილე გივი ვარლამის ძე მიქაძეს 1957 წელს მიენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

გ. მიქაძეს დამთავრებული აქვს ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი. ამჟამად ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ახალშენის საშუალო სკოლის მასწავლებლად და ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელად მუშაობს, სიყვარულით ემსახურება ნორჩი თაობის ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის საქმეს.

მიქელაძე
თემურ (თემელ) მუსტაფას ძე

დაიბადა 1923 წლის 9 მაისს ქ. ბათუმში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის საზღვაო ტექნიკუმში, პარალელურად ეუფლებოდა ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ალ. ჯიჯეიშვილის ხელმძღვანელობით.

თემურ მიქელაძე აჭარული ცეკვების ერთ-ერთი თვალსაჩინო შემსრულებელთაგანია. 1939 წელს იგი აჭარის ასსრ სახელმწიფო კაპელაში მიიწვიეს მოცეკვავედ, 1941—1965 წლებში მუშაობდა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში.

„განდაგანას" აჭარაში მრავალი ნიჭიერი შემსრულებელი ჰყავს, მაგრამ თ. მიქელაძის ცეკვა სანიმუშოდ რჩება. „განდაგანას" ბრწყინვალედ შესრულებისათვის ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა II, V და VI რესპუბლიკურ კონკურსებზე პირველი ხარისხის დიპლომები და ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის თემელ მუსტაფას ძე მიქელაძეს 1952 წელს მიენიჭა აჭარის ასსრ, ხოლო 1957 წელს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდებები.

ღვაწლმოსილ შემოქმედს დღესაც დიდი პატივით იწვევენ რესპუბლიკურ დღესასწაულებსა და საზეიმო კონცერტებზე, სადაც იგი ძველი თაობის სხვა ვეტერანებთან ერთად ახალგაზრდული შემართებით ასრულებს „განდაგანას".

თემურ მიქელაძე სხვადასხვა დროს ქორეოგრაფად მუშაობდა ბათუმის სკოლების, ქედის და ქობულეთის კულტურის სახლებში. დაჯილდოებულია მედლებით „შრომითი მამაცობისათვის" და „კავკასიის დაცვისათვის", აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

მუქერია
ნანა შოთას ასული

დაიბადა 1954 წლის 7 სექტემბერს ქ. თბილისში.

1971 წელს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, პარტიის XXIV ყრილობის დელეგატებისათვის გამართულ დასკვნით კონცერტში, ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ დამსახურებულ ანსამბლთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის ძერჟინსკის სახელობის კლუბთან არსებული თვითმოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლი მიხეილ და ჰამლეტ კობეშავიძეების ხელმძღვანელობით.

აკადემიური ანსამბლის ქორეოგრაფებს ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თვითმოქმედი ანსამბლის ჯერ კიდევ ნორჩი მოცეკვავის ნანა მუქერიას სცენური მონაცემები და იგი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სახელმწიფო ანსამბლის შემადგენლობაში ჩარიცხეს.

უკვე 14 წელია ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა ანსამბლის შემადგენლობაში, რეპერტუარით გათვალისწინებულ ბევრ ცეკვას ასრულებს, მაგრამ განსაკუთრებულად ცეკვავს „ქართულს“ და „ოსურს“.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის პროპაგანდის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ნანა შოთას ასულ მუქერიას 1985 წელს საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

მხეიძე

მარინა ალექსანდრეს ასული

დაიბადა 1917 წლის 6 ივნისს ქ.თბილისში. მოცეკვავე ქალისათვის საჭირო შესანიშნავი მონაცემებითა და ნიჭით დაჯილდოებული მარინა მხეიძე ორი ათეული წლის მანძილზე ცეკვავდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში და ქართული ცეკვების უბადლო შესრულებით ხიბლავდა მაყურებელს.

მის რეპერტუარში განსაკუთრებით გამოირჩევა „სამაია“, ჰაეროვანი „ქართული“, „სიმდი“ თუ განთქმული „დავლური“. რომელშიც მარინა მხეიძეს ღირსეულ პარტნიორობას უწევდა ომარ მხეიძე.

1958 წელს მ.მხეიძე მონაწილეობდა მსოფლიო ახალგაზრდობის IV ფესტივალში, რისთვისაც ფესტივალის ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

1953 წელს მარინა ალექსანდრეს ასულ მხეიძეს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, ხოლო ანსამბლის დაარსების 20 წლისთავზე — რესპუბლიკის სახალხო არტისტის მაღალი წოდება.

მ.მხეიძე დაჯილდოებულია მედლებითა და სიგელებით.

მხეიძე
ომარ აკაკის ძე

დაიბადა 1935 წლის 25 აპრილს, ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავში. ჯერ კიდევ თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მოსწავლე იყო ომარ მხეიძე, როდესაც ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში პირველად ეზიარა ცეკვის ხელოვნებას გამოცდილი პედაგოგისა და ქორეოგრაფის ანტონ ჩიხლაძის ხელმძღვანელობით.

1953 წელს საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ანსამბლში მოცეკვავედ.

1954-დან 1984 წლამდე საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის წამყვანი სოლისტი მოცეკვავე იყო.

მის მიერ შესრულებული ყველა ცეკვა მაღალი პროფესიული დონით გამოირჩეოდა, ხოლო „ფარიკაობაში" მსახიობი მართლაც უმაღლეს ვირტუოზულობას ავლენდა.

1962 წელს ქართული ხალხური ცეკვების მაღალმხატვრული შესრულებისათვის ომარ აკაკის ძე მხეიძეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1971 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდებები მიენიჭა.

ანსამბლში მოღვაწეობის პარალერულად ომარ მხეიძემ 1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი.

სახელმოხვეჭილმა მოცეკვავემ 1984 წელს დატოვა მშობლიური კოლექტივი, ამჟამად მუშაობს თბილისის რიტუალების სასახლეში დირექტორის მოადგილედ.

ნავროზაშვილი ჯემალ ლევანის ძე

დაიბადა 1940 წლის 1 იანვარს კასპის რაიონის სოფელ ერთაწმინდაში. 1960 წელს დაამთავრა თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ავთანდილ თათარაძის ხელმძღვანელობით.

ამავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ დამსახურებულ ანსამბლში სოლისტ-მოცეკვავედ.

1968 წელს მთიულური ცეკვების წარმატებით შესრულებისათვის ქართული ხალხური ცეკვის ინდივიდუალურ შემსრულებელთა III რესპუბლიკურ კონკურსზე ოქროს მედალი და პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

1972 წელს, ანსამბლის ხელმძღვანელობის დავალებით ქ. ლოძის (პოლონეთი) ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დადგა ქართული ცეკვები ზ.ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი".

1971 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ჯემალ ლევანის ძე ნავროზაშვილს ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი წვლილისათვის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1985 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

ანსამბლში მუშაობის პარალელურად იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა ქართული ხალხური ცეკვის თბილისის სახელმწიფო სკოლა-სტუდიაში.

ნიკოლოზიშვილი
გულნარა გიორგის ასული

დაიბადა 1926 წლის 3 მაისს ქ.თბილისში. ქართული ხალხური ცეკვის სიყვარულმა გულნარა ნიკოლოზიშვილი თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში მიიყვანა.

მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ შესძლო სტუდიაში სწავლის გაგძელება. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შედის მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან არსებული სტუდიის სამსახიობო ფაკულტეტზე, სადაც ქორეოგრაფიას დავით მაჭავარიანის ხელმძღვანელობით ეუფლება.

სტუდიის დამთავრების შემდეგ 1947 წელს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის შემადგენლობაში ჩაირიცხა. აქ გამოჩენილი ქორეოგრაფების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით გულნარა ნიკოლოზიშვილი სრულყოფილად ეზიარა ქართული ხალხური ცეკვების შემსრულებლის რთულ ხელოვნებას და მალე ერთ-ერთი მოწინავე მსახიობი გახდა.

1947-დან 1967 წლამდე მუშაობდა ამ სახელოვან კოლექტივში და თავისი წვლილი შეჰქონდა ანსამბლის საქვეყნოდ აღიარებულ წარმატებაში.

1953 წელს გულნარა ნიკოლოზიშვილი ანსამბლთან ერთად მონაწილეობდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV ფესტივალში, სადაც მან ამ ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდება დაიმსახურა.

ანსამბლიდან წასვლის შემდეგ, 1968—1969 წლებში ბალეტის მსახიობად მუშაობდა ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრში.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გულნარა გიორგის ასული ნიკოლოზიშვილი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელითა და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

1960 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება.

გულნარა ნიკოლოზიშვილი ამჟამად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს იდეურ-ზნეობრივი აღზრდის რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კაბინეტში ქორეოგრაფიული განყოფილების მეთოდისტად მუშაობს.

ნინიძე
ვახტანგ ზაქარიას ძე

დაიბადა 1927 წლის 25 თებერვალს.

1945 წელს 18 წლის ახალგაზრდამ მუშაობა დაიწყო ქართლ-კახური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც გამოჩენილი ლოტბარი ქალი მარო თარხნიშვილი ხელმძღვანელობდა.

1950-დან 1955 წლამდე ვახტანგ ნინიძე აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის წამყვანი მოცეკვავე იყო (ხელმძღვანელი კიწი გეგეჭკორი).

1955 წელს სოხუმიდან თბილისში გადმოსვლისთანავე ჩაირიცხა საქართველოს ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში.

1956 წლიდან 1977 წლამდე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში (ხელმძღვანელი ჯანო ბაგრატიონი). ვირტუოზული ტექნიკა, მსუბუქი კომედიური ნიჭი, ცოცხალი მიმიკა — აი მისი ხელოვნების შესანიშნავი მხარეები, განსაკუთრებულად რომ იჩენდა თავს „პაემანში", „ძაბრასა", „ნეტავი გოგოვსა" და „განდაგანაში" 30 წელი გამოდიოდა იგი სცენაზე და მრავალი დასამახსოვრებელი სახე შექმნა.

1958 წელს ვახტანგ ზაქარიას ძე ნინიძეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება, ხოლო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1958 წელს ქართული ხელოვნების დეკადაში აქტიური მონაწილეობისა და თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

გარდაიცვალა 1979 წლის 22 აგვისტოს.

ნონიაშვილი
სერგო ივანეს ძე

დაიბადა 1918 წლის 30 მაისს ქ. თბილისში. სწავლობდა სასცენო ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლის ქორეოგრაფიულ განყოფილებაზე. III კურსზე იყო, როცა ეს სასწავლებელი დაიხურა. კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდა 1934 წელს ჩაირიცხა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ქართული ცეკვების შემსრულებელ სოლისტ მოცეკვავედ.

1935 წელს ინგლისში (ლონდონი) ხალხური ცეკვების პროფესიულ შემსრულებელთა მსოფლიო ფესტივალზე სერგო ნონიაშვილს ფესტივალის ლაურეატის მაღალი წოდება მიანიჭეს.

1936-37 წლებში მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პირველ დეკადაზე ნონიაშვილი გამოდიოდა როგორც ოპერისა და ბალეტის საკონცერტო ჯგუფის შემადგენლობაში, ისე დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის (ლოტბარი კ. პაჭკორია, ქორეოგრაფი ჯანო ბაგრატიონი) სოლისტ მოცეკვავედ. ამ დეკადაზე ს. ნონიაშვილი „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოვეს.

1939-დან 1946 წლამდე სერგო ნონიაშვილი სამხედრო სამსახურშია, მუშაობს ა/კ სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ბალეტმაისტერად, პედაგოგად და სოლისტ მოცეკვავედ. ანსამბლი მაშინ კონცერტებს მართავდა ფრონტისპირა ხაზებზე, ყირიმის ნახევარკუნძულზე, ვორონეჟში, ირანში და სხვაგან, რისთვისაც მთავარსარდლობის მიერ დაჯილდოებულია მედლებითა და სიგელებით.

1946 წლიდან იგი კვლავ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ქართული ცეკვების შემსრულებელი მსახიობი, რეპეტიტორი და პედაგოგია. დადგმული აქვს საკუთარი ცეკვე-

ბი ქართულ ოპერებში: „არსენა“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ნანა“ და სხვ.

1958 წელს მოსკოვში გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების II დეკადაზე აქტიური მონაწილეობისათვის სერგო ივანეს ძე ნონიაშვილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოებულია აგრეთვე საქართველოსა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების საპატიო სიგელებით.

ს. ნონიაშვილი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ქართული ცეკვების პედაგოგად და კონსულტანტად.

გარდაიცვალა 1969 წელს.

ორჯონიკიძე
ირაკლი სიმონის ძე

დაიბადა 1917 წლის 15 ნოემბერს ქ. თბილისში. 1938 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდია. იმავე წელს ჩაირიცხა თეატრში მოცეკვავე მსახიობად.

ი. ორჯონიკიძემ, როგორც მოცეკვავე მსახიობმა იმდროინდელ ბევრ ქართულ საბალეტო და საოპერო სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა და მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

1958-1964 წლებში მუშაობდა თეატრის სადადგმო ნაწილის გამგედ. პარალელურად მუშაობდა ქორეოგრაფად სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებების თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ წრეებსა და ანსამბლებში. ამ პერიოდში სარატოვის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი", ოპერის წარმატება სხვებთან ერთად ი. ორჯონიკიძემაც განაპირობა. ი. ორჯონიკიძის მიერ მომზადებული კოლექტივები ყოველთვის წარმატებით გამოდიოდნენ, რაც მრავალჯერ აღინიშნა დიპლომებითა და ქების სიგელებით.

1957 წელს საქართველოს ახალგაზრდობის პირველი რესპუბლიკური ფესტივალის, აგრეთვე სტუდენტობისა და ახალგაზრდობის მოსკოვის მეექვსე ფესტივალის მომზადებისა და ჩატარების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის ირაკლი სიმონის ძე ორჯონიკიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულებით დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრკ ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით.

გარდაიცვალა 1965 წლის 5 დეკემბერს.

პატარაია
გიორგი მელიტონის ძე

დაიბადა 1920 წლის 2 მაისს სოფელ ჩიბათში. სწავლობდა თბილისის მე—8 საშუალო სკოლაში, ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეზიარა კ. ჩივაძის სტუდიაში, გამარჯვება მოიპოვა 1936 წელს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე და ჩაირიცხა აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც გამოჩენილი ლოტბარი ს. კავსაძე და ქორეოგრაფი ი. სუხიშვილი ხელმძღვანელობდნენ.

ამ პერიოდიდან გ. პატარაიას მოღვაწეობა მჭიდროდ უკავშირდება კ. ლოლაძის შემოქმედებას. ეს დუეტი ათეული წლების მანძილზე თავდადებით ემსახურებოდა ქართული ცეკვის პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეს.

1939 წელს ი. სუხიშვილთან და კ. ლოლაძესთან ერთად მიწვეული იქნა საბჭოთა კავშირის წითელდროშოვანი სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, რომლის მხატვრული ხელმძღვანელი იყო ა.ალექსანდროვი.

1940 წელს მოსკოვში ჩამოყალიბდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სიმღერისა და ცეკვის საკავშირო ანსამბლი. ამ კოლექტივში გიორგი პატარაია ღირსეულ პარტნიორობას უწევდა ნინო რამიშვილს, ილიკო სუხიშვილს და კოტე ლოლაძეს.

საბჭოთა კავშირის დიდმა სამამულო ომმა ქართველ მოცეკვავეებს კაუნასში მოუსწრო. 1941 წლის 22 ივნისს ფრონტისპირულ ქალაქში ჩატარებული უკანასკნელი კონცერტის შემდეგ ანსამბლი მოსკოვში დაბრუნდა, კონცერტებით გამოდიოდა ფრონტის წინა ხაზზე და გამარჯვების რწმენას უნერგავდა მოსკოვის დამცველებსა და ლენინგრადის ბლოკადაში მყოფ მშრომელებს.

1944 წლის გაზაფხულზე წითელი არმიის რიგებიდან დემობილიზებული გ.პატარაია თბილისში დაბრუნდა და ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიწყო მუშაობა.

1945 წელს დაარსდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. მის პირველ სოლისტთა შორის ვხედავთ გიორგი პატარაიას.

1947-დან 1959 წლებში გიორგი პატარაია ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში გამართული მსოფლიო ახალგაზრდობის I და II ფესტივალების ლაურეატია.

1945-1965 წლებში იგი ინტენსიურ საგასტროლო მოღვაწეობას ეწევა და წარმატებით გამოდის როგორც ჩვენს სამშობლოში, ისე საზღვარგარეთ.

1963 წელს გიორგი პატარაია შემოქმედებითი მივლინებით გაემგზავრა დამასკოში (სირია), სადაც საკმაო ღვაწლი დასდო სირიული ეროვნული ქორეოგრაფიის განვითარების საქმეს.

1966 წელს სამშობლოში დაბრუნებულმა საოპერო სტუდიის დირექტორად დაიწყო მუშაობა.

საქართველოს მთავრობამ ღირსეულად დააფასა გიორგი მელიტონის ძე პატარაიას ღვაწლი ეროვნული ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში. მას 1958 წელს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭა. გიორგი პატარაია დაჯილდოებულია აგრეთვე საბრძოლო მედლებით, საპატიო სიგელებითა და დიპლომებით.

ამჟამად მუშაობს ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში.

სამხარაული
ჯემალ პეტრეს ძე

დაიბადა 1940 წლის 8 მაისს ქ. თბილისში. ქართული ხალხური ცეკვის ანბანი შეისწავლა თიანეთის საშუალო სკოლაში ნათელა ქართველიშვილისა და რაიონის კულტურის სახლის დირექტორის და რეჟისორის ალექსი ფუნთუშაშვილის ხელმძღვანელობით. რომელთა რეკომენდაციით 1958 წელს ჩაირიცხა ს. ზაქარიაძის სახელობის თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში.

სასწავლებელში ჯ. სამხარაული საფუძვლიანად დაეუფლა ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას გამოჩენილი ქორეოგრაფების ანტონ ჩიხლაძის, კონსტანტინე მანჯგალაძისა და ავთანდილ თათარაძის ხელმძღვანელობით.

კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (1962 წ.) ახალგაზრდა მოცეკვავემ პროფესიული დოსტატების გზა გაიარა ჯერ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების მთავარი სამმართველოს თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლში (ქორეოგრაფი ბ.დარახველიძე) და შემდეგ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში (ქორეოგრაფი ჯ. ბაგრატიონი). ამავე წელს იგი გახდა მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VIII ფესტივალის ლაურეატი (ფინეთი, ჰელსინკი).

1964 წლიდან ჯ. სამხარაული საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის მოცეკვავემსახიობია. ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით დაიხვეწა ჯ. სამხარაულის პროფესიული ოსტატობა და გამოვლინდა მოცეკვავის ინდივიდუალური თვისებები, რომლებმაც განსაკუთრებით იჩინა თავი მთიულური ცეკვების შესრულებისას.

1981 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სხვა ხელმძღვანელ პარტიულ და საბ-ჭოთა ორგანოების სიგელებით.

ჯ. სამხარაული საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში მუშაობს.

სარდანაშვილი
დავით პლატონის ძე

დაიბადა 1935 წლის 24 ივნისს აძბროლაურის რაიონის სოფელ ხვანჭკარაში.

ქორეოგრაფიულ ხელოვნებას დაეუფლა ბათუმში რკინიგზის საშუალო სკოლასა და ქალაქის კულტურის სახლის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივებში (ხელმძღვანელი გ. ოდიკაძე).

1953-1975 წლებში მოცეკვავე მსახიობად მიიწვიეს აჭარის სიმ-ღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში.

დ. სარდანაშვილი მოსწავლეთა და მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების საოლქო და რესპუბლიკური ოლიმპიადების მო-ნაწილეა. 1957 წელს ანსამბლთან ერთად გამოდიოდა მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI ფესტივალზე (მოსკოვი). წარ-მატებით გამოვიდა თბილისში აჭარის ლიტერატურისა და ხელო-ვნების დეკადაზე, რისთვისაც დაჯილდოებულია საპატიო სიგელე-ბითა და დიპლომებით.

ეროვნული ქორეოგრაფიული კულტურის განვითარების საქმეში აქტიური მონაწილეობისა და თვალსაჩინო მიღწევებისათვის და-ვით პლატონის ძე სარდანაშვილს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

გარდაიცვალა 1981 წელს.

სიმონიშვილი
გიორგი ქრისტეფორეს ძე

დაიბადა 1924 წლის 22 ივლისს ქ. თბილისში. 1938 წელს 14 წლის გიორგი სიმონიშვილი ცეკვის შესასწავლად მიიყვანეს პლეხანოვის სახელობის კლუბში მიხეილ ბახტაძესთან. ორი წლის შემდეგ მან ბავშვთა მხატვრულ თვითმოქმედების პირველ რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა.

1941 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გიორგი სიმონიშვილი მოცეკვავე-მსახიობად მიიღეს ქართლ-კახური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში (ხელმძღვანელი მ. თარხნიშვილი).

1943 წლიდან სამუშაოდ გადავიდა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში (ქორეოგრაფი ჯანო ბაგრატიონი). ამ კოლექტივში გიორგი სიმონიშვილმა გამოავლინა პროფესიული მოცეკვავის ყველა თვისება და მალე ანსამბლის წამყვან მოცეკვავე-მსახიობთა შორის აღმოჩნდა.

1948 წლიდან გ. სიმონიშვილი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის მოცეკვავეა. ანსამბლში მუშაობის 10 წლის მანძილზე კიდევ უფრო დაიხვეწა და ამაღლდა მისი საშემსრულებლო ხელოვნება. ამ პერიოდში მან მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ბუქარესტის საერთაშორისო ფესტივალში (1953 წ.) და ფესტივალის ლაურეატის წოდება მოიპოვა.

1958—1961 წლებში გ. სიმონიშვილი მუშაობდა სოლისტ მოცეკვავედ საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ანსამბლში, ხოლო 1961 წლიდან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მოცეკვავე-მსახიობია.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გიორგი ქრისტეფორეს ძე სიმონიშვილს მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

სიხარულიძე
გულიკო გიორგის ასული

დაიბადა 1951 წლის 4 იანვარს ქ. თბილისში. ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეზიარა თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ სასწავლებელში (1961-1969) რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ს. ნონიაშვილის ხელმძღვანელობით.

1968 წელს ჯერ კიდევ ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლე მივიდა ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ დამსახურებულ ანსამბლში მოცეკვავედ. აქ, ცნობილი ქორეოგრაფების საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების ნ. რამიშვილის და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო დაიხვეწა მისი საშემსრულებლო ოსტატობა. იგი ღრმად ჩაწვდა ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების საიდუმლოებასა და მოგვევლინა ცეკვების ერთ-ერთ უბადლო შემსრულებლად.

გ. სიხარულიძის საშემსრულებლო რეპერტუარი დიდი და მრავალფეროვანია. ქართულ ცეკვებთან ერთად იგი ნიჭიერად ასრულებს „აზერბაიჯანულს", „ბერძნულსა" და სხვა ცეკვებს.

ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო აკადემიურ დამსახურებულ ანსამბლში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, არის კომუნისტური შრომის დამკვრელი.

1981 წლის 9 დეკემბრის ბრძანებულებით გულიკო გიორგის ასულ სიხარულიძეს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, ხოლო 1986 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდებები.

ანსამბლში მოღვაწეობასთან ერთად ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ქორეოგრაფიულ სასწავლებელში.



სურვილაძე
გიორგი (გივი) იოსების ძე

დაიბადა 1925 წლის 21 მაისს ქ. თბილისში. ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას დაეუფლა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში გამოჩენილი ქორეოგრაფის დავით ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით.

სტუდიის წარმატებით დამთავრების შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდა მოცეკვავე ოპერისა და ბალეტს თეატრში ჩარიცხეს, სადაც 1943 წლამდე მუშაობდა.

1943 წელს საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. იგი მიიღეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მოცეკვავე-სოლისტად.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1946 წლიდან გ. სურვილაძე საქართველოს ხალხური ცეკვის ახლადჩამოყალიბებულ სახელმწიფო ანსამბლშია. 20 წელზე მეტი იმუშავა გ. სურვილაძემ ამ სახელოვან ანსამბლში.

გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფების ნ. რამიშვილის და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით. გ. სურვილაძემ მრავალი დასამახსოვრებელი სახე შექმნა, უმთავრესად ასრულებდა მთიულურ ცეკვებს, თუმცა სხვა ცეკვებშიც ღირსეულ პარტნიორობას უწევდა ანსამბლის წევრებს.

ანსამბლში ყოფნის ბოლო წლებში გ. სურვილაძე ქორეოგრაფრეპეტიტორის მოვალეობას ასრულებდა.

ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მთავრობამ 1958 წელს გიორგი იოსების ძე სურვილაძე „საპატიო ნიშნის" ორდენით დააჯილდოვა.

1953 წელს მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1967 წელს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მაღალი წოდებები მიენიჭა. იგი მსოფლიო ახალგაზრდობის IV ფესტივალის ლაურეატი და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის „დიდების ორდენის“ კავალერია. დაჯილდოებულია მედლით „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, მრავალი საპატიო სიგელითა და დიპლომით.

ტატიშვილი
როლანდ სერგოს ძე

დაიბადა 1947 წლის 8 თებერვალს ქ. თბილისში. 1965 წელს დაამთავრა თბილისის მე-10 საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა ლენინის სახელობის თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც 1974 წელს დაამთავრა.

1963—1966 წლებში ცეკვავდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს თვითმოქმედ სახალხო ანსამბლში.

1966-დან 1970 წლამდე იყო ქ. რუსთავის ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე. არის საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი, დაჯილდოებულია სიგელებითა და დიპლომებით.

როლანდ ტატიშვილი 1970 წლიდან საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობია.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სამსახურში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის როლანდ სერგოს ძე ტატიშვილს 1985 წელს საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

ტეხოვი
პეტრე ფირუზის ძე

დაიბადა 1940 წლის 2 მარტს ცხინვალის რაიონის სოფ. ზემო ქერში. ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეზიარა თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში.

1960 წელს მოცეკვავე-მსახიობად დაიწყო მუშაობა სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „სიმდში" გამოცდილი ხელმძღვანელებისა და ქორეოგრაფების ხელისშეწყობით იგი საფუძვლიანად დაეუფლა ხალხური ცეკვის საშემსრულებლო ხელოვნებას და ამ ცეკვების ერთ-ერთი თვალსაჩინო შემსრულებელი გახდა.

ნიჭიერი მოცეკვავე ინტენსიურად იყო დაკავებული ანსამბლის რეპერტუარში. მის მიერ შესრულებული პარტიებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა მეუღლესთან — ზ. კოტაევასთან ერთად შესრულებული „ნარნარი" სწორედ ამ ცეკვით მოიპოვა შესანიშნავმა წყვილმა დიდი პოპულარობა. ისინი ხშირად გამოდიოდნენ საპასუხისმგებლო და საზეიმო ღონისძიებებში.

1971 წელს პ. ტეხოვი მეუღლესთან ერთად მონაწილეობდა სკკპ XXV-ე ყრილობისადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტში კრემლის ყრილობათა სასახლეში. კოლექტივთან ერთად წარმატებით გამოდიოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კულტურის დღეებზე თბილისში.

ტეხოვების დუეტმა დიდი მოწონება დაიმსახურა 1981 წელს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე.

1982 წელს საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო კონცერტზე, რომელიც გაიმართა მოსკოვში, სახალ-

ხო მეურნეობის საკავშირო გამოფენაზე, დიდი წარმატება ხვდა წილად ტეხოვების ოჯახის /მეუღლე და ორი შვილი/ მიერ დიდებულად შესრულებულ „ნარნარს“.

ამჟამად პ. ტეხოვი და ზ. კოტაევა ენერგიულად, საქმის ღრმა ცოდნით უძღვებიან ახალგაზრდა თაობის აღზრდის საპატიო საქმეს.

ოსურ ხალხურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის პეტრე ფირუზის ძე ტეხოვს 1979 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. იგი დაჯილდოებულია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტუტთა საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლითა და დიპლომით.

უთმელიძე
თენგიზ ვარლამის ძე

დაიბადა 1938 წლის 24 მაისს ქ. თბილისში.

ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ეზიარა ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში ქორეოგრაფ რომან ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით.

1957 წლიდან 1971 წლამდე მუშაობდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ დამსახურებულ ანსამბლში სოლისტად. ანსამბლში მოღვაწეობის 14 წლის მანძილზე შესრულებული აქვს წამყვანი პარტიები ისეთ ცეკვებში, როგორიცაა „ქართული", „ხევსურული სიუიტა", „ჯეირანი", „წყაროსთან", ქორეოგრაფიულ კომპოზიციაში „ქაჯეთის ციხის აღება" და სხვა.

თ. უთმელიძის ცეკვა ყოველთვის გამოირჩეოდა შესრულების მაღალი კულტურითა და სინატიფით.

ანსამბლიდან წამოსვლის შემდეგ მუშაობდა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს იდეურ-პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილედ. ამჟამად არის რესპუბლიკის საშუალო და სპეციალური განათლების რესპუბლიკური ინსპექციის უფროსი.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის ბრძანებულებით თენგიზ ვარლამის ძე უთქმელიძეს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით.

უთმელიძე
ლამარა კიმოთეს ასული

დაიბადა 1930 წლის 3 ივნისს. ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეზიარა ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში, წარსულში გამოჩენილი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის ანტონ ჩიხლაძის ხელმძღვანელობით.

1952—1954 წლებში იგი სტუდენტთა საქალაქო ანსამბლის შემადგენლობაშია, ხოლო 1954—1959 წლებში საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „გორდას" სოლისტია. სხვადასხვა დროს გამოდიოდა საქართველოს სამტრესტთან და საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის შემადგენლობაში, 1960—1962 წლებში იყო აჭარის ასსრ მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მოცეკვავე. 1962—1975 წლებში ცეკვავდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, ხოლო 1975—79 წლებში საქართველოს პროფსაბჭოს რესპუბლიკურ სახლთან არსებული ცეკვის სახალხო ანსამბლ „თბილისში"

ლ. უთმელიძე განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ქართულში", „ფარიკაობაში", და „აჭარულში" აქვს საკუთარი დადგმები „ყაზბეგური" და „ქალთა ცეკვა" /ანსამბლი „გორდა" 1964 წელი/ იგი საქართველოს მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადების, რესპუბლიკური /1957/ და საკავშირო /1967, 1970/ ფესტივალების ლაურეატია, დაჯილდოებულია საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელებით. 1981 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლამარა კიმოთეს ასულ უთმელიძეს მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში გაწეული ნაყოფიერი

მუშაობისათვის მიენიჭა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

ამჟამად მუშაობს თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში ქორეოგრაფიის კაბინეტში პედაგოგ-მეთოდისტად და მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს ახალგაზრდობის აღზრდას.

ფირცხალავა
ვენერა იასონის ასული

დაიბადა 1928 წლის 10 თებერვალს ქ. სოხუმში. 1943 წლიდან 1968 წლამდე მუშაობდა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში სოლისტ-მოცეკვავედ. ანსამბლში მუშაობის 25 წლის მანძილზე მსახიობი ქალი წარმატებით ასრულებდა რეპერტუარით გათვალისწინებულ ყველა ცეკვას, მაგრამ მისი საშემსრულებლო ხელოვნება განსაკუთრებით გამოჩნდა ცეკვა „ქართულში", „ხევსურულში", „ფარიკაობაში" და „ყაზბეგურში" მთიულური ცეკვების შესანიშნავი შესრულებისათვის დაჯილდოებულია ვერცხლის მედლით.

ვ. ფირცხალავა საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ფესტივალის ლაურეატია. 1958 წელს მონაწილეობდა თბილისში აფხაზეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაში.

დეკადაზე წარმატებით გამოსვლისა და ანსამბლში ხანგრძლივი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის ვენერა იასონის ასულ ფირცხალავას მინიჭებული აქვს აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტის წოდება. დაჯილდოებულია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელითა და სხვა წამახალისებელი საჩუქრებით.

ფირცხალაიშვილი მამია ნიკოლოზის ძე

დაიბადა 1926 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგოეთში. 1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სტუდია.

დიდი სამამულო ომის წლებში მ. ფირცხალაიშვილი აქტიურად მონაწილეობდა მხატვრული ბრიგადების შემადგენლობაში, გამოდიოდა საბჭოთა არმიის ნაწილებში და ჰოსპიტლებში. მამია ფირცხალაიშვილი დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

1945 წლიდან, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლის შექმნის პირველსავე დღიდან 1953 წლამდე მამია ფირცხალაიშვილი იყო ამ შესანიშნავი კოლექტივის წამყვანი სოლისტი მოცეკვავე.

1949 წელს, საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ხალხთა მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის განმტკიცების პროგრამით რუმინეთში ანსამბლის ბრწყინვალე გამოსვლების შემდეგ, რუმინეთის მთავრობის ბრძანებულებით ანსამბლის ხელმძღვანელები, წამყვანი სოლისტები და მათ შორის მამია ფირცხალაიშვილი დაჯილდოვდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის „ვარსკვლავის“ ორდენით.

1953—1957 წლებში მ. ფირცხალაიშვილი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლშია სოლისტ-მოცეკვავედ.

1955 წელს მან მონაწილეობა მიიღო ვარშავაში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალზე, სადაც ეროვნული ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსში გამარჯვე-

ბისათვის ოქროს მედალი და ფესტივალის ლაურეატის მაღალი წოდება დაიმსახურა.

1957—1965 წლებში მ. ფირცხალაიშვილი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის მსახიობია. 1958 წელს თეატრთან ერთად მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 13 იანვრის ბრძანებულებით მამია ნიკოლოზის ძე ფირცხალაიშვილს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება. დაჯილდოებულია საპატიო სიგელებითა და დიპლომით.

ფოჩიანი

ლატავრა ალექსანდრეს ასული

დაიბადა 1939 წლის 20 აგვისტოს ლენტეხის რაიონის სოფელ ლეესურაში. ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას პირველად 7 წლის ასაკში ეზიარა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქორეოგრაფიულ წრეში. რომელსაც ჯერ ანტონ ჩიხლაძე, ხოლო შემდეგ რესპუბლიკის სახალხო არტისტი (რომან) რუბენ ჭოხონელიძე ხელმძღვანელობდა.

1956 წლიდან 1961 წლამდე ლ. ფოჩიანი საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის სოლისტი იყო /ხელმძღვანელი რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი (ბუხუტი) დარახველიძე./

ლ. ფოჩიანმა ხსენებულ ანსამბლთან ერთად მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვისა (1957 წ.) და ვენის (1959 წ.) მეექვსე და მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალებში და ამ ფესტივალების ლაურეატის წოდება, ოქროს მედლები და პირველი ხარისხის დიპლომები დაიმსახურა.

1965 წლიდან ლ. ფოჩიანი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის სოლისტია. აქ ფართოდ იშლება მოცეკვავე მსახიობის შემოქმედებითი შესაძლებლობანი, იხვეწება მისი მრავალმხრივი რეპერტუარის ტექნოლოგიური და გამომსახველობითი შესაძლებლობანი. ამ ანსამბლში მოამზადა და წარმატებით წარმოაჩინა ცეკვა „ქართული“, „ხევსურული“ „აჭარული“, „ცეკვა დაირით“, „ყარაჩოხელი“ და სხვ.

ლ. ფოჩიანის შემოქმედება აღიბეჭდა ქართულ კინემატოგრაფიაში. იგი გადაღებულია მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებში: „შეხვედრა მთაში“, „ტრიუმფი ლა სკალაში“, „საქართველოს ლეგენდები და სინამდვილე“, „ძველი თბილისის მელოდიები“, „კო-

რნელი სანაძე“, „რუსთაველი 800“ და სხვ. მისი შემოქმედება და სცენური სახეები ასახულია სახვით ხელოვნებაშიც (კ. სანაძის „ცისფერი ლატავრა“, „ლატავრა დაირით“, „ტრიპტიქი შოთა რუსთაველი“. მხატვარ ვ. ონიანის ფერწერული ტილო „ლატავრა“ და სხვა).

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ლატავრა ალექსანდრეს ასული ფოჩიანი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1967 წ.). მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა (1971 წ.) და საქართველოს სახალხო არტისტის (1980 წ.) საპატიო წოდებები.

ამჟამად მუშაობს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტში, არის მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ქველიძე

დავით ევგენის ძე

დაიბადა 1934 წლის 24 აპრილს ქ.თბილისში. ცეკვა 1953 წლიდან დაიწყო ჯერ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სესტრადო კოლექტივში, შემდეგ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში, 1957 წლიდან კი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის მოცეკვავე- მსახიობია.

ანსამბლში მუშაობის მრავალი წლის მანძილზე დავით ქველიძემ გამოავლინა მაღალი კლასის პროფესიული შესრულებისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებები. იგი ანსამბლის ერთ-ერთი წამყვანი მოცეკვავეა და პროგრამით გათვალიწინებულ ყველა ცეკვაში მონაწილეობს. მას უნარი შესწევს მიიტანოს მაყურებლამდე ქართული ცეკვისათვის დამახასიათებელი ეროვნული კოლორიტი, მისი ხასიათი.

ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დავით ევგენის ძე ქველიძეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის ბრძანებულებით მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება და დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

ქველიძე
ზურაბ ევგენის ძე

დაიბადა 1931 წლის 24 აპრილს ქ.თბილისში. მერვე კლასის მოსწავლე 1948 წელს ჩაირიცხა ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლში გ. დარახველიძის ხელმძღვანელობით და მალე წამყვანი მოცეკვავე გახდა.

1950 წელს საშუალო სკოლადამთავრებულ ზურაბ ქველიძეს უკვე არჩეული ჰქონდა თავისი მომავალი პროფესია. იგი მიიღეს სოხუმის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლში. აქ, გამოჩენილი ქორეოგრაფის ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანელობით, გაიზარდა და დაიხვეწა ახალგაზრდა მსახიობის საშემსრულებლო ოსტატობა.

1952 წლიდან ზ. ქველიძე საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის წამყვანი მოცეკვავე-მსახიობია. ამ სახელოვანი ანსამბლის შემადგენლობაში მუშაობის მრავალი წლის მანძილზე ზ. ქველიძე ყოველთვის წამყვანთა რიგებში იყო. იგი ომარ მხეიძესთან ერთად ღირსეულ პარტნიორობას უწევდა ლეგენდად ქცეულ ნინო რამიშვილს ცეკვა „ქართულისა" და „ჯეირანში"

ზ. ქველიძე მსოფლიო ახალგაზრდობის IV ფესტივალის ლაურეატია.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის ბრძანებულებით ზურაბ ევგენის ძე ქველიძეს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, იგი დაჯილდოებული იყო აგრეთვე სიგელებითა და დიპლომებით.

გარდაიცვალა 1973 წლის 10 მარტს.

ღვაბერიძე

ნიკოლოზ გერასიმეს ძე

დაიბადა 1923 წლის 19 დეკემბერს ქ.თბილისში. 1934 წელს შევიდა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში. იგი 6 წლის მანძილზე ეუფლებოდა ქართული ხალხური და კლასიკური ცეკვის ხელოვნებას გამოჩენილი მასწავლებლების დავით ჯავრიშვილის, მ. ბაუერისა და მ. კაზინეცის ხელმძღვანელობით.

სტუდიის დამთავრებისთანავე ნიკოლოზ ღვაბერიძე, ჯანო ბაგრატიონის რეკომენდაციით, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებულ სახელმწიფო ანსამბლში ჩაირიცხა.

ანსამბლში მუშაობის პერიოდში ნ. ღვაბერიძე მრავალ ცეკვას ასრულებდა („დავლური", „მთიულური", „ოსური", „სვანური", „ყარაჩოხული" და სხვა), მაგრამ გამორჩეულად ცეკვავდა „ქართულს", სწორედ ამ ცეკვამ მოუხვეჭა მას სახელი.

1947 წელს ამიერკავკასის დეკადის დღეებში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე მან ირინა ჟღენტთან ერთად ბრწყინვალედ შეასრულა „ქართული" ჯ. ბაგრატიონის დადგმით. შემდეგ ნ. ღვაბერიძეს ვხვდებით ჯ. ბაგრატიონის მიერ ჩამოყალიბებულ ჯაზ-ორკესტრში, სადაც მას ღირსეულ პარტნიორობას უწევს „ქართულის" უბადლო შემსრულებელი ნონა გუნია.

შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს და 1962 წლამდე უმწიკვლოდ ემსახურებოდა საყვარელ ხელოვნებას. სხვადასხვა დროს მისი ღირსეული პარტნიორები იყვნენ ირინა ჟღენტი, ნონა გუნია, ლეილა თათეიშვილი და ნატალია ბაგრატიონი. მაგრამ ლეილა თათეიშვილისა და ნიკოლოზ(ნიკუშა) ღვაბერიძის დუეტი განუმეორებელი იყო.

მათ ბევრჯერ მიუღიათ მონაწილეობა მოსკოვში გამართულ საპასუხისმგებლო კონცერტებში, განსაკუთრებული წარმატება ხვდა მათ გამოსვლას მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მეორე დეკადის დღეებში.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებისათვის ნიკოლოზ გერასიმეს ძე ღვაბერიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 21 ივნისის ბრძანებულებით დაჯილდოებულია საპატიო სიგელით, ხოლო 1961 წლის 4 მაისის ბრძანებულებით მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

ღოღობერიძე (ნონიაშვილი) თამაზ სერგოს ძე

დაიბადა 1945 წლის 18 აპრილს ქ.თბილისში.

1959 წლიდან ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ეუფლებოდა ამერკავკასიის რკინიგზის ელმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კლუბში(პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი) ქორეოგრაფ ვაჟა აბაშიძის ხელმძღვანელობით.

1961 წელს მონაწილეობდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლში რესპუბლიკის სახალხო არტისტის გორგი დარახველიძის ხელმძღვანელობით.

1962 წლიდან ცეკვის ხელოვნებას ეუფლებოდა თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ სასწავლებელში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვახტანგ ჭაბუკიანისა და ცნობილი ქორეოგრაფების სერგო ნონიაშვილისა და სერგო სოლოღოვის ხელმძღვანელობით.

1962-1966 წლებში თ. ღოღობერიძე მოცეკვავე მსახიობად მუშაობდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სხვადასხვა დროს წარმატებით ასრულებდა „ქართულსა“ და „მთიულურს“ ზ. ფალიაშვილის „დაისსა“ და „აბესალომ და ეთერში“, დ. თორაძის ბალეტ „გორდაში“, „ქართულს“ — არაყიშვილის „დარეჯან ცბიერში“, „კინტოურს“ — ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეში“, „ნაბდურას“ — აკ. ანდრიაშვილის „ზვავში“, „მოხეურს“ — ო. თაქთაქიშვილის „მინდიასა“ და სხვა.

თ. ღოღობერიძე 1966 წლიდან საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის სოლისტია. ანსამბლში უფრო მკაფიოდ გამოვლინდა მსახიობის ინდივიდუ-

ალური შესაძლებლობანი. მის საშემსრულებლო პროგრამაში გამოვყოფთ „ხევსურულს“, „კინტოურსა“ და „მხედრულს“.

თ. ღოღობერიძე პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. იგი ნაყოფიერად მუშაობს თბილისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა ქორეოგრაფიულ ანსამბლებში. მისმა დადგმულმა ცეკვებმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

ქართულ საბჭოთა ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის თამაზ სერგოს ძე ღოღობერიძეს (ნონიაშვილს) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 9 დეკემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

ამჟამად მუშაობს ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებში.

ყურაშვილი
ბიჭიკო გიორგის ძე

დაიბადა 1944 წლის 9 სექტემბერს ქ.თბილისში.

1954 წლიდან ცეკვავდა თბილისის ბ. ძნელიაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლში რესპუბლიკის სახალხო არტისტის რომან(რუბენ) ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით. მისივე ხელძღვანელობით ცეკვავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივში.

1964 წლიდან ბიჭიკო ყურაშვილი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის მოცეკვავე მსახიობია.

დაჯილდოებულია რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის ოლიმპიადებისა და ფესტივალების სიგელებით.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების საქმეში ხანგრძლივი მოღვაწეობისა და თვალსაჩინო დამსახურებისათვის საქართველოს მთავრობამ ბიჭიკო გიორგის ძე ყურაშვილს 1985 წელს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიანიჭა.

ამჟამად იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელია.

ყუფარაძე
ვლადიმერ იასონის ძე

დაიბადა 1921 წლის 8 სექტემბერს ქ.თბილისში. 1930 წელს შევიდა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

1939 წელს მუშაობა დაიწყო მოსკოვის ალექსანდროვის სახელობის საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვან ანსაბში ქართული და რუსული ცეკვების შემსრულებლად(ხელმძვანელი-კომპოზიტორი და დირიჟორი ალექსანდრე ვასილის ძე ალექსანდროვი).

1940-დან 1941 წლამდე ვ. ყუფარაძე მუშაობდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოსკოვის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში კომპოზიტორ ზინოვი დუნაევსკის ხელმძღვანელობით.

1941წლიდან ვ. ყუფარაძე თბილისში ჩამოდის და მუშაობას იწყებს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოცეკვავე მსახიობად. თეატრში მუშაობის პერიოდში(1941-1949) ვლადიმერ ყუფარაძე ცეკვავდა ყველა ქართულ ოპერაში, ბალეტებში — „მთების გულსა“ და „სინათლეში“

1945 წელს იგი ჩაირიცხა ახლადშექმნილ საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში სოლისტ მოცეკვავედ. მოცეკვავე-მსახიობად იმუშავა 1967 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ანსამბლის შემოქმედებით წარმატებაში.

ვ. ყუფარაძე მსოფლიო ახალგაზრდობის IV ფესტივალის

ლაურეატი და რუმინეთის სახელმწიფო ორდენის „წითელი ვარსკვლავის“ კავალერია.

1955 წელს ანსამბლის დაარსების ათი წლისთავზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ვლადიმერ იასონის ძე ყუფარაძეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1967 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის მაღალი წოდებები მიენიჭა და საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

ვ. ყუფარაძე 1967 წლიდან ანსამბლის სამხატვრო-სადადგმო ნაწილს განაგებდა.

გარდაიცვალა 1981წლის 25 მარტს.

შადური
ალექსანდრე იაგორის ძე

დაიბადა 1916 წლის 15 მაისს დაბა ყაზბეგში. ბავშვობიდანვე ინტერესით უკვირდებოდა და სწავლობდა მოხეური ცეკვების რთულ ილეთებს და მალე შესანიშნავად შეითვისა კიდეც. თვითნასწავლ მოცეკვავეს ხშირად იწვევდნენ ხევის სახალხო და საგვარეულო დღესასწაულებზე.

ნიჭიერმა ახალგაზრდამ მალე ისე გაითქვა სახელი, რომ ჩრდილო ოსეთის ხალხური ცეკვის ანსამბლში მიიწვიეს. იმხანად ანსამბლს ხელმძღვანელობდა მთიულური ცეკვების ერთ-ერთი ცნობილი შემსრულებელი გ. გავაშელი.

ჩრდილო ოსეთის გარდა ანსამბლი ხშირად მართავდა კონცერტებს რუსეთის კულტურული და სამრეწველო ცენტრების სცენებზე და მაყურებლის დიდი მოწონებით სარგებლობდა. ანსამბლის წარმატებაში თავისი წვლილი შეჰქონდა ალექსანდრე შადურსაც.

1939 წელს ა. შადური ორჯონიკიძიდან თბილისში გადადის და მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში.

1941 წელს, დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე, ა. შადური სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

1943 წელს ფრონტზე მძიმე ჭრილობის მიღების გამო არმიიდან დემობილიზებული თბილისში დაბრუნდა. 1945 წელს ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ახლადჩამოყალიბებულ ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ჩაირიცხა. მოცეკვავემ დიდი კვალი დატოვა ანსამბლის ცხოვრებაში, იგი აქაც გამოირჩეოდა მთიულური ცეკვების შესრულების თავისებური მანერით. „ყაზბეგურში“ ა. შადური ღირსეულ პარტნიორობას უწევდა საქვეყნოდ აღიარებულ ნინო რამიშვილს. იმ პერიოდში მის რეპერტუარში

განსაკუთრებით გამოირჩეოდა ეპიზოდური (მეტყვიამფრქვევე) ცეკვა სამამულო ომის თემაზე დადგმული ქორეოგრაფიული კომპოზიციიდან.

1948 წლიდან მოცეკვავე საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში გადავიდა სამუშაოდ.

1952-დან 1954 წლამდე ალექსანდრე შადური ქორეოგრაფად მუშაობდა ყაზბეგში, დუშეთში, თელავსა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

1954 წლიდან ცოტა ხნით კვლავ დაუბრუნდა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს, შემდეგ კი გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლში მოცეკვავედ.

გარდაიცვალა 1956 წელს.

ჩახავა
ალექსანდრე (შურა) ნესტორის ძე

დაიბადა 1912 წელს ქ. თბილისში. 1927 წელს 15 წლის ალექსანდრე (შურა) ჩახავა მუშაობას იწყებს დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ეთნოგრაფიულ ანსამბლში ცნობილი ლოტბარის კირილე პაჭკორიას ხელმძღვანელობით, შემდეგ მუშაობს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში სოლისტ მოცეკვავედ, ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტად, იგი წარმატებით გამოდის ქართულ ბალეტებსა და ოპერებში („მალთაყვა", „ქეთო და კოტე" და სხვ.)

დიდი სამამულო ომის პერიოდში მუშაობდა ა/კ სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, რომელიც წარმატებით გამოდიოდა ყირიმისა და ჩრდილო კავკასიის ფრონტებზე.

ომის დამთავრების შემდეგ სოლისტად მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ჯაზში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვლადიმერ კანდელაკი და კომპოზიტორი დავით თორაძე.

ჩახავამ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში მუშაობა მისი ჩამოყალიბების პირველსავე დღიდან დაიწყო და მრავალი წლის მანძილზე შეჰქონდა თავისი მოკრძალებული წვლილი ანსამბლის წარმატებაში. ა. ჩახავას ამპლუა მთიულური ცეკვები იყო. ამ ცეკვებით გამოდიოდა ამიერკავკასიისა და საქართველოს ცეკვის კონკურსებზე და წარმატებასაც აღწევდა. იგი დაჯილდოებულია მედლებითა და რუმინეთის სახალხო სოციალისტური რესპუბლიკის „ოქროს ვარსკვლავის ორდენით".

1953 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი

და ნაყოფიერი მუშაობისათვის ალექსანდრე (შურა) ნესტორის ძე ჩახავას მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ალ. ჩახავა საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიულ საზოგადოებაში მუშაობდა.

გარდაიცვალა 1971 წლის 22 სექტემბერს.

ჩიბიროვი
ვლადიმერ სარდიონის ძე

დაიბადა 1931 წლის 9 სექტემბერს ქ. ცხინვალში. ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეზიარა სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლთან არსებულ ბავშვთა სტუდიაში ნიჭიერი ქორეოგრაფის გრიგოლ გაბარაევის ხელმძღვანელობით. შემდეგ კი მის დაოსტატებაში გარკვეული როლი შეასრულა ვასილ ჯატიევმა.

ვლადიმერ ჩიბიროვის შემოქმედებითი ბიოგრაფია დაკავშირებულია სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან, სადაც ის 1947 წელს მივიდა მოცეკვავედ და დღემდე განაგრძობს მოღვაწეობას, როგორც ქორეოგრაფი.

იგი წარმატებით ასრულებდა სოლო ცეკვებს „ჯირითში", „მეგობრობაში", „აზერბაიჯანულ სახუმაროში", „განდაგანაში" და სხვ.

დადგმული აქვს ცეკვები: „სიმდი", „მიპატიჟება", „უჩხესტი", „მოლდარი" და სხვა.

1957 წელს თბილისში სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ვლადიმერ სარდიონის ძე ჩიბიროვს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

ჩირაძე

შიო ნიკიფორეს ძე

დაიბადა 1908 წლის 23 სექტემბერს ქ. ქუთაისში. სწავლობდა ქუთაისის საცეკვაო სტუდიაში გ. კირტავას ხელმძღვანელობით. მალე თბილისში ჩამოდის და ალ. ალექსიძის სტუდიაში შედის. 18 წლის ჭაბუკი მიიღეს სტუდიასთან არსებულ ანსამბლში, რომელიც დედაქალაქის სკოლებსა და მუშათა კლუბებში მართავდა კონცერტებს. 1928 წელს მ. თარხნიშვილმა თავისთან მიიწვია ქართლ-კახური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლში.

შ. ჩირაძემ 1930 წელს დაამთავრა თბილისის ჰიდროტექნიკუმი და ქ. ფოთში დაიწყო მუშაობა. იმხანად ფოთში ხშირად იმართებოდა სპორტული და მხატვრული თვითმოქმედების შეჯიბრება-კონკურსები, ერთ-ერთ ასეთ კონკურსზე ქართული ცეკვების შესრულებისათვის შ. ჩირაძემ, ი. მაჩხანელთან ერთად, უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა, რის გამოც რეჟისორმა ბ. გამრეკელმა ორივე მოცეკვავე ადგილობრივი დრამატული თეატრის დასში ჩარიცხა.

1933 წელს შ. ჩირაძე კვლავ თბილისშია და პროფესორ აკაკი ფაღავას მიერ ჩამოყალიბებულ ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლის ქორეოგრაფიულ ჯგუფში შედის (ხელმძღვანელი დ. ჯავრიშვილი). შ. ჩირაძეს გარდა აქ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეუფლებოდნენ შემდგომში ცნობილი მოცეკვავეები და ქორეოგრაფები ჯ. ბაგრატიონი, ა. ჩიხლაძე, ი. ქავთარაძე, შ. ბუგიანაშვილი, კ. გარუჩავა და სხვები.

1935 წელს ფაღავას სასწავლებელი დაიხურა. შ. ჩირაძე ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში გადავიდა.

1936 წელს სტუდიადამთავრებული ახალგაზრდა შემსრულებელი ამავე თეატრში მიიღეს მოცეკვავე-მსახიობად. აქედან მოყოლებული

იგი მრავალი წლის მანძილზე წარმატებით გამოდიოდა როგორც ეროვნულ საოპერო სპექტაკლებში, ისე ქართულ და კლასიკურ ბალეტებში.

მან, როგორც ოპერისა და ბალეტის წამყვანმა მსახიობმა, ორჯერ მიიღო მონაწილეობა მოსკოვში გამართულ საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის დეკადაში.

1938 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან ერთად შ. ჩირაძე საგასტროლოდ იმყოფებოდა ლენინგრადში. ამ დროისათვის ილიკო სუხიშვილს ბალეტის მსახიობთა ქართული ჯგუფიდან ჩამოყალიბებული ჰყავდა თორმეტკაციანი ანსამბლი, რომელიც თეატრის სპექტაკლების პარალელურად დამოუკიდებელ კონცერტებს მართავდა ლენინგრადის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო ესტრადაზე და პეტერგოფში. ამ ანსამბლმა, რომლის შემადგენლობაში შიო ჩირაძეც გამოდიოდა, ლენინგრადელ მშრომელთა და პრესის აღიარება და დიდი მოწონება დაიმსახურა.

შ. ჩირაძე, ოპერის თეატრში მუშაობის პარალელურად, ცეკვის ხელოვნებას ასწავლიდა კონსერვატორიის სტუდენტებს, ამ პერიოდში იგი სტამბის მუშაკთა პროფკავშირების გუნდში (ლოტბარი ნ. ჩაჩიბაია) მოცეკვავეთა გუნდს ხელმძღვანელობდა.

დიდი სამამულო ომის დროს შ. ჩირაძე აქტიურად მონაწილეობდა მხატვრულ ბრიგადაში, რომელიც კონცერტებს მართავდა ფრონტის წინა ხაზებზე.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის შიო ნიკიფორეს ძე ჩირაძეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება. იგი დაჯილდოებულია აგრეთვე მრავალი სიგელითა და დიპლომით.

ამჟამად მუშაობს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ადმინისტრაციულ-სამეურნეო აპარატში.

ჩიჩუა

გივი კალისტრატეს ძე

დაიბადა 1930 წელს ქ. ბათუმში.

ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ეზიარა საშუალო სკოლის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივში გამოჩენილი ქორეოგრაფის ენ. ხაბაძის ხელმძღვანელობით.

1945 წელს ის მოცეკვავე მსახიობად მიიღეს აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში.

1946 წელს მან წარმატებით გაიარა საკონკურსო დათვალიერება და საქართველოს ხალხური ცეკვის ახლადდაარსებული ანსამბლის კოლექტივში ჩაირიცხა.

რამდენიმე წლის შემდეგ გივი ჩიჩუა კვლავ აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს დაუბრუნდა და დღესაც დიდი სიყვარულით აგრძელებს თავის საყვარელ საქმეს.

გ. ჩიჩუა პედაგოგიურ მუშაობას ეწევა ბათუმის საშუალო სკოლებში და მთელ თავის ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას ახმარს ახალგაზრდა მოცეკვავეთა აღზრდას.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში ხანგრძლივი მუშაობისა და თვალსაჩინო ღვაწლისათვის გივი კალისტრატეს ძე ჩიჩუას აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ჩოჩიშვილი
მიხეილ ზინობის ძე

დაიბადა 1912 წლის 4 ოქტომბერს თბილისში. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მოცეკვავე მიხეილ ჩოჩიშვილი 1935 წლის ზაფხულში ილიკო სუხიშვილთან, ანტონ ჩიხლაძესთან, სერგო ნონიაშვილთან და ვლადიმერ ხეთაგუროვთან ერთად მონაწილეობდა ხალხური ცეკვების შემსრულებელთა ლონდონის საერთაშორისო ფესტივალში და თავისი წვლილი შეიტანა ქართველ მოცეკვავეთა ბრწყინვალე გამარჯვებაში.

1937 წელს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში მიხეილ ჩოჩიშვილი მონაწილეობდა როგორც ოპერისა და ბალეტის მოცეკვავე მსახიობი, ისე საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმეიფო ანსამბლის სოლისტი.

დეკადის დასკვნით კონცერტზე კრემლში ცეკვა „ქართულის" მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებისათვის იგი ნინო კალანდაძესთან ერთად დაჯილდოვდა სახელობითი საათით.

დეკადის დამთავრების შემდეგ ქართული ცეკვების შემსრულებლად მიიწვიეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ცეკვების სახელმწიფო ანსამბლში (ხელმძღვანელი სსრკ სახალხო არტისტი იგორ მოისეევი). მ. ჩოჩიშვილისა და ა. ჩიხლაძის დუეტი წარმატებით გამოდიოდა დედაქალაქში გამართულ კონცერტებში.

1939-დან 1941 წლამდე ჩოჩიშვილი მუშაობდა ნალჩიკში ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელად.

1941 წლიდან მ. ჩოჩიშვილი კვლავ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს დაუბრუნდა და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა 1947 წლამდე.

1947 წლიდან 1970 წლამდე მუშაობდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ჯერ მთავარ ბუღალტრად, შემდეგ კი უფროს რევიზორად.

გარდაიცვალა 1970 წლის 22 აპრილს.

ცათიაშვილი
იოსებ ჯორჯის ძე

დაიბადა 1917 წლის 28 დეკემბერს თელავის რაიონის სოფ. ბირკიანში.

მთიულური ცეკვები და მათ შორის „ქისტური", რომელსაც იგი არაჩვეულებრივი ბრწყინვალებით ასრულებდა, ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა პანკისის ხეობაში მცხოვრები ფშაველების, ხევსურების, თუშებისა და ქისტებისაგან შეისწავლა.

1937-დან 1941 წლამდე ი. ცათიაშვილი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში ცეკვავდა. აქ, გამოჩენილი ქორეოგრაფის ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანელობით დაიხვეწა მისი ხელოვნება, შეირჩა მოცეკვავის რეპერტუარი. ი. ცათიაშვილის მონაცემების გათვალისწინებით შექმნა ქორეოგრაფმა შესანიშნავი კომპოზიცია „ალვანური ანუ მასობრივი ქისტური", რომელმაც მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა და საპატიო ადგილი დაიკავა ქართული ხალხური ცეკვების რეპერტუარში.

მოცეკვავე ანსამბლის რეპერტუარში შემავალ თითქმის ყველა მასობრივ ცეკვაში მონაწილეობდა, მაგრამ მისთვის განსაკუთრებული ცეკვა იყო „ქისტური"

ი. ცათიაშვილი 1941 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. ჯარიდან დაბრუნებული უმაღლესი განათლების სამსახურში ჩადგა. სხვადასხვა დროს იყო სოფელ შილდის მათემატიკის მასწავლებელი, სასწავლო ნაწილის გამგე, ყვარლის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლის დირექტორი და ამჟამად ამავე სკოლის პენსიონერი მასწავლებელი.

ხანდაზმული მოცეკვავე დახმარებასა და ყურადღებას არ აკლებს სკოლის ქორეოგრაფიულ კოლექტივს, იგი თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს ნორჩ მოცეკვავეებს.

წერეთელი
ელენე ავეტისის ასული

დაიბადა 1929 წლის 1 თებერვალს. 1946 წელს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო სტუდიის წარმატებით დამთავრებისთანავე 17 წლის ნიჭიერი ქალიშვილი თეატრის საბალეტო დასში ჩარიცხეს. სამ წელიწადს ცეკვავდა მსახიობი სახელოვანი თეატრის სცენაზე და დღითი დღე იღრმავებდა ცოდნას.

1949 წელს ელენე წერეთელი სოხუმში გადადის საცხოვრებლად და მუშაობას იწყებს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში. დაუზარელი შრომისა და ნაყოფიერი მეცადინეობის წყალობით, მალე აითვისა აფხაზური ხალხური ცეკვის რეპერტუარი და ანსამბლის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი გახდა.

1950 წელს ე. წერეთელს აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო კოლექტივში იწვევენ ცეკვების შემსრულებელ-სოლისტად.

ჯ. ბაგრატიონთან მუშაობამ კიდევ უფრო აამაღლა მსახიობის საშემსრულებლო დონე, მისი გემოვნება. ე. წერეთლის „ქართული", „მოხეური" და სხვა ცეკვები ყოველთვის სარგებლობდნენ მაყურებლის დიდი მოწონებით.

1951 წელს იგი კვლავ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს დაუბრუნდა და 1953 წლამდე ამ კოლექტივში მუშაობდა.

1953-დან 1967 წლამდე ე. წერეთელი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლშია. აქ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო დაიხვეწა მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება, გაიზარდა რეპერტუარი. როგორც სო-

ლისტი იგი ზედმიწევნით მაღალ დონეზე ასრულებდა „ქართულს“, „ყაზბეგურს“ და „ხევსურულს“ ზ. ქველიძესთან, ი. ზედაშიძესთან, გ. ბერაძესთან და ო. მხეიძესთან ერთად. ღირსეულ პარტნიორობას უწევდა „სამაიას“ საუკეთესო შემსრულებელს ნ. რამიშვილსა და მ. მხეიძეს.

20 წელი იმუშავა ელენე წერეთელმა საქვეყნოდ აღიარებულ ქართული ხალხური ცეკვის სახელოვან კოლექტივში. აქ მან შემოქმედებითი ცხოვრების შინაარსით აღსავსე დიდი და რთული გზა განვლო.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ელენე წერეთელი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალის ლაურეატია; ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების პროპაგანდაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებულია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით, აგრეთვე სოციალისტურ შრომაში გამარჯვებულისა და შრომის ვეტერანის მედლებით.

ამჟამად ე. წერეთელი კვლავ ჩვეული ენერგიითა და სიყვარულით ემსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სახელმწიფო სტუდიაში, სადაც ასწავლის ქართული ხალხური და კლასიკური ცეკვების რთულ ხელოვნებას.

ხალვაში
იაკობ ხუშუტის ძე

დაიბადა 1929 წლის 30 ივნისს, ხელვაჩაურის რაიონის სოფ. გონიოში. სწავლობდა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკურ-ზრდის ფაკულტეტზე, პარალელურად ინსტიტუტის სტუდენტურ ანსამბლში (ქორეოგრაფი ალ. ჯიჯეიშვილი) ეუფლებოდა ქართულ ხალხურ ცეკვებს.

ჯერ კიდევ ინსტიტუტის სტუდენტი იყო იაკობ ხალვაში, როცა 1953 წელს აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მიიღეს მოცეკვავე-მსახიობად (ქორეოგრაფი ენვერ ხაბაძე). ი. ხალვაში 1957 წლამდე მოღვაწეობდა ამ სახელოვან კოლექტივში, ასრულებდა წამყვან პარტიებს, რითაც თავის მოკრძალებული წვლილი შეჰქონდა ანსამბლის შემოქმედებით გამარჯვებაში.

მოცეკვავის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1957 წელი, როცა მას აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიანიჭეს და იმავე წელს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში მიიწვიეს მოცეკვავე-მსახიობად.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში (1958) ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ბრწყინვალე შემოქმედებით გამარჯვებაში აჭარული ცეკვების უბადლო შემსრულებლის ი. ხალვაშის წვლილიც ერია.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მსახიობი ერთხანს კვლავ დაუბრუნდა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს.

ი. ხალვაში სხვადასხვა დროს წარმატებით გამოდიოდა მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ და საკავშირო დათვალიერებებზე. 1964 წელს ქართული ხალხური ცეკვის ინდივი-

დუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსში „განდაგანას“ ბრწყინვალე შესრულებისათვის მაღალი შეფასება და ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

1960 წელს ბავშვთა მხატვრული კოლექტივების სანიმუშოდ მომზადებისათვის იაკობ ხუშუტის ძე ხალვაში აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საპატიო სიგელით დააჯილდოეს, ხოლო 1961 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 40 წლისთავზე მას მეორეჯერ ებოძა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

ეროვნული კულტურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის იაკობ ხუშუტის ძე ხალვაშს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 2 იანვრის ბრძანებულებით მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

გარდაიცვალა 1985 წლის 10 ოქტომბერს.

ხაჟომია
ნელი გრიგოლის ასული

დაიბადა 1947 წლის 22 ივნისს ქ. თბილისში. კლასიკური ქორეოგრაფიის ხელოვნებას ეზიარა თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში /1955—65 წ. წ./, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ მოცეკვავე მსახიობად ჩაირიცხა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კორდებალეტში. ახალგაზრდა ნიჭიერ ბალერინას კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ კლასიკურ ქორეოგრაფიაში, მაგრამ მას ქართული ხალხური ცეკვები უფრო ხიბლავდა.

1967 წლიდან ნელი ხაჟომია საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული აკადემიური ანსამბლის მოცეკვავე მსახიობია. აქ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით სრულყოფილად დაეუფლა ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას და ანსამბლის ერთ-ერთი მოწინავე მსახიობი გახდა.

წლების მანძილზე ნ. ხაჟომია მონაწილეობდა ანსამბლის პროგრამით გათვალისწინებულ თითქმის ყველა ცეკვაში, შესრულების მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდა „ქართულში", „დავლურში", „სამაიასა" და „აჭარულში".

ეროვნული ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისა და თვალსაჩინო დამსახურებისათვის ნელი გრიგოლის ასულ ხაჟომიას 1981 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ხოფერია
ზურაბ ვალერიანის ძე

დაიბადა 1929 წლის 26 ოქტომბერს ლანჩხუთის რაიონის სოფ. გვიმბალაურში. ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ეზიარა მ. რაქვიაშვილისა და მ. ქსოვრელის ხელმძღვანელობით.

1951-დან 1953 წლამდე ცეკვავდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

1953-დან 1975 წლამდე ზურაბ ხოფერია ნაყოფიერ საშემსრულებლო მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში. ამ ხნის მანძილზე მუშაობა მოუხდა ისეთ გამოჩენილ ქორეოგრაფებთან, როგორიცაა დავით ჯავრიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ავთანდილ თათარაძე და რევაზ ხონელიძე.

კარგი ფიზიკური და მუსიკალური მონაცემების მქონე მოცეკვავე-მსახიობი ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყველა ცეკვას, მაგრამ უპირატესად გამოირჩეოდა „სიმდში“ (სოლო ცერებზე), „სვანურში“ (სოლო ცერებზე), „მარულასა“ და ქორეოგრაფიულ კომპოზიციაში „მოხევის ქალო თინაო“.

1953 წელს საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლთან ერთად მონაწილეობდა მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალზე რუმინეთში.

ანსამბლში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 8 თებერვლის ბრძანებულებით ზურაბ ვალერიანეს ძე ხოფერიას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ხოფერია
შოთა ბაგრატის ძე

დაიბადა 1932 წლის 16 მაისს ქ. ფოთში.ცეკვისადმი სიყვარული ბავშობიდანვე გამოავლინა. იგი გულმოდგინედ მეცადინეობდა სასკოლო თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივში გამოცდილი პედაგოგის ალ. ჯიჯეიშვილის ხელმძღვანელობით. შედეგმაც არ დააყოვნა, ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე მიიღეს ფოთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში (ქორეოგრაფი შ. ჩახავა).

1950 წლიდან სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე. მონაწილეობდა ინსტიტუტის ქართული ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლში საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ბ. დარახველიძის ხელმძღვანელობით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შოთა ხოფერია საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში ჩაირიცხა მოცეკვავე მსახიობად. იგი ამ სახელოვან კოლექტივში 1958-დან 1972 წლამდე მუშაობდა, აქ მიიღო მან პროფესიული ნათლობა და მოცეკვავე მსახიობის დიდი გამოცდილება, ამ ანსამბლთან ერთად იმოგზაურა ჩვენი სამშობლოს ქალაქებსა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის ბრძანებულებით შოთა ბაგრატის ძე ხოფერიას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ხუბაევი
ომარ სერგოს ძე

დაიბადა 1942 წელს ქ. გორში. ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ანბანი შეისწავლა გორის მეორე საშუალო სკოლაში სევერიან ლაზარაშვილის ხელმძღვანელობით.

ქორეოგრაფებმა მარლენ ნინოშვილმა და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მიხეილ შუბაშიკელმა ნიჭიერი მოზარდი გორის კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის შემადგენლობაში შეიყვანეს. ამ ანსამბლში ცეკვის ხუთი წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა და დაიხვეწა ო. ხუბაევის საცეკვაო რეპერტუარი, შესრულების კულტურა.

გორის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ო. ხუბაევი მუშაობას იწყებს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში მოცეკვავე-მსახიობად.

ო. ხუბაევი ამჟამად საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის სოლისტია. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების, სახელმწიფო პრემიის ლაურეატების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით ო. ხუბაევის საშემსრულებლო ხელოვნებამ უმაღლეს დონეს მიაღწია. 1972 წელს ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსზე ცეკვა „ხონგას“ ბრწყინვალედ შესრულებისათვის ოქროს მედალი და პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ომარ სერგოს ძე ხუბაევს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება და დაჯილდოებულია წამახალისებელი დიპლომითა და სიგელებით.



ხურციძე
ომარ კონსტანტინეს ძე

დაიბადა 1946 წლის 20 იანვარს, მახარაძის რაიონის სოფ. თხინვალში.

ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ეზიარა შრომის წითელი დროშის ორდენოსან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლში.

ომარ ხურციძე ჯერ კიდევ უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, როცა ქალაქ რუსთავის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სალხინოში" მიიღეს მოცეკვავედ. 1970 წლიდან კი იგი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობია.

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისა და პროპაგანდისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის ბრძანებულებით ომარ კონსტანტინეს ძე ხურციძეს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, იგი არის ახალგაზრდობის საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი.



ხუხუნაშვილი
ბეგი ხარიტონის ძე

დაიბადა 1946 წლის 15 ივნისს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ლაშისღელეში. ცეკვის ხელოვნებას სკოლაშივე ეზიარა რობერტ ცინცაძის ხელმძღვანელობით.

1963 წელს ბ. ხუხუნაშვილი აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში ჩაირიცხა მოცეკვავედ. ანსამბლში მუშაობის მრავალი წლის მანძილზე მან ბევრ დადგმაში გამოიჩინა თავი და ერთ-ერთი წამყვანი მოცეკვავე-მსახიობის ადგილი დაიმკვიდრა კოლექტივში.
ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსის პრიზიორი და ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო ფესტივალის ლაურეატია (1967 წ.)

ქართულ ხალხურ ხელოვნებაში ნაყოფიერი მუშაობისა და თვალსაჩინო წარმატებებისათვის აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 17 მარტის ბრძანებულებით ბეგი ხარიტონის ძე ხუხუნაშვილს მინიჭებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.



ჯახუტაშვილი თამაზ გაბრიელის ძე

დაიბადა 1935 წლის 19 ნოემბერს ქ.ბათუმში.

1954 წელს ბათუმის მშრომელთა სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეიქმნა სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლი, რომელშიაც სხვებთან ერთად ახალგაზრდა მომღერალი თამაზ ჯახუტაშვილი მიიწვიეს, მაშინ იგი გუნდში მეცადინეობის პარალელურად ცეკვაშიც ვარჯიშობდა (ხელმძღვანელი ალ. ჯიჯეიშვილი) და აქედან დაუკავშირა მან ქორეოგრაფიულ ხელოვნებას მთელი თავისი შემოქმედებითი მომავალი.

1955 წელს აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში მიიწვიეს მოცეკვავე მსახიობად.

1962-1963 წლებში თ. ჯახუტაშვილი მუშაობდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში. აქ მან გაიარა ქორეოგრაფიული ხელოვნების უმაღლესი სკოლა, მიიღო დიდი ცოდნა და გამოცდილება.

1964 წლიდან იგი მუშაობს ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის კლუბთან არსებული ქორეოგრაფიული ჯგუფის ხელმძღვანელად. იგი 1967, 70, 77 წლების მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო ფესტივალების ლაურეატი და ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა III, V, VI რესპუბლიკური კონკურსების პრიზორია.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში ხანგრძლივი მუშაობისა და თვალსაჩინო დამსახურებისათვის თამაზ გაბრიელის ძე ჯახუტაშვილს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

1974 წლიდან ხელმძღვანელობს აჭარკოოპკავშირის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ქორეოგრაფიულ ჯგუფს.

ჯიბლაძე
გიორგი სტეფანეს ძე

დაიბადა 1934 წლის 31 მარტს ქ.თბილისში. ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას დაეუფლა თბილისის საწარმოო კოოპერაციის სახლთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლში რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მიხეილ შუბაშიკელის ხელმძღვანელობით. 1953-დან 1973 წლამდე მოცეკვავე მსახიობად მუშაობდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. მან ნამდვილ პროფესიულ სრულყოფას აკადემიურ ანსამბლში მიაღწია.

გიორგი ჯიბლაძე ყოველთვის გამოირჩეოდა თავისეული საშემსრულებლო მანერით. მთიულური ცეკვების შესანიშნავი შემსრულებელი თავის დაუოკებელ ტემპერამენტს ბრწყინვალედ ავლენდა ნაირსახოვანი რთული ილეთების შესრულებისას.

ანსამბლის ერთ-ერთი წამყვანი მოცეკვავე 20 წლის მანძილზე თავდადებით იღვწოდა საყვარელ კოლექტივში და თავისი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდა მის შემოქმედებით გამარჯვებაში.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისა და თვალსაჩინო დამსახურებისათვის გიორგი სტეფანეს ძე ჯიბლაძეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1967 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1971 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდებები. იგი დაჯილდოებულია საქართველოს მთავრობის სიგელებითა და მედლებით.

გიორგი ჯიბლაძე ამჟამად საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ქორეოგრაფიული განყოფილების გამგეა. იგი მთელ თავის მდიდარ გამოცდილებას ახმარს ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებას რესპუბლიკაში. მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიები საქართველოს ბევრ რაიონში, ჩატარდა ცეკვის ინდივიდუალურ შემსრულებელთა ზონალური და რესპუბლიკური კონკურსები.

ჯიკრბა
ვენერა ხაჯარატის ასული

დაიბადა 1923 წლის 4 დეკემბერს ქ.სოხუმში. ცეკვისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე ჩაუნერგა მამამ, რომელიც ჩინებულად უკრავდა სხვადასხვა მუსიკალურ საკრავზე, მღეროდა და შესანიშნავად ცეკვავდა.

8 წლის ვენერა მშობლებმა სოხუმის საბალეტო სკოლაში შეიყვანეს, სადაც ცნობილი ბალერინას ეკატერინე გორელოვას კლასში სწავლობდა.

მოწაფეობის წლებში წარმატებით გამოდიოდა ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების საოლქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე და პირველი ხარისხის ჯილდოებსაც იმსახურებდა.

1947-1957 წლებში ვ. ჯიკრბა გუდაუთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი და საესტრადო ბრიგადის წამყვანი მოცეკვავეა(ხელმძღვანელი ა. ჩიჩბა). ამავე პერიოდში უნარიანად ხელმძღვანელობდა კულტურის სახლთან არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს, მომღერალთა გუნდსა და დრამატულ კოლექტივს.

1945 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს კულტურის სამინისტროს ქორეოგრაფიული კურსები თბილისში.

1957 წელს ვ. ჯიკრბა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში წამყვან სოლისტად მიიწვიეს. ამ ანსამბლთან ერთად მონაწილეობდა იგი 1958 წელს თბილისში გამართულ აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე, იგი ცეკვავდა როგორც მასობრივ ცეკვებში, ისე სოლო პარტიებში. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო „აფხაზურ საქორწილოში“(ქორეოგრაფი ვ. აჩბა), „განდაგანაში“(ქორეოგრაფი ი. ციმაკურიძე).

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ამ დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ვენერა ხაჯარატის ასულ ჯიკრბას მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია აგრეთვე მედლით „შრომითი მამაცობისათვის", სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სამკერდე ნიშნითა და სხვა წამახალისებელი საჩუქრებით.

ამჟამად მუშაობს სოხუმის კინოთეატრ „აპსნის" დირექტორად.

ჯიოევი
ნიკოლოზ გრიგოლის ძე

დაიბადა 1951 წლის 11 აპრილს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯავის რაიონის სოფელ სინაგურში.

1968 წლიდან მოღვაწეობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მოცეკვავე მსახიობად.

ანსამბლში მუშაობის პერიოდში ნიკოლოზ ჯიოევი წარმატებით ასრულებდა ოსი და მოძმე ეროვნებათა ხალხურ ცეკვებს: „ქართულს“ „წყვილთა ნარნარს“, „მთიულურს“, „ჩეჩნურს“, სოლოებს ქორეოგრაფიულ სურათებში: „უიღბლო შეყვარებული“, „შეყვარებული მაშტიბადი“ და „ოსური ახალგაზრდული“

ხალხური ქორეოგრაფიის უსაზღვრო სიყვარულითა და შრომისმოყვარეობის წყალობით ნ. ჯიოევმა ანსამბლში წამყვანი მსახიობის სახელი დაიმკვიდრა.

ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის ნიკოლოზ გრიგოლის ძე ჯიოევს 1979 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია სიგელებითა და დიპლომებით.

ჯიოევი

რომან ილიას ძე

დაიბადა 1943 წლის 18 მარტს ქ.თბილისში. ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას ეზიარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძერჟინსკის სახელობის კლუბთან არსებულ თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივში მიხეილ და ჰამლეტ კობეშავიძეების ხელმძღვანელობით.

1963 წლიდან ცეკვავდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლში(ქორეოგრაფი ბუხუტი დარახველიძე). პარალერულად სწავლობდა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში და ცეკვავდა სტუდენტურ ანსამბლში.

1964 წლიდან რ. ჯიოევი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის წევრია. აღნიშნულ ანსამბლში მუშაობის პერიოდში განსაკუთრებით წარმოჩინდა ახალგაზრდა მოცეკვავის საშემსრულებლო შესაძლებლობანი. იგი ანსამბლის რეპერტუარით გათვალისწინებულ თითქმის ყველა ცეკვაში მონაწილეობს, მაგრამ შესრულების თავისებური მანერით განსაკუთრებით გამოირჩევა „ხონგაში", „სიმდში", „ფარიკაობაში", „მხედრულში", „ყაზბეგურსა და „ლელოში".

თბილისის მე-2 ექსპერიმენტულ სკოლაში ქორეოგრაფად მუშაობის პერიოდში დადგმული აქვს „ფერხული", „ქართული", „სიმდი", „მთიულური" და სხვა ცეკვები.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის რ. ჯიოევს 1981 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ამჟამად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას განაგრძობს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ დამსახურებულ ანსამბლში.

სარჩევი

ავტორისაგან 3

ქორეოგრაფები

ა. ალექსიძე 7
დ. ჯავრიშვილი 10
ნ. რამიშვილი 12
ი. სუხიშვილი 15
ჯ. ბაგრატიონი 19
ვ. აბაშიძე 22
უ. ამბარდანაშვილი 23
ვ. აჩბა 25
მ. ბახტაძე 27
ე. ბეგია 29
თ. ბეჟანიძე 31
გ. ბუაჩიძე 33
ხ. გაგლოევი 35
მ. გავაშელი 37
ნ. გარუჩავა 39
შ. გეჯაძე 41
ლ. გვარამაძე 43
ი. გითოლენდია 45
ნ. გოგიტიძე 47
თ. გოგოტიშვილი 49
ე. გუმბერიძე 51
თ. დავითაია 54
ა. დარახველიძე 56
ბ. დარახველიძე 58
მ. დედანაშვილი 60
ე. დოლიძე 62
შ. ვარდანია 64
ა. ვაშაკიძე 66
ა. თათარაძე 67
ბ. თედეევი 70
რ. იაშვილი 72
შ. იაშვილი 74
თ. იმნაძე 76
ა. კაბისოვი 77
მ. კაკაბაძე 78
მ. კობეშავიძე 79
პ. კობეშავიძე 81
ზ. ლაზიშვილი 83
ბ. ლაცაბიძე 85
მ. ლომთათიძე 87
კ. მანჯგალაძე 90
ვ. მეგრელაძე 92
თ. მელაძე 94
ო. ნასყიდაშვილი 96
ა. ნიკოლაიშვილი .97
ბ. ოდიკაძე 98
ო. პაპიაშვილი 101
მ. რაძვიაშვილი 102
ა. სალუქაშვილი 104
ბ. სალუქვაძე 106
ბ. საჯაია 108
ბ. სვანიძე 110
ფ. სულაბერიძე 112
თ. სუხაშვილი 114
თ. სუხიშვილი 116
დ. უშვერიძე 118
მ. შუბაშიკელი 120
ბ. ჩახავა 123
შ. ჩახავა 125
ბ. ჩივაძე 127
კ. ჩივაძე 129
ჯ. ჩიჩუა 131
ა. ჩიხლაძე 133
ბ. ჩიხლაძე 135
ლ. ჩიხლაძე 137
ი. ციმაკურიძე 139
რ. ჭანიშვილი 141
რ. ჭოხონელიძე 144
რ. ჭოხონელიძე 146
ე. ხაბაძე 149
ე. ხალვაში 151

ვ. ხეთაგურავი 152
ი. ხმალაძე 154
რ. ხონელიძე 156
ვ. ჯატიევი 158
ა. ჯიჯეიშვილი 160

მ ო ც ე კ ვ ა ვ ე ე ბ ი

მ. აბაზაძე 165
ვ. ადზინბა 166
მ. ართმელაძე 167
ლ. ბალისევიჩ-ქორიძე 168
შ. ბარამიძე 169
დ. ბასილაშვილი 170
ზ. ბასილაშვილი 171
ზ. ბაღდადიშვილი 172
გ. ბერაძე 174
ჯ. ბერაძე 175
რ. ბერიანიძე 176
ვ. ბიკოევა 177
თ. ბოლქვაძე 178
ა. ბუაძე 179
თ. ბაბაიძე 180
ვ. ბაბელია 182
ხ. ბაბისონია 183
გ. ბალავანოვი 184
შ. ბარუჩავა 185
ნ. ბიორგაძე 186
ჯ. ბოგინავა 188
თ. ბომართელი 189
მ. ბუბუტიშვილი 190
ვ. ბუნაშვილი 191
ნ. ბუნია 193
ა. დავითაძე 195
ნ. დევაძე 197
ა. დვალი 198
ი. დოლაბერიძე 199
შ. დოლიძე 200
რ. ენუქიძე 201
ბ. ვარდოსანიძე 202
ო. ვასაძე 203
ი. ზედაშიძე 204
ლ. თათეიშვილი 206
ი. თევზაძე 207
ს. იაშვილი 208
ვ. ინგოროყვა 209
ი. ირემაძე 210
ვ. კალანდაძე 211
თ. კიკალეიშვილი 212
ნ. კირვალიძე 213
ნ. კლდიაშვილი 214
ვ. კობალაძე 216
ა. კობერიძე 218
ზ. კოტაევა 219
ა. ლალიევა 221
კ. ლოლაძე 222
ო. ლომსაძე 224
ნ. ლორთქიფანიძე 225
თ. ლუხავა 227
გ. მახარაძე 229
ნ. მეზვრიშვილი 230
ვ. მერაბიშვილი 231
გ. მიქაძე 232
თ. მიქელაძე 233
ნ. მუქერია 234
მ. მხეიძე 235
ო. მხეიძე 236
ჯ. ნავროზაშვილი 237
გ. ნიკოლოზიშვილი 238
ვ. ნინიძე 240
ს. ნონიაშვილი 241
ი. ორჯონიკიძე 243
გ. პატარაია 245
ჯ. სამხარაული 247
დ. სარდანაშვილი 249
გ. სიმონიშვილი 250
გ. სიხარულიძე 251
გ. სურვილაძე 252
რ. ტატიშვილი 254
ბ. ტეხოვი 255
თ. უთმელიძე 257
ლ. უთმელიძე 258
ვ. ფირცხალავა 260
მ. ფირცხალაიშვილი 261
ლ. ფოჩიანი 263
დ. ქველიძე 266
ზ. ქველიძე 266
ნ. ღვაბერიძე 267
თ. ღოღობერიძე 269
ბ. ყურაშვილი 271
ვ. ყუფარაძე 272
ა. შადური 274
ა. ჩახავა 276
ვ. ჩიბიროვი 278
შ. ჩირაძე 279
ბ. ჩიჩუა 281
ი. ჩოჩიშვილი 282
ი. ცათიაშვილი 283

ე. წერეთელი 284
ი. ხალვაში 286
ნ. ხაჟომია 289
შ. ხოფერია 290
ო. ხუბაევი 291
ო. ხურციძე 292
ბ. ხუხუნაიშვილი 293
თ. ჯახუტაშვილი 294
ბ. ჯიბლაძე 295
ქ. ჯიკრბა 296
ნ. ჯიოევი 298
რ. ჯიოევი 299

რედაქტორი **მეგი ელბაქიძე**
მხატვარი **როუნალ კაზლოვსკი**
მხატვრული რედაქტორი **გიორგი ინასარიძე**
ტექრედაქტორი **რიჩარდ კოხრეიძე**
კორექტორი **თამარ რამიშვილი**
გამომშვები **ქეთევან პაპიაშვილი**

გადაეცა წარმოებას 22. 06. 87, ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.05.88.
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆, ნაბეჭდი თაბახი 10.5. სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 11,45.

ტირაჟი 3000 შეკვ 1819
ფასი 1 მან

გამომცემლობა „ხელოვნება"
თბილისი, პლეხანოვის 179
1988

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Краного Знамени типография издательства ЦК КП Грузии.
Тбилиси, Ленина, 14.

ГЕОРГИЙ ЭСТАТОВИЧ СУХИШВИЛИ
МАСТЕРА ГРУЗИНСКОЙ НАРОДНОЙ ХОРЕОГРАФИИ
(На грузинском языке)

Издательство «Хеловнеба»
Тбилиси, пр. Плеханова, 179

1988